

170
1965 / 2



შინისბრძნა სახელმთაჲს აკადემიური საბჭოთაო საზოგადოებო ურთიერთობათა
ПРАВЛЕНИЕ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საისტორიო ვესტნიკი

ИСТОРИЧЕСКИЙ ВЕСТНИК

19-20



საისტორიო მოამბე

ИСТОРИЧЕСКИЙ ВЕСТНИК

19-20

10.244.





საქართველოს
ენციკლოპედია

დაიბეჭდა საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

პ/მგ რედაქტორი **ბ. თაგაიანიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ი. ანთელავა, ა. იოვძე, ს. მაღლაკელიძე, ნ. მახარაძე, ბ. პირაძე,
ლ. უკლება, შ. ჩხეტია, ქ. ჭიჭინაძე (მდივანი)

გადაეცა წარმოებას 30/III 1965 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 11/I 1966 წ.

ანაწევრების ზომა 7×11 , ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1/16}$

სასტამბო ფორმათა რაოდენობა 30,5 თაბახი

სააღრიცხვო-სავაჭომცემლო ფორმათა რაოდენობა 40.

ფასი 1 მან.

შეკვ. № 1065

უე 08702

ტირ. 500

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

შინაარსი

1. ა. კოკლავაშვილი — საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ისტორიისათვის. მანქანათმშენებლობა საბჭოთა საქართველოში	5
2. შ. ბერუაშვილი — მიწის ნაციონალიზაციისა და მიწათმოწყობის ისტორიისათვის საქართველოში (1921—1929)	125
3. ა. ხტეფანიშვილი — შევენახეობა-მელენეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში (1921—1933)	247
4. ვ. სიფრაშვილი — ქართველ სამოციანელთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიისათვის	333
5. ვ. ევანია — ილია ჭავჭავაძის იურიდიული მოღვაწეობა	385
6. გ. პაიჭაძე — მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652—1658)	439
7. ზ. ევანია, ქ. ჭიჭინაძე — რუს-ქართველთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან	471

СОДЕРЖАНИЕ

1. А. Кочлавашвили — К истории социалистической индустриализации Грузии. Машиностроение в Советской Грузии	5
2. Ш. Беруашвили — К истории национализации земли и землеустройства в Грузии (1921 — 1929)	125
3. А. Степанишвили — Развитие виноградарства и виноделия в Советской Грузии (1921 — 1933)	247
4. В. Сипрашвили — Из истории революционной деятельности грузинских шестидесятников	333
5. В. Жвания — Юридическая деятельность Ильи Чавчавадзе	385
6. Г. Паицадзе — Материалы к истории русско-грузинских отношений (1652 — 1658)	389
7. З. Жвания, К. Чичинадзе — Из истории русско-грузинских культурных отношений	471

საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ისტორიისათვის

2. მანქანათმშენებლობა საბჭოთა საქართველოში (1921—1937)

უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვლევართა ინტერესი საბჭოთა მანქანათმშენებლობის ისტორიის საკითხებისადმი და უკვე რამდენიმე ნაშრომიც გამოქვეყნდა.

მანქანათმშენებლობის ისტორიის პრობლემებისადმი ესოდენ ცხოველი ინტერესი აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, თვით მანქანათმშენებლობის, როგორც ინდუსტრიალიზაციის გულის, უდიდესი საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობით. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მსხვილი მანქანური მრეწველობის განვითარების შედეგად „სოციალური გადატრიალების მოთხოვნები და სოციალური დაპირისპირებულობა სოფელშიც ისეთივე ბდება, როგორც ქალაქში“¹. მანქანის, საერთოდ მანქანური წარმოების, აგრეთვე მანქანათმშენებლობის კაპიტალისტურად გამოყენება პროგრესულად ანგითარებს სოციალურ დაპირისპირებულობას, აღრმავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, ანტაგონიზმს შრომასა და კაპიტალს შორის, აძლიერებს მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ, აჩქარებს მხრწნადი კაპიტალიზმის გარდუვალ დაღუპვას. ამიტომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მანქანათმშენებლობა, მანქანა გამოიყენება მუშათა პოლიტიკური აქტივობის წინააღმდეგ, მასების უმოწყალო ექსპლოატაციისა და კაპიტალიზმის გახანგრძლივებისათვის.

სულ სხვა მიზანს ისახავს საბჭოთა მანქანური წარმოება და, მაშასადამე, მანქანათმშენებლობაც. მსხვილი მანქანური მრეწველობა და მისი გული — მანქანათმშენებლობა — აღიარებულია სოციალიზმის ერთადერთ მატერიალურ საფუძვლად² და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხალხის საერთო კეთილდღეობის აღმავლობას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. იგი თავისი შედეგებით თვალნათლად უჩვენებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს წარმოების სოციალისტური წესის უპირატესობასა და ცხოველყოფილობას.

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1954; გვ. 637.

² ვ. ი. ლენინი, თხულებანი, ტ. 32, გვ. 584.

ამიტომ საბჭოთა მანქანათმშენებლობის ისტორიის შესწავლას, მის შესახებ საარქივო წყაროების პუბლიკაციას გარკვეული პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მანქანათმშენებლობის, საერთოდ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, ისტორიას გულმოდგინედ სწავლობენ როგორც საბჭოთა მეცნიერები, ისე საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული მკვლევარები. მაგრამ ურთიერთდაპირისპირებულ სახელმწიფოებრივ სისტემათა მკვლევარების დაინტერესების მიზეზი და მიზანიც ერთგვაროვანი არ არის.

ბურჟუაზიული მკვლევარები, სწავლობენ რა ჩვენი მანქანათმშენებლობის განვითარებას და მის შედეგებს, სინამდვილის დამახინჯებით, ცდილობენ იპონონ მსგავსება სოციალისტურ და კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას შორის, რათა დაამტკიცონ მათ მიერვე შეთხზული „თეორია“, რომლის მიხედვით თითქოს შესაძლო იყოს კომუნიზმისა და კაპიტალიზმის „პიბრიდისაცია“, მათი „სინთეზი ე. წ. საყოველთაო ინდუსტრიული განვითარებისა და ეკონომიური იმპერატივების გამოყენების გზით. სინამდვილეში ეს მზავრული ხერხი მიმართულია კომუნიზმის წინააღმდეგ. ამ „მეცნიერული“ ცდების ფარული დანიშნულებაა მოადუნონ მსოფლიო მუშათა კლასის კლასობრივი სიფხიზლე და შეანელონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მასების მზარდი ბრძოლა.

ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა მეცნიერების ყველა საშუალებათა გამოყენებით გაშალონ შემტევი ბრძოლა იმპერიალიზმის მსახური ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ამხილონ მისი ფარული ზრახვები და ახალმოდური „თეორიების“ არამეცნიერული ხასიათი. ამავე დროს საბჭოთა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, პირველ რიგში კი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების, ამოცანაა განაზოგადონ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში მასების ცოცხალი პრაქტიკა, ისტორიული გამოცდილება და ხელი შეუწყონ ახალი ადამიანის აღზრდასა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ამ საპატიო ამოცანის შესრულებისათვის საინტერესო მასალას შეიცავენ საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლობის განვითარების მთელი ისტორია და მის შესახებ არსებული საარქივო წყაროები. საკმარისია აღინიშნოს, რომ კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის წყაროს წარმოადგენს კოლონიების აშკარა და ფარული ძარცვა, წყვდიადსა და ჩამორჩენილობაში მათი ყოფნა. სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, პირიქით, კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად, ხელს უწყობს წინათ ჩაგრული ერების უფრო სწრაფ კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას, ფაქტიური უთანაბრობის ლიკვიდაციას, თანამედროვე მსხვილი მანქანური (ამ შემთხვევაში მანქანათმშენებელი) საწარმოების აღმოცენებას ისეთ კუთხეებშიც კი, რომელ-

თა სამრეწველო განვითარებაზე რევოლუციამდე ოცნებაც არ შეიძლებოდა ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია აჭარაში ჩაის მანქანათმშენებელი მსხვილი და უახლესი ტექნიკის საფუძველზე აგებული ქარხანა¹ და მთლიანად საქართველოს მანქანათმშენებლობა, რომელიც თავისი საუკეთესო მანქანა-დაზგებით ფართო პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ამიტომ მრეწველობის ამ დარგის განვითარების სრული მეცნიერული ისტორიის დაწერა მრავალმხრივ დროული და აქტუალურია. არსებული ლიტერატურა, მართალია, ძირითადად ასახავს ჩვენში მანქანათმშენებლობის ჩასახვა-განვითარების მთავარ ეტაპებსა და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, მის წვლილს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ, ამავე დროს, არსებული ლიტერატურის ნაწილი, სამწუხაროდ, თავისუფალი არ არის აგრეთვე ზოგიერთი მნიშვნელოვანი, წმინდა მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის, ნაკლისაგან: ამ ლიტერატურაში ყოველთვის გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები მანქანათმშენებლობის აღმოცენებისა და სწრაფი განვითარების კანონზომიერება, სახალხო მეურნეობისა და მანქანათმშენებლობის ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი, მანქანათმშენებელ საწარმოთა ტექნიკური პროგრესი, როგორც სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისა და მოთხოვნილების პირდაპირი შედეგი; მანქანათა მწარმოებელ მუშათა რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდა, მათი შემოქმედებითი მონაწილეობა მწარმოების მეცნიერულ საფუძველზე მოწყობის საქმეში. ძალზე სუსტად არის გაშუქებული საქართველოს მანქანათმშენებელთა ბრწყინვალე წარმატებები კაპიტალისტურ ტექნიკასთან შეჯიბრში. არადამაკმაყოფილებლად არის გაშუქებული მანქანათმშენებელ მუშათა მატერიალური პირობების თანდათანობითი გაუმჯობესება და ა. შ.

ამასთან, ზოგიერთ გამოქვეყნებულ ნაშრომში სწორად არ არის მითითებული მანქანათმშენებლობაში ამა თუ იმ მოვლენის თარიღი, რომლის ზუსტად დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის. კერძოდ, ნაირგვარად არის ლიტერატურაში მითითებული საბჭოთა საქართველოში მანქანათმშენებლობის აღმოცენება-განვითარების პერიოდიზაცია — ერთნი მიუთითებენ, რომ იგი აღმოცენდა აღდგენით პერიოდში, ჯერ კიდევ 1921 წელს, საბჭოთა წყობილების პირველსავე თვეებში, მეორენი — „პირველი ხუთწლედის წინა წლებში“, მესამენი — „პირველ ხუთწლედში“, ხოლო ზოგჯერ იმასაც ამტკიცებენ, რომ ომამდელ ხუთწლედებშიც კი ეს დარგი თითქმის ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ზემოღნიშნული ნაკლი, ჩვენის აზრით, გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ მანქანათმშენებლობის ისტორიის შესახებ მდიდარი საარქივო წყაროები ჯერ კიდევ შეუსწავლელია და გამოუქვეყნებელი. ამის გამო ზოგიერთი საარ-

ქივო საბუთიც არაკრიტიკულად არის გამოყენებული და შეფასებული. ამის შედეგად აღილი აქვს ზოგიერთ შეუსაბამო და არსებითად მცდარ დასკვნებს. რომელთაც შეცდომაში შეყავთ ზოგიერთი მკვლევარი და მკითხველი საზოგადოება.

ამიტომ აქვე ვაქვეყნებთ სხვადასხვა არქივებში ჩვენს მიერ გამოვლენილ საბუთებს, რომლის მიზანია ნაწილობრივად მაინც შეავსოს აღნიშნული ხარვეზი და დაეხმაროს მკვლევარებს საკითხის შედარებით უფრო ვრცლად შესწავლაში. ამ საბუთებით, რასაკვირველია, არ ამოიწურება საერთოდ მანქანათმშენებლობის ისტორიაზე არქივებში დაცული მდიდარი მასალა. მაგრამ აქ წარმოდგენილიც ნათლად გვიჩვენებს მრეწველობის აღნიშნული დარგის განვითარებას, მის შედეგებს და თვისობრივ ზრდას.

საქართველოს საბჭოთა მანქანათმშენებლობის ისტორია აღსავსეა მუშათა გმირული შრომის, შემოქმედებითი აზრის ძიების, სიძნელეთა დაძლევის, მანქანათმშენებლობის ზრდისა და განვითარების ბრწყინვალე მაგალითებით.

მანქანები, როგორც შრომის გაადვილების მექანიკური საშუალება, საქართველოში უძველესი დროიდან გამოიყენება სხვადასხვა დარგში. პირვანდელ მანქანებს (ბორბალი, კერამიკული მორგავი, წყლის ასამაღლებელი ბორბალი, საფეიქრო და ლითონდასამუშავებელი დაზგები) ამჟღავნებდა ადგილობრივი ხალხური მანქანათმშენებლობა, მაგრამ ნამდვილი, საქარბნო მანქანათმშენებლობა საბჭოთამდელ საქართველოში ფაქტიურად არ არსებობდა. საქართველოში იგი აღმოცენდა საბჭოთა პერიოდში, რაც განაპირობა სახალხო მეურნეობის მზარდმა მოთხოვნილებამ მანქანებზე.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე განსაზღვრა კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის სამეურნეო ამოცანები პროლეტარული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდგომ პერიოდში. იგი აღნიშნავდა, რომ კომუნიზმის გამარჯვებისათვის აუცილებელია, კაპიტალისტურთან შედარებით, უფრო მაღალი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, ხოლო შრომის ნაყოფიერებისათვის — მსხვილი მანქანური მრეწველობა ფართო ელექტროფიკაციის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, კომუნისტურმა პარტიამ ჯერ კიდევ IX ყრილობაზე მიიღო გადაწყვეტილება უმოკლეს დროში საკუთარი, თანამედროვე მანქანათმშენებლობის შექმნის შესახებ.

საქართველოს ბოლშევიკები, ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებებითა და დირექტივებით, საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვებისთანავე შეუდგნენ საქართველოში სახალხო მეურნეობის, აგრეთვე ლითონდასამუშავებელი მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას რესპუბლიკის სამეურნეო ამოცანათა შესაბამისად. ისინი ერთდროულად ითვალისწინებ-

დნენ ლითონურ ნაწარმზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მზარდ მოთხოვნას. რაც შეეხება მანქანათმშენებლობას, მის დამოუკიდებელ დარგად აღმოცენებასა და განვითარებას, საბჭოთა მთავრობას იმ პერიოდში არ შეეძლო ამისათვის საჭირო სახსრების გაღება. ამიტომ მანქანათა წარმოება პირველ წლებშივე ჩაისახა ლითონდასამუშავებელ ძველ საწარმოთა წიაღში. ეს დარგი დიდხანს მათთან იყო „შეხიზნული“ და თანდათანობით ფართოვდებოდა და უმჯობესდებოდა. ეს უნდა მიეწეროს პარტიის მუდმივ ზრუნვასა და მელითონე მუშათა, ანუ, როგორც ისინი მაშინ იწოდებოდნენ, „პროლეტარიატის რევოლუციურ ბირთვის“ თავდადებულ შრომას, სამუშაოსადმი შეგნებულ დამოკიდებულებასა და ბრძოლას ვ. ი. ლენინისათვის მათ მიერ მიცემული პირობის¹ შესრულებისათვის. საქართველოს მელითონეებმა სახელოვანი გზა განვლეს პარტიის სამეურნეო ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მიზნის მისაღწევად ისინი გაბედულად სძლევდნენ წინ აღმართულ სიძნელეებს: კვალიფიციური კადრების სიმცირეს, ნედლეულის უკმარობას, საწარმოო ტექნიკის დაბალ დონეს და სასურსათო სიძნელეს. ისინი ხშირად მარტივი, ხელის იარაღებით ამზადებდნენ მანქანა-დაზგების რთულ ნაწილებს, საკუთარი ზურგით ეზიდებოდნენ საჭირო მასალას, რათა დროულად შეესრულებინათ სახელმწიფო დავალება. ამის შედეგად მათ სასწრაფოდ აღადგინეს და კაპიტალურად შეაკეთეს საღაზგო პარკის ნაწილი, საწარმოო შენობები და სხვ., რითაც დიდი წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

ამავე პერიოდში საქართველოს მელითონეებმა, ითვალისწინებდნენ რა მზარდ მოთხოვნილებას სხვადასხვა დანიშნულების მანქანებზე, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე თვეებში საფუძველი ჩაუყარეს მრეწველობის ახალ დარგს — საბჭოთა მანქანათმშენებლობას, რომელიც სახალხო მეურნეობისათვის ამზადებდა მარტივ ნაკეთობას: ტურბინებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ინვენტარს, ამწე-სატრანსპორტო საშუალებებს, საქარხნო-საფაბრიკო მექანიზმებსა და სხვ.² საქართველოს მანქანათმშენებლებმა (ბათუმი, ფოთი) 1923 წელს ააგეს პირველი საბჭოთა მიწაბაძია „საბჭოთა საქართველო“, რამაც ხელი შეუწყო ჭიათურის მანგანუმის მადნის ექსპორტის გადიდებას³. თბილისის 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს მანქანათმშენებელ ქარხნად იწოდებოდა, ერთდროულად ამზადებდა ზაპესისათვის რთული კონსტრუქციის ანძებს, ვაგონეტებს, მექანიზმებს⁴. აღდგენითი პერიოდის დასასრულს აქ ქარხანას დავალა აბრეშუმის ძაფსახევეი ფაბრიკების მანქანათა შეკეთება, მონტაჟი, მათთვის ნაწილების დამზადება, ხოლო 1925 წლის

¹ საბ. № 3.

² საბ. № 2, 5.

³ საბ. № 11.

⁴ საბ. № 19.

მიწურულს — ჩაის მრეწველობისა და აბრეშუმის ძაფსახვევი წარმოებისათვის მანქანათა საცდელი პარტიის დამზადება.

ამრიგად, აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის საქართველოს ახლად აღმოცენებული საბჭოთა მანქანათმშენებლობა თანდათანობით გაფართოვდა და მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. იგი ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ თავის სწრაფ განვითარებაში უკვე ამჟღავნებდა კვალი-ფიციური მანქანათმშენებლობისაკენ ზრდის ამჟღარა ტენდენციას, რაც საესეებით შეესაბამებოდა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნას.

ლითონდამუშავება-მანქანათმშენებლობის გაფართოების პარალელურად იზრდებოდა მუშათა რაოდენობა. ინერგებოდა ახალი ტექნიკა, იზრდებოდა მუშათა ბრძოლა შრომის ნაყოფიერებისათვის, თანდათანობით უმჯობესდებოდა მუშათა შრომის, კულტურული და მატერიალური პირობები.

აღდგენითი პერიოდის დასასრულს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობამ (1925 წ. დეკემბერი) დასახა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსი და ამასთან ერთად საბრძოლო ამოცანა: სსრ კავშირი მანქანებისა და გაწყობილობის შემომტანი ქვეყნიდან გადაიქცეს მანქანებისა და გაწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად.

როგორც ქვემოთ დამოწმებული საბუთებიდან ჩანს, საქართველოს მანქანათმშენებლებმა პარტიის ეს დავალება აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანების დამზადების დარგში მოკლე ხანში წარმატებით შეასრულეს¹. ასევე დიდ წარმატებებს მიაღწიეს მათ ჩაის წარმოებისათვის მანქანათა წარმოების ათვისებაში და ჩვენი ქვეყანა გაანთავისუფლეს ზოგიერთი სახის მანქანების საზღვარგარეთიდან შემოზიდვისაგან².

საქართველოს მანქანათმშენებლობამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია პირველ და მეორე ხუთწლედებში. ამ პერიოდში ხდებოდა უფრო რთული და ახალი მანქანების წარმოების ათვისება (აბრეშუმის, საფეიქრო, მეღვინეობის, ელექტრომორტორების, ცემსახელი და მრავალი სხვა), საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავება. ამავე პერიოდში საქართველოს მანქანათმშენებლობა მნიშვნელოვან თვისობრივ ნახტომს აკეთებს — იწყება მანქანათმშენებლობის ადრე ჩასახული უმაღლესი საფეხურის — ლითონსაჭრელი და ხის დასამუშავებელი დაზგათმშენებლობის გაფართოება, რასაც საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა. ამუშავდა დაზგათმშენებელი ახალი ქარხანა, ცენტროლიტი, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა.

სახალხო მეურნეობის მრავალფეროვანმა მოთხოვნილებამ ლითონურ ნაწარმზე ბუნებრივად განაპირობა ლითონდასამუშავებელი და მანქანათმშენებლობის მრეწველობის ფართო უნივერსალიზმი, განსაკუთრებით მეორე ხუთ-

1 სპ. № 26, 31.

2 სპ. № 72.

წლედამდე. არ დარჩენილა არც ერთი დარგი, არც ერთი ძველი საწარმო, ახალი ქარხნების მშენებლობა, რომლებშიც მონაწილეობა არ მიეღო რესპუბლიკის მზარდ მანქანათმშენებლობას. მაგრამ ფართო უნივერსალიზმის პირობებშიც მიმდინარეობდა ლითონდასამუშავებელი მრეწველობის თანდათანობითი გაღაზრდა მანქანათმშენებლობაში, განსაკუთრებით პირველი ხუთწლეულის მეორე ნახევრიდან. შემკეთებული საწარმოებიდან ისინი გადაიქცნენ მსხვილ მანქანათმშენებელ ქარხნებად. გაიზარდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების ხვედრითი წონა.

საქართველოს საბჭოთა მანქანათმშენებლობის უმნიშვნელოვანეს წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ 30-იანი წლებიდან იგი ერთდროულად იწყებს მანქანების გამოშვებას საზღვარგარეთისათვის (ირანი, თურქეთი).

საქართველოს მანქანათმშენებლობის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევის მაჩვენებელია ის, რომ იგი წელიწადში უშვებდა იმაზე მეტი რაოდენობის მანქანა-დაზგებს, რამდენსაც მთელი მეფის რუსეთი — ომამდელ პერიოდში (1913 წ.).

აღნიშნული დარგის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მანქანათმშენებელ მუშათა რაოდენობაც — ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა: თუ 1923 წელს ითვლებოდა 281 მუშა-მელითონე, 1937 წელს მათმა რიცხვმა ორნახევარ ათასამდე მიაღწია.

კვალიფიკური მანქანათმშენებლობის გაფართოებამ ხელი შეუწყო მუშათა კვალიფიკაციის, საერთოდ მათი ტექნიკური განათლების ზრდას, რაციონალიზატორთა და გამომგონებლების რაოდენობის გადიდებას, შრომის ახალი მეთოდების (მათ შორის ელექტრომედულების, ჩქაროსნობის) დანერგვას, მექანიზაციას და სხვ. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო ამის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა მატერიალური პირობები. გაიზარდა მუშის წლიური ხელფასი.

ამრიგად, საქართველოს მანქანათმშენებლობა მარტივი მანქანა-დანადგარების წარმოებიდან დასაწყისში აღდგენითი პერიოდის დასასრულიდან, განსაკუთრებით რეკონსტრუქციის პერიოდიდან, გადავიდა რთული მანქანების წარმოებაზე. მრეწველობის ამ ახალი დარგის განვითარებამ თვისობრივად შეცვალა აგრეთვე საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობა — წარმოიშვა თანამედროვე მანქანათმშენებლობის მაღალკვალიფიკური და მრავალპროფესიონი მუშათა ახალი ფენა.

აღნიშნული წარმატებანი შესაძლო გახდა მუშათა მასის შეგნებული შრომითი აქტივობის შედეგად, რასაც სისტემატურად აწვითარებდა და წარმართავდა კომუნისტური პარტია. ასეთი დიდი მიღწევები უმოკლეს დროში არ ახსოვს კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ასე გვესახება, საარქივო წყაროების მიხედვით, საბჭოთა საქართველოში მანქანათმშენებლობის განვითარება ადრეულ პერიოდში.

*

ქვემოთ ვაქვეყნებთ საქართველოს მანქანათმშენებლობის ისტორიის შესახებ არსებულ მდიდარ საარქივო წყაროების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. იგი ასახავს ამ დარგის ჩასახვა-განვითარებას 1921—1937 წლებში. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწორედ ამ დროს მოხდა საბჭოთა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობა, რაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოს საბჭოთა მანქანათმშენებლობას. წარმოდგენილი მასალა რამდენადმე ასახავს სოციალისტური მშენებლობის ადგილობრივი პირობების თავისებურებასაც.

საბუთები ჩვენს მიერაა გამოვლენილი იმ ფონდებში, რომლებიც დაკუთვნილია საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან არსებულ პარტიულ, აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელ, ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ, ს. მ. კიროვის სახელობის დაზავთმშენებელ, მ. ი. კალინინის სახელობის ლითონდასამუშავებელ და მექანიკურ, ბათუმის ჩაის მანქანათმშენებელ ქარხნების არქივებში.

პერიოდული პრესიდან მოტანილია მხოლოდ ორი ცნობა, ისიც საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთიდან („მანქანათმშენებელი“), რადგან შესაბამის საბუთს არქივში ვერ მივაკვლიეთ. გამოუქვეყნებელი საარქივო მასალის სიუხვის გამო, ჩვენ შეგნებულად თავი შევიკავეთ პერიოდული პრესიდან მასალით სარგებლობისაგან.

საბუთები, რომლებსაც ქვევით ვაქვეყნებთ, უმეტესწილად დედნებია. მოტანილია მხოლოდ იმ საბუთების პირები, რომელთა დედნები ადგილზე არ აღმოჩნდა. დოკუმენტები დალაგებულია მათი აღმოცენების ქრონოლოგიის მიხედვით. საბუთების სტილი და მართლწერა დატოვებულია უცვლელად და ჩასწორებულია მხოლოდ დედნის უნებლიე შეცდომები საგანგებო აღნიშვნის გარეშე. ზოგიერთი საბუთი დათარიღებულია მათი შინაარსის მიხედვით ან სხვა წყაროსა და მონაცემების მოშველიებით. ჩვენს მიერ ვარაუდით დადგენილი თარიღი მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. ასევე კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული ტექსტში ჩვენს მიერ ჩამატებული ადგილები, ხოლო გამოტოვებული ადგილები აღინიშნება სამი წერტილით. საბუთებში გამოტოვებულია ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის განმეორება, აგრეთვე ისეთი ადგილები, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ მანქანათმშენებლობასთან.

№ 1

1921 წლის აპრილის 28. — სენაკის მაზრის ეკონომიური განვითარების ინჟ. მ. კობაძის მოხსენებითი ბარათიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსადმი სენაკის მაზრის მექანიკური სახელოსნოს მუშაობის შესახებ.

...Механическая мастерская: слесарей — 6, токарь — 1, кузнецов — 2, молотобойцев — 2, столяров — 5, подручников — 10 человек, чернорабочих — 3 и заведывающий мастерской — всего 30 человек. Мастерская обслуживает нужды Сенакского уезда. Принимает всевозможные ремонты по слесарному делу, производит сельскохозяйственный инвентарь и инструменты, тяпки, топоры, сохи. Ремонтирует сельскохозяйственные орудия, принимает всевозможные заказы по столярному делу...

ორცა, ფონ. 303, აღწ. 1, საქ. 186, ფურც. 3. დედანი.

№ 2

1921 წლის სექტემბრის 10. — საქართველოს მელითონებისა და ტრანსპორტის მუშათა I კრილობაზე ლითონტრესტის მოხსენებიდან ლითონდამამუშავებელი ქარხნების შესახებ.

...Отдел металла существует с 16 июня. Деятельность отдела начинается со 2 июля фактически, т. е. существует всего-навсего 2 месяца с одним подотделом «Конструкторское бюро». За это время доведена до конца регистрация производств, согласно приказу № 1, а Конструкторское бюро, которое сейчас больше не работает, ибо не можем найти подходящих людей (инженерсво-конструкторов), выработало один тип быстросходной турбины, проект закончен и передан 1-му совет[скому] заводу, который и приступил к изготовлению модели и в скором будущем будет отлита...

Хотя на заводе еще не образовалось излишков материалов, обеспечивающих его работу на продолжительное время, но то количество изделий, которое может быть исполнено имеющимся сейчас наличием мастеровых, выполняется без задержек и требования потребителей на предметы массового производства завода — веялки, плуги, выполняются заводом без значительных задержек. Также приступлено заводом к изготовлению новой партии мельниц и турбин. Для более успешного выполнения заказов вообще, и турбин, в частности, на заводе устроена чертежная, где под руководством инженеров завода производится разработка проектов турбин, мельниц, молотилок, составляются рабочие чертежи, разрабатываются новые конструкции земледельческих машин...

В настоящее время на заводе состоит 15 служащих и 50 мастеровых рабочих, из которых на работах ежедневно бывает в среднем 35 человек. За последнее время неявка колеблется от 5 до 6%.

За время с 26 февраля по 20 августа включительно заводом выпущено:

плугов — 95, остается на заводе готовых 40, всего 135 плугов,
 веялок — 8, — " 3 " 11 веялок,
 турбин — 3, 275 HP
 мельниц — 6,
 кукурузных молотилок — 1 — " — 1 " 2 штуки,
 культиватор имеется 1 " 1 штука

Находится в работе: плугов — 75 по образцу Наркомзема,
 веялок — 17
 турбин — 5 общей мощи[остью] 650 HP
 мельниц — 4
 культиваторов — 15
 кукурузных молотилок — 15...

Завод может приготовить в 1/2 года: 2000 веялок, 500 молотилок,
 400 кукурузных молотилок, 7500 плугов, 2000 борон, требуемое количе-
 ство мельниц, водяных турбин, запасных частей земледельческих орудий
 и мелкие заказы, если будут топливо, станки и рабочие.

III Советский завод, быв. бр. Вихнянских, выделяет гидравличе-
 ские и ручные прессы, крошильные станки, плуги, дробилки и чугунное
 и медное литье.

ორცა, ფონ. 829, აღწ. 1, საქ. 13, ფურ. 24-27, 50-52. დედანი.

№ 3

1921 წლის სექტემბერი. — საქართველოს მელითონებისა და ტრანსპორტის
 მუშათა პროფკავშირების I ყრილობის მისასალმებელი დეპუტა ვ. ი. ლენინს.

Тов. Ленину. Объединенный съезд металлистов и транспортных ра-
 бочих Грузии, собравшись на первом своем съезде, приветствует Вас,
 как вождя мирового пролетариата. Обещаем Вам, тов[арищ] Ленин, что
 металлисты и транспортники, всегда стоявшие в авангарде рабочего
 движения Грузии, закаленные в борьбе, энергично приступят к восста-
 новлению разрушенного народного хозяйства изменниками рабочего
 класса, меньшевиками. Мы приступаем к плодотворной созидательной
 работе, чтоб укрепить Советскую власть. Наш пролетарский привет Вам,
 тов[арищ] Ленин.

ორცა, ფონ. 829, აღწ. 1, საქ. 13, ფურ. 2. პირი.

№ 4

1921 წლის ოქტომბრის 3. — საქართველოს სსრ სმუხის
 პრეზიდიუმის მოხსენებიდან სახალხო მეურნეობის მუშაკთა I რესპუბლიკურ
 ყრილობაზე ლითონდამუშავების მდგომარეობის შესახებ.

მრეწველობის სხვა დარგთა შორის შეიძლება ვილაპარაკოთ ლითონის
 დამუშავებაზე, მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ მოიპოვება სულ მხოლოდ

რამდენიმე მექანიკური ქარხანა, და ისიც სუსტად მოწყობილი. მაგალითად, ყოფილი ზოშტარიას მექანიკური ქარხანა, სადაც მოწყობილობა შემდგარია შემთხვევით თავმოყრილ მანქანებით და დაზგებით, რომლებიც კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ, უმთავრესად იმუშავენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ამ ქარხანამ დაამზადა 95 გუთანი, 8 ხერხი, 1 საცხევაი და სხვა... ჩვენი ლითონის წარმოებათა მუშაობა განისაზღვრება სხვადასხვა მექანიკური მოწყობილობის შეკეთებით და მოწყობით.

ორცსა, ფონ. 303, აღწ. 1, საქ. 87, ფურ. 53. პირი.

№ 5

1921 წლის ოქტომბრის 5. — სენაკის მაზრის რევკომის ეკონომიური განყოფილების გამგის ჭავჭავაძის მოხსენებიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 1 რესპუბლიკურ ყრილობაზე სენაკის მექანიკური სახელოსნოს მუშაობის შესახებ.

...მექანიკურმა სახელოსნომ მარტიდან დღემდე 35 მუშა-ხელოსნის საშუალებით დაამზადა: ახალი თოხი — 156, ნაჯახი — 50, წალდი — 16, სახნისი — 13, გუთანი — 2; შეაკეთა: თოხი — 144, ნაჯახი — 39, წალდი — 23, სახნისი — 49, ნალი — 1813 ცალი ახალი; დაჭედა — 888 ფეხი; სხვადასხვა იარაღები 95 ცალი; დაამზადა და მასთან გააკეთა ნოსირის წისქვილისათვის ერთი ახალი ტურბინა და შეაკეთა თეკლათის ამხანაგობისათვის წისქვილის ტურბინა... სატექნიკო სექციამ... ხე-ტყის ქარხნის გასაშენებლად კიდევაც მონახა საუკეთესო ადგილი. შედგენილია გეგმა აღნიშნული ქარხნისათვის ტურბინის მოსაწყობად. მას ექნება დიდი ძალა, თუ საჭირო იქნა საელექტრო სადგურის მოსაწყობადაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 300 სიმძლავრის ტურბინის გეგმა შედგენილი გვაქვს და ამას ადგილობრივად დავამზადებთ...

ორცსა, ფონ. 303, აღწ. 1, საქ. 87, ფურ. 249, 251. პირი.

№ 6

1923 წლის იანვრის 1. — ტექნიკოს ფედოროვის თხოვნა ბათუმის კომუნალური განყოფილებისადმი მიწახაზია მანქანის აგების შესახებ.

В дополнение по заявлению моему на постройку землечерпательницы для очистки каналов дополняю следующее:

1. В управлении работ торгового порта продается на слом баржа №133, из которой возможно получить почти весь материал для черпалки, а именно: цепь, якорь, лебедку, угловое железо и частью котельное железо.

2. В Поти у Мортрана имеется 2-цилиндровая паровая машина и 30-сильный нефтяной двигатель системы Болиндер, хотя и без арматуры, но которую возможно восстановить.

Полагаю, что все это возможно дешево приобрести, что удешевит постройку землечерпательницы и даст возможность выполнить и другие приспособления, необходимые для очистки каналов.

3. Прошу выдать мне мандат на право осмотра подведомственных вам складов и мастерских для использования материалов при постройке зем[лечерпательни]цы, а также и Совнархоза, опись которых я Вам составляю.

Техник Федоров

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ-170, აღწ. 1, საქ. 34, ფურც. 34.
დედანი.

№ 7

1923 წლის თებერვალი. — ბათუმის კომუნალური განყოფილების ცნობა
 ბათუმის ლითონდამამუშავებელი ქარხნების გაწეობილობისა და
 მუშათა რაოდენობის შესახებ.

I Государственный цинковальный завод (б. Шелеговского). Двигатель — внутр[енного] сгорания сист[емы] Атлас — 40 HP. Число рабочих — 20 человек. Служащих: зав[едывающий] заводом — 1, зав. материальным складом — 1, счетовод — 1. Выработано за истекший 1922 г. на 3059 173100 руб.

II Государст[венный] чугуно-медно-литейный и механический завод (б. Каплана). Двигатель — внутреннего сгорания сист[емы] Отто Дейц-15 HP. Число рабочих — 22 человека. Служащих: зав[едывающий] заводом, он же механик — 1, счетовод — 1. Выработано за истекший 1922 г. на 2 033 732 583 руб.

III. Госуд[арственный] завод механический-ремонтный автогараж и деревообделочным. Двигатель — внутр[енного] сгорания: 1) Отто Дейц-50 HP; 2) Нобель — 20 HP. Число рабочих: по заводу и автогаражу — 19, учеников — 6, по электростанции — 10; по деревообд[елочному] времен[ным] раб[очим]—5. Служащих: зав[едывающий] заводом — 1, кладовщик — 1, счетовод — 1. Выработано (в 1922 г.) 2.730.458.000 руб.

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ-170, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 24.
შავი.

№ 8

1923 წლის ივნისის 18. — ამონაწერი სარეგისტრაციო ბარათიდან ბათუმის მექანიკური ქარხნის გაწუბილობისა და მისი ღირებულების შესახებ.

В о п р о с ы	О т в е т ы
1. Время регистрации	18 июня 1923 г.
2. Наименование предприятия	3-й Государственный завод
3. Местонахождение предприятия или его филиальных отделений	Бакинская 86
4. Предмет деятельности предприятия	Механический
9. Наименование и стоимость (в золоте) всего движимого имущества ко времени регистрации (инвентарь, фабrikаты, сырье и т. д.)	47702 руб. 90 коп. (золотом)
15. Оборудование предприятия, число машин, их состояние, мощность и т. д. размеры помещений	Оборудование удовлетворительное. Станки: токарных — 4, строгальных — 2, фрезерных — 1, сверильных — 2, гвоздильный — 1, электромотор — 1
16. Число постоянных рабочих и служащих, занятых в предприятии (по цехам)	25 человек

აქარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ—170, საქ. 26, ფურ. 40. დედანი.

№ 9

1923 წლის ივნისის 22. — ბათუმის № 3 ქარხნის ღირებულების მოხსენებითი ბარათი ქარხნის მუშაობის შესახებ 1923 წლის პირველ ნახევარში.

3-й Госзавод — бывший завод Питоева, до его реформирования был приспособлен к массовому изготовлению боевых припасов: гранат и проч., но с 1921 года, с апреля месяца, его приспособили к механической производительности, как-то: изготовление разных автомобильных частей, ремонт всевозможных машин, как сельскохозяйственных, так и земледельческих, также изготовление своего фабриката: гвоздей разн[ых] размеров, желез[ных] заклепок, а также массовое изготовление штамповальных и скобяных изделий. В настоящее время оборудование завода вполне удовлетворительно. Загруженность завода в отношении к максимальной его производительности составляет 25%.

Завод обслуживается 6-ю служащими (из коих 3 сторожа) и 20 ра-

2. საისტორიო მონაბე ტ. XIX — XX.

бочими, из них 3 — временные. Оплата труда производится два раза в месяц 1-го и 16-го каждого месяца, по 17 разрядной сетке, в отношении к первому разряду — 10 товарных рублей. Сырьем завод обеспечен на 3 месяца, заказами — на 2 месяца. Краткая диаграмма производительности за 6 месяцев заключается в следующем: в январе и феврале месяцах текущего года завод представлял из себя ничто иное, как мастерскую случайных заказов, не имеющий определенной перспективы. С марта месяца, с переходом завода к исполнению крупных заказов, как-то: капитальному ремонту всевозможных машин и автомобилей, производительность завода поднялась на 50% против февральской, в апреле — на 20%, а в мае на 5% против последней. Денежные обороты по кассе за 6 месяцев выражаются в следующем: на 1-ое января 1923 года оставалось в кассе 68.806.000; приход за эти 6 месяцев выражается в сумме 4 271 350, а расход составляет 4 231 857 000, остаток на 21-ое июня выражается в сумме 108 427 000. На будущее время, если бы заводу отпустились некоторые субсидии, то тем самым он имел бы возможность привести в действие имеющееся у него литейное отделение и тогда он был бы приспособлен к массовому изготовлению всевозможных сельскохозяйственных машин.

აჭარის ასსრ ცენტრალური საბელმწიფო არქივი, ფონ. პ.—170, აღწ. 1, საქ. 5, ფურ. 152. ფელანი.

№ 10

1923 წლის [ოქტომბერი]. — ბათუმის კომუნალური მეურნეობის
 ქვეგანყოფილების ანგარიშიდან ბათუმის ლითონდასამუშავებელი
 ქარხნების მუშაობის შესახებ 1923 წ. იანვარ-სექტემბერში

2-й Госзавод имеет цехи механические и чугуно-медно-литейные, оборудовано хорошо, но скученно и расположен низко, отчего особенно страдает литейная мастерская, земля которой ниже горизонта двора. Станки изношены в значительной мере, а вагранка требует полного ремонта. Также требуется новая земля для формовочной. За отчетный период израсходовано сырья: 1) литников медных — 5 п. 26 3/4 ф., 2) лом [медный] — 76 п. 9 1/2 ф., 3) железа разного — 328 п., 4) стали — 119 п. 36 ф., 5) чугуна-лом — 1627 п. 14 ф.

Выполнено заказов — 265 шт., реализовано в червонных рублях — 25.339 руб. Завод был снабжен сырьем полностью, ощущалась лишь нужда в штыковом [в сером] чугуне, но теперь эта потребность удовлетворена чугуном, вновь полученным из Чатахского завода. Валового производства нет, завод работает только по заказу. Главным заказчиком является марганцевая промышленность. Обеспеченность сырьем около 2-х месяцев. Дальнейшая работа завода зависит от общего роста промышленности края. За рассматриваемый промежуток времени производительность завода увеличивалась с каждым месяцем и в сентябре стала больше, чем в январе на 120%. Число служащих — 5, рабочих — 25.

3-й Совзавод: а) завод оборудован станками для механической обра-

ботки металлов, состоит из механической мастерской, штамповальной и гаражной...

ბ) за отчетный период времени израсходовано сырья: 1) стали 23 п. 10 ф., 2) железной проволоки — 223 п. 15 ф., 3) железа разного — 108 п. 02 ф., 4) заклепок железных мелких — 18 ф., 5) пакли 2 п. 05 ф., 6) брусьев 24 п.

ვ) за отчетный период времени изготовлено фабрикатов и изделий: 1) гвоздей разных размеров — 214 п. 27 ф., 2) заклепок железных — 73 п. 25 ф., 3) исполнено заказов — 147 шт.

გ) общая себестоимость всей выработки за отчетный период в червонных рублях — 14.895 руб.

დ) общая сумма всего реализованного в червонных рублях — 18.815 руб. 50 к.

Несмотря на шаткое положение завода, в начале 1923 г. завод постепенно повышал свою производительность и теперь стал твердо на ноги, увеличив выработку по сравнению с январем месяцем на 100%. В настоящий же момент, когда техническим персоналом спроектирована, а рабочими изготовлена и установлена водяная турбина, завод может иметь почти даровую энергию не только для своих станков, но на излишек ее освещать и район города, прилегающий к заводу. Установленная турбина мощностью около 40 лощ. сил работает избытком воды в городском водопроводе. Она увеличит доходность завода не только благодаря упразднению больших расходов на топливо для двигателей, но даст и непосредственный доход от отпуска электрической энергии с динамомашин, вновь установленной и сочленной с турбиной...

Кроме перечисленных установок, механическая мастерская обогатилась установкой еще двух токарных станков по металлу, которые сейчас ремонтируются и через неделю две будут поставлены.

Завод работает почти только по заказам, за исключением кукурузодробилок, которые были изготовлены валовым порядком, но еще не реализованы. С конца этого года имеется в виду установить валовое производство скобяного товара, так как соответствующие станки и отчасти материалы имеются налицо и на этот товар в настоящее время существует большой спрос. Число служащих — 3, рабочих — 20, временных — 7, учеников — 7.

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ.—170, აღწ. 1, საქ. 5. ფურ. 223—224. დედანი.

№ 11

1923 წლის დეკემბრის 9. — საგაზეთო ცნობა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების სახელისნოთა მუშების მიერ პირველი საბჭოთა მიწაბაძის მანქანის „საბჭოთა საქართველოს“ აგების შესახებ.

Батумский и Потийский порты... достигли еще одной производственной победы и преподнесли СССР к 6-й годовщине Октябрьской революции подарок — землечерпалку «Советская Грузия»...

В той упорной борьбе, которая происходит на хозяйственном фрон-

те, победа потийских и батумских рабочих есть не только одно из звеньев в общей цепи строительства, но это коллективное творчество сознательной, мощной и дружной воли рабочих и преданных делу строительства специалистов — дает мощную уверенность в нашем возрождении...

Мысль соорудить собственный землечерпательный снаряд явилось результатом следующего положения землечерпательного дела в портах Батуми и Поти. Вход в потийский порт, служащий главным портом по экспорту из Грузии марганца... подвержен заносом песка и ила и для поддержания при входе глубин, соответствующих осадке самых крупных судов, которые приходят за марганцем, необходимо производить систематические, из года в год землечерпательные работы.

В начале 1922 года обмеление входа в потийской порт, несмотря на производство черпания входа, достигло таких размеров, что деятельность порта должна была бы прекратиться.

В связи с этим, Мортраном Грузии были предприняты меры для скорейшего производства землечерпательных работ. В феврале 1922 г. был заключен договор с линейным отделом Черноморского округа путей сообщения на производство работ по углублению входа в Потийский порт, но за неимением отремонтированного снаряда, линейный отдел не смог начать работы в срок.

Предвидя затруднения в присылке землечерпательного снаряда из российских портов... Мортраном Грузии решено было построить собственную землечерпательницу, пользуясь имеющимися в его распоряжении частей от старых судов и машин.

Обществом «ЧЭМО» был выделен аванс в 3.000 фунтов стерлингов для постройки землечерпательницы. Аванс этот погашался отчислениями со сборов за стоянку судов, причитающихся с общества «ЧЭМО». Работа по постройке землечерпательницы началась в мае 1922 г. и велась хозяйственным способом частью в Поти, частью в Батуми.

Землечерпательницы раньше строились, главным образом, за границей — в Голландии и Англии, а в России — на больших судостроительных заводах, так как постройка их представляет большие технические затруднения.

Но, благодаря тому, что Мортрану Грузии удалось найти почти все главные части, потребные для землечерпательницы, работы по постройке землечерпательницы «Советская Грузия» удалось выполнить скромными средствами портовых мастерских в Батуми и в Поти и сама постройка обошлась на много раз дешевле стоимости таких снарядов в мирное время. Землечерпательница таких размеров и производительности, как «Советская Грузия», стоила в мирное время около 200.000 рублей.

Для землечерпательницы взят был железный корпус шаланды № 129, грузоподъемностью 35.000 пудов, размером 118 футов длины и 30 футов ширины и 10 футов глубины трюма. Корпус этот вытасен на берег и в нем прорублен вырез длиною 60 ф[утов] для пропуска черпаковой рамы. Произведено было соответствующее укрепление корпуса в продольном и поперечном направлениях. Обе разрезанные части скреплены солидной рамой конструкцией, которая поддерживает одновременно блоки для подъема и опускания на нужную глубину черпаковой рамы. Посредине судна установлена железная башня, которая поддержи-

ვათ ვერხნიი კონეც черпаковой рамы и в которой помещается грунтовой колодец, куда падает грунт из черпаков. Отсюда он по железным наклонным леткам скатывается в становящуюся рядом с землечерпательницей землеотвозную шаланду.

Поверху башни укрепляется четырехгранный чугунный барабан, который дает движение бесконечной цепи черпаков и который сам приводится во вращение посредством зубчатой передачи с двух больших шкивов, вращаемых ременной передачей с установленной в корпусе паровой машины.

Для черпаковой рамы воспользовались фермой от крана, удлинив ее на 35 ф. путем устройства концевой надставки. Машина была взята со старого миноносца в Поты, котел взят также старый судовой с судна «Риони», черпаки сделаны новые (14 штук), частью взяты от старой землечерпательной машины в Туапсе... там же взяты и барабаны. Лебедки тоже взяты со старых судов, отремонтированы и приспособлены для папильонажных цепей.

Таким образом, использованы целый ряд готовых механизмов и частей.

Производительность черпалки рассчитана на 20 куб. саж. в час. Такой снаряд может считаться довольно крупным (максимальная мощность самых крупных русских снарядов достигает 600 куб. саж. в сутки).

газ. «Заря Востока», 1923, № 284.

№ 12

1924 წლის აპრილის 16. — ამონაწერი აკარის ასსრ სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს № 20 ბრძანებიდან ბათუმის № 2 გაუქმებული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა გამოყენების შესახებ.

ამხ. ხიმშიაშვილის სახელობის მე-2 სახელმწიფო ქარხნის ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოს გამგებლობაში გადმოსვლის გამო, ხსენებული ქარხნის ქვემოთ ჩამოთვლილი თანამშრომლები გადმორიცხულ იქნას სამმართველოს სამსახურში თავიანთივე თანამდებობებზე ა/წ 16 მარტიდან:

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	თანამდებობა
1	ბუტკაშვიტი ალექსანდრე პეტრეს ძე	მენიშუ
2	საფიცი ვლადიმერ მოსეს ძე	ხარატი
3	გუბსი ნიკოლოზ მავარს ძე	"
4	უჩაიშვილი დონეტი გიორგის ძე	"
5	მალაშენკო ალექსანდრე კონდრატის ძე	"
6	ბარისიკოვი ვასილ ალექსანდრეს ძე	ზეინკალი
7	სერსკოვსკი ენრიხი სტანისლავის ძე	"
8	კოზოტენკო ივანე მიქე ლის ძე	"
9	სუსლოვი ვასილ პეტრეს ძე	მექვაბე
10	სირენკო თედორე	მჭედელი
11	ტერ-ნერტიჩიანი პავლე ინასის ძე	"
12	პოზდნიკოვი ტინოთე პეტრეს ძე	უროსმკერდი

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა
13	ჭიჭავაძე ფილიპე	
14	კიხნაძე თედორე ნიკოლოზის ძე	უფროსი მსხველი
15	სინიკიანი ანდრია მიხეილის ძე	მსხველი
16	მაქსიმოვი ვასილ თედორეს ძე	
17	ჩხეიძე ფილიპე ილარიონის ძე	ვაგრაშვილი
18	ჩხეიძე ისაკი ილარიონის ძე	შავი მუშა
19	გორდეგონი ბორის ივანეს ძე	მოწვე
20	პეტრავი ალექსი პეტრეს ძე	"
21	განუგა დიმიტრი მარტინის ძე	"
22	ალატონივი ნიკოლოზ ვასილის ძე	"
23	რომოდანოვი ნიკოლოზ ალექსის ძე	"
24	ვასაძე ვასილი	"
ღრობითი მუშები		
25	კარაკოზოვი სტეფან თედორეს ძე	ზეინკალი
26	აივნიკი პავლე თედორეს ძე	ხარატი
27	როსლიაკოვი ვასილ გიორგის-ძე	მეჭვავე
28	აფანასევი აბრამ ივანეს ძე	
29	ფონენკო ფილიპე კუზმას ძე	მეჭვავეს თანამეწე
30	ენბროვსკი ბიქტორ ალექსანდრეს ძე	
31	კარავასილი ვასილი აპოსტოლის ძე	უროსმკერდი
32	მაკაროვი სიმონ სტეფანეს ძე	"
33	როგოზინსკი ფილიპე თეოდანეს ძე	"
მოსამსახურეები		
34	ერენკო კირილე ლევის ძე	დირექტორი
35	კოლესნიკოვი ისაკ გრიგორის ძე	მუხალტერი
36	ელენკოვი ვასილ პავლეს ძე	ნახაზი და საწყობის გამგე
37	ლოპატოვი ნიკოლოზ ბათუმის ძე	ცენტრალური
38	ბაზიჩევი მიხეილ ალექსანდრეს ძე	დარჯი

აქარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. 3—170, საქ. 38, ფურ. 215, დედანი.

№ 13

1924 წელი. — ბათუმის თუქსასხმელი და მექანიკური ქარხნის
მდგომარეობა 1924 წელს.

До революции завод принадлежал фирме Ротшильда (Бнито-Бакинское нефтяное и промышленное общество), с 1912—1915 гг. фирма производила главным образом заграничный экспорт нефтепродуктов наливом.

В период войны завод работал на оборону с 2650 чел. рабочих. В первое время революции завод бездействует. Причины изменения: невозможность заграничного экспорта во время войны и неуверенность политического и экономического положения в стране во время революции. Предприятия находятся в стадии ликвидации. С приходом Сов. власти и национализации завода Батумским СНХ открываются починые мастерские автомобилей и др. видов перевозочных средств. Такое положение продолжается до июля 1924 г., с какого времени, по поста-

новлению Аджарпромторга, на территорию 3-го госзавода перебрасывается 2-й чугуно-литейный госзавод (б. Каплана).

В связи с переброской 2 госзавода возникает необходимость в устройстве литейной, расширение кузнечного и механического цехов. Во 2-й половине 1924 г. производится более или менее капитальный ремонт фабричных строений, ремонтируются крыши, устраивается литейная. Оборудование настоящего времени: вагранка, рассчитанная на выпуск 85 пуд. чугунного литья в час; механических станков для обработки металла—27 станков; двигателей внутреннего сгорания—2, мощность—оба 70 HP, и турбина водяная в 40 HP. Используется в среднем 30 HP. Большею частью работа их заменяется работой водяной турбины, получающей воду из городского водопровода.

Изношенность машин и оборудования от 50 — 70%.

Завод производит ремонт фабрично-заводских оборудования, машин, станков и проч., также ремонт автомобилей и всякого хозяйственного инвентаря: может выпускать и массовую продукцию механического производства. Примером служит исполнение в текущем отчетном году заказа Военного ведомства на 30 000 медных луженых котелков для армии, производство чертежных кнопок.

Себестоимость продукции в настоящее время, если считать червонный рубль равным довоенному рублю, сравнительно с довоенным временем увеличилась в два-три раза по причине главным образом, удорожания материалов, повышения цен на рабочие руки низших категорий, значительного числа учеников и увеличения накладных расходов.

Завод исполняет заказы местных госучреждений и частных лиц. Главным доходным источником существования завода является Чиатурский марганцевопромышленный район и отчасти отошедшая к Турции часть б. Батумской области.

აქარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ.—170, აღწ. 1, საქ. 103, ფურ. 32. დედანი.

№ 14

1925 წლის იანვრის 9. — თბილისის 26 კომუნარის სახელობის

მაქანათსაშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ღია კრების დადგენილებიდან ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

В целях сохранения революционной группы квалифицированных металлистов, дальнейшего поднятия производительности как завода, так и труда рабочих, необходимо осуществить следующие мероприятия:

1) в связи с сокращением поступления заказов, при наличии работ на заводе на два месяца, реорганизовать личный состав в сторону сокращения неквалифицированных и непроизводительных рабочих и служащих;

2) для перехода на плановое производство сельскохозяйственных орудий и крестьянского инвентаря, могущего вывести производство из критического положения, считать необходимым снабжение завода свободными оборотными средствами.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ფონ. 156, აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 20. დედანი.

№ 15

1925 წლის ოქტომბერი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კომისიის დასკვნებიდან საქართველოს ლითონტრესტის მდგომარეობაზე

Констатировать, что положение металлтреста ВСНХ Грузии чрезвычайно затруднено как с финансовой, так и организационной стороны нахождением в его составе Тифлисского мехзавода¹. Считать необходимым выделение во всех расчетах Металлотреста данных по эксплуатации и переустройству мехзавода из общих данных треста. Предложить ВСНХ Грузии войти в соответствующие органы СССР и ЗСФСР с особым докладом о положении мехзавода, как такового, и планом его дальнейшего использования, разработав варианты:

а) по полной консервации завода в его современном состоянии и б) по использованию части оборудования на заводе «26 коммунаров» с обязательством со стороны ВСНХ Грузии выполнения всех заказов, которые может выполнять мехзавод, Металлотрестом в целом.

Просить Закгосплан учесть изложенные соображения при установлении перспективного плана.

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ.—170, აღწ. 1, საქ. 70, ფურ. 13 პირი.

№ 16

1926 წლის ივნისის 16. — ლითონტრესტის 26 კომუნარის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის დადგენილება საწარმოო თათბირებისა და მუშათა გამომგონებლობის გაუმჯობესების შესახებ

Работу производственных совещаний признать удовлетворительной и предложить секретарю фракции направить работу П. С.² в сторону изучения структуры Бюро [производственного совещания] для изыскания возможных улучшений, наладить учет практических достижений, внесенных предложениями П. С.

Ввести систему поощрения рабочих за внесенные изобретения и приспособления, сохранить за рабочими, внесшими те или иные приспособления в процессе исполнения работы, первоначальную расценку. В работе секций наладить общую увязку.

Фракция Завкома проводить свои решения через партийцев из состава Бюро П. С. Председатель Богданов, секретарь Мкртумов.

მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, პარტარქივი, ფონ. 156, საქ. 8, ფურ. 15. დედანი.

¹ Механический завод.

² Производственное совещание.

№ 17

1926 წ. [სექტემბერი]. — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის
 უმაღლესი საბჭოს ანგარიშიდან — რესპუბლიკაში ლითონდამამუშავებელი
 მრეწველობის მდგომარეობის შესახებ 1924/25 წ.

...Нужно отметить все ухудшающее состояние нашей металличе-
 ской промышленности, состояние, которое Президиум ВСНХ не может
 иначе квалифицировать, как состояние умирания Металлотреста. Ча-
 тахский завод и мехзавод стоят перед необходимостью перевода их
 на консервацию. Помимо этого, целый ряд производств на других за-
 водах треста приходится уложить в более тесные рамки. Основными
 причинами этого явления нужно отметить: неопределенность запаса же-
 лезной руды чатахских месторождений, отсутствие стандартного массо-
 вого производства, необеспеченность сырьем некоторых производств,
 резкое сокращение заказов, а главное, полное отсутствие оборотных
 средств. Судьба же мехзавода целиком зависит от наличия зака-
 зов, количество которых колеблется и не может полностью загрузить
 мощное оборудование всех цехов.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონ. 14, აღწ.
 1, ნაწ. საქ. 1756, ფურ. 77. პირი.

№ 18

1926 წლის დეკემბრის 17. — ბათუმის თუქსასხმელი ქარხნის მთავარი
 ინჟინრის პატაკიდან ქარხნის ენერგეტიკული მეურნეობის მდგომარეობაზე

В настоящее время чугунолитейный завод находится в очень тяже-
 лом положении. Нефтяной двигатель «Нобель» 25 НР пришел почти в
 полную негодность. Палец у коленчатого вала разболтался, а водяная
 рубашка имеет трещины, заделанные гужонами; подшипники разрабо-
 тались. В настоящее время приходится пускать запасной двигатель
 «Отто-Дейц» 40 НР, который для завода не экономичен. Всего удобнее
 было бы пускать турбину, но комбинат для завода воду не дает, а пото-
 му одновременно послана от управления бумага комбинату об отпуске
 воды для турбины. В виду изложенного, крайне желательно произвести
 слияния Цинковально-чугунолитейного завода, т. к. на заводе в дан-
 ный момент квалифицированных рабочих осталось очень мало.

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. 3—170, საქ. 103, ფურ. 146. პირი.

№ 19

1926 წელი. — საქართველოს სსრ ლითონდამუშავების მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი (1926/27 — 1930/31 წწ.) გეგმის განმარტებითი ბარათიდან ლითონტრესტის საწარმოთა ახალ ბაზაზე კონცენტრაციის აუცილებლობისა და ძველი ქარხნების ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ

1. Характеристика и описание существующих заводов Металлтреста ВСНХ Грузии

В настоящее время Металлтрестом ВСНХ Грузии эксплуатируются нижеследующие заводы в Тифлисе:

1. Машиностроительный завод им. 26 коммунаров,
2. Механический завод,
3. Меднопрокатный завод,
4. Чугунолитейный завод им. т. Калинина и
5. Автомастерские им. Сталина.

Все указанные заводы, хотя и находятся в Тифлисе, но расположены в разных частях города и отстоят сравнительно далеко друг от друга; все они, за исключением меднопрокатного, являются по характеру производства почти аналогичными.

Оборудование у всех заводов старое, с малой производительностью, изношенное, в среднем более чем на 50%, и, вследствие ветхости и устарелости, трудно поддающееся ремонту.

Постановлением Заккрайкома ВКП(б) было отмечено, что решения

декабрьского пленума ЦК ВКП(б) о стахановском движении не нашли должного отражения в практике работы предприятий местной промышленности. Наркоматы местной промышленности не сумели перестроить свою работу таким образом, чтобы обеспечить рост стахановского движения на предприятиях местной промышленности, они отстали от требований, предъявляемым со стороны заводов к наркоматам в разрешении производственно-технических вопросов. Стахановские сутки, пятидневки и декады проводились без учета особенностей отдельных предприятий, без предварительной подготовки и участия наркоматов, причем на ряде предприятий за перевыполнением плана в стахановскую декаду, следовал прорыв в последующие дни.

Постановка технической учебы на предприятиях крайне неудовлетворительна. Низкий охват, слабая посещаемость, вовлечение в технику азбучно неграмотных и малограмотных, слабая усваиваемость — являются следствием отсутствия серьезного внимания к этому делу со стороны наркоматов и хозяйственного руководства на местах.

Отсутствие учета экономии сырья и вспомогательных материалов, слабая борьба с потерями, за максимальное использование оборудования — привели к тому, что стахановцами считают всех тех, которые дают лишь количественное выполнение плана.

Указанное выше постановление Заккрайкома имеет непосредственное отношение и к машиностроительным предприятиям.

На машиностроительных предприятиях НКМПромы Грузии все еще не разрешенными являются узловые вопросы производства, составляющие предпосылку дальнейшего повышения производительности труда, как то: внедрение наиболее совершенных технологических процессов, лучшее использование металла, повышенное использование машинного времени, высокое качество изделий, повышение режимов обработки, внедрение новых приспособлений, рациональная расстановка рабсилы, освобождение квалифицированных рабочих от второстепенной, подготовительной работы и плохая организация рабочего места.

Недостатком работы машиностроительных заводов является все еще слабое руководство непосредственно самими директорами и ИТР стахановским движением. Директора заводов не занимаются повседневно вопросами стахановского движения, а передоверяют эту работу второстепенным работникам. ИТР заводов недостаточно ведут борьбу за сокращение потерь рабочего времени и работы, что вызывает простои по причинам организационно-технических неполадок. ИТР заводов должны возглавлять великое стахановское движение, использовать, организовать и закрепить вскрытые стахановские производственные резервы и двинуть их в направлении дальнейшего расширения и развития стахановского метода работы. Почетная роль организации и руководства стахановским движением должна быть оправдана инженерно-техническими работниками заводов.

Препятствием на пути к организации производственной работы по стахановски является неудовлетворительная система оплаты труда ИТР и все еще наблюдающаяся уравниловка в оплате труда рабочих.

Нельзя допустить, чтобы труд начальника цеха и мастера цеха, являющихся квалифицированными работниками, руководителями и организаторами производства, оплачивался ниже рабочих низких квалификаций. ИТР цехов и заводов должны почувствовать полную ответственность за внедрение стахановского метода работы, одновременно будут материально заинтересованными в этом движении.

Вместе с этим нельзя считать удовлетворительным как количественный состав стахановцев, так и качество стахановского движения на наших предприятиях.

Борьба за дальнейшее развитие стахановского движения вглубь и ширь должна стать боевой и неотложной задачей машиностроения Грузии.

На основе решений декабрьского Пленума ЦК ВКП(б) секция норм выработки, расценок и оплаты труда, отмечая устарелость действующих норм, перекрытых стахановцами, выявивших новые производственные резервы и, что по машиностроительным заводам НКМП Гр. в основном отсутствовали разработанные технологические процессы, а следовательно отсутствовали обоснованные технические нормы, что существующие нормы в значительной части базировались не на технических расчетах, а на опытно-статистических.

ოცნსა, ფონ. 304, აღწ. 7, საქ. 12, ფურ. 30—32. პირო.

№ 96

1936 წელი. — საქართველოს მანქანათმშენებელთა დარგობრივი
კონფერენციის დადგენილებიდან მუშათა ტექნიკური
კვალიფიკაციის ზრდის შესახებ

Наблюдающийся в течение последних лет рост чистого машиностроения, а равно и увеличение удельного веса трудоемкой продукции по всем металлообрабатывающим заводам НКМП Грузии соответственно потребовали повышения квалификации рабочих заводов.

Систематически проводимая борьба за овладение техникой, завершившаяся в прошлом, 1935 году проведением по заводам гостехэкзаменов, в значительной степени повысила квалификационный уровень рабочих, будучи той базой, давшей по заводам машиностроения первых стахановцев-рабочих, своим примером по овладению стахановскими методами работы, увлекших десятки и сотни рабочих на заводах.

Проведенные гостехэкзамены в некотором счете обеспечили выдвижение таких первых рабочих-стахановцев, как токарь Акопов (завод им. «26 Коммунаров»), токарь-слесарь Квелашвили (завод им. Орджоникидзе).

Производственная программа работы заводов в текущем году в еще большей степени отражает сдвиги в области увеличения машиностроительной и трудоемкой продукции, что ставит безусловной задачей соответственный рост квалификации рабочих.

Это положение подтверждается следующими данными:

	Высок. квалиф.		Потр. с учет. естеств. убыли	Среди. квалиф.		Потр. с учет. естеств. убыли	Полуквалиф.		Потреб. с учетом естеств. убыли
	Число раб. к концу года			Число раб. к концу года			Число раб. к концу года		
	1935 (отч.)	1936 (пл.)		1935 г. (отч.)	1936 (пл.)		1935 г. (отч.)	1936 г. (пл.)	
1. З-д им. „26 коммунаров“	39	40	7	165	194	45	177	208	56
2. З-д им. Орджоникидзе	30	26	—	105	106	6	67	69	5
3. З-д им. Калинина	18	18	1	70	71	—	59	59	2
4. Металлических конструкций	15	16	2	50	53	5	62	64	4
5. Меднопрокатный з-д	11	11	1	17	19	2	22	31	14
6. Центролит	13	34	23	67	122	58	59	169	115
7. Батумский завод чайного оборудования	23	33	15	36	115	82	51	82	4
8. Цинковальный завод	2	2	—	8	8	1	55	75	23

Приведенные данные особенно характерны, если их рассматривать с точки зрения общей численности рабочих проектируемых планами 1936 года, коль скоро определившаяся к концу года отчетная база по численности рабочих существенно от плановых наметок по большинству заводов не расходится.

В связи с этим обстоятельством, во весь рост определяется задача повышения квалификации рабочих, мыслимой через организации на заводах специальных курсов техучебы в концентрическом разрезе, с охватом ими всей численности рабочих.

С другой стороны, соответствующей системой обучения должны быть охвачены административно-технический и счетный персонал заводов, ибо значительно изменяющаяся структура заводов требует повышения знаний от каждого работника.

№ 97

1936 წელი. — აჭარის ასსრ მრეწველობის 1936 წ. სამრეწველო-ფინანსური გეგმიდან მანქანათსაშენებელი ქარხნის პროდუქციის თვითღირებულების შესახებ

Наименование товаров	Ед. изм.	сорт, класс	количество товарной продукции на 1936 г.	Товарная продукция 1936 г. в расценке			
				по коммерческой себестоимости 1936 г.		По отпускным ценам без налога с оборота	
				Един.	Всего	Един.	Всего
Роллера „Беве-Дорлинг“	шт.	—	74	15 373	1 137 602	17 820	1 318 680
Роллера „Маршал“ с ред[укто-рами]	„	—	15	10 930	163 950	13 365	200 475
Часрезка „Бартлетт“	„	—	5	8163	40 815	10 890	54 450
„Маршал“	„	—	21	4494	94 353	4950	103 950
Сортировка „Маджик“	„	—	5	9718	48 590	6633	33 150
Купажные барабаны	„	—	5	13 449	67 245	11 085	55 440
Часушильные печи	„	—	5	69 181	345 905	74 250	371 250
Редуктор к роллеру	„	—	19	3183	60 477	3465	65 835
Запасные части	т. руб.	—	—	—	63 395	—	76 527
Прочие разные заказы	„	—	—	—	524 202	—	613 836
Итого	—	—	—	—	2 546 534	—	2 929 593

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. პ-170, აღწ. 1, საქ. 541, ფურ. 127. დედანი.

№ 98

1937 წლის არაუგვიანეს მაისის 28. — საქართველოში ჩაის მრეწველობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმიდან ბათუმის ჩაის მანქანათსაშენებელი ქარხნის სიმძლავრის შესახებ

В 1937 году введении треста «Чай-Грузия» передан Батумский завод чайного оборудования. План предусматривает окончание строительства указанного завода. Батумский завод при освоении полной проектной мощности обеспечит оборудованием чайную промышленность Грузии, Азербайджана и Азово-Черноморского края РСФСР. Валовая продукция Батумского завода в неизменных ценах 1926/27 г., в 1942 г. составит 12 млн. руб. против 2,8 млн. руб. в 1937 г.

ორცხა, ფონ. 1619, აღწ. 3, საქ. 835, ფურ. 6. პირი.

№ 99

1937 წელი. — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო
 კომისარიატის მანქანათმშენებელი სამმართველოს უფროსის
 მოხსენებითი ბარათიდან მეორე ხუთწლიდში საქართველოს
 მანქანათმშენებლობის განვითარებაზე

Машиностроительная промышленность во II пятилетке получила значительное развитие, закрепив за собой производство дефицитного и специфического машинного оборудования, до этого импортировавшегося из-за границы и не изготовляемого в Союзе. К категории этих машин относятся производство шелкового, текстильного, винодельческого, чайного и других видов оборудования, имеющих как местное, так и союзное значение. За период II пятилетки (по годам) машиностроительными заводами Грузии была выпущена продукция в следующих размерах:

1932 г.	1933 г.	1934 г.	1935 г.	1936 г.	1937 г.	% 1937 г.
факт.	факт.	факт.	факт.	факт.	план	к 1932 г.
9725	11843,0	14064,0	14808,0	19007,0	19920,0	307,6

Как видно из таблицы, объем валовой продукции по плану 1937 года, т. е. по последнему году II пятилетки дает рост против 1932 г. на 207,6%.

Одновременно с ростом продукции машиностроения, имеет значительный рост как в части производительности труда, так и зарплаты рабочих.

Производительность труда и средне-годовая зарплата на 1 рабочего в целом по машиностроению в 1937 г. в сравнении с 1932 г. выросла соответственно на 172,5 и 90%.

ორცხა, ფონ. 2512, აღწ. 1, საქ. 55, ფურ. 60—69. ღელანი.

№ 100

1937 წელი. — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო
 კომისარიატის მოხსენებიდან 1937 წელს მანქანათმშენებლობის
 გეგმის შესრულების შესახებ

Имея выполнение плана по всей промышленности за 1937 г. 99,8%, далеко не все управления дали выполнение плана в таком размере и, наоборот, некоторые управления добились значительного перевыполнения плана:

Ведущее машиностроительное управление также перевыполнило план на 102,9%, выпустив сверх плана продукции на 807,9 т. руб. (Следовало выпустить по годовому плану 27.660,6 т. руб., фактически выпущено 28.468,5 т. руб.)...

При выполнении общего плана по машиностроительным заводам

Выполнение плана 1937 г. в разрезе управления

Наименование управлений	План 1937 г.	Фактическое выполнено за 1937 г.	% выполнения	Результат выполнения + недовыполн.
1. Машиностроение	27660,6	28468,4	102,9	+ 807,8
2. Горнорудное	13001,2	10890,9	83,7	- 2110,3
3. Стройматериалов	4027,1	3031,3	75,3	- 995,8
4. Химкомбинат	1122,3	1459,7	128,1	+ 317,4
5. Культполиграф.	9386,9	11273,9	120,1	+1887,0
6. Саккархмшени (Кутанский кирпичный завод)	58,5	55,6	60,9	- 20,9

на 102,9%... есть отдельные заводы, которые не сумели выполнить планы, так, например, завод им. Калинина план 1937 г. выполнил на 85,0% и Батумский цинковальный завод — на 42,4%.

Наряду с этими отстающими предприятиями ряд предприятий показали образцы хорошей работы и добились значительного перевыполнения планов. Такими являются по машиностроению: завод им. 26-ти коммунаров — 104,5%, завод им. Орджоникидзе — 104,3%, завод им. Камо — 138,1%, Грузремонтвестрест — 130,9% и завод металлических конструкций — 101,0%...

По двум машиностроительным заводам невыполнение планов в значительной мере было обусловлено недоснабжением металлом. Так, например, Батумский цинковальный завод за неимением железа простоял с 16/I по 10/V — 1937 г., простой в человеко-днях составил 2.921 человеко-дней...

По машиностроительному заводу им. Калинина невыполнение плана явилось результатом, с одной стороны, недоснабжения завода материалами, а, с другой стороны, вызвалось дефектами в организации труда...

Производительность труда, средне-суточное число рабочих и средне-месячная зарплата на одного рабочего.

Управление машиностроения
средне-суточное число рабочих

План на 1937 г.	Фактический за 1937 г.	% выполнения плана	Фактически за 1936 г.	1937 г. в % к 1936 г.
1842	1671	90,7	1673	99,9
Средняя выработка на 1-го рабочего в рублях за год				
15017	17037	113,5	13977	121,9
Средне-годовая зарплата одного рабочего				
3229	3708	114,8	3215	115,3

Особо следует отметить большой рост производительности труда по машиностроительным заводам, где 1937 г. растет против 1936 г. на 21,9%... Среди управлений, отдельные предприятия дают хорошие показатели в деле роста производительности труда по сравнению с 1936 г.: меднопрокатный завод на 22,39, завод 26-ти коммунаров — на 18,1%, завод им. Орджоникидзе — на 41,9%, завод металлических конструкций — на 33, 8%...

Машиностроительные заводы не выполнили указаний (о снижении себестоимости) и туго перестроились, так, например: меднопрокатный завод имеет фактически увеличение за год на +10,8%, против запроецированного увеличения +3,9%, по заводу им. Калинина имеются увеличения на +2,3%, Батумский цинковый завод должен был снизить по плану на 15,4%, а фактически имеется повышение на +10,8%...

Наряду с отстающими предприятиями имеются и такие предприятия, которые с честью выполнили плановые задания по снижению себестоимости, такими являются: завод им. 26 комиссаров дает снижение на 8,8%, против плана — 7,5%, по заводу им. Орджоникидзе планировалось снижение — 15,0%, фактически дал — 20,9%...

Нарком местной промышленности Грузинской ССР [Г. Ф.] Стуруза
 начальник УСО НКМП Грузинской ССР (подпись)

თბილისი, ფაბ. 304, ალწ. 16, სპქ. 4, ფურ. 32—42, დედანი.

მიწის ნაციონალიზაციისა და მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში 1921—1929 წლებში (დოკუმენტები)

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას პოლიტიკურად დაჩაგრულ და ეკონომიურად გაღატაკებულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს მშრომელი ხალხის ცხოვრება ოდნავადაც არ შეუცვლია უკეთესობისაკენ. მშრომელ ხალხს ისევ დაჩაგრული, დაბეჩავებული და უმიწაწყლო დარჩა, როგორც იყო იგი ცარიზმის დროს, ხოლო გლეხები ძველებურად კალღებული იყვნენ ღალა ეძლიათ მემამულეებისათვის.

ღრობითი მთავრობის მიერ 1917 წლის 6 მარტს შექმნილმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა საგანგებო კომიტეტმა („ოზაკომი“) ამავე წლის 18 მარტს მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის მოსახლეობას. ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ აგრარული, ეროვნული და მუშათა საკითხები მენშევიკური დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არ გადაიჭრებოდა. იგივე მოწოდებით გლეხებს სასტიკად ეკრძალებოდათ მემამულეთა მიწების ძალით ხელში ჩაგდება. მენშევიკები და ესერები ყოველი სახის პროპაგანდას ეწეოდნენ გლეხების მიერ მემამულეების მიწების რევოლუციურად ხელში ჩაგდების წინააღმდეგ¹.

მაგრამ საქართველოს ბოლშევიკები, ასრულებდნენ რა დიდი ლენინის მითითებებს, გადაჭრით მოუწოდებდნენ გლეხობას — არავითარ შემთხვევაში არ დაეცადათ დამფუძნებელი კრებისათვის, შეუწეებლად ებრძოლათ მემამულეების წინააღმდეგ, დარაზმულიყვნენ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებში, ხელში ჩაეგდათ მთელი მიწები და დაემუშავებინათ ისინი თავიანთ სასარგებლოდ.

1917 წლის გაზაფხულიდანვე საქართველოს სოფლებში გაჩაღდა აგრარული მოძრაობა. გლეხები არა მარტო უარს უცხადებდნენ მემამულეებს და მენშევიკებს ბეგარა-გადასახადებზე, არამედ აწყობდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს, ზოცავდნენ თავადებს, ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს და აგრეთვე მენშევიკურ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

ერთის მხრივ, მემამულეთა ინტერესების დაცვის, ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველოს სოფლებში მზარდი აგრარული მოძრაობის ჩაქრობის მიზნით მენშევიკებმა და ესერებმა 1917 წლის ივნისში ჯერ მოიწვიეს ამიერკავკასიის გლეხთა სამხარეო, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის მენშევიკური ორგანიზაციე-

¹ გაზ. „საქართველო“, № 74, 1917 წ.

ბის საოლქო ყრილობა. ორივე ამ ყრილობაზე მენშევიკებმა კვლავ გაილაშქრეს მთელი მიწების ნაციონალიზაციისა და მშრომელი გლეხებისათვის ამ მიწების უსასყიდლოდ გადაცემის წინააღმდეგ. ხსენებულ ყრილობებზე გამოიტანეს ისეთი დადგენილებები, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ მემამულეთა ინტერესებს და ძალაში ტოვებდნენ სოფლად ფეოდალურ-ბატონყმურ წამოშლას.

ამიერკავკასიის მენშევიკური ორგანიზაციების საოლქო ყრილობამ აგრარულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერა: „ყრილობა გადაჭრით წინააღმდეგია მიწების თვითნებურად დატაცებისა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, რომელიც შემომავლებს მიწის კონფისკაციის საფუძვლებს“¹.

საგანგებო კომიტეტი მენშევიკ ა. ჩხენკელისა და კადეტ ბ. ა. ხარლამოვის ხელმოწერით ამიერკავკასიის ყველა ქაგუბერნიო და სამაზრო კომისრებს უგზავნიდა განკარგულებებს იმის შესახებ, რათა გლეხებს წინანდებურად ეხადათ საადგილმამულო და სხვა გადასახადები, არ დაეშვათ გლეხების მიერ მემამულეების მიწების დატაცება, ტყეების თვითნებურად გაჩეხვა. ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1917 წლის 4 ივნისს გაგზავნილ იქნა გორის მაზრის მენშევიკური კომისრის სახელზე, ჩვენ ვკითხულობთ: „1. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ მიწის რაიმე რეფორმა, 2. კერძომფლობელურ მემამულეთა მიწების დატაცებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღემდე, უნდა მოეღოს ბოლო, დასაჯეთ დამნაშავეები, დატაცების შემთხვევები აღარ დაუშვათ, 3. დატოვეთ უცვლელად მემამულეთა უფლებები მათ განკარგულებაში მყოფ მიწებზე და საძოვრებზე“².

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წერილებმა და მის მიერ მიღებულმა ადმინისტრაციული სახის სხვა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერეს მიწის საკითხის რევოლუციურად გადაჭრისა და თავისუფლებისათვის გამართულად მებრძოლი საქართველოს მშრომელი გლეხობის მღელვარება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა და საერთაშორისო კონტრ-რევოლუციის აგენტებმა — მენშევიკებმა, რომლებმაც, წინააღმდეგ მშრომელი ხალხის სურვილებისა, საქართველო მოწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და იგი ჯერ თურქთა და გერმანელთა, ხოლო შემდეგ ინგლის-ამერიკისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ოკუპანტთა სათარეშოდ გადააქციეს.

კონტრრევოლუციურ მენშევიკურმა მთავრობამ არა მარტო არ გადაწყვიტა მიწის საკითხი მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ, არამედ არნახულ მონობასა და გაჭირვებაში ჩააყენა საქართველოს მშრომელი ხალხი. მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა მთელი სახალხო შეურნეობის დაცემა.

საქართველოს მშრომელ გლეხობაზე დიდი გამარეგოლუციონერებელი გავლენა იქონია რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევა-

¹ ვაზ. „Борьба“, № 40, 1917 წ.

² ორცხა, ფონ. 2417, საქ. 637, ფურ. 2.

მოსილად დაგვირგვინებამ, რომელმაც ისტორიაში პირველად გადაჭრა მიწის საკითხი მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ. რევოლუციის შედეგად საქართველოს სოფლებს დაუბრუნდნენ ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცემული გლეხები, რომლებიც რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი.

1917 წლის ბოლოს გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოში კიდევ უფრო მძლავრი ხასიათი მიიღო.

გლეხთა მღელვარების თავიდან ასაცილებლად და შემამულეთა ინტერესების დასაცავად ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 16 დეკემბერს ფორმალურად გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ¹, მაგრამ ეს დეკრეტი მეტად თვალთმაქცური იყო და მას მიწაზე მანამდე არსებული ურთიერთობა გლეხების სასარგებლოდ ოდნეადაც არ შეუცვლია. ამ დეკრეტს, რომელსაც ბოლშევიკებმა თავის დროზე ახადეს ფარდა, არავითარი ნაყოფი არ გამოუღია მშრომელი გლეხობისათვის. გლეხობა ისევ მემამულეების კლანებში რჩებოდა. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ამას საქართველოს კონტრრევოლუციური მენშევიკური პარტიის ლიდერი ნ. ჟორდანიაც არ უარყოფდა. იგი 1918 წლის 15 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე იძულებული იყო ასე განეცხადებინა: „დღემდის ვერ მოხერხდა აგარაული საკითხის გადაჭრა. მართალია, უკვე გამოცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ იგი... მხოლოდ ქალაღზე დარჩა და ცხოვრებაში არ გატარებულა.“

ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის 16 დეკემბერს მიწის შესახებ გამოცემული დეკრეტის შეფასებისას სტ. შალუმიანი თავის სტატიაში „მიწის საკითხი და გლეხთა რევოლუცია კავკასიაში“ წერდა: „ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც ომი გამოუცხადა სახალხო კომისართა საბჭოს, იძულებული იყო გამოეცა აგრეთვე დეკრეტი „მიწის“ შესახებ. მაგრამ ამ კანონის მიხედვით მემამულური მიწათმფლობელობა ამა თუ იმ საბაბით მაინც რჩება, ხოლო დანარჩენი მიწები გადადის არა გლეხთა კომიტეტების, არამედ ზემოდან დანიშნულ რომელიღაც მიწის კომიტეტების განკარგულებაში. გამოდის, რომ მიწის ანუ საგლეხო საკითხის გადაჭრა ხდება არა თვით გლეხების მიერ, როგორც უნდა ყოფილიყო, არამედ რომელიღაც სხვა ორგანიზაციების მიერ. მსგავსად იმისა, როგორც ამას აღვილი ჰქონდა ბატონყმობის გაუქმებისას. როცა გლეხობის ბედს სწყევტდნენ არა გლეხთა, არამედ სათავადაზნაურო კომიტეტები ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით ბატონები და მონათმფლობელები“².

1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კანონი მემამულეთა სარგებლობაში დასატოვებელი მიწის რაოდენობის შესახებ, რომელიც არსებითად წარმოადგენდა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის 16 დეკემბერს მიწის შესახებ გამოცემული დეკრეტის ერთგვარ დამატებასა და განმარტებას.

სეიმის 7 მარტის კანონის ძალით მემამულეთა ხელში დასატოვებელი მიწა

¹ ორცხა, ფონ. 18, საქ. 137, ფურ. 34.

² ვახ. „ჩვენი ბრძოლა“, № 3, 1918 წ.

განისაზღვრებოდა: 7 დესეტინით ძვირფასი კულტურების რაიონებში, 15 დესეტინით მარცვლელის მეურნეობის რაიონებში და 40 დესეტინით მესაქონლეობის რაიონებში.

ამავე კანონის მიხედვით საადგილმამულო კომიტეტებს ადგილობრივი პირობების შესაბამისად შეეძლოთ გაედიდებინათ მიწისმფლობელისათვის მიწის რაოდენობა: პირველი კატეგორიის რაიონში 10 დესეტინამდე, მეორე კატეგორიის რაიონში 20 დესეტინამდე, მესამე კატეგორიის რაიონებში 50 დესეტინამდე. ამიერკავკასიის სეიმის მიერ გამოცემული 7 მარტის სსენებული კანონი ძალაში ტოვებდა კერძო საკუთრებას მიწაზე და იგი არავითარ სარგებლობას არ აძლევდა მშრომელ გლეხობას.

სეიმის 7 მარტის კანონის შესახებ 1918 წლის 17 მარტის ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“ წერდა: „კანონი ზრუნავს არა იმაზე, თუ როგორ და რანაირად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მიწით უმიწაწყო და მცირემიწიანი გლეხობა, არამედ ის ზრუნავს იმაზე, თუ რამდენი მიწა უნდა დაუტოვოთ მემამულეებს, რომ იმათ წინანდებურად, ბატონურად შესძლონ ცხოვრება. კანონი ერთი სიტყვით არ იხსენიებს იმას, თუ რამდენი მიწა უნდა იქნეს გლეხებისათვის მინიმალური, ან მაქსიმალური ნორმა, რომ იმათ შესძლონ ადამიანურად ცხოვრება“¹.

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს მენშევიკურმა დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი მიწის სახელმწიფო ფონდიდან მცხოვრებლებისათვის მიწების კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ“, რომლითაც შენარჩუნებულ იქნა მიწის გაყიდვის პრინციპი და იგი, მსგავსად ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის კანონებისა მიწის შესახებ, მშრომელი გლეხების სასარგებლოდ არაფერს არ სწევდოდა, გარდა იმისა, რომ იგი მხოლოდ დადასტურება იყო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა აგრარული კანონებისა.

მენშევიკების მიერ დაწესებული საფონდო მიწების ფასი აღმოსავლეთ საქართველოში პირველი კატეგორიის ერთ დესეტინა სახნავ მიწაზე უდრიდა 1200 მანეთს, მეორე კატეგორიისა — 1000 მანეთს, მესამესი — 600 მანეთს. დასავლეთ საქართველოში პირველი კატეგორიის ერთი დესეტინა სახნავი მიწა ღირდა 1500 მანეთი, მეორე კატეგორიისა — 1000 მანეთი, მესამე კატეგორიისა — 600 მანეთი². დაწესებულა საფონდო მიწების ფასი მიუწვდომელი იყო ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობისათვის. საფონდო მიწებზე ფასების დაწესების მენშევიკური სისტემა მიზნად ისახავდა არა უმიწაწყო გლეხების, არამედ მსხვილი მემამულეებისა და კულაკების ინტერესების დაცვას, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელთ გააჩნდათ საშუალება საფონდო მიწების შესყიდვისა.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, თავისუფლებისათვის მრავალი წლების მანძილზე წარმოებული გმირული ბრძოლის დროშა მენშევიკების ბატონობის დროს კიდევ უფრო მაღლა ასწია. მშრომელი ხალხი მთელი თავგანწირვით იბრძოდა და სისხლს ღვრიდა მენშევი-

¹ გაზ. „ჩვენი ბრძოლა“, № 3, 1918 წ.

² ორცა, ფონ. 288, საქ. 1018, ფურ. 196—198.

კების ანტიხალხური დიქტატურისა და მათი ბატონობის მძიმე უღლის თავიდან მოცილებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ხალხის ეს გმირული ბრძოლა, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, მშობლიური წითელი არმიის ხელშეწყობით და დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით, 1921 წლის 25 თებერვალს სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა — დამხობილ იქნა მენშევიკების დიქტატურა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გაღრმავების, გაფართოებისა და კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგი იყო, ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი, მშრომელთა ბედნიერების, მათი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაფუძნებისა და აყვავების ერა დაიწყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის უურაღდების ცენტრში დაყენებულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რათა აზღუბურად სოციალისტურ საწყისებზე მოწყობილიყო საქართველოში სახალხო ზეურნეობის ყოველი დარგი.

ქართველი ხალხის წინაშე დასმული ამოცანები სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ამ ამოცანების ზეგები და მეთოდები საქართველოს კონკრეტულ პირობების გათვალისწინებით გენიალურად იყო მოხაზული ლენინის მიერ 1921 წლის 2 მარტს ქართველი კომუნისტებისადმი გამოგზავნილ წერილში¹.

X

საქართველოში სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე მოწყობის დიად საქმეში ქართველი ხალხის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწის ნაციონალიზაციისა და მიწათმოწყობის საკითხის სწორად და მოფიქრებულად გატარების საქმეს. ამ ნიზნით საქართველოს მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებებისა.

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ², რომელიც საფუძვლად დაედო მიწის ნაციონალიზაციისა და სოციალისტურ საწყისებზე მიწათმოწყობის საქმეს საქართველოში.

რევოლუციური კომიტეტის მიერ მიწის შესახებ ხსენებულ დეკრეტს საფუძვლად დაედო ერთი პრინციპი — შრომა. ვინც მუშაობდა მიწაზე, ვინც ოფლსა ღვრიდა მის დასამუშავებლად და გასაპოხიერებლად, მასვე შეეძლო მიეღო იგი თავის სრულ განკარგულებაში. გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება. მიწა მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებად იქნა გამოცხადებული.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, მეოთხე გამოცემა, გვ. 189—190.

² იხ. დოკუმენტი № 1.

9. საისტორიო მოამბე ტ. XIX — XX.

მიწები, რომლებიც ხაზინას, მემამულეებს, ეკლესიებს და მონასტრებს ეკუთვნოდა, ყველა ნაგებობით, მოწყობილობით, სამეურნეო ინვენტარით უსასყიდლოდ გადავიდა მშრომელთა სარგებლობაში, მიწის ყიდვა-გაყიდვა, ან მისი იჯარით გადაცემა სასტიკად იქნა აკრძალული. სამუდამოდ მოისპო ყოველგვარი გადასახადი მიწაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიწის საკითხის მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ გადაჭრა იყო უდიდესი მოვლენა ქართველი გლეხობის ცხოვრებაში და მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება საბჭოთა მშენებლობაში მშრომელი გლეხობის აქტიურად ჩაბმისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე მოწყობის საქმეში.

თემის სისრულით გაშუქებისათვის ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც არ შემოინახა აღნიშნული არქივების ფონდებში, ამოღებულ იქნა პერიოდული გამოცემა „მოამბიდან“. რამდენიმე დოკუმენტი ამოგებულია საქართველოს იმდროინდელი ცენტრალური გაზეთებიდან.

პუბლიკაციაში შესული მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად და იბეჭდება იმ ენაზე, რომელზედაც იყო შედგენილი.

ზოგიერთი საბუთის ტექსტში შეგნებულად გამოტოვებული ადგილები აღნიშნულია მრავალწერტილით, ხოლო საბუთის ტექსტის არასრული გამოთქმები შევსებულია პუბლიკაციის ავტორის მიერ, რომლებიც კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული.

ყველა საარქივო დოკუმენტს ტექსტის ბოლოს დართული აქვს ლეგენდა, რომელიც შეიცავს არქივის, ფონდის, საქმის ნომრის, გვერდების მითითებას და დოკუმენტის სახეობას.

№ 1

1921 წლის აპრილის 6. — საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, № 17

საქართველოს საბჭოთა მთავრობა მთელი ხალხის წინაშე აცხადებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრომელთა სასარგებლოდ შემდეგ საფუძველზე:

1. ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა.

2. ის მიწები და მსხვილი მამულები, რომლებიც ყოველი მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა მსხვილ მფლობელთ, შენობებით, ყოველივე ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოდ და წინათ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ეხება წვრილ და საშუალო მფლობელთ, ამ კატეგორიის მფლობელები პირიქით მიიღებენ დასამუშავებლად მიწის საკმაო რაოდენობას თავისი ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. სამოსახლო ადგილები (ეზოები) პატარა ზომისა სოფლად და ქალაქად პატარა ბაღებით და ბოსტნეებით დღევანდელ მფლობელთა სარგებლობაში დარჩება, ხოლო მიწის ამ ნაკვეთების სიდიდე განსაზღვრული იქნება ცალკე დამატებითი კანონით, თანახმად ამ დეკრეტის მეექვსე მუხლისა.

4. ყველა, როგორც წინათ, ისე ამ დეკრეტის ძალით ჩამორთმეული მიწები მთელი შენობებით, ყოველგვარი მოწყობილობით, სამეურნეო ინვენტარით გადაირიცხება მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადის ადგილობრივ (სათემო, სამაზრო ან საგუბერნიო) გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირდაპირ განკარგულებაში; სანამ კი ასეთები არ შემდგარან, ეს მიწები გადავა სათანადო რევოლუციურ კომიტეტების განკარგულებაში. ყველა ეს ორგანოები მიწის საკითხის მოწესრიგების საქმეში სახელმძღვანელო დირექტივებს ღებულობენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან.

5. ჩამორთმეული ან ჩამოსართმევი მამულის რაიმე დაზიანება ან გაფუჭება, რომელიც ამიერიდან შეადგენს სახალხო კუთვნილებას, გამოცხადებულია სასტიკ დანაშაულად, რაც დასჯილი უნდა იქნეს რევოლუციური კანონით.

გლეხთა დეპუტატების სათემო და სამაზრო საბჭოები, ან რევოლუციური კომიტეტები ღებულობენ ყოველივე საჭირო ზომებს მიწების ჩამორთმევის დროს სასტიკი წესრიგის დასაცავად.

6. ყველა სოფლის საზოგადოებაში ან თემში დაუყოვნებლივ უნდა შედგეს უმიწაწყლო, წვრილი და საშუალო მიწის მშრომელთაგან, ე. ი. ღარიბი გლეხ-კაცობისაგან, მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) და ადგილობრივი პირობების მიხედვით განსაზღვრავენ, როგორც მიწის იმ ნორმას, რომელიც უნდა ჩამორთმეულ იქნეს, აგრეთვე მიწის ნორმას, ანუ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეს გლეხკაცობას ცალკე ოჯახების სასარგებლოდ მიწის არსებული ფონდიდან, გარდა იმ მამულებისა, რომელთა მოვლა-პატრონობა და დამუშავება, თანახმად ამ დეკრეტისა, დაკისრებული აქვს თვით სახელმწიფოს ან თემს (მუხ. 7).

7. მსხვილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის და მაღალი კულტურის პლანტაციები, საწერგეები, ბაღები, ორანჟერეები და სხვ. არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ გადაიქცევიან კულტურულ-საჩვენებელ სახალხო მამულებად და გადაეცემათ თავისი სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს, ან ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში.

შენიშვნა: აგრეთვე ჯიშიანი ოთხფეხის, ან ფრინველის მომშენებელი ყოველი კერძო წარმოება უნდა გამოცხადდეს სახალხო ქონებად და უნდა გადაეცეს თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს, ან თემს.

8. საბჭოთა მთავრობა, როგორც სასოფლო მეურნეობის წარსამატებლად და განსავითარებლად, ისე მშრომელი მასის საკეთილდღეოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სათემო ანუ კოლექტიური მეურნეობის სხვადასხვა ფორმების (კომუნების, არტელების და სხვ.) შემოღებას და ზრდა-განვითარებას, კოლექტიურ მეურნეობაში მიწვეულ უნდა იქნეს სოფლის პროლეტარები და ნახევარპროლეტარები, ანუ ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არ აქვთ საკუთარი მეურნეობა, ან თუ აქვთ, მეტად უმინშენელო, ე. ი. არ მოეპოვებათ არც სამყოფი მიწა და არც სამყოფი სამეურნეო იარაღი მის დასამუშავებლად. ასეთ კომუნებს თუ არტელებს განსაზღვრულ პირობებში გადაეცემათ თავისუფალი მიწის ნაჭრები. გარდა ამისა სახელმწიფო აღმოუჩენს მათ როგორც აგრარონიულ დახმარებას, ისე ნივთიერ სახსარსაც მიწის დამუშავების საუკეთესოდ მოსაწყობად.

9. მიწის წიაღი: მადნეულობა, ნავთი, ქვანახშირი, შავი ქვა, მარილი და სხვ. აგრეთვე ტყეები, მდინარეები და ტბები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობა, გადადიან სახელმწიფოს განსაკუთრებულ სარგებლობაში. ყველა პატარა მდინარეები, ტბები და ტყეები (ბუჩქნარები) გადადიან სათემო სარგებლობაში, რომელთაც განაგებენ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები (გლეხთა დეპუტატების საბჭოები).

10. მიწით სარგებლობის უფლება ეძლევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განუჩევილად სქესისა, ვინც კი მოინდომებს მიწის დამუშავებას საკუთარი შრომით თავისი ოჯახის დახმარებით ან ამხანაგობით და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეეძლება მიწის დამუშავება.

მიწის მშრომელნი, რომელთაც მოხუცებულობის ან დასნეულების გამო სამუდამოდ მოესპობათ მეშაობის უნარი, კარგავენ უფლებას მიწით სარგებლობისას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარებას პენსიის სახით.

ამ გზით ჩამორთმეული მიწის ნაჭრები გადადიან სახელმწიფოს საადგილ-მამულო ფონდში. უპირატესობა ამ ნაწილების მიღებისა ეძლევა ახლობელ ნათესაებს იმ პირისა და მისივე ჩვენებით, რომელსაც ჩამოერთვა მიწა.

11. ყველა მიწის მუშაკი უმიწაწყლო თუ მცირე მიწის მქონეელი გლეხი სახალხო საფონდო მიწიდან მიიღებს სამყოფ მიწას, რაც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის არსებობას.

12. თუ ვინიცაა რომელიმე ადგილას მიწის სივიწროვეა და არსებული ფონდი სამყოფი არ იქნება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად, შესაძლებელია მოხდეს გადასახლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ამ შემთხვევაში გადასახლდნის მოწყობას და აგრეთვე ამით გამოწვეულ ხარჯებს და გადასახლებულებისათვის საჭირო სამეურნეო იარაღების მიწოდებას კისრულობს თვით სახელმწიფო. თვით გადასახლება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და არავითარ იძულებით მოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

13. ვინც ამ ქონებრივ ვადატრიალების დროს დაზარალებდა, მას აქვს

უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ დახმარებაზე იმ დრომდე, სანამ ის ახალ პირობებს შეეწყობა.

14. ჩამორთმეული მიწების მთელი სამეურნეო ინვენტარი, ანუ სამეურნეო იარაღები, მაშინები, პირუტყვი და სხვა უსასყიდლოდ გადადის თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში.

15. ამ დეკრეტის ძალით ყოველგვარი გადასახადი მიწაზე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუდამოდ ისპობა.

16. ამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან გაუქმებული ყველა მიწის კანონები, რომლებიც იქნენ გამოცემული სხვადასხვა მთავრობისაგან 1921 წ. 25 თებერვლამდე, როგორც მაგალითად, 1917 წ. 16 დეკემბრის, 1918 წ. მარტის 7-ს, 1919 წ. 28 იანვრის და 1920 წ. 10 თებერვლის.

17. იმ უმიწაწელო ან მცირე მიწიან გლეხებს, რომლებმაც ყოფილი მთავრობის დროს მიწა შეიძინეს მიწის ფონდიდან ფულზე, ნაყიდი მიწა რჩებათ სარგებლობაში ამ დეკრეტის საფუძველზე, ხოლო გაღებული ფული უნდა დაუბრუნდეს საზინიდან.

18. საბოლოო დაწვრილებითი კანონი¹ მიწის საკითხის მოსაგვარებლად და ცხოვრებაში გასატარებლად იმ დეკრეტის საფუძველზე გამომუშავებული და გამოქვეყნებული იქნება სულ ახლო მომავალში.

საქ. სსრ რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე.

ორცა, ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 18, ფურ. 18. დედანი, სტამბური წესით დაბეჭდილი.

№ 2

1921 წლის აპრილის 18. — საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის ბრძანება სამიწათმოქმედლო ტექნიკის სპეციალისტების რეგისტრაციის შესახებ

1. Согласно постановления Революционного комитета ССР Грузии, всем специалистам по землемерной технике с низшим, средним и высшим образованием, проживающим в гор. Тифлисе и состоящим на государственной, общественной или частной службе, а также не имеющим службы предлагается зарегистрироваться в недельный срок, начиная с 22 сего апреля от 12 до 2 час. дня в межвом. отделе Народного комиссариата земледелия (Тифлис, здание правительственных учреждений, проспект Руставели).

2. Проживающие в Кутаисском, Зугдидском, Сенакском, Озургетском, Ахалцихском, Душетском, Борчалинском, Сигнахском и Телавском уездах и в Абхазии должны регистрироваться в межевых отделениях означенных уездов, а в Шоропанском, Рачинском, Горийском,

¹ იქ ნაგულისხმევია კოდექსი მიწის შესახებ. იგი თავის დროზე გამოქვეყნებული იყო. იხილეთ საქართველოს მეშათა და ელესთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1925 წ.

Ахалкалакском и Тианетском уездах — в местных уездных ревкомах.
 Примечание: Время производства регистрации в означенных уездах будет особо определено местными уездными ревкомами по получении настоящего приказа.
 Заместитель предревкома ССР Грузии М. Орахелашвили.

ორცა, ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 11, ფურ. 47. დედანი.

№ 3

1921 წლის აპრილის 23. — საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დადგენილება სამიწათმშომო დარგის სპეციალისტების მობილუზაციის შესახებ

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ამა წლის აპრილის 18-ს თარიღითა და 40 №-ით გამოცემული ბრძანების განსავითარებლად, მიწით სარგებლობისა და მის ურთიერთობის საქმის სასწრაფოდ მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. გამოცხადებულ იქნეს სამიწათმშომო დარგის სპეციალისტების მობილუზაცია საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.
2. ის პირები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მობილუზაციაზე, მიეცემათ რევოლუციურ ტრიბუნალის სამართალში და დაისჯებიან რევოლუციურ დროის კანონების მიხედვით.

3. მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ევალება შეიმუშაოს ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ სამიწათმშომო დარგის სპეციალისტების განაწილებისა და გამოყენების წესი.

4. წინადადება ეძლევა სახალხო სასურსათო კომისარს მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში მყოფი სამიწათმშომლო დარგის სპეციალისტები დააკმაყოფილოს სურსათ-სანოვავით პირველ რიგში დაწესებულ ნორმის მიხედვით.

საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე

ორცა, ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 210, ფურ. 28. დედანი, საწურ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 4

1921 წლის აპრილის 23. — წესები საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის მიერ 1921 წლის 6 აპრილს გამოცემული № 17 დეკრეტის შესაბამისად საქართველოში მიწების ჩამორთმევა-დანაწილების შესახებ

I. საერთო დებულება

1. ყველა მიწა მშრომელთა საერთო კუთვნილებას შეადგენს, რის გამო საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსპობილია მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება ან რაიმე სხვა სახით მიწის განსხვავება.

2. ყველა მიწა საქართველოში შეადგენს ერთ სახელმწიფო ფონდს და გადადის სოფლის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭოების პირდაპირ განკარგულებაში, რომელნიც მოქმედებენ თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ღირებულებებისა.

3. მიწით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც კი დაამუშავეს მას საკუთარი შრომით. მიწით სარგებლობის ფორმა და წესრიგი განისაზღვრება ამ წესებით.

4. მიწით სარგებლობის ფორმა, იქნება ის კომლექური, საზოგადოებითი, საამხანაგო თუ კომუნალური, თავისუფალია.

II. მიწის კომიტეტებზე

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ღირებულებებს მიწათმოწყობის შესახებ ახორციელებენ ადგილობრივი მიწის კომიტეტები, რისთვისაც ყველა თემში ან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ცალკე სოფელში, არჩევენ უმნიშვნელო, მცირე და საშუალო მიწის მქონეთა შორის მიწის კომიტეტებს, არანაკლებ სამი და არა უმეტეს ხუთი პირისაგან.

6. მიწის კომიტეტში შედიან აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და მიწის მუშათა დეპუტატების სამაზრო საბჭოს მიერ დანიშნული თითო წარმომადგენელი.

7. თუ თავმჯდომარეობა მიწის კომიტეტში არა აქვს დავალებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელს, იმ შემთხვევაში თავმჯდომარეს ირჩევენ თვითონ კომიტეტი.

III. ნორმის გამორკვევა

8. მიწის კომიტეტი პირველ ყოვლისა არკვევს მიწის იმ რაოდენობას (ნორმას), რომელიც უნდა ზელუხებლად დაეტოვოს მფლობელს. ამ ნორმიდან იხელმძღვანელებს კომიტეტი თავისუფალი მიწების განაწილების დროს უმნიშვნელოთა, მცირე და საშუალო მიწის მქონეთა შორის.

9. მიწის ნორმა, რომლის გამორკვევის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც შრომის უნარი, აგრეთვე ოჯახის წევრთა რიცხვი, არ უნდა იყოს ნაკლები კომლის საარსებო მინიმუმისა.

შენიშვნა: თუ ოჯახის წევრთა რიცხვი აღემატება სამს, მაშინ ყოველ ზედმეტ წევრზე ნორმას უნდა მიემატოს განსაზღვრული რაოდენობა მიწისა.

10. ნორმის გამოანგარიშებისათვის შეიძლება ამა თუ იმ სოფლის სახნავი მიწები დაყოფილ იქნეს კატეგორიებად და თვითეულ კატეგორიაში ნორმა გამოანგარიშება ცალკე.

11. საშოსახლოების, საბაღე-სავენახეების, საბოსტნეების, კარზე ტყეების ნორმა უნდა ცალკე იქნეს გამოანგარიშებული.

შენიშვნა: ეს ნორმა არ ჩაითვლება სახნავ-სათესი მიწების ნორმაში.

12. შემუშავებულ ნორმების პროექტს, დასაბუთებულ მოხსენებასთან

ერთად, მიწის კომიტეტი ადგენს სამაზრო საადგილმამულო განყოფილებაში, რომელიც იხილავს მას და თუ საწინააღმდეგო არა აქვს რა, უდგენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრუნებს უკან შესასწორებლად.

13. მიწის კომიტეტში დანიშნულ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი-ატის და მიწის მუშათა დეპუტატების — სამაზრო საბჭოს წარმომადგენლები, მიწის ნორმების შემუშავების და წარდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ გადა-დიან მახლობელ თემის ან სოფლის კომიტეტებში ასეთივე მუშაობის საწარ-მოებლად.

14. ზედმეტი მიწების ჩამორთმევა და თავისუფალი ფონდის განაწილებას კომლევურად, თუ სხვა ფორმით, მიწის კომიტეტები შეუდგებიან მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დაამტკიცებს მიწის ნორმას.

15. მიწის ნორმების გამორკვევასთან ერთად, მიწის კომიტეტი არკვევს აგრეთვე საადგილმამულო ფონდის და სოფლის მიწის მუშათა რაოდენობას. საადგილმამულო ფონდი უნდა აღნუსხულ იქნეს მიწების კატეგორიების და სხვადასხვაობის მიხედვით. მიწის მუშათა აღრიცხვა უნდა მოხდეს კომლევ-რად, სქესის, წლოვანების, მუშაობის უნარის, ქონებრივი ავლადიდების, მუდ-მივი საცხოვრებელი ადგილის, ხელობის ან სამსახურის და სხვა ასეთების მხედველობაში მიღებით. ეს ცნობები უნდა წარდგენილ იქნეს ნორმებთან ერთად.

IV. მიწათმოწყობის გეგმის შედგენა

16. სამაზრო საადგილმამულო განყოფილებები იღებენ ყოველგვარ ზო-მას, რომ მიწის კომიტეტების მუშაობა, მიწის ნორმების გამოსარკვევად მთელს მაზრაში მოხდეს განსაკუთრებული სიჩქარით და სისწორით.

17. მიწის კომიტეტებისაგან მოხსენებების და ნორმების პროექტების მი-ღების შემდეგ, სამაზრო საადგილმამულო განყოფილება იმუშავებს საერთო გეგმას მიწის მოწყობისას მთელს მაზრაში და დასაბუთებულ მოხსენებებთან ერთად უდგენს მას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

18. სამაზრო საადგილმამულო განყოფილების მიწათმოწყობის გეგმა მა-ზრაში უნდა შეიცავდეს გადასახადებისათვის, კომუნების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისათვის და საბჭოთა მეურნეობის, ან ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საჭირო მიწების აღნუსხვას.

19. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, მიიღებს რა მაზრებიდან მიწათმოწყობის დამუშავებულ გეგმებს, თვითონ შეადგენს ერთ გეგმას მიწათ-მოწყობისას რესპუბლიკის ფარგლებში. ამ გეგმაში განსაკუთრებული ყურად-ღება უნდა მიექცეს პირველ ყოვლისა უმიწაწყო, წვრილ და საშუალო მი-წის მქონეთა საარსებო ჩინტერესების სრულ დაკმაყოფილებას, მათ მიერ მი-წებით დამშვიდებულად სარგებლობას და ისეთი ღირებულებების გამომუშავე-ბას, რომლებიც საესეებით უზრუნველყოფენ მიწის მუშის მიერ მისი ნამუშე-ვრის ნაყოფით თავისუფალ და შეუღლებულ სარგებლობას. მიწათმოწყობის

მეორე რიგის საგანს უნდა შეადგენდეს ახალშენების ფართო მოწყობა რესპუბლიკაში და მესამე რიგის სამზრუნველო საგნად დარჩება საბჭოთა ან ადგილობრივ თვითმმართველობათა მეურნეობათათვის და კომუნების ან სხვა ამგვარ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისათვის შესაფერი მიწების გადიდება. მიწათმოწყობის საერთო გეგმა, დამტკიცებული სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადაეგზავნება სამაზრო საადგილმამულო განყოფილებებს მიწის კომიტეტების მიერ ცხოვრებაში გასატარებლად.

V. მიწების ჩამორთმევა

21. დამტკიცებული ნორმების მიღების შემდეგ მიწის კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგება მიწათმოწყობას და თუ რაიმე განსაკუთრებული ბრძანება არა აქვს მიღებული თავისუფალი ფონდის შესახებ, ამ ფონდის დანაწილებას კომპლუტად უმიწაწყლოთა და მცირე მიწის მქონეთა შორის.

22. მიწების ჩამოსართმევად კომიტეტი იწვევს მიწის პატრონს და წინადადებას აძლევს მას ამოირჩიოს სამოსახლო კარმიდამო ბაღ-ვენახში (მუხ. 3 დეკრეტისა) და სახნავ მიწებში ნორმების თანახმად ხვედრი მიწა.

23. თუ მიწის პატრონი ჩამორთმევას ვერ დაესწრო, კომიტეტი იღებს მხედველობაში მისი ოჯახის სხვა წევრების განცხადებას და ყოველ შემთხვევაში უტოვებს მას მიწებს იმ ანგარიშით, რომ, რაც შეიძლება დაცულ იქნეს კომლის საარსებო ინტერესები. მიწის პატრონის გამოუცხადებლობა მიწების ჩამორთმევას არ აჩერებს.

24. ჩამორთმევის აქტში აღნიშნული უნდა იქნეს მაზრა და სოფელი, სადაც ჩამორთმევა ხდება, მამულის პატრონის სახელი, მამის სახელი და გვარი, ჩამორთმევის თვე და რიცხვი, კომისიის შემადგენლობა, მემამულის მიერ არჩეული და ჩამორთმეული მიწები ნაკვეთებად და ზომით, საერთო ჯამი დატოვებული და ჩამორთმეული მიწებისა. აქტს ხელს აწერს კომიტეტი და მემამულე. ჩამორთმევის აქტი არსებითად საბოლოოა. მისი გასაჩივრება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა, სამაზრო საადგილმამულო განყოფილებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ფორმალური მხარე.

VI. მიწების დანაწილება

25. მიწების დანაწილების დროს მიწის კომიტეტი პირველ ყოვლისა აკმაყოფილებს უმიწაწყლოებს სამოსახლოებით და სხვა მიწებით და შემდეგ მცირე მიწის მქონეთ.

26. უმიწაწყლოთათვის სამოსახლოების მისაჩენად პირველ ყოვლისა გამოყენებულ უნდა იქნას ჩამორთმეული სამოსახლოები, ან მათი ნაჭრები და როცა ასეთები არაა, სოფელზე მკერული თავისუფალი მიწები, ისე რომ შეძლებისდაგვარად სამოსახლოს ზედ მიეკრას სახნავი მიწების ხვედრითი ნორმაც.

27. მიწის კომიტეტებს კატეგორიულად მოეთხოვებათ მიიღონ ყოველივე ზომა მიწების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად, რომ ხვედრი მიწა ამა

თუ იმ პირს მიეცეს ერთ ნაჭრად, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს წარმოებული ნაჭრების გაცემა.

28. როცა სოფლებში არ არის საკმარისი თავისუფალი ფონდი, კომიტეტი იღებს ზომებს, რომ მიწის მუშეები დაკმაყოფილებულ იქნან ნორმამდე, მოსაზღვრე სოფლების თავისუფალი ფონდიდან, ან სხვა ადგილებში გადასახლებით.

29. მიწების კომლექტურად დასანაწილებლად წინასწარი პროექტი უნდა შედგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაწილების დროს ატეხილი ღავის გადაწყვეტა არ მოხერხდება ადგილზედვე თვით კომიტეტის მიერ. ამ შემთხვევაში წინასწარი პროექტი მიწების დანაწილებისა უნდა შეიცვალოს მოწინააღმდეგე მხარეების პრეტენზიების აღნუსხვით, რომელსაც თან უნდა ახლდეს გეგმა. ეს პროექტი წარედგინება სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას და მის მიერ საბოლოოდ უნდა იქნეს განხილული და გადაჭრილი.

VII. ახალ შენების მოწყობა

30. უმიწაყლო და მცირე მიწის მქონე მცხოვრებთა გადასახლებას იმ ადგილიდან, სადაც მათ დასაკმაყოფილებლად საკმარისი ფონდი არ მოიპოვება, თავისუფალ საახალშენო ადგილებზე ახდენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

31. იგივე კომისარიატი ახდენს საახალშენო ფონდის განსაზღვრას ისეთ რაიონებში, სადაც დაწესებული ნორმებით ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებაზე ზედმეტი მიწა მოიპოვება, იკვლევს ამ ფონდს და ამზადებს გადასახლების მსურველთა დასასახლებლად.

32. გადასახლებულთა მიწით დაკმაყოფილება ხდება იმავე ნორმით, რომელიც შემუშავებული იქნება იმ რაიონებში, სადაც საახალშენო ფონდი იმყოფება.

33. საქართველოს სსრ მიწების თავისუფალ ფონდზე დასახლების უფლება აქვთ მხოლოდ მის ქვეშევრდომთ და მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

34. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საახალშენო რაიონის ბუნებრივი პირობების და ამ რაიონის ძველ ბინადრობიდან დაშორების მიხედვით, უწევს დახმარებას გადასახლებულთ: ახალ ადგილზე გადაყვანით, შენობების ასაგები მასალით, სამეურნეო იარაღებით, მუშა საქონლით, სათესლე ხორბლით, საზრდოთი და საქონლის საკვებით პირველ მოსავლამდე, საზოგადოებრივი შენობების აგებით და სხვა.

35. გადასახლებულები ვალდებული არიან თავიანთი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე (შენობები, ბაღები, ვენახები და სხვ.) გადასცენ ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში.

36. გადასახლების საქმის მოწყობის შესახებ დაწვრილებითი წესების გამოცემა ევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

VIII. კულტურული მამულები

37. მსხვილი კულტურული მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერეები და სხვა არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ დარჩებიან კულტურულ-საჩვენებელ სახალხო მამულებად (მუხ. 7 დეკრეტისა). მამულების სახანავსათვის მიწების რომელიმე ნაწილის გამოყენება სახალშენოდ, ან ადგილობრივ სოფელ-თან შორის დასანაწილებლად, უკიდურესი სივიწროვის გამო, შეიძლება მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

38. იმ მაზრებში, სადაც ასეთი მამულები სულ არ არის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მიწათმოქმედების პროექტის შემუშავების დროს გადადებს შესაფერ ადგილზე საკმაო მიწას, რომ მოწყობილ და გაშენებულ იქნას მაზრაში ერთი ან რამდენიმე კულტურულ-საჩვენებელი და საცდელი მამული.

39. კულტურულ-საჩვენებელ და საცდელ მამულებისათვის თავისუფალი ფონდიდან მიწების გამოყოფის დროს. უნდა შედგეს წინასწარი პროექტი სათანადო გეგმით, რომელიც მოყვანილ იქნება სისტულეში მხოლოდ მისი დამტკიცების შემდეგ მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ.

40. კულტურულ-საჩვენებელი მამულების გამგეობა ეწყობა თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

IX. სასოფლო-სამეურნეო კომუნები, არტელები, ამხანაგობები და სხვ.

41. მიწის კომიტეტი ნორმის გამორკვევის შემდეგ, სანამ მიწების დანაწილებას შეუდგებოდეს წინადადებას აძლევს მცხოვრებთ მიწის სივიწროვის გამო შეერთდნენ კოლექტიურ მეურნეობის წევრებში (კომუნებში, არტელებში ამხანაგობებში და სხვ.) და აწარმოონ საერთო მეურნეობა, რისთვისაც მთავრობა გაუწევს მათ ყოველგვარ დახმარებას.

როცა მცხოვრებნი ამაზე დათანხმდებიან, კომიტეტი გამოიწვევს მიწათმოქმედების კომისარიატიდან ინსტრუქტორს საქმის ორგანიზაციისათვის.

42. კომუნებს, არტელებს და საერთო კოლექტიურ მეურნეობებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება გამოეყოს ესა თუ ის კულტურულად დამუშავებული მიწა (ვენახი, პლანტაციები და სხვ.) რიგგარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიურ მეურნეობაში ჩაირიცხებიან მართო ის მომიჯნავე სოფლის უმეწაფე, ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. კოლექტიურ მეურნეობის ამხანაგობაში შეიძლება შევიდეს მიიღება აგრეთვე არაადგილობრივი მცხოვრებელი თუ კი ის აუცილებლად საჭიროა კოლექტიური მეურნეობისათვის.

43. კოლექტიურ მეურნეობათათვის ადგილის გამოყოფა ხდება წინასწარი გეგმის შედგენით, რომელიც უნდა დამტკიცებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

44. კოლექტიური მეურნეობის შესახებ გამომუშავებული უნდა იქნეს განსაკუთრებული დებულება.

X. სათადარიგო ფონდი

45. მიწების დანაწილების შემდეგ, სოფლის ფარგლებში გადარჩენილი თავისუფალი მიწა გადაირიცხება სათადარიგო ფონდში, რომელიც გადადის თემის განკარგულებაში და სარგებლობაში. სათადარიგო ფონდიდან უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს მიწის მოთხოვნილება, როცა ოჯახებს შეემატებიან ახალი წევრები.

XI. მიწით სარგებლობა

46. მიწით სარგებლობის უფლება ისპობა: 1. მოსარგებლის სიკვდილით, 2. როცა მოსარგებლე უარს განაცხადებს მიწით სარგებლობაზე, 3. სასამართლოს გადაწყვეტილებით და 4. როცა მოსარგებლე უმიზეზოდ თავს გაანებებს მიწის დამუშავებას. ამ შემთხვევაში ჩამორთმეული მიწა გადადის თემის განკარგულებაში და ჩაირიცხება სათადარიგო ფონდში. უპირატესობა ჩამორთმეულ მიწის ნაპრების მიღებისა ეძლევა ახლობელ ნათესავებს იმ პირისას და მისივე ჩვენებით, რომელსაც ჩამოერთვა მიწა.

47. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწით მოსარგებლე თავის ნებით ან იძულებით ანებებს თავს მიწით სარგებლობას, მას უნდა აენაზღაუროს მისი შრომის ნაყოფის საფასური (შენობა, ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ნათესი და სხვ.).

48. მიწით სარგებლობის უფლების განსხვავება (გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, ან იჯარით გაცემა) აკრძალულია.

XII. მიწის მშომელებზე

49. მიწების ჩამორთმევის და დანაწილების დროს ყოველგვარ სამიწისმშომლო სამუშაოს ახდენს მიწისმშომელი, თანახმად სათანადო ტექნიკური ინსტრუქციისა.

XIII. მიწის კომიტეტების უფლებები

50. მიწის კომიტეტს უფლება აქვს, მოსთხოვოს სოფლის მცხოვრებთათვის საჭიროებისათვის შესაფერი ბინა საკანცელარიო და სახაზავო სამუშაოსთვის ვარგებული, გათბობით და განათებით, ბინის ღირაჯი, ცხენები, ან სხვა გადასახიდი საშუალება, როცა სამუშაო დაშორებულია კომიტეტის ბინიდან სამ ვერსზე მეტით, ერთი მუდმივი მუშა მიწისმშომელისათვის, საჭირო მუშები ტყის გასაჩეხად, გეოდეზიური იარაღების გადასატანად და საზღვრების ნიშნების ჩასაყრელად შესაფერი მასალა მტკიცე ფასებში, რომელთაც იხდის ხაზინა.

51. მიწის კომიტეტის ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეულ წევრებს ეძლევათ სოფლისაგან განსაკუთრებული ჯილდო, თანახმად წევრების სურვი-

ლისა, ფულით ან ნატურით, რომლის რაოდენობასაც საზღვრავს კომიტეტის ამრჩევი ყრილობა. იგივე ყრილობა აწესებს მიწის კომიტეტისათვის საჭირო: მუშების, ბინის, დარაჯის, გადასახიდ საშუალებათა და სხვათა ჭირას მტკიცე ფასებში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „შოამბე“, 1921 წ., № 5, გვ. 6—9.

№ 5

1921 წლის აპრილის 24. — საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დადგენილება სოფლის მეურნეობის ტექნიკოსებისა და სპეციალისტების მობილიზაციის შესახებ

Принимая во внимание всю важность развития сельского хозяйства в республике, Революционный комитет ССР Грузии настоящим постановляет:

1. Объявить всех специалистов и техникув сельского хозяйства по всей территории республики ССР Грузии мобилизованным.

2. Означенные в пункте 1 настоящего постановления лица, проживающие в гор. Тифлисе и не зарегистрировавшиеся по каким-либо причинам в установленный приказом № 34 от 10 сего апреля срок, — обязаны зарегистрироваться в сельскохозяйственном отделе Народного комиссариата земледелия в течение 27, 28 и 29 сего апреля.

3. Специалисты и техники сельского хозяйства, проживающие вне города Тифлиса, обязаны в недельный срок со дня опубликования на месте настоящего постановления зарегистрироваться в земельных отделах уездных революционных комитетов по месту своего жительства.

4. Лица, уклонившиеся от регистрации, будут преданы суду Революционного трибунала и понесут кару по законам революционного времени.

5. Народному комиссару продовольствия предлагается снабжать состоящих на службе по Народному комиссариату земледелия специалистов и техникув сельского хозяйства продовольствием по установленной норме в первую очередь.

ორცხა, ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 210, ფურ. 29. ღედანი, სტამბური წესით დაბეჭდილ.

№ 6

1921 წლის აპრილის 27. — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულარი საადგილსამულო ურთიერთობის მოწესრიგების და მიწით სარგებლობის წესების შესახებ

№ 1

საადგილსამულო ურთიერთობის და მიწით სარგებლობის მოწესრიგების დროს, ყოველივე ანარქიის და არეუ-დარევის თავიდან ასაცილებლად, წინადადება გეძლევათ, თანახმად მუხ. 6 ა, წ. 6 აპრილის დეკრეტის № 17 მიწის შე-

სახეზე, დაუყოვნებლივ შეუდგეთ მიწის კომიტეტების შედგენას, რის შესრულების დროსაც უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. სამაზრო რევკომის რწმუნებულნი მიდიან სოფლებში, შეყრიან უმიწაწყლო, მცირე და საშუალო მიწის მქონე მშრომელთა ყრილობას და ეს უკანასკნელი თავიანთ შორის ირჩევს მიწის კომიტეტს; ყრილობას თავმჯდომარეობს რევკომის რწმუნებული.

2. როცა ღარი ან მეტი სოფელი ერთმანეთთან ახლო მდებარეობს, ან მათი მიწაწყალის ურთიერთობა და საკითხი იმდენად გადაბმული არიან, რომ გარემოება მოითხოვს მათი მიწების საქმის ერთად და თანხმობით გადაჭრას, ასეთ სოფლებს შეუძლიათ აირჩიონ ერთი კომიტეტი.

3. როცა მიწის კომიტეტს ირჩევს ერთი სოფელი, მასში უნდა აირჩეს არანაკლებ სამისა და არა უმეტეს ხუთი პირისა და როცა კომიტეტს ირჩევს ორი ან მეტი სოფელი ერთად, ამ კომიტეტში თითო სოფლიდან უნდა აირჩეს არა უმეტეს სამი კაცისა.

4. მიწის კომიტეტი თავის წევრებს შორის აირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც შეასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, თუ ამ თანამდებობით აღჭურვილი არ აღმოჩნდება მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი.

5. თანახმად დეკრეტისა, მიწის კომიტეტები ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევ[ოლუციური] კომ[იტეტის] წარმომადგენლებთან ერთად (მუხ. 6 დეკრ.). ამის გამო მიწის კომიტეტებს არ შეუძლიათ აწარმოონ მიწების ჩამორთმევა (კონფისკაცია) აღნიშნულ წარმომადგენელთა მოსვლამდე.

6. დამთავრდება რა კომიტეტების მოწყობა, სამაზრო რევკომები ტელეგრაფით აცნობებენ სახალხო კომისარიატს კომიტეტების რაოდენობას, რათა კომისარიატმა იცოდეს, თუ რამდენი წარმომადგენელი დასჭირდება გასაგზავნად თავის მხრივ თითო მაზრაში.

7. მიწის კომიტეტებს ჯილდოს მისცემს მთელი სოფელი. ჯილდო განსაზღვრული უნდა იქნეს კომიტეტის ამრჩევ ყრილობაზე. მიწის კომიტეტი მიიღებს ჯილდოს დღიდან მისი მოქმედების დაწყებისა — 14 აპრილი, 1921 წ.

№ 2

მიუხედავად საქართველოს რევკომის ცირკულარული განკარგულებისა და ამავე რევკომის მიწის დეკრეტის დედააზრისა, რესპუბლიკაში და განსაკუთრებით რამდენიმე მაზრაში ფართოდ აქვს ადგილი არასასურველ მოვლენებს მიწის დარგში, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალადობით იტაცებენ მიწებს. ამას ადასტურებს მეტად ხშირი საჩივარი, რომელიც შემოდის კომისარიატში.

კიდევ განმეორებით გაცნობებთ, სახელმძღვანელოდ, რომ სანამ არ მოეწყობა მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწათმოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობით განახორციელებენ მიწის რეფორმას, რევკომებმა მაზრაში არ უნდა დაუშვან ანარქიის გაშეფება, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალად-

ბით ნუ შეეხებიან წვრილ და საშუალო მესაკუთრეებს და საერთოდ ნუ არღვევენ ფაქტიურ მფლობელობას. 19 აპრილი, 1921 წ.

№ 3.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში, რომ მიწის კომიტეტების მუშაობას ნორმების გამოკვლევის შესახებ და გეგმების გამომუშავებას, დამტკიცებას და ადგილზე შესრულებას დასჭირდება დიდი დრო, ცხოვრება კი თხოულობს აგრარული კითხვების ამ წუთშივე ასე თუ ისე გადაჭრას, ავალებს სამაზრო რევოლუციურ კომიტეტებს მიიღონ ეხლავე შემდეგი ღრობებითი წესები სახელმძღვანელოდ:

1. არავინ გასცეს მიწა სამუშაოდ ქირით ან ღალით, გარდა წვრილშვილიანი ქვრივი დედაკაცებისა, სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ღრმა მოხუცებულობის გამო თვითონ ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებას და არც ოჯახში ეყოლებათ მიწის მუშაკი.

2. საზიაროდ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწვევამდე.

3. უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე სოფელთ აღმოეჩინათ დახმარება, რათა ისინი შეერთდნენ ნებაყოფლობით კომუნებში ან ამხანაგობებში და ერთად დაამუშაონ მიწა. ამ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეთ ღრობით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ცალკე ნაჭერი სახნავ-სათესი მიწისა სახელმწიფო საადგილმამულო თავისუფალი ფონდიდან და თუ საჭირო და შესაძლებელია, მუშა საქონელი, იარაღი და სათესი მასალა.

4. თუ კომუნებად, ამხანაგობებად ან ჯგუფებად შეერთება არ მოეწყო, მიეცეთ უმიწაწყალოებს და მცირე მიწის მქონე სოფლის მუშებს სახელმწიფო საადგილმამულო თავისუფალი ფონდიდან საკმაო მიწა დასამუშავებლად და საჭიროებისამებრ, შეძლებისდაგვარად დახმარება მუშა საქონლით, იარაღით და სათესი მასალით.

5. არ დარჩეს დაუმუშავებელი არც ერთი სახნავ-სათესად ვარგებული მიწის ნაჭერი, ბალი ან ვენახი მოუვლელი.

6. როდესაც აღიძრება რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება რამდენიმე სოფელს, მოხდეს ამ სოფლების მიწის კომიტეტების შეერთებული კრება სამაზრო რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით საქმის მოსაგვარებლად.

7. საერთოდ, ყველა კითხვები საადგილმამულო ურთიერთობისა და მიწის შესახებ უნდა გადაწყვეტილ იქნას რევოლუციური სინილისის და სამართლიანობის თანხმად, და ყველა გადაწყვეტილება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ეცნობოს.

8. მეშვიდე მუხლში ნაჩვენები გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ გაასაჩივრონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ორი კვირისა.

9. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. 20 აპრილი, 1921 წ.

№ 4.

მიწის დეკრეტის (6 აპრ., № 17) ზოგიერთი მუხლების განსამარტებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს შემდეგს:

1. თანახმად ა. წ. 23 აპრილს დამტკიცებული „წესების“ მე-3 მუხლისა, მიწების ჩამორთმევა-დანაწილების შესახებ, საქართველოში მიწით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც კი დაამუშავებს მას საკუთარი შრომით.

2. ყოფილ მემამულეს, რომელიც დაბრუნდება თავის მამულში ამა წლის 15 ივნისამდე და განაცხადებს, რომ მას სურს მიწის დამუშავება საკუთარი შრომით, საერთო წესით, უნდა მიეცეს ნორმა დეკრეტის ძალით თავის ყოფილ მამულში.

3. დაბრუნებული მემამულე, რომელიც 1922 წ. 1 იანვრამდე არ შეუდგება მიცემული ნორმის თავისი შრომით დამუშავებას, ჰკარგავს უფლებას მინიჭებულ ნორმაზე, რომელიც ჩაითვლება მიწის ფონდში.

4. ყველა მუშა-მოსამსახურეს, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფო საზოგადოებრივ და სამრეწველო დაწესებულებებისა, რომელთა მფლობელობაში არის მცირე ანუ საშუალო ზომის მიწა—ადგილი, დამუშავებული თუ დასამუშავებელი და რომელიც მხოლოდ დროგამოშვებით მიდის სოფლად სამუშაოდ, უფლება აქვს დაიტოვოს თავის მფლობელობაში ასეთი მიწები.

5. მეოთხე მუხლი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობენ სხვისი შრომის ექსპლუატაციით (ვაჭრები, ფაბრიკა-ქარხნების პატრონები და სხვა). 27 აპრილი, 1921 წ.

საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე (ხელმოწერილია).

ორცსა, ფონ. 281, საქ. 29, ფურ. 53, დედანი, სტამბური წესით დაბეჭდილი.

№ 7

1921 წლის მაისის 3. — ინსტრუქცია მიწის ნორმების გამომუშავების შესახებ

1. Согласно декрета [от] 6 апр[еля] 1921 г. для разрешения на местах аграрного вопроса Земельного комитета в первую голову приступают к выработке земельных норм.

2. Для этой цели комитеты под председательством представителя Наркомзема выясняют в пределах района своих действий количество и качество земель, состоящих во владении средней крестьянской семьи данного района, а также состояние ее хозяйства.

Примечание: Средней считается семья, состоящая не более чем из 3—5 душ, которая вообще не пользуется наемным трудом, за исключением страды и со своей стороны не занимается отходными промыслами.

3. По определении количества и качества земель средней крестьянской семьи Комитет определяет среднюю норму на душу, т. е. вычисляет какое количество земли выпадает на каждого члена средней крестьянской семьи.

4. Если имение среднего крестьянства, указанное в пункте 2-м состоит из земель разных достоинств, то земля делится на категории и в каждой категории норма определяется особо.

5. На тот случай, если владелец, у которого конфискуется земля сверх нормы, пожелал бы получить следуемую ему норму из одной какой-либо категории, Комитет определяет пропорцию между землями разных категорий, т. е. скольким десятинам земли низшей категории равна по достоинству одна десятая высшей категории.

6. Комитет о каждом своем действии составляет акт, подписанный им.

7. Если при выработке нормы между членами Комитета возникает несогласие относительно какого-либо вопроса, то спор разрешается простым большинством голосов.

8. Вместе с выработкой норм Комитет определяет в пределах своего района земельный фонд и ведет учет трудового населения. Учет земельного фонда заключает общее количество всех земель района, подлежащих распределению среди населения. Учет трудового населения должен заключать количество дымов и душ в районе по полу, возрасту, трудоспособности, занятию, постоянному местожительству, с указанием живого и мертвого инвентаря...

9. По окончании выработки норм на местах и по учету земельного фонда и трудового населения председатель Комитета представляет [уездному] земотделу свои соображения об исполненных работах и весь материал по определению норм, фонда и учету населения.

10. [Уездный] земотдел, по рассмотрению представленного материала на весь уезд, препровождает его в Наркомзем вместе со своими соображениями и замечаниями, и если найдет необходимым, и свой проект норм.

11. Отдел земельной политики Наркомзема, рассмотрев представленный [уездным] земотделом проект, утверждает его в целом или в исправленном виде, или возвращает его назад со своими замечаниями для пересоставления.

12. Отдел земельной политики Наркомзема может, если найдет нужным, выработать одну норму или шкалу норм для нескольких уездов республики даже на всю республику, но только в таком случае соответствующий проект должен быть представлен на утверждение наральному комиссару земледелия.

13. Для более успешного выполнения заданий 2-го и 8-го пунктов этой инструкции Комитет собирает сведения посредством специальных анкетных листов.

14. Председатель земельного комитета ведет журнал, куда заносит вкратце всю исполненную в течение дня работу, а также причины мешающие успешному ходу работ.

Журнал ежедневно подписывается одним из местных членов Комитета. Журнал предъявляется ревизирующему лицу, который отмечает в нем день ревизии, замеченные упущения в работе и свои указания.

აქარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფონ. 84, საქ. 42, ფურ. 22, პირი, საწერ მაწანაზღაბეძდო.

№ 8

1921 წლის ოქტომბრის 31. — ინსტრუქცია საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შექმნილ განსაკუთრებული კომისიის მოქმედების შესახებ

I. საერთო დებულება

1. მიწის მფლობელობით და ურთიერთობით გამოწვეული დავის გარჩევა და გადაწყვეტა ევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილმამულო კომისიას და მის განყოფილებებს მაზრებში (სამაზრო კომისიები).

შენიშვნა: როცა დავის საგანს შეადგენს ღალის ანუ არენდის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მტკიცე და უტყუარი საბუთი, ისეთი მდგომარეობის დამამტკიცებელი, რომელიც იგულისხმება ცირკულარის № 3 პირველ მუხლში, საქმეს წყვეტს განსაკუთრებული სამაზრო კომისიის თავმჯდომარე თვითონ, უკომისიოდ. უკმაყოფილონი მისი გადაწყვეტილებით შეიტანენ საჩივარს მიწათმოქმედების კომისარიატის კოლეგიაში, რომლის განჩინიც საბოლოოა.

2. საქმე ირჩევა საჯაროდ და წყდება თანახმად საქართველოს რევკომის დეკრეტებისა და სოციალისტური სინდისის მიხედვით.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში (ავადმყოფობა და სხვ.) მხარეებს შეუძლიათ იუოლიონ რწმუნებულები, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ ანლობელი ნათესავეები მომჩივან-მოპასუხეებისა.

3. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერად, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი მოადგილე და არანაკლებ ორი წევრისა.

II. ო რგ ა ნ ი ზ ა ც ი ა

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილმამულო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ხუთი წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწათმოქმედების კომისარია, ხოლო მის მოადგილედ ითვლება საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე. განყოფილების გამგის თანაშემწენ. რომლებიც ხელმძღვანელობენ მიწათმოწყობის და კოლექტიურ მეურნეობის საქმეებს, ითვლებიან კომისიის წევრებად. დანარჩენ სამ წევრს გზავნის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური



კომიტეტი, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

6. კომისიასთან არსებობს კანცელარია, რომელიც შედგება: მდივნის, საქმისმწარმოებლის, მანქანით გადაწყვერისა და რეგისტრატორისაგან.

III. სამაზრო კომისიები

7. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედიან: თავმჯდომარე და ხუთი წევრი.

8. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, ხოლო წევრებად ითვლებიან სამაზრო საადგილმამულო განყოფილების კოლეგიის წევრები და თითო წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პარტკომისა და პროფკავშირის.

IV. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში

9. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია იწყება სამაზრო კომისიაში.

10. საქმის გარჩევის დღისათვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმეებს უწყებით.

11. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩაბარებული აქვთ უწყებები.

12. თუ საქმე მორიგებით არ გათავდა, კომისია შეუდგება მხარეებისა და მოწმეების დაკითხვას და საბუთების შემოწმებას, თუ უკანასკნელი საჭირო აღმოჩნდა.

13. როდესაც კომისია დაინახავს, რომ კითხვა საკმაოდ არის გამორკვეული, ადგენს თავის განაჩენს, რომელსაც უცხადებს მხარეებს.

14. უკმაყოფილო მხარეს შეუძლია გაასაჩივროს კომისიის დადგენილება სამი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

შენიშვნა: 1. კომისია საჯაროდ აცხადებს გასაჩივრების ვადას.

შენიშვნა: 2. სააპელაციო საჩივარი უნდა შეტანილ იქნეს სამაზრო კომისიაში, თუ საჩივარი პირდაპირ ცენტრში იგზავნება, ამის შესახებ მომჩივანმა უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს სამაზრო კომისიას.

15. გასაჩივრებული საქმე სააპელაციო საჩივრითურთ იგზავნება მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან სააპელაციო საჩივრის ან ამის შესახებ ცნობის მიღებისა.

16. ძალაში შესული დადგენილება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი სამაზრო რევოლუციური კომიტეტის საშუალებით.

შენიშვნა: გასაჩივრებული საქმე სისრულეში არ უნდა იქნეს მოყვანილი საბოლოო გადაწყვეტამდე ცენტრში.

V. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ
კომისიაში

17. განსაკუთრებული კომისია, მიიღებს რა გასაჩივრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს სამი დღის განმავლობაში დღიდან საქმის მიღებისა და იწვევს მხარეებს უწყებებით.

18. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს სამი დღის წარედგინება მიწათმოქმედების სახალხო კომისიარს დასამტკიცებლად.

(ეს ინსტრუქცია დამტკიცებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისიის ა.მ. მახარაძის მიერ 1921 წ. 31 ოქტომბრის თარიღით).

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“, 1921 წ., № 20, გვ. 9—10.

№ 9

1921 წლის ნოემბრის 15. — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების
სახალხო კომისარიატის ცირკულარი მაღალი კულტურის მნიშვნელობის
ნაკვეთების დანაწილებისაგან დაცვის შესახებ

ამჟამად მიწის კომიტეტში უკვე იწყებენ მუშაობას მიწით სარგებლობის წინასწარი ნორმების გამოსარკვევად და აგრეთვე მიწების დროებით დანაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მცხოვრებთათვის. ამიტომ, ზრუნავს რა ვენახების, ხილის ბაღების, ჩაის პლანტაციებისა და სხვა მაღალი კულტურის ხეხილით გაშენებული ადგილების მთლიანობის დასაცავად, რომელთაც შეიძლება შეეხოს დანაწილება-დაქუცმაცება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ადგილობრივ საადგილმამულო ორგანიზაციებს, რომ მათ ხსენებულ ნორმების დამტკიცებამდე ზემოთ ჩამოთვლილი მაღალი კულტურის მნიშვნელობის ნაკვეთების დასაცავად იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

1. მაღალი კულტურის ხეხილებით ნაშენი მიწის ნაკვეთები არ შეიძლება დანაწილებულ იქნეს, უკეთუ ისინი აღემატებიან დროებით დაწესებულ ნორმას.

2. ის ხეხილიანი ადგილები, რომლებიც ეკუთვნის ისეთ პირებს, რომელნიც მათ საკუთარი შრომით არ ამუშავებენ, ცირკულარებში №№ 3 და 5 მოხსენებულ პირთა გარდა, ჩამორთმეულ იქნეს მთლიანად და გადაეცეს შრომის ამხანაგობებსა და არტელებს.

3. ის პირნი, რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილ ხასიათის მამულებს საკუთარი შრომით ამუშავებენ, მაგრამ მათი მამულების რაოდენობა აღემატება დაწესებულ ნორმას, მოვალენი არიან შეუთანხმდნენ სოფლის უმიწაწყლო და მცირე მიწის მესპატრონე მცხოვრებთ და თავიანთი მეურნეობა აწარმოონ საამ-

ხანაგო ან საარტელო საფუძველზე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ წესებთან შეფარდებით.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“, 1921 წ., № 21, გვ.9.

№ 10

1922 წლის მაისის 26. — საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებული დებულება საქართველოში მიწათმოწყობის შესახებ

I

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მთელი მიწა-წყალი შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდსა და ამ მიწაზე მცხოვრები მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას.

ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. მიწათმოწყობის მიზანია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღით და მე-17 №-ს დეკრეტის განხორციელება.

3. მიწათმოწყობის საგანს შეადგენს:

ა) მიწით დაკმაყოფილება: 1) უმიწაყლო გლეხისა და მცირე მიწა-წყლის მქონე მეურნის, 2) კულტურულ-სამრეწველო (როგორც სახელმწიფო ისე კერძო) და ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და 3) კომუნისა, ამხანაგობისა, არტელისა და სხვა კოლექტივისა;

ბ) მჭიდროდ დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა;

გ) მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილება და მიწების რაციონალურად დანაწილება.

4. მიწათმოწყობის სამუშაოს უშუალო აღმასრულებელნი არიან: მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებანი და სასოფლო საადგილმამულო კომიტეტები, რომელთა ფუნქციები და მოქმედების საგანი ცალკე ინსტრუქციით განისაზღვრება.

II

მიწის ნორმა

5. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (კომლი) და მიწის აკარგინაობა.

6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარი შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ-დავრდომილს, ქვრივ-ობოლს, მიწისმუშა-წითელარმიელს და ყველას, ვინც მობილიზაციით, დროებით მოწყვეტილი იქნება მეურნეობას, დაეტოვება სრული ნორმა.

ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში (როგორიც არის, მაგალითად, რკინიგზა, ქვანახშირის მრეწველობა და სხვა), დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 2. სამოსახლო და სხვა მიწის ნორმები აღნიშნულია ამ მუხლამდე.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 2. სამოსახლო და სხვა მიწის ნორმები აღნიშნულია ამ მუხლის ცალკე დამატებაში.

7. მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (მისდევს ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფასი მცენარეების და სხვა ამგვარ სამრეწველო კულტურას), დაეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც ფაქტიურად მის სარგებლობაში არის და შემუშავებულია მისი პირადი და მისივე ოჯახის წევრთა შრომით, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა დაწესებულ ნორმას აღემატებოდეს და უკეთეს მეთურნეობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჩარიცხული არ იქნება საბჭოთა მამულად.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მფლობელს დაეტოვება ისეთი კულტურული მამული, რომელიც ნორმას აღემატება, ეს მამული შეიძლება დაიბეგრას განსაკუთრებული გადასახადით საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დასტურით.

8. მიწა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა. აგრეთვე ქვრივებს, ობლებს და დავრდომილთ. ფონდიდან მიწის მიცემა წარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

9. ახალშენში გადასახლებულის მიწით დაკმაყოფილება მოხდება იმავე ნორმით, რომელიც დაწესებულია იმ რაიონებისათვის, სადაც საახალშენო ფონდი არსებობს. მოახალშენე ვალდებულია თავისი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე გადასცეს ადგილობრივი საბჭოს განკარგულებაში, ახალშენში მოწყობის შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს ორი წლისა დღიდან ახალშენში გადასახლებისა.

10. კომუნას, ამხანაგობას ან არტელს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება მიეცეს ესა თუ ის კულტურულად შემუშავებული მამული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს კოლექტივში შევლენ იმ სოფლის, ან მომიჯნავე სოფლის უმეწიფელო, ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივში შეიძლება წევრად მიღება ერთი ან რამდენიმე გარეშე პირისა, თუ ისინი თავისი სპეციალური ცოდნით საჭირონი არიან ამხანაგობისათვის.

III

მიწის სარგებლობა

11. მიწის სარგებლობის ფორმა, იქნება იგი საკომლო, საარტელო, საამხანაგო, საკომუნო თუ სათემო, თავისუფალია.

შენიშვნა: სათემო მიწის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო წესიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ზეგური ნორმა.

12. მიწათმოქმედების მუშაობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (передел) აკრძალულია.

13. მიწის სარგებლობა არის უვადო, შეუწყვეტელი და საშვილიშვილო.

14. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა: ა) როცა ოჯახის ყველა წევრი თავის ნებით უარს იტყვის მიწის სარგებლობაზე; ბ) ოჯახის გადაშენებით; გ) როცა ოჯახი გადასახლება ახალ ადგილზე; დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრული დანაშაულობისათვის; ე) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საპროპრეტისათვის (გზებისა და არხების გასაყვანად, სახელმწიფო-სამრეწველო დაწესებულებათათვის და სხვ.).

შენიშვნა: მეხუთე წერტილში აღნიშნულ შემთხვევაში მიწის პატრონს უნდა აღნაზღაურდეს ზარალი და შეძლებისდაგვარად, მიეცეს სხვა მიწა.

15. მიწის სარგებლობის უფლება (გულისხმობს, რომ მისი) გადაცემა, გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება და იჯარით გაცემა აკრძალულია.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში სტიქიური უბედურების გამო (მოსახლეობის, პირუტყვის გაწყვეტა და სხვ.) ან მუშახელის დაკლების მიზეზით (მობილიზაციით გაწვევა და სხვ.) დროებით შერყეულ მეურნეობას, აგრეთვე ჭერივ-ობლებს და მოხუცებულ დავრდომილებს, უფლება ეძლევათ მიწა იჯარით გასცენ მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებას კონტროლს ქვეშ, რომელიც მოქმედებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების თანახმად იჯარის შესახებ.

16. დაქირავებული შრომით სარგებლობა სასოფლო მეურნეობაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კონტროლის ქვეშ:

ა) იმათთვის, ვისაც აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა (შენიშვნა მე-15 მუხლისა) და ბ) სასწრაფო ვადიანი სამუშაოებისა სეზონში: თოხნისა, მკისა, ვენახის ან სხვა მცენარეების წამლობისა, ჩაის მოკრეფისა, ჭირნახულის მოწყვის დროს და სხვა.

17. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება შემომუშაოს ამ დებულების განსამარტებლად ცალკე ინსტრუქციები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

№ 11

1922 წლის მაისის 26. — დამატება მიწათმოწყობის შესახებ არსებული
 დებულების მე-6 მუხლისა

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლია დაიტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საეცენისა ერთ ნაჭრად, ხოლო ვისაც სამოსახლო ადგილი ახლად უნდა მიეცეს, მას მიეზომება სამოსახლო ადგილი არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საეცენისა. ეს ნორმა სამოსახლო ადგილისა ქვემოთ მოყვანილ მიწის ნორმაში არ ჩაითვლება.

2. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ რაიონს შეადგენს: გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალის ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა და გუდამაყრის ხეობისა და მუხრანის და საგურამოს სააგარო რაიონებისა, თიანეთის მაზრა გარდა მთიან ფშავ-ხევსურეთისა, თელავის მაზრა მთლიანად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის კაჩაგანის, დემურჩი-გასანდონის, გაიურ-არხის, არუხლო-სარვანის და აშატა-სარალის თემები და თბილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე რაიონს შეადგენს: თიანეთის, სიღნაღის, თბილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები, დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყრის ხეობა.

მესამე რაიონს შეადგენს: მტკვრისა და ლიახვის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში — ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანისა და საგურამოს სააგარო რაიონები.

მეოთხე რაიონს შეადგენს: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები მესხეთი და ჯავახეთი და

მეხუთე რაიონს — იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

შენიშვნა: 1. სააგარო რაიონების შედგენილობა სოფლებით მიღებული იგივე, რაც მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

შენიშვნა: 2. დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწების შესახებ გადაწყვეტს საადგილმამულო კომიტეტი.

3. ნორმად დასატოვებელი და დასაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საეზოვე, ბაღი, ვენახი, საბოსტნე, კარხე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავ-სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომლებიც კარგ მოსავალს იძლევიან.

მეორე კატეგორიაში: სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სისტემატურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურ-

წყავე სათიბი და ვაკე-ჯაგნარი, რომელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავლის მოცემა შეუძლია.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი და მეოთხეში — ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჩარგვნარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამოუსადეგარი მიწა-წყალი, როგორც, მაგალითად, გზა, რიყე, ტბა, ჭაობი, მდინარე, ღელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამგვარი რამ, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

4. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახად ჩაითვლება თვითელი ცალკე კომლი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს 3-6 სულისაგან შემდგარს. როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთი მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე.

5. მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო კომლს:

რაიონი	კატეგორია დესტინობით			
	I	II	III	IV
პირველი მერვე მესამე მეოთხე მეხუთე	ოთხი ოთხნახევარი სამი სამნახევარი ოთხნახევარი	ექვსი ექვსი ხუთი ხუთი ოთხი	რვა შვიდნახევარი ექვსი ექვსნახევარი ხუთი	ათი ცხრა შვიდნახევარი რვა ექვსი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ორცა, ფონ. 600, საქ. 6, ფურ. 3. დედანი, სტამბური წესით დაბეჭდილი.

№ 12

1922 წლის ივლისის 22. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცირკულარი საქართველოში მიწის რეფორმის გატარების შესახებ

როგორც ჩანს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მომართვიდან ა. წ. 18 ივლისის თარიღით და 5125 №-ით ბევრგან ხალხი ვიღაცის გავლენით იჩენს გულგრილობას და ხან ხელსაც კი უშლის მიწათმოქმედ კომისიებს აგრარულ რეფორმის გატარებაში.

გეძლევათ წინადადება დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რათა ხსენებულ კომისიებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა აღმოუჩინონ. სრული დახმარება მაგ ფრიად მნიშვნელოვანი მშრომელი ხალხისათვის საქმის ცხოვრებაში გასატარებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მომბე“, 1922 წ., № 38,

№ 13

1922 წლის აგვისტოს 7. — დებულება საადგილმამულო დავათა განხილვის წესის შესახებ

1. ყოველგვარი საადგილმამულო დავა, მიწათმოწყობასა და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული, გადაწყვეტილ უნდა იქნეს მარტოოდენ სამაზრო საადგილმამულო და ცენტრალურ საადგილმამულო კომისიების მიერ.

2. სამაზრო საადგილმამულო კომისია და ცენტრალური საადგილმამულო კომისია განიხილავენ საქმეს არსებითად.

3. სამაზრო საადგილმამულო კომისია უნდა მოეწყოს თვითეული მაზრისათვის, ან სათანადო ადმინისტრაციული ერთეულისათვის, კომისია შედგება: თავმჯდომარისაგან, რომელსაც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და ორი წევრისაგან, რომელთა შორის ერთს წარადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო მეორეს იუსტიციის სახალხო კომისარიატი კომისიაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

4. ცენტრალური საადგილმამულო კომისია იმყოფება თბილისში და შედგება თავმჯდომარისა და ერთი მუდმივი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და აგრეთვე ერთი წევრისაგან, რომელსაც წარადგენს იუსტიციის სახალხო კომისარი კომისიის შედგენილობაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ადგილობრივ არ იმყოფება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი დანიშნავს მის მოადგილეს.

5. სამაზრო საადგილმამულო კომისია შეუდგება საადგილმამულო საქმის წარმოებას დაინტერესებულ პირის ან დაწესებულების (მომჩივანის) თხოვნით და გადაწყვეტს საქმეს მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მოწვევით. ამ უკანასკნელისაგან უკეთუ იგი გამოცხადდება ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ.

შენიშვნა: ახსნა-განმარტება შეიძლება წარდგენილ იქნეს კომისიაში დაბარების დღისათვის და წერილობითაც.

6. საქმეთა განხილვის წესი სამაზრო და ცენტრალურ საადგილმამულო კომისიებში, მხარეთა წარმომადგენლობა, მოწმეთა და მცოდნე პირთა დაბარება, მათი გასამრჩელო, შედეგები დაბარებულ პირთა გამოუცხადებლობისა და სხვ. განისაზღვრება სათანადო წესებით, რომელიც შემოღებულია საქმეთა განხილვისათვის სახალხო სასამართლოში.

შენიშვნა: საჩივრის თვითეული განცხადება შეფასებულ უნდა იქნეს, ბაჟი გადახდება საჩივრის ფასის 2%-ის რაოდენობისა, ამასთანავე სამაზრო კომისიის უფლება აქვს წარმოადგენილი საბუთების მიხედვით მიაწიკოს მომჩივანს სიღარიბის უფლება.

7. ვადა სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის განისაზღვრება ორი კვირით რეზოლუციის გამოცხადების დღიდან. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს ცენტრალურ საადგილმამულო კომისიაში სამაზრო კომისიის მეშვეობით, რომელსაც

გადაწყვეტილება გამოუტანია; სამაზრო კომისია წარადგენს დასახელებულ საჩივარს, მთელ საქმეს და თავის გადაწყვეტილებას, — საბოლოო ფორმით შედგენილს ცენტრალურ კომისიაში სამი დღის განმავლობაში საჩივრის შეტანის დღიდან. იმავე ვადაზე ცენტრალურ კომისიაში უშუალოდ მიღებული საჩივარი გადაეგზავნება კუთვნილებისამებრ სამაზრო კომისიას, ცენტრალურ კომისიაში წარსადგენად საქმესთან ერთად.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ცენტრალურ საადგილმამულო კომისიას უფლება აქვს დაინიშნოს საქმის განხილვა ადგილობრივ, რისთვისაც მოაწყოთ პერიოდულ სესიებს.

8. ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც განსაზღვრულ ვადაზე განუსაჩივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილმამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი.

9. უმაღლესი ზედამხედველობა კომისიების მოქმედებისათვის მართებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს; უკეთეს ერთი თვის განმავლობაში, დღიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დადგენილებისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი სცნობს, რომ კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საერთო საადგილმამულო პოლიტიკას, იგი გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას და საქმეს გადასცემს სათანადო საადგილმამულო კომისიას კვლავ განსახილველად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“, 1922 წ., № 39, გვ. 2-3.

№ 14

1922 წლის არა უგვიანეს 30 სექტემბრისა. — საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულარი აგრარული რეფორმის ჩასატარებლად მომუშავე მიწისმომელთათვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მომართვით № 5691 1922 წ. 22 აგვისტოს თარიღით გატყობინებთ, რომ საჭიროა, აგრარული რეფორმის ჩასატარებლად, დახმარება მომუშავე მიწისმომელთათვის და სხვა ტექნიკურ პერსონალისათვის ბინის, საქმელ-სასმელის და სატრანსპორტო საშუალებების შოვნაში. შსს კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში ასეთი დახმარების მნიშვნელობას რეფორმების წეროვნად ჩატარებისათვის, კატეგორიულ წინადადებას აძლევს ყველა მის ხელქვეით ორგანოებს აღმოუჩინონ კანონიერ ფარგლებში ყოველგვარი დახმარება აგრარული რეფორმების ჩატა

რების დროს მომუშავე პერსონალს როგორც ბინის და სურსათ-სანოვავის შოვნაში, ისე სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდებით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“, 1922 წ. № 40, გვ. 10.

№ 15

1922 წლის ნოემბრის 13. — სრულიად საქართველოს ცაკის დადგენილება № 20 საადგილმამულო დავათა განხილვის წესის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1922 წლის აგვისტოს 7-ს თარიღით გამოცემული საადგილმამულო დავათა განხილვის წესის დებულების შესაცვლელად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საადგილმამულო დავათა განხილვის წესის შესახებ ამა 1922 წლის აგვისტოს 7-ს თარიღით გამოცემულ დებულების მე-8 მუხლი:

„ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც დადგენილ ვადაზე განუსაზივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილმამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი“, შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ასევე, როგორც დადგენილ ვადაზე განუსაზივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა, სამაზრო საადგილმამულო განყოფილების მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილმამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი“.

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“, 1922 წ., № 44, გვ. 9.

№ 16

1922 წლის ნოემბრის 27. — საქართველოს კ (ბ) პლენუმის დადგენილება საქართველოში მიწის რეფორმის შედეგების შესახებ

1. Признать завершение аграрной реформы в смысле фактического отобрания подлежащих перечислению в государственный земельный фонд и распределению среди трудящихся земли, а, следовательно, ли-

квидацию феодальных пережитков, ударной задачей партии и Советской власти, подлежащей разрешению самым решительным образом к предстоящей весне. Придать этому характер широкой политической компании.

2. В этих целях предоставить местам (уисполкомам) право фактического проведения земельной реформы, осуществляемой через темские и сельские комитеты из беднейшего крестьянства.

3. В этих же целях обновить весь аппарат Наркомзема, призванного руководить и контролировать, а также приостановить и отменить мероприятия мест по проведению земельной реформы, если таковые идут в разрез с общей земельной политикой.

Установить сроки обжалования решений местных комиссий.

4. Законодательные акты по земельной реформе, затрудняющие быстрое осуществление реформы, а равно и циркуляры Наркомзема подобного же рода, отменить, заменив их новыми актами, способствующими и облегчающими быструю ликвидацию пережитков феодального землевладения и проведение революционной реформы.

5. Признать необходимым в начале весны провести «неделю проверки аграрной реформы», с максимальной ответственностью для членов укомов и уисполкомов, у которых фактическая зем. реформа окажется не разрешенной.

6. Новые расходы на оформление аграрной реформы, т. е. на землеров и др. технического персонала, возложить в той или иной форме на население соот[ветствующих] районов, которые заявят желание поскорее закрепить за ними переданную им в пользование землю.

7. Часть сверх нормы так называемых культурных имений частных владельцев по правилу должно предоставляться в арендное пользование товариществам и коммунам из беднейших крестьян.

8. Точно выполнить пункт декрета о земле, предоставляющий право на землю рабочим и служащим особо важных отраслей промышленности и государства. На эк[стрен]ной сессии ЦИК провести отмену наделения земель всех советских служащих.

9. В срочном порядке выбрать закон о землевладении в городах.

10. Наркомзему разработать правила действительной охраны лесов республики.

11. Предложить Наркомзему немедленно освободить крестьян, находящихся в заключении, по обвинению в выступлениях бывших помещиков.

12. Учредить специальную комиссию при ЦК по земельным делам в составе Орахелашвили, Канделаки и Стурua и др. по назначению ЦК.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონ.
14, აღწ. 1, სპ. 2, ფურ. 328. დელაბი.

№ 17

1922 წლის დეკემბრის 1. — აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ანგარიშიდან მიწის ნაციონალიზაციისა და მიწათმოწყობის საქმეში 1922 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ

სოციალისტური მიწათმოწყობა აჭარაში სავესებით ვერ განხორციელდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარეშე წარმოშობილ მიზეზთა გამო (მაგ. პოლიტიკური მოსაზრებანი, ეკონომიურ-სოციალურ-კულტურული ჩამორჩენილობა მცხოვრებთა, თითქმის ფეოდალური სისტემა მიწის სარგებლობისა და მფლობელობისა და სხვა). გარდა ამისა ფრიად საგულისხმო მიზეზს წარმოადგენს ამ მხრივ სახნავ-სათესი მიწის საერთო სიმცირე აჭარაში და ამასთანავე ის გარემოება, რომ მიწის სარგებლობას აქ ხშირად სადავო ხასიათი აქვს, რაც ათასგვარ სიძნელესა ქმნის მიწათმოქმედების საქმეში. ყველა ამ მიზეზთა გამო ვერ იქნა შესაძლებელი სოციალისტური მიწათმოწყობის სავესებით განხორციელება აჭარაში.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა საჭირო იყო, რასაკვირველია, მიწის ნორმათა შემუშავება, საბალახოების განსაზღვრა სოფლებში, მსხვილ მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევა და უმიწაწყლოთათვის დანაწილება და სხვა საამისო მუშაობანი სწარმოებდა განუწყვეტლივ. ამ მუშაობათა შედეგად:

1. აღრიცხულ იქნა მსხვილ მემამულეთა მიწები და ჩამოერთვა ისინი მათ.
2. დაყოფილ იქნა ოლქი ხუთ კატეგორიად მოსავლიანობის მიხედვით და შემუშავდა სახნავ-სათესი მიწათა სასარგებლო ნორმები.
3. დაუნაწილდათ ამისდამიხედვით უმიწაწყლო მცხოვრებლებს მიწები და სხვა...

განზრახული მუშაობანი მიწათმოსაწყობ დარგში უმთავრესად მიღებულ იქნა სახნავ-სათესი კამპანიის წარმოების დროს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა ცენტრალური სახნავ-სათესი კომისია, რომელიც ხელმძღვანელობდა სახნავ-სათესი კამპანიას.

მთელი აჭარა დაყოფილი იქნა ხუთ რაიონად: 1. ხულოს, 2. ქედის, 3. აჭარისწყლის, 4. ბათუმის და 5. კინტრიშის რაიონი.

თვითეულ რაიონში გაიგზავნა განსაკუთრებული რაიონული კომისია. ეს კომისიები მუშაობდნენ შეთანხმებით ადგილობრივ ფუხარა¹ კომიტეტებთან და ადგილობრივ მიწკომებთან. ამ კომისიათა მოვალეობას შეადგენდა საერთო ხელმძღვანელობა ხენა-თესვის კამპანიისათვის და მისი წარმატებით ჩატარება.

ხენა-თესვის კამპანიის პირველ დღედ გამოცხადდა ორი აპრილი და ამ რიცხვიდან დაიწყო შემდეგი მუშაობანი:

1. გაიშალა უფართოესი აგიტაცია ნაადრევ ხენა-თესვის და ურთიერთდაზმარების სასარგებლოდ.

2. გამოცხადებულ იქნა, რათა ყველა სახელოსნო კომუნალურ მეურნეო-

¹ ფუხარა კომიტეტი, ე. ი. ღარიბთა კომიტეტი.

ბისა და ეკონომიური განყოფილებების მაზრებში გამოყენებულ ყოფილიყენენ სასოფლო-სამეურნეო იარაღთა შესაკეთებლად უფასოდ ფუხარათათვის და შე-
ლავთიან ფასებში დანარჩენათათვის.

3. მიღებულ იქნა ზომები, რათა ყველა მთავრობის საწყობებში შენახუ-
ლი სასოფლო-სამეურნეო იარაღი გაგზავნილ ყოფილიყო მაზრებში.

4. მიღებულ იქნა ნაწილობრივ სამეურნეო იარაღთა შესაკეთებლად მიწათ-
მოქმედების სახალხო კომისარიატის ანგარიშზე 500 ფუთი რკინა და 100 ფუთი
ფოლადი.

5. დაიწყო სათესლე მასალების შეძენა და ხალხისათვის მიწოდება.

6. სათესკომებს დაევალია დაუყოვნებლივ გაეტარებინათ ცხოვრებაში აღ-
მასკომებისათვის წინასწარ მიცემული განკარგულება იმის შესახებ, რომ ყვე-
ლა მსხვილ შემამულეს ჩამოერთვას მამულები და დაუნაწილდეს უმიწაწყო
ფუხარა ხალხს. ასეთ შემამულეებს დატოვებული უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ-
დენი მიწა, რამდენსაც ისინი დაამუშავებენ საკუთარი შრომით (მხედველობა-
ში მიღებულ იქნა მათ ოჯახში მუშა ხელის რაოდენობა და საერთო სულადობა).

7. სათესკომებს და სამაზრო აღმასკომებს დაევალიათ განემარტათ ხალხი-
სათვის ის, რომ სასტიკად აკრძალულა მიწების იჯარით გადაცემა და ნაქირა-
ვები შრომით დამუშავება. სათესკომები სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს ამის
ცხოვრებაში გატარებას.

შ ე ნ ი შ ვ ა: მიწების იჯარით გაცემა და ნაქირავები შრომით სარგებლობა
ნებადართულ ექნათ მხოლოდ ქვრივებს, ობლებს, მოხუცებულობით ან სნეუ-
ლებით დაუძღვრებულთ და ინვალიდებს.

8. რაიონულ სათესკომებს მოვალეობად დაეკისრათ საერთოდ, მეტად
მტკიცე ზომების მიღება, რათა მთელ ოლქში არ დატოვებულიყო დაუთესავად
არც ერთი ადგილი სახანავსათესი მიწებისა.

9. ამავე კომისიებს დაევადა ადგილობრივ განხილვა და გადაწყვეტა მიწის
სადავო საკითხებისა, რომელნიც მრავლად გროვდებიან ზენა-თესვის მოახლო-
ებისას კომისარიატში და სხვა.

მიწები დაყოფილია მთელ ოლქში ხუთ კატეგორიად. ამ კატეგორიებზე წეს-
შავებული იქნა შემდეგი ნორმები:

მიწები დაყოფილია მთელ ოლქში ხუთ კატეგორიად. ამ კატეგორიებზე ეწეს-
დება დაახლოებით შემდეგი ნორმები:

1 კატეგორიის მიწები — დესეტინაზე 200 ფუთი მოსავლით (ჭოროხის
ჰალები დაწყებული ორთაბათუმისა და სხვა) ნორმა ოჯახზე
1 დეს. — 2 დეს.

2 კატეგორიის მიწები დესეტინაზე 150 ფუთი მოსავლით (მდინარეთა ჰა-
ლები ზღვის სანაპიროზე კინტრიშის, ჩაქვის და სხვა რაიონებში) ნორმა ოჯახ-
ზე 1 1/2 დეს. — 3 დეს.

3 კატეგორიის მიწები დესეტინაზე 100 ფუთი მოსავლით (მინდვრიანი ად-
გილები მე-2 კატეგორიაში მოყვანილი თემები) ნორმა ოჯახზე 2 დეს.
— 4 დეს.

4 კატეგორიის მიწები დესეტინაზე 80 ფუთი მოსავლით (მაღლობიანი ადგილი ყველა ზემოთ ნაჩვენებ თემებში) ნორმა ოჯახზე 2 $\frac{1}{2}$ დეს. — 4 $\frac{1}{2}$ დეს.

5 კატეგორიის მიწები დესეტინაზე 50-60 ფუთი მოსავლით (მთიანი ადგილები ამავე რაიონებში) ნორმა ოჯახზე 3 $\frac{1}{2}$ დეს. — 5 დეს.
საშუალო ოჯახად ითვლება ოჯახი შემადგენლობით 4 სულიდან 6 სულამდე. თვითეულ ზედმეტ სულზე მიეცემა ზემოთ მოყვანილ ნორმის ერთი მეათელი.

მუშახელად ითვლება ოჯახის წევრი წლოვანების 15 წლიდან 60 წლამდე.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თვითეულ სულზე საჭიროდ მიჩნეულია (ყოველ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ნავთი, ტანსაცმელი, საქონლის შენახვა და სხვ.) — 3 ფუთი სიმინდი.

რაიონულ სათესკომებს დაევალით გამორკვევა ადგილობრივ საჭირო სათესლე მასალათა რაოდენობისა და შემდეგ თვალყურის დევნება ამ მასალის სისწორით დანაწილებისათვის.

მიწოდებულ იყო ხალხისათვის სულ — ხუთი ათას რგაას ოცდა თხუთმეტი (5 835) ფუთი სათესლე სიმინდი.

ჩამოერთვა მემამულეებს კომპანიის წარმოების დროს:

1. კენტრიშის რაიონში — 368 დესეტინა.

2. ჩაქვის „ — 15 „

3. კაპანდიბის „ — 67 „

4. ბათუმის „ — 14 „

სულ — 464 დესეტინა.

ეს მიწები დანაწილდა უმიწაწყლოთა და მცირემიწიანთა შორის შემდეგნაირად:

1. კენტრიშის რაიონში — 323 დესეტინა

2. ჩაქვის რაიონში — 15 „

3. კაპანდიბის „ — 67 „

4. ბათუმის „ — 14 „

სულ — 419 დესეტინა.

დარჩა თავისუფლად უვარგისი მიწები აქ ნაჩვენებიდან სულ — 45 დესეტინა.

გარდა მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწებისა ამ სეზონში ხალხს დაურიგდა კიდევ 102 დესეტინა სახელმწიფო მიწა სხვადასხვა რაიონში.

გარდა ამისა რაიონულმა სათესკომებმა გაარჩიეს და მოაგვარეს ადგილობრივ ზევრი სხვადასხვა ხასიათის დავა მიწის შესახებ.

ერთი სიტყვით, წლევანდელი სახნავ-სათესი კომპანიის ჩატარება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს მოტანილ სარგებელიანობის მიხედვით.

საქართველოს არც ერთ კუთხეში არ ატყდება ხოლმე იმდენი დავა მიწის სარგებლობის ირგვლივ, როგორც აჭარაში. ეს საკითხი აქ ათასგვარ მთავრობათა მიერ წარმოებულ მრავალფეროვან პოლიტიკის მიერ მეტად ბუნდოვანი იყო, საზოგადოდ, მუდამეაჰს და, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ მოგვარებული

არ არის ამქადაც. როგორც იყო ნათქვამი, მიზეზი ამისა აღმოცენებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარეშე და არსებობს, საზოგადოდ, საერთო პირობების გავლენით.

რანაირი სიფართოვითაც არ უნდა წარმოებულყო მიწათმოსაწყობი მუშაობანი, აშკარა იყო ერთი, რომ მიწის სადავო საკითხები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყვნენ და მოგვარებულიყვნენ სათანადო ორგანიზაციის შექმნით. აქამდე ასეთი ორგანიზაცია განსაკუთრებულად არ არსებობდა მრავალ მიზეზთა გამო. სხვათა შორის, ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა იყო ის, რომ კომისარიატი უცდიდა საქართველოსათვის სოციალისტურ მიწის კანონთა შემუშავებას, რომ ასეთი დაედო საფუძვლად მიწის სარგებლობის საკითხის გადაწყვეტისათვის, ხოლო ვინაიდან ასეთი საერთო კანონების განხორციელება აჭარის სინამდვილეში არსებულ განსაკუთრებულ პირობებში დაშვებული არ იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გარეშე მყოფ მიზეზთა გამო, სადავო საკითხები მიწის სარგებლობის ირგვლივ სწყდებოდნენ ყველა ცალკე შემთხვევაში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით და სოციალისტურ მიწათმოწყობასთან ფრთხილი მიახლოებით.

ეს საკითხები წყდებოდნენ წარსულ წელს ცალკე კომისიების მეშვეობით კოლეგიაში. და ბოლოს მიწით სარგებლობის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა აჭარაში საზოგადო მასშტაბით ძლიერ გაქანდებოდა და აშკარა შეიქმნა, რომ ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებელია განსაკუთრებულ ორგანოს შექმნა კომისარიატთან მიწის სადავო საკითხთა გადასაწყვეტად.

თანხმად საქართველოს მთავრობის დეკრეტისა განსაკუთრებულ საადგილმამულო კომისიათა შესახებ — აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა განსაკუთრებული საადგილმამულო კომისია მიწის სადავო საკითხთა გასარჩევად და გადასაჭრელად. კომისიაში გარდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების, შეყვანილ იქნენ: პარტკომის, ცეზბიუროს, და მუშგლეხინის წარმომადგენელნი. თავმჯდომარე და მისი მოადგილე დაინიშნა კოლეგიის მიერ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან. მეორე უმაღლეს ინსტანციათა განსაკუთრებულ საადგილმამულო კომისიისა გამოცხადდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგია, რომელიც საბოლოოდ წყვეტს ამა თუ იმ გასაჩივრებულ საქმეს.

განსაკუთრებულმა საადგილმამულო კომისიამ დაიწყო მუშაობა მიმდინარე წლის ივლისში. ამ ვადიდან დაწყებული კომისიას გარჩეული აქვს 58 საქმე და წარმოებაშია 67 საქმე.

რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თუ რამდენად სარგებლიანია ამ კომისიის დაარსება. აჭარის სინამდვილეში ერთადერთი მთავარი და შესაძლებელი ამოცანა მიწათმოწყობის დარგში სადავო საკითხების რადიკალურად გადაჭრა, სანამ უფრო მტკიცე ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელი გახდება ამ დარგში. ამიტომ ცხადია, რომ ეს კომისია ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურება დღეს და საკვირველიც არ არის, რომ ძველ, ბიუროკრატიულ სასამართლოებში წრიალს დაჩვეული მშრომელი ხალხი სიამოვნებით

გეგმება ასეთ სპეციალურ სასამართლოს არსებობას მიწის სარგებლობის კანონ-
 ზა შემამუშავებელ და ცხოვრებაში გამტარებელ უწყებასთან.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ აჭარაში სამიწათმოქმედო მუშაობანი კო-
 მისარიატის მიერ წარმოებულ იყვნენ ისეთი სიძლიერით, როგორითაც მას ნე-
 ბა ეძლეოდა გარედან და შემდეგ რამდენადაც მას ხელს უწყობდა ზოგიერთი
 ღონისძიებათათვის სახსართა რაოდენობა. გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა
 ამ დარგში გაკეთებულია შემდეგი:

1. მოხდა დათვალიერება აღრიცხვაზე აღებულ საწარმოო ნაკვეთებისა და
 შედგენილ იქნა დეტალური აღწერა თვითეულ ნაკვეთზე გაშენებულ კულტუ-
 რისა (ნარგავთა რაოდენობა, ვარგისიანობა და სხვა).

2. წარმოებულ იყო მოვლა-პატრონობა აღრიცხვაზე მყოფ კულტურულ და
 არაკულტურულ ნაკვეთებისა სივრცით 1127 დესეტინამდე.

3. შესრულებულ იქნა საკმაოდ რთული მუშაობა აჭარის მთელ ტერიტო-
 რიაზე მიწათმოსაწყო სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად.

4. შემუშავდა აჭარის გადამიჯვნის პროექტი (ამ საჭიროებისათვის გამო-
 თხოვნილ იყო 72.000 მანეთი ოქროთი), რის მიუღებლობამაც შეაჩერა გადა-
 მიჯვნის საქმე ამ წელში.

5. განსაკუთრებულ საადგილმამულო კომისიის დაარსებამდე გაირჩა და
 გადაიჭრა 2500-ზე მეტი სადავო საადგილმამულო საქმე.

6. საფონდო კულტურულ-საწარმოო ნაკვეთები გაცემულ იქნა იჯარით.

7. საღალო ნაკვეთები — დანაწილდა მეტ საჭიროების მქონეთა შორის და
 სხვადასხვა.

აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 34, ფურ. 58-61. პირი, საწერ
 მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 18

1922 წლის დეკემბრის 20. — სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალ-
 ლური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება № 27 მიწის კანონთა დარ-
 ლვევის გამო სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომი-
 ტეტი ადგენს:

1. მოქალაქე, რომელიც დაარღვევს 1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ „მი-
 წათმოქმედების დებულების“ მე-15 პუნქტში აღნიშნულ წესებს: გაპყიდის, გაა-
 ზუქებს ან იჯარით გასცემს მისთვის სარგებლობის უფლებით მიცემულ მიწას,
 სასამართლოს წესით პასუხს აგებს ისევე, როგორც მისთვის განსაზღვრულ მიზ-
 ნით ჩაბარებული ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის და დაისჯება იძუ-
 ლებითი მუშაობით ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვით, მი-
 წის სარგებლობის უფლების ჩამორთმევით; ამასთანავე ხელშეკრულება გაბა-
 თილებულ იქნება.

2. მოქალაქე, რომელიც იყიდის, საჩუქრად თუ გირაოდ მიიღებს ან იჯარით აიღებს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიწას, დაისჯება ისევე, როგორც ამავე დანაშაულებრივი მოქმედების მონაწილე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე — ფ. მახარაძე

ორცსა, ფონ. 284, საქ. 1, ფურ. 7. დედანი, სტამბური წესით დაბეჭდილი.

№ 19

1922 წლის დეკემბრის 21. — ამონაწერი აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან № 29 მიწათმოწყობის შესახებ

მოიხსენიეს: აჭარის ასსრ-ში მიწის საკითხის შესახებ.

დაადგინეს: ა) მსხვილ მემამულეთ დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ მიწები, მცირე ნორმის დატოვებით.

ბ) აგრეთვე ჩამოერთვათ მიწები ყველა ისეთ პირებს, რომელნიც თვით არ ამუშავებენ მიწას.

გ) ვისაც დღემდე გლეხებისაგან აუღია ღალა, დასჯილ იქნას რევოლუციურ ტრიბუნალში გადაცემით, შემდეგში ღალის ამლები და მიმცემნიც პასუხისგებაში მიცემულ იქნან და დასჯილი მიწის ჩამორთმევამდე.

დ) გამორკვეულ იქნას ფაქტები ღალის აღებისა და მიცემისა და ასეთები ჩამოერთვას მიმღებს სახელმწიფო ფონდში გადასარიცხავად და შემდეგ ღარიბთათვის დასარიცხებლად.

ე) სანახვ-სათესი მიწის პატრონს, თუ კი მას რაიმე სხვა საცხოვრებელი წყარო აქვს, მიწა ჩამოერთვას.

ვ) ყველა იმ მიწებით, რომელიც ჩამორთმევა სხვადასხვა მიზეზების გამო, დაკმაყოფილებულ იქნან ღარიბი გლეხები პირველ რიგში.

გ) წინადადება მიეცეს სახკომსაბჭოს, ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს მიწის შესახებ სათანადო კანონი, რომელიც საერთო დებულების და კანონების მიხედვით შეეფარდებოდეს აჭარის პირობებს.

აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 9, ფურ. 26-27. პირი, სიწერე მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 20

1923 წლის თებერვლის 4. — ამონაწერი ქობულეთის მაზრისა და თემების აღმასკომების გაერთიანებული სხდომის დადგენილებიდან მაზრაში და თემებში საადგილმამულო კომისიების შექმნისა და მათი ამოცანების შესახებ

სამაზრო მიწის კომიტეტს ევალება დაუყოვნებლივ შექმნას თემებში ქვეკომისიები, სადაც უნდა შედიოდნენ უმიწაწყლონი, მიწის მუშები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხში. დღიდან ქვეკომისიების არსებობისა უნ-

და მოხდეს მემამულეების აღრიცხვაზე აყვანა როგორც ბეგების, ისე შეძლებულ გლეხკაცობისა. სამაზრო კომისიის ევალემა, რაც შეიძლება დაჩქარებით აასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

აქარის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფონ. № 84, აღწ. 1, საქ. 21, ფურ. 32, პირი, საბეჭდო მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 21

1923 წლის მარტის 4. — გაზეთ „კომუნისტის“ სტატია საქართველოში მიწის ნაციონალიზაციის სწორად გატარების მნიშვნელობის შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ამოცანა საქართველოში არის მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება, რაც საშუალებას აძლევს მცირე მიწის მქონე გლეხებს მიიღონ სრული ნორმა, რის მიღების უფლებაც მათ აქვთ.

ეს საჭიროა გლეხთა, თვით რევოლუციის ინტერესებისათვის. თავის რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატს იმედი უნდა ჰქონდეს გლეხების მხრივ დახმარებისა. ეს დახმარება მას შეუძლია მიიღოს იმ მუშაობის შემდეგ, რომლის შესრულება აუცილებელია სოფლად ღარიბ გლეხთა ინტერესების დასაცავად.

მთელი საუკუნეების განმავლობაში გლეხები ამუშავებდნენ მიწას, რომელიც მემამულეებს ეკუთვნოდა. ეს მემამულეები უკანონოდ ითვისებდნენ სოფლის მშრომელთა მიერ დამზადებულ პროდუქტებს.

ასეთი წყობილება დაუშვებელია მუშათა და გლეხთა მთავრობის მართვა-გამგეობის დროს, რომელი მთავრობაც იცავს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელთა ინტერესებს.

მიწით უნდა ისარგებლოს იმან ვინც მას ამუშავებს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მიწა ჩამოერთვა ყველა იმათ, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ემსახურება. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის დადგენილებაში ნათქვამია: „მოხუცებულებს და უძლურებს, ქვრივ-ობლებს, სოფლის მუშაკს, წითელარმიელს და მუშურ-გლეხურ მილიციას რჩებათ სრული ნორმა“.

ეს დადგენილება საკმაოდ არის შეთანხმებული ჩვენ სინამდვილესთან და საკმაოდ გარანტიას აძლევს მცირე მიწის მქონე ღარიბ გლეხს არ იქნეს შელახული მისი უფლება მიწის მფლობელთა მტაცებლობის მხრივ.

ამასთანავე მიღებულია დადგენილება იმის შესახებ, რომ მიწის ნორმა რჩება სოფლის იმ მეურნეს, რომელიც თავისი ხელით ამუშავებს მას.

ჟურნალ „იტალიის სოფლის მეურნეობა“-ში (1963 წ. № 11) პროფ. ჯ. დელმასო წერს, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში მეღვინეობის უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა. „კიდევ მეტი. იგი აღემატება ყველა დანარჩენებს ვენახების ჯიშების სხვადასხვაობით და მათი უმაღლესი ხარისხით; საქართველო ეს ის ქვეყანაა, საიდანაც მევენახეობა გავრცელდა დასავლეთ ევროპაში... საქართველოში 5000-6000 წლის წინათ, ქრისტეს დაბადებამდე მზადდებოდა ჩვენი დღევანდელი ხარისხის ღვინოები“³.

აქად. ი. ჭავჭავაძის გადმოცემით ანტიკურ ეპოქაში მეღვინეობა ჩვენში იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ იგი ქართველი ხალხის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი სამოქმედო დარგი ყოფილა და მას არა მარტო ადგილობ-

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 149.

² ვაზ. „კომუნისტი“, 1962, 14 სექტემბერი.

³ ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, № 3, 17 იანვარი.

რივი მკვიდრი ხალხი მოიხმარდა ფართო მასშტაბით, არამედ დიდი რაოდენობითაც გაჰქონდათ საბერძნეთში.

მცხეთა-სამთავროს, თრიალეთის, ალაზნის ხეობისა და სხვა არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ „საქართველოში უძველესი დროიდანვე ყოფილა გავრცელებული მევენახეობა-მეღვინეობა. ამ გათხრების დროს აღმოჩენილა მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის დამახასიათებელი იარაღები. (მაგ. ვაზის სასხლავი დანები, ყურძნის საწნეხი ქვის გაწყობილობანი (ქურჭლები), ჭურები, ქვევრები, ღვინის დოქები, თასები, ჭინჭილები). ამ ინვენტარის წარმომავლობა თარიღდება ჩვენი ეპოქის პირველი საუკუნეებით, ხოლო მათში უძველესები კი ეკუთვნის ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი, მეორე და მესამე ათასეულ წლებსაც კი“¹.

ის გარემოება, რომ ტყეებში უამრავად მოიპოვებოდა ხეებზე თავისთავად გაშენებული ვაზი, იმით შეიძლება ახსნილიყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ვაზი არსაიდან არ ყოფილა შემოტანილი და იგი იზრდებოდა და ვითარდებოდა ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვაზის ჯიშთა მრავალრიცხოვნობით, ჩვენს რესპუბლიკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. აქ ამჟამად ჩამოყალიბებულია 500-ზე მეტი კულტურული ვაზის ჯიშე; ეს იმ დროს როდესაც მთლიანად საბჭოთა კავშირში გავრცელებულია 1180-მდე ვაზის ჯიში.

თუ გავითვალისწინებთ ტერიტორიულ შესაბამისობას, მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ ვაზის ჯიშთა რაოდენობის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ასე რომ ვაზის „ამ ჯიშთა შექმნა-გამოყვანა მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საუნჯეში ქართველი ერის მიერ შეტანილ ერთ-ერთ დიდ წვლილთაგანია“².

ღვინო, როგორც სასმელი პროდუქტი, ჩვენში იმთავითვე ადამიანის პირად (შინაურ, ოჯახურ) მოხმარების საგანს შეადგენდა, შემდეგ კი, ჯერ ქვეყნის შიგნით ეცვლა-გამოცვლის (ვაჭრობის), ხოლო ბოლოს უცხოეთში გატანისა და ექსპორტის საშუალებადაც გადაიქცა. მაგრამ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ღვინით ვაჭრობას შემოხვევითი ხასიათი ჰქონდა, რადგან მას საფუძვლად ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობა ედგა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში და განსაკუთრებით კი საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდიდან, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობას სავაჭრო ხასიათი მიეცა.

„1830-იან წლებში აქ საბოლოოდ გამოეყენენ სოფლები, ე. ი. უპირატესად წვრილი მწარმოებლების მთელი ჯგუფი, რომლებიც ღვინოს აყენებდნენ გასაყიდად. კიდევ მეტი: კახეთში უკვე 1820-30-იან წლებში ისახება მევენახეობის მსხვილი მეურნეობები, მაგალითად, მამულები ივ. აბხაზისა — კარდანახში, გან-

¹ პროფ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. V, თბ., 1963, გვ. 460.

² ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960, გვ. 2.

საკუთრებით დ. ა. ჭავჭავაძისა — წინანდალსა და მუკუზანში, სადაც წლიურად 150000 ლიტრზე მეტ მაღალხარისხოვან ღვინოებს აყენებდნენ¹. 70-იან წლებში კი იმდენად განვითარდა მევენახეობა-მელვინეობა საქართველოში, რომ ვენახის მთლიანმა ფართობმა 70 ათას ჰექტარს გადააჭარბა, ხოლო ღვინის მოსავალმა — 7,2 მილიონ ვედროს მიაღწია და საქართველოდან რუსეთში გატანის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს სწორედ ღვინო წარმოადგენდა.

მართალია, 70-იან წლებში გურია-სამეგრელოში ვენახის მთლიანი ფართობი (მაღლობი) 16 ათას ჰექტარს აღემატებოდა, (იმერეთში კი 20 ათას ჰექტარი), მაგრამ სავაჭრო ღვინო იმერეთში 10-ჯერ უფრო მეტი მზადდებოდა, ვიდრე გურია-სამეგრელოში. 80-იან წლებში კი მელვინეობა თითქმის მთლიანად ისპობა გურია-სამეგრელოში, რადგან ვაზის სოკოვანმა დაავადებამ (ნაცარი, კრაქი) ერთიანად გაანადგურა აქ, მაღლობზე გაშენებული ვაზი, ხოლო დაბლარი (ნამყენი) ვენახი ამ დროს თითქმის არ არსებობდა. იმერეთის მოსასლეობა კი შეუწელებელი ენერგიით ებრძოდა ვაზის ყველა დაავადებას და სულ ახალი ჯიშის (ნამყენი) ვაზის გაშენებას ცდილობდა. ამ დროს, იმერეთიდან გასაყიდი ღვინო ვაჭორდობდა არა მარტო ქ. თბილისსა და ქუთაისში, არამედ სურამს, ახალციხეს, გორს და თვით გურია-სამეგრელოშიაც. ასე, რომ ღვინო წარმოადგენდა გასაღების ერთადერთ პროდუქტს და გლეხების ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს.

იმერეთის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის საქმეში მეტად დაწინაურდა რაჭა-ლეჩხუმიც.

მთლიანად, 1870 წ. დასავლეთ საქართველოში თუ ვენახის ფართობი შეადგენდა 38364 დეს., 1894 წლისათვის იგი გაიზარდა 45773 დესეტინამდე. ყოველივე ამას დიდად უწყობდა ხელს დასავლეთ საქართველოში რკინიგზების გაყვანა. (1872 წ. ფოთსა და თბილისს შორის, 1877 წ. რიონსა და ქუთაისს, 1883 წ. თბილისსა და ბაქოს, 1887 წ. ქუთაისსა და ტყიბულს, 1894 წ. შორაპან-ჭიათურას, ხაშურ-ბორჯომს, შორის და ა. შ.).

თავის მხრივ კი რკინიგზამ მჭიდროდ დააკავშირა აქაური მხარე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან და მან უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაზე. რკინიგზების გაყვანამ ერთის მხრივ, ბაზარი გაუხსნა საქართველოს რუსეთისა და ევროპისაკენ, მეორეს მხრივ, რუსეთის საქონელს საშუალება მიეცა შემოსულიყო საქართველოში.

მაგრამ ეს არ ითქმებოდა კახეთზე, რადგან რკინიგზების უქონლობა მეტად ამუხრუჭებდა ადგილობრივი ღვინის გასაღების საქმეს და აქ წარმოებული ღვინო ნაკლებად თუ გასიცილებოდა თბილისისა და სხვა ადგილობრივი ქალაქების ბაზრებს.

ასე, რომ კახეთის მევენახეობა-მელვინეობის კრიზისიდან გამოსაყვან ღონისძიებათა შორის პირველ რიგში ყოველთვის სწორედ კახეთის თბილისთან რკინიგზით შეერთების აუცილებლობა იყო წამოყენებული. მაგრამ „კახეთის რკინიგზის პრობლემა, რაც ჯერ კიდევ 70-იან წლებში წამოიჭრა, პრობლემა-

¹ პ. გუგუშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 503.

ვე დარჩა თვით პირველ მსოფლიო ომამდე¹. ე. ი. 1915 წლამდე, როდესაც პირველად გაყვანილ იქნა კახეთში რკინიგზა. კახეთში რკინიგზის გაყვანამ კი დიდად შეუწყო ხელი იქ სავაჭრო მელვინეობის განვითარებას და კახური ღვინოების რუსეთში გატანის საქმეს.

მაგრამ, როგორც ცნობილია პირველ მსოფლიო ომისა და შემდეგ საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში, მთელი სახალხო მეურნეობის დაცემასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუარესდა საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის საქმე.

თუ 1913 წ. ვენახის მთელი ფართობი საქართველოში შეადგენდა 51862 ჰექტარს 1917 წ. იგი დაეცა 37470 ჰ-მდე, 1921 წ. კი 30500 ჰ-მდე. ამავე პერიოდში ღვინის მთელი მოსავალი 11 მილ-ნ ვედროდან (1913 წ) შემცირდა 4,7 მლნ. ვედრომდე 1917 წ — და 2,7 მლნ., ვედრომდე 1921 წ.

მიზეზი, რომელმაც ასე დასცა ჩვენს ქვეყანაში მევენახეობა-მელვინეობა, მდგომარეობდა იმაში, რომ ერთის მხრივ, ქართულ ვაზს მუსარს ავლებდა ისეთი საშინელი მტერი, როგორიც იყო ფილოქსერა (ახალი ვენახების გაშენება კი აღარ ხდებოდა მთელი 7-8 წლის განმავლობაში), ხოლო მეორეს მხრივ, მთლიანად შეწყვეტილი იყო უცხოეთიდან ვაზის შემწამლავი ნივთიერების (შაბიამანი და გოგირდი) პრეპარატებისა და ამერიკული ვაზის (ფილოქსერა გამძლე ვაზის საძირეების) შემოტანა საფრანგეთიდან. აღვილობრივი საღებავებისა და საწებების მდგომარეობა კი სულ უარესობისაკენ მიდიოდა. ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში (1914-1921 წწ) თანდათან გაძნელდა ღვინის რუსეთში გატანა. ღვინის ფასი საგრძნობლად დაეცა, პურისა და სხვა სურსათის ფასებმა კი ზღაპრულად განიცადეს ზრდა.

ყოველივე ამან ერთიანად ხალისი და ინტერესი დაუკარგა ქართველ მევენახე-მელვინე გლეხებს, რათა ინტენსიურად მოეკიდათ ხელი მევენახეობა-მელვინეობისათვის.

ამას დაერთო აგრეთვე მეორე საშინელი ამბავიც, რომელიც დაიწყო იმპერიალისტური ომის პერიოდში და გაგრძელდა მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ პერიოდამდე. ეს ის იყო, რომ გლეხების ერთმა შეუტყუებელმა ნაწილმა დაიწყო ვენახების აჩეხვა და მის ნაცვლად სიმინდისა და სხვა პურეული კულტურების თესვა.

თუ რა კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მევენახეობა-მელვინეობა, ამას ადასტურებს მიწსახკომის სახელზე კახელ მევენახეთა კოოპერაციული გაერთიანების „კავშირთ-კავშირის“ გამგეობის მიერ 1922 წ. 1-ლ აგვისტოს დაწერილი მოხსენებითი ბარათი: „უეჭვო-პეშმარიტებაა, — ნათქვამია მასში — რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთავარ ძარღვს, სასოფლო მეურნეობა შეადგენს, რომელშიაც უმთავრესი დარგი მელვინეობა-მევენახეობაა. უკანასკნელ მსოფლიო ომამდე ეს დარგი ფრიად შემოსავლიანი იყო და ერთადერთი საექსპორტო სოფლის ნაწარმოები ღვინო იყო. გარდა შემოსავლიანობისა, ეს მაღალ

¹ ბ. გუგუშვილი, იქვე, გვ. 529.

კულტურული და კეთილშობილური დარგი სასოფლო მეურნეობისა რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში თანდათანობით ვითარდებოდა და უკანასკნელ წლებში ჩვენი მევენახეობა წარმოადგენდა სრულიად ჩამოყალიბებულ დარგს. ჩვენში ვენახების დამუშავება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის უკეთეს ვენახებს და ვენახების სივრცეც იმდენად მატულობდა, რომ ჩვენი ლარიბი მშრომელი ხალხის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებაში ამ დარგს უნდა დაეკავა უდიდესი ადგილი. მაგრამ უკანასკნელ 7-8 წლის განმავლობაში კალაპოტში ჩამდგარი განვითარება ჩვენი მელვინეობა-მევენახეობისა ძალიან შეირყა და დღეს იგი განიცდის კატასტროფულ მდგომარეობას, ხოლო თუ ამ დარგის სრულიად განადგურებისაგან გადასარჩენად არ იქნა მიღებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი... ეს უძვირფასესი და უძველესი დარგი ჩვენი ხალხის ეკონომიურ აეთილდღეობისა გაპქრება სამუდამოდ¹.

გაითვალისწინა რა მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობა, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მიიღო ყველა ზომა, რათა აღნიშნული დარგი გადაერჩინა განადგურებისაგან.

უმთავრესი ღონისძიებები, რომელნიც აღდგენით პერიოდში საბჭოთა მთავრობამ ჩაატარა საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის აღდგენის საქმეში, მდგომარეობდა შემდეგში: ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ და ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზის მასიურად დანერგვა; ვენახის უზრუნველყოფა შემწვამლავი ნივთიერების და სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებებით; საღებუ-სანერგე მეურნეობის მოწყობა; გლეხებისადმი კრედიტების მიცემა და მათი მევენახეობა-მელვინეობის კოოპერაციულ ამხანაგობებში ჩაბმა; ბრძოლა ღვინოზედ დადებული აქციზისა და მაღალი საარჩევნო ბაჟის წინააღმდეგ; ღვინის სასარდაფო ქსელის გაშლა; ღვინის ქარხნების მწყობარში ჩაყენება და მათი რეკონსტრუქცია; ღვინის ხარისხის გაუმჯობესება; მისი ექსპორტის გაძლიერება, მევენახე-მელვინე კადრების მომზადება და ა. შ.

საქართველოს სსრ მთავრობისა და კერძოდ, მიწსახკომის მიერ 1921-1927 წლებში ჩატარებულ იქნა ქართველ მევენახე-მელვინეების რიგი თათბირები და ყრილობები, სადაც განხილულ იქნა მრავალი საჭირობო საკითხი და დასახული იქნა სათანადო ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული თათბირებისა და ყრილობების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხები.

უკვე 1922 წ. 2 ოქტომბერს საქართველოს მიწსახკომის მიერ წინანდალში ჩატარებული იქნა მევენახე-მელვინეთა სპეციალური თათბირი, რომელმაც განიხილა კახეთის ვენახებში მასიურად გავრცელებული ფილოქსერის საკითხი და სხვა ღონისძიებებთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება რათა იმავე წლის ნოემბერში მოწვეული ყოფილიყო ს. გურჯაანში კახელ მევენახეთა ყრილობა.

მართლაც, 19 ნოემბერს მოწვეული იქნა გურჯაანში კახელ მევენახეთა ყრილობა, ხოლო ყრილობის მოწვევამდე ყრილობის მომწვევემა ბიურომ შემდეგი სიტყვებით მიმართა კახელ მევენახეებს:

„მოქალაქენო, კახელო მევენახენო! ჩვენი ძალა, ჩვენი მეურნეობის მთავარი ძარღვი, ჩვენი დოვლათი არის ღვინო. მისმა მოსავალმა ამ ბოლო დროს შემამჩნევია კლება იწყო და არ გავა რამდენიმე წელიწადი, რომ ეს უმთავრესი დარგი ჩვენი მეურნეობისა — მევენახეობა, სრულიად მოისპობა. ამის მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენს ვენახებს შემოესია საშინელი ვაზის მტერი ფილოქსერა, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს ვენახებს.

ვენახებისათვის შექმნილ ამ საშინელ გარემოებას ანგარიში გაუწია ჩვენმა მთავრობამ და მევენახეთა კავშირებთან ერთად განიზრახა კახელ მევენახეთა ყრილობის მოწვევა, კახეთში, სოფ. გურჯაანში 19 ნოემბერს სათათბიროდ... ჩვენი ვენახების ბედი და არსებობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორეთ აულებთ ალღოს დღეს შექმნილ მდგომარეობას“.

მსგავსი ყრილობა ჩატარებულ იქნა აგრეთვე იმერეთის მევენახეთათვის 1923 წ. 13 აპრილს ქ. ზესტაფონში.

1924 წ. იანვარში ქ. თბილისში მოწვეული იქნა სრულიად საქართველოს მევენახე-მელვინეთა თათბირი, ხოლო მარტში ამიერკავკასიის მევენახე-მელვინე სპეციალისტების ყრილობა. ამ ყრილობამ განიხილა 29 საკითხი (21 მოხსენება და 8 თანამოხსენება), საიდანაც ყველაზე ძირითადი საკითხები დაკავშირებული იყო ფილოქსერასთან ბრძოლის ღონისძიებების გატარებასთან.

ყრილობებზე და თათბირებზე სპეციალისტები მოუწოდებდნენ ქართველ მევენახეებს, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე რაციონალურ ღონისძიებად ჩათვალათ კულტურული ჯიშების მყნობა ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირებზე, რადგან ადგილობრივი ჯიშების ვაზი საქართველოში (ძირითადად კახეთში) თითქმის მთლიანად მობერებული და დაავადებული იყო ფილოქსერით. მიწსახეობის სახალხო მამულების ხელმძღვანელი დ. პ. გედევანიშვილი 1926 წ. პირდაპირ წერდა, რომ ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია უნდა გადაიქცეს პირველი რიგის ამოცანად არა მარტო საქართველოში, არამედ სსრ კავშირის მასშტაბით. და მართლაც, სსრკ სახკომსაბჭომ 1926 წ. 29 ივნისს მიიღო სპეციალური დადგენილება „ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ“, არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაშიც.

აღდგენით პერიოდში მევენახეობა-მელვინეობის მდგომარეობა დამოკიდებული იყო არა მარტო სანერგე-მეურნეობის მოწყობაზედ, არამედ აგრეთვე შემწამლავ ნივთიერებათა შაბიამანის, გოგირდისა და სეტყვის საწინააღმდეგო საშუალების (შესხურების) უზრუნველყოფაზე.

მაგრამ ნორჩ რესპუბლიკას არც ერთი მოეპოვებოდა და არც მეორე. ქვეყნის შიგნით იგი არ იწარმოებოდა და ერთადერთი გზა იმაში იყო, რომ როგორც ამერიკული ვაზის საძირებები, ისე შაბიამანი და გოგირდი, უცხოეთიდან უნდა შემოეტანათ.

უცხოეთის ქვეყნები, ინგლისი და საფრანგეთი, სარგებლობდნენ რა შექმნილი ვითარებით, ხელოვნურად აძვირებდნენ აღნიშნულ მასალების ფასს. ასე,

მაგალითად, 1 ფუთი შაბიამანი მაშინ საფრანგეთში ღირდა 3 მან. საქართველოში კი 8 მან. ფასობდა. შუშხუნების ფასი კი საფრანგეთში თითო ცალზე თუ დადებული იყო 1 მან., საქართველოში იგი უდრიდა 2,5 მან.

ამ პერიოდში ხშირი იყო შემთხვევა როდესაც ერთ ფუთს შაბიამანს სცვლიდნენ 3-6 ფუთ ღვინოზე, გოგირდს 2-3¹/₂ ფუთ ღვინოზე; ეს იმ დროს, როდესაც ომამდე ფუთი შაბიამანი ღირდა 4-4,5 მან., გოგირდი 1,6-1,8 მან., ახლა კი მევენახეები საჭირო მასალებს ღვინის ფულზე გადაყვანით ღებულობდნენ — შაბიამანს 8-12 მანეთად, ხოლო გოგირდს — 4,5-7 მანეთამდე.

აღნიშნული მასალების სიძვირე ახსნილი უნდა ყოფილიყო ერთის მხრივ იმით, რომ უცხოეთში თანდათან გააძვირეს მისი ფასი, მეორეს მხრივ იმით, რომ უცხოეთიდან შემოტანილ მასალებზე ადგილობრივი საბაჟო კომიტეტი ღიდად ზრდიდა საბაჟო გადასახადს.

ასევე ითქმის ამ დროს საქართველოდან რუსეთში გასატან ღვინოების საბაჟო გადასახადებზე, როდესაც სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი ხელოვნურად ზრდიდა ღვინოზე დადებულ ბაჟს და აფერხებდა მის გატანას რესპუბლიკის ფარგლებიდან.

კახელ მელვინეთა გავრთიანება „კავშირთ-კავშირი“, 1922 წ. 1 აგვისტოს წერდა საქართველოს მიწსახკომს, რომ „მელვინეობა შეიქმნა ფისკის მსხვერპლი და თუ ფისკალური საშუალებები არ იქნა შეფარდებული ამ დარგის დღევანდელ ვითარებასთან და შესაძლებლობასთან, მევენახეობა მოისპობა. სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა შორის ერთადერთი ღვინოა, რომ იბეგრება და იმავე დროს მას როგორც არაპირველ მოთხოვნილების საგანს ნაკლები ღირებულება და გასავალი აქვს ყველა სხვა ნაწარმოებთან შედარებით“¹.

ამავე დროს მეტად გადიდებული იყო რკინიგზაზე ღვინის გადასატანი ხარჯები (ფრაქტი) და გაძნელებული იყო ტრანსპორტის ორგანიზაცია. ყველა ეს ზემოაღნიშნული ხარჯები ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც მეტი იყო ვიდრე ეს იყო ომამდე. ღვინის ფასი კი სამაგიეროდ ერთისამად ნაკლები იყო. ასევე შეშინებდა დიდად მოთხოვნილება ღვინოზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად ეხმარებოდა ამ გარემოებას, არა ერთხელ სვამდა საკითხს ამიერკავკასიის და თვით სსრკ საეკონომიკური წინაშე, რომ როგორმე მოეხსნათ ღვინოზე დადებული გადიდებული აქციზი და მაღალი სარკინიგზო ბაჟი, მაინც ვაგრძელდა და გაჰიანურდა ეს საკითხი მთელი 5-6 წლის განმავლობაში და როგორც იყო 1926 წ. მარტში გაუქმებულ იქნა ღვინოზე დადებული მაღალი აქციზი და სარკინიგზო ბაჟი სსრკ მთელ ტერიტორიაზე. ამ გარემოებას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მან, მართლაც, დიდად შეუწყო ხელი მევენახეობა-მელვინეობის შემდგომ განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

როგორც ყველგან და ყოველთვის, მოცემულ პერიოდშიაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოში ღვინის სასარდაფო მეურნეობის მოწყობას და ღვინის გასატან კურობის (კასრები, ბოთლები) უზრუნველყოფის საკით-

¹ იხ. დოკ. № 4.

ხეხს, რადგან ღვინის ნორმალური წარმოება შეუძლებელია მისი ორგანიზაციის გარეშე.

მაგრამ ამ მხრივაც სერიოზული მდგომარეობა იყო შექმნილი რესპუბლიკაში. 1926 წ. მონაცემებით, საქართველოში არსებობდა სულ 25 ღვინის სარდაფი და მარანი. აქედან, სახალხო მამულების ტრესტს გააჩნდა 11 სარდაფი, რომელიც იტევდა 1030 ათას ვედრო ღვინოს, ხოლო კოოპერაციულ გაერთიანებებს ჰქონდა 505 ათასი ვედრო ტევადობის 14 სარდაფი. ყველაზე დიდი ღვინის სარდაფი გააჩნდა წინანდალის მეურნეობას, სადაც ღვინის ტევადობა 450 ათას ვედრომდე აღწევდა. მუკუზნის მეურნეობის სარდაფი იტევდა 200, ნაფარეულისა — 150, ხოლო თბილისის ცენტრალური ღვინის სარდაფი — 100 ათას ვედროს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ღვინით ვაჭრობის საქმე, მთლიანად კერძო ვაჭრების ხელში იმყოფებოდა, მაგრამ სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდშიც ღვინით ვაჭრობის საქმიანობა ძირითადად ისევ კერძო მეღვინეების ხელში ჩაეარდა, მით უმეტეს რომ საქართველოს „რევკომის“ დეკრეტით, (№ 9, 1921 წ. 22 აპრილი) კერძო მოვაჭრეებს ნება ეძლეოდათ ღვინით თავისუფალი ვაჭრობისა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მარტო თბილისში, 1926 წ. არსებულ 659 ღვინის სავაჭრო დაწესებულებიდან, 584 კერძო პირების ხელში იყო მოქცეული, ხოლო დანარჩენი — 75 სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციების ხელში.

1928 წ. 18 აპრილს „საქღვინო“-სა და მუშეობის გამგეობა გულისტვივრით მიმართავდა თბილისის ქალაქის აღმასკომს, რომ ქალაქში არსებობდა 250-მდე ღვინის კერძო სარდაფი და მთელი ღვინის ბაზარი კი „თითქმის კერძო მოვაჭრეთა ხელშია“-ო¹.

მართალია, კოოპერაციული ორგანიზაციები სათანადო კონკურენციას უწევდნენ ღვინით კერძო მოვაჭრეებს, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში მაინც ამ დარგში მათ უმნიშვნელო ადგილი ეკავათ და მხოლოდ პირველი ხუთწლეულის პერიოდში დაიწყო მათი თანდათანო შეზღუდვა და გამოდევნა.

თუ 1928 წ. ბოლოს განსაზოგადოებულ სექტორის (სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა) ხელში იყო მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ვაჭრობის — ქსელის 66,8%, ხოლო კერძო სექტორს ეკავა 33,2%, ხუთწლეულის ბოლოსათვის (1933 წ. 1 იანვარი) განსაზოგადოებულ სექტორის ხვედრითი წონა მთლიანად ვაჭრობის ქსელში უკვე შეადგენდა 96,1%, კერძო სექტორის ხვედრითი წონა კი 4%-საც არ შეადგენდა².

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა პირველმა ხუთწლეულმა. მართალია, პირველი ხუთწლიანი გეგმა არ ითვალისწინებდა ვენახების ფართობების მნიშვნელოვან გადიდებას, მაგრამ სამაგიეროდ მასში ნაგარაუდები იყო არსებული (ძველი, დაბერებული და ფილოქსერით დაავადებული) ვენახების შენაცვლება ახალი ამერიკული ვაზის საძირებზე.

¹ იხ. დოკ. № 22.

² „საბჭოთა საქართველოს 13 წელი“, თბ. 1934, გვ. 96.

თუ ხუთწლეულის დასაწყისში (1928 წ.) ჩვენს რესპუბლიკაში სულ იყო 34983 ჰექტარი ვენახი, ხუთწლეულის განმავლობაში გაშენებული უნდა ყოფილიყო 10758 ჰექტარი ვენახის ახალი ფართობი. მაგრამ იმის გამო, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა ძველი ვენახების წყობილებიდან გამოყვანას, ამიტომ ხუთწლეულის ბოლოს ვენახის საერთო ფართობი აყვანილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ 35305 ჰექტარამდე¹.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებისათვის ხუთწლეულში ნავარაუდევია იყო 3550140 მან., კაპიტალური დაბანდება.

ვენახის გაშენების ტემპი პირველ ხუთწლეულში დამოკიდებული იყო სახე-რგე-სადედე მეურნეობის მოწყობაზე.

თუ ხუთწლეულის დასაწყისში საქართველოში არსებობდა სულ 23 სათბურარი 8,6 მილიონი ცალის გამტარუნარიანობით, ხუთწლეულის ბოლოსათვის სათბურების რიცხვი გადიდებული უნდა ყოფილიყო 52-მდე 25,7 მილიონი ცალი ნამყენი ვაზის გამტარუნარიანობით.

მაგრამ იმის გამო, რომ პირველ ხუთწლეულში ნავარაუდევია ნამყენი არ უზრუნველყოფდა ვენახის გაშენების მოთხოვნილებას, ამიტომ გეგმა ითვალისწინებდა ამერიკული ვაზის კვლავ დიდი რაოდენობით შემოტანას უცხოეთიდან.

პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ყურძნის საპექტარო მოსავლის გადიდებას 39,8 ცენტნერიდან (1928 წ.) 55 ცენტნერამდე (1932 წ. ბოლოს), ყურძნის საერთო მოსავალი კი 160843 ტონიდან უნდა გადიდებულიყო 186123 ტონამდე, ე. ი. ზრდა უნდა მომხდარიყო 15,7%-ი, ყურძნის მოსავლიანობის ზრდის პარალელურად ნავარაუდევია იყო ხუთწლეულში ღვინის წარმოების ზრდა ასევე 15,7%-ით, ასე მაგ., თუ ხუთწლეულის დასაწყისში მიღებული უნდა ყოფილიყო 120633 ტონა ღვინო, ხუთწლეულის ბოლოს იგი უნდა გაზრდილიყო 139593 ტონამდე.

ღვინის საქონლური პროდუქციის ზრდა ხუთწლეულში ნავარაუდევია იყო 38%-ით, ე. ი. 60316 ტონიდან იგი უნდა გადიდებულიყო 88756 ტონამდე. განსაკუთრებით იზრდებოდა ხუთწლეულში ღვინის ექსპორტი. თუ მაგ. 1928 წ. საქართველოდან გატანილი იყო სულ 12654 ტონა ღვინო, 1932 წ. გატანილი უნდა ყოფილიყო 24954 ტონა, ე. ი. ზრდა უნდა მომხდარიყო 97,2%-ით. პირველ ხუთწლეულში აშენებული უნდა ყოფილიყო 10 ღვინის მარანი და 20 სარდაფი, რაზნდაც უნდა დახარჯულიყო 1793500 მან.²

1921-1933 წლებში მთავარი ცენტრი რესპუბლიკაში, რომელიც სათავეში ედგა მევენახეობა-მელვინეობის საქმეს, — ეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იყო, თავისი განყოფილებებითა და ქვეგანყოფილებებით (მევენახეობა-მელვინეობის, სახალხო მამულების განყოფილება, სახალხო მამულების ტრესტი).

1929 წ. 2 იანვარს მოხდა სახალხო მამულების ტრესტის რეორგანიზაცია და მას შეუერთდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო-

¹ იხ. დოკ. № 23.

² იხ. დოკ. № 18.

ში შემავალი სპირტ-კონიაკის ტრესტი („საქ. სახსპირტი“), რომლის ბაზაზედაც წარმოიშვა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტი. („სამტრესტი“) ამ უკანასკნელმა, შემდგომ მთლიანად აიღო ხელში რესპუბლიკის მევენახეობა-მეღვინეობის საქმიანობა გეგმიურ საწყისებზე და სათანადოდ გაშალა თავისი მუშაობა. მაგრამ „სამტრესტის“ ჩამოყალიბებამდე საქართველოში არსებობდა მრავალი მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერატიული გაერთიანებები და ამხანაგობები, რომლებიც უშუალოდ მისდევდნენ ამ საქმიანობას. ასეთი საზოგადოებები იყო: „წარმოკავშირი“, „კავშირთ კავშირი“, „საერო“, „იმერეთი“. „იმედი“, „ვახის მეგობარი“, „უნიონი“, „საქღვინო“ და ა. შ.

ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე მძლავრი მეღვინეობის გაერთიანება იყო „საქართველოს ღვინო“, რომელიც ჩამოყალიბდა 1925 წ. 12 სექტემბერს და რომელიც 1932 წლისათვის თავის აქტივში უკვე 16 მილიონ მანეთს ითვლიდა.

აღსანიშნავია, რომ ხუთწლიანი გეგმა ღვინის წარმოების საქმეში არ იქნა შესრულებული მთლიანად საქართველოში, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა, როგორც „საქღვინომ“ ისე „სამტრესტმა“, მნიშვნელოვნად გადააჭარბეს. ასე, მაგ., 1928-29 წელს „საქღვინოს“ უნდა დაემზადებია რესპუბლიკაში სულ 700 ათასი ვედრო ღვინო. (ყურძნის ღვინოზე გადაყვანის ჩათვლით), ფაქტიურად კი მან დაამზადა 791 ათასი ვედრო. მომდევნო 1929-30 წწ. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 1045 ათასი ვედრისა, დამზადებული იქნა 1400 ათასი ვედრო ღვინო.

რაც შეეხება „სამტრესტს“, 1928-29 წ. მას უნდა დაემზადებია 200 ათასი ვედრო ღვინო, ფაქტიურად კი მან დაამზადა 720 ათასი ვედრო. მომდევნო წელს კი 970 ათასი ვედრო ღვინის ნაცვლად დაამზადა 976 ათასი ვედრო. მიიღო რა მხედველობაში საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ ის გარემოება, რომ ეს ორი დიდი მეღვინეობის ორგანიზაცია ემსახურებოდა ერთ და იგივე მიზანს, ე. ი. რესპუბლიკაში მეღვინეობის სოციალისტურ საწყისებზე მოწყობის საქმეს, მიზანშეწონილად ჩათვალა მათი ერთად გაერთიანება და 1932 წლის აპრილში გაშობა საბჭოთაური დადგენილება პირველის („საქღვინო“) მეორე ორგანიზაციაში („სამტრესტი“) გაერთიანების შესახებ.

ამიერიდან „სამტრესტმა“ მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მთელი შესაძლებლობით გაშალა თავისი მეურნეობრივი მოღვაწეობა შემდგომში.

მართალია, პირველ ხუთწლედში დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული მევენახეობის აღდგენა-განვითარების მხრივ საქართველოში, მაგრამ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ აღვლილი ჰქონდა მაიხც ამ დარგის შეუფასებლობას, ზაზედაც საბართლიანად მიუთითებდა საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ძირითადად შეისწავლა მევენახეობაში არსებული ნაკლოვანებები და დასახა ღონისძიებანი მისი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

მევენახეობაში არსებული ნაკლოვანებანი ამ პერიოდში მდგომარეობდა შემდეგში:

1. მევენახეობის ძირითად რაიონებში ფართობი ვენახის ნაცვლად დაკავებული ჰქონდა ისეთ კულტურებს, როგორიცაა: სოია, ბამბა, კანაფი და სხვ. ასე, მაგ. 1933 წ. ყვარელში გაშენებული იყო 1000 ჰექტარი კანაფი, სიღნაღის რაიონში ბამბას ეკავა 8200 ჰექტარი, ზესტაფონის რაიონში სოიას ეკავა 1500 ჰექტარი ფართობი და ა. შ.;

2. ღვინის შესყიდვის ფასი მეტად დაბალი იყო (ვედრო 7 მან.);

3. ისეთი პროდუქცია, როგორიცაა ჩაი, შაქრის ჭარხალი და სხვა, საქონლიანდებოდა პურითა და მანუფაქტურით, მაგრამ ყურძენი და ღვინო ამ უბიარატესობას მოკლებული იყო;

4. ადგილი ჰქონდა ვენახებისა და სადედეების უხეირო მოვლა-პატრონობას, რის შედეგადაც მეტად დაბალი იყო მოსავლიანობა.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1933 წ. 4 ნოემბერს, ხოლო მიწსახკომმა 29 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება აღნიშნულ დარგში არსებული ნაკლოვანების ძირეულად გამოსწორების მიზნით, კერძოდ:

1. 1934 წლიდან აკრძალულ იქნა მევენახეობის ძირითად რაიონებში კანაფისა და სოიას თესვა;

2. 1934 წ. კახეთში შემცირდა, ხოლო შემდეგ მთლიანად შეწყდა ბამბის თესვა;

3. გაიზარდა ღვინის დამზადების ფასი 7 მანეთიდან 12 მანეთამდე ვედროზე;

4. შემოღებულ იქნა ღვინისა და ყურძნის დამზადების დასაქონლიანება პურითა და მანუფაქტურით;

5. ამერაქული ვაზის სადედეების ფართობი 340 ჰექტარიდან გადიდებული უნდა ყოფილიყო 800 ჰექტარამდე;

6. უკვე 1934 წ. ჩატარებული უნდა ყოფილიყო ვაზის მყნობა 1500 ჰექტარ ფართობზე და დამზადებულიყო 10,4 მილიონი ცალი სანამყენე მასალა;

7. მაქსიმალურად გამოყენებულიყო ადგილებზე არსებული ნაკელი ვაზის სანერგეებში შესატანად¹ და ა. შ.

და მართლაც აღნიშნულ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებამ ნამდვილად უზრუნველყო მევენახეობისა და მელვინეობის შემდგომი განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში.

* * *

ქვემოთ მოტანილ საარჩევო საბუთებსა და მასალებში ასახულია მევენახეობა-მელვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში 1921-1933 წწ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია სულ 29 საბუთი. მასალები დალაგებულია ქრონოლოგიურად.

¹ იხ. დოკ. № 27, 29.



დოკუმენტებში მოცემული ზოგიერთი ციფრობრივი მასალა მომზადებულია კრიტიკულ მიდგომას.

აღნიშნული საბუთები დაცულია ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

გარდა აღნიშნული საარქივო მასალებისა, პუბლიკაციაში წარმოდგენილია გაზეთ „კომუნისტ“-ში გამოქვეყნებული ერთი (№ 22) დოკუმენტი.

№ 1

1921 წლის მაისის 9. — დებულება საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობისა და კონიაკ-სპირტული მრეწველობის შესახებ, მიღებული საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ

Разведение виноградников

Виноградарство и виноделие есть одна из высших и преобладающих культур сельскохозяйственной индустрии Грузии и находится в ведении комиссариата наркомзема. Комиссариат наркомзема оказывает всемерное содействие развитию виноградарства и виноделия, для чего открывает специальные школы, опытные показательные станции по данной отрасли производства, устраивает питомники американских лоз, создает агрономическую помощь для населения, обзаводится лечебными материалами, аппаратами, снабжают ими садовладельцев и т. д.

Производство виноградных вин

Виноградное вино производится садовладельцами, товариществами садовладельцев и производственными кооперативами данной отрасли производства. В целях улучшения производства вина Комиссариат земледелия содействует объединению на местах виноградарей и виноделов в производственные кооперативы, финансируя их для устройства общих винодельческих заведений и подвалов по выделке и выдержке вина улучшенным способом под руководством специалистов. В городах, выдержка вина происходит исключительно в погребах, производственных кооперативах и товариществ-садовладельцев, только им предоставляется право приобретения в селениях вина для выдержки у частных лиц—садовладельцев и у местных кооперативов.

Продажа вина

Продажа вина на потребление производится товариществами садовладельцев, производственными и распределительными кооперативами свободно, в запечатанной посуде. Продажа вина допускается также и в столовых, исключительно общественных, в минимальном количестве. Вывоз виноградных вин за границу среди экспортных товаров Грузии должен занимать почетное место, для чего комиссариат наркомзема в

частных виноделиях содействует европизации вина и развивает заготовку государственных вин, увеличивает число государственных виноделен и подвалов и закупая виноград и сусло у частных лиц. Вывоз за границу вин производится через Внешторг.

Разработка правил по охране производства виноградных вин и преследование фальсификации его лежит всецело на обязанности комиссариата наркомзема.

Производство коньячного спирта

Производство коньячного спирта и коньяка предоставляется и частным лицам. Правила по устройству коньячных заводов и выкурке коньячного спирта и контроль над производством его вырабатываются ВСНХ Грузии.

Выдержка коньячного спирта

Выкуренный коньячный спирт выдерживается при коньячных заводах и в самостоятельных складах, открываемых исключительно в городах. Отпуск коньяка на внутренний рынок допускается исключительно для медицинской надобности. На внешний же рынок через Внешторг — по положениям, выработанным для внешней торговли.

Спиртовая монополия

Продажа и покупка спирта составляет монополию государства, а потому весь спирт, каковой только окажется на территории Грузии, объявляется собственностью казны, а владельцы удовлетворяются ВСНХ.

Выкурка виноградного спирта

Выкурка виноградного и фруктового спирта в деревнях свободна. Невыкуренный спирт немедленно сдается в ВСНХ. Условия приема спирта вырабатываются ВСНХ.

Выкуренный в деревнях виноградный спирт после ректификации его на ректификационных заводах сначала поступает на нужды виноделия для подкрепления слабых вин, экспортируемых за границу. Излишек же вместе с очищенным фруктовым спиртом отпускается на медицинские и технические нужды.

Спирт, выкуренный из хлебных злаков, картофеля и свеклы на двух винокуренных заводах: Абастуманском, Зугдидском уезде и Гомийском, при ст. Гоми, вывозится через Внешторг за границу, причем предварительно удовлетворяется потребность государства.

Винокурение в других местах, кроме как из отбросов виноделия и фруктов, воспрещается.

№ 2

1922 წლის ივნისის 6. — საქართველოს სსრ მიწსახკომის სპეციალისტის კ. ბერეჟაშვილის მოხსენება საქართველოს მიწსახკომისადმი ღვინის დაყენების, შენახვისა და გაყიდვის დარგში წესრიგის დამყარების შესახებ

ღვინის დაყენებას, შენახვას და გაყიდვას თავისი წესრიგი აქვს და ეს კარგა ხანია დაკანონებულია ევროპაში. დაკანონებული იყო ის რუსეთში 1914 წ. 24 აპრილის კანონით ღვინოზე და იგივე კანონი ტარდებოდა ცხოვრებაში საქართველოშიც. ჩვენ ცხოვრებასთან შეფარდებით ამ კანონს შეიძლება ცოტა რამ ნაკლიც ჰქონდა და ღვინის დაყენების, შენახვის და გაყიდვის წესრიგს სრულიად ვერ იფარავდა, მარა სულ არაარაობას მაინც სჯობდა. იყვნენ დაყენებული სპეციალისტები-მეღვინეები აგენტებად და იაინი ანაორცალებდნენ კანონს და ამის საჭიროებას ცხოვრება აღსტურებდა, რადგან ღვინის დაყენების, შენახვის და გაყიდვის საქმე შედარებით ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა.

1914 წ. 24 აპრილის კანონი ღვინოზე გაუქმებული არ არის სათანადო კანონიერი აქტით, მაგრამ ფაქტიურად მიტოვებულია 1919 წ. აქეთ. ხოლო ღვინოზე გადასახადები კი დიდია დადებული: სააქციზო უწყება ვედრო ღვინოზე იღებს 32 ათას მანეთს¹, გრადუს ღვინის ალკოჰოლზე არის დადებული 10 000 მან. სასურსათო კომისარიატი რუსეთში გასაგზავნ ღვინოზე იღებს 25 პროცენტს ნა-ტურით. მევენახეებს ვენახების სივრცის მიხედვით ახდევინებენ ღვინის რაოდენობას და სხვა გადასახადებიც აწევს ღვინოს. ყველა ეს მევენახეობას და მეღვინეობას არა თუ განავითარებს, არამედ უკან დასწევს და დასცემს თუ ამ გადასახადებთან ერთად სათანადო კულტურული მუშაობა და ღვინის ბუნებრივობა არ დავიცავით, რადგან ფალსიფიკაცია უაღრესი მტერია მევენახეობისა და მეღვინეობისგან ვითარებისა. და მართლაც, უკვე შემჩნეულია, რომ საქართველოში ვენახების სივრცე არ ფართოვდება; ისეთ რაიონშიც კი როგორც არის კახეთი, არის მაგალითები ვენახების გაყავისა. ვენახები ნადგურდება ფილოქსერიდან და მაგიერი არ ირგება. ამასთან. გავრცელებულია ღვინის ფალსიფიკაცია და ეს გარემოება ძირს უთხრის ჩვენს მევენახეობას და ამავე დროს მომხმარებლის ორგანიზმს ჰვნებს. ღვინო ინახება ქალაქებად მრავალ ალაგებში უსუფთაოდ. ადამიანის ორგანიზმისათვის მხოლოდ მაშინ არის მარგებელი ღვინო, როცა ის გაკეთებულია ყურძნის ტყბილიდან, სათანადო მოვლილია და ჯანმრთელობისათვის გარეშე მავნე ელემენტები არ ურევია, ღვინის სუროვატები იმ ელემენტების შეპადგენლობით, რაც ახლა ბაზარზეა გავრცელებული, შხამავს და სწამლავს ადამიანს, რასაც უნდა მიექცეს უმეპეოდ ყურადღება.

მიწათმოქმედების კომისარიატი, რომელიც დარაჯათ უდგას მევენახეობის და მეღვინეობის განვითარების საქმეს. აღნიშნულ მოვლენას ვერ დასტოვებს უყურადღებოთ და თუ ჯერჯერობით ვერ მოასწრო საქმის მოწესრიგება, ამის ერთადერთი მიზეზია ნივთიერი უსახსრობა. მაგრამ ფინანსთა და სასურსათო კო-

¹ ბონის კურსით (ა. ს.).

მისარიატები, რომლებიც იღებენ ღვინოზე გადასახადებს სხვადასხვა სახით, სა-
აქციზო უწყება იღებს აქციზს დაახლოებით ორ მილიონს ვედრო ღვინოზე, რაც
შეადგენს შემოსავალს დაახლოებით (2000000 მილ.×32000) 64 მილიარ-
დამდის; სასურსათო კომისარიატმა შეკრიბა ღვინო მევენახეობიდან დაახლოე-
ბით 30 000 ვედრომდის, რაც შეადგენს ფულად დაახლოებით (150 000
მან.×30000) ოთხ მილიარდზე მეტს. ამას რომ დაუმატოთ შემოსავალი ღვინის
ალკოჰოლიდან (ერთ გრადუსზე 10 000 მან.) და სხვა ხარჯები ღვინოზე, სა-
ხელმწიფო იღებს ღვინოდან მრავალ მილიარდებს. ასე, რომ ჩვენის აზრით სრუ-
ლიად სამართლიანი იქნებოდა თუ ღვინოზე კანონის განხორციელების ხარჯები
დაიფარება აღნიშნული კომისარიატების შემოსავლიდან.

ამისათვის დროული იქნება:

1. საქართველოში ღვინოზე ახალი კანონის შემუშავების და დამტკიცებამ-
დის ტარდებოდეს ცხოვრებაში 1914 წ. 24 აპრილის კანონი ღვინოზე.

2. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ფინანსთა და სასურ-
სათო კომისარიატების ღვინის შეჯოსავლის თანხებიდან ეძლეოდეს მიწათმოქ-
მელების კომისარიატს საშუალება, რომ მან შესძლოს ღვინოზედ არსებული კა-
ნონის ცხოვრებაში გატარება და ამგვარად ხელი შეუწყოს მევენახეობას და
მელვინეობას.

სპეც. კ. ბერეკაშვილი

ორცა, ფონ. 288, საქ. 541, ფურ. 66. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 3

1922 წლის ივლისის 30. — საქართველოს სსრ მიწსახკომის მევენახეობა-

მელვინეობის განყოფილების ინსპექტორის ა. ეგოროვის მოხსენება

მიწსახკომისადმი მელვინეობის მდგომარეობის შესახებ

Наркомзему ССР Грузии винодельческое хозяйство перешло от Ми-
нистерства земледелия Д. Р. Г.¹, которое получило его в наследство от
удельного ведомства и расширило за счет присоединения нескольких част-
новладельческих имений.

Винодельческое хозяйство можно разбить на две части:

- 1) на винодельческие имения, производящие вино и
- 2) на виноторговое предприятие.

I. Имения следующие:

1. Мукузани
2. Цинандали
3. Напареули
4. Карданахи
5. Манави
6. Карталинское
7. Вачеви
8. Отчасти Сакарская винодельческая станция с именем Аргвети
9. Варцixe

¹ До революционной Грузии.

11. Виноторговое предприятие представлено 4 подвалами: Тифлисским, Цинандалским, Карталинским, Варцихским и бондарным заведением в Цинандалах. Торговый аппарат сосредоточен в Тифлисском виноскладе, откуда идет главная торговля вином, исключительно разлитым в бутылки.

Девять винодельческих имений вырабатывают вино, поступающее в эти 4 винохранилища, где оно выдерживается и подготавливается к выпуску. Молодое вино из виноделен Цинандалского, Напареульского и Мукузанского имений поступает в Цинандалский подвал, откуда уже в возрасте 1, 2, 3-х лет перевозится в Тифлисский подвал, или отпускается покупателям непосредственно в бочках. Из Карданахского и Манавского имений вино поступает в Тифлисский склад. Вино Карданахского имения выдерживается в подвале имения, откуда реализуется непосредственно или пересылается для сего в Тифлисский склад.

Сеть имений Имеретии: Вачеви, Сакарская винодельческая станция с имением Аргвети и имение Варцихское составляют как-бы автономное предприятие; вино из них сосредотачивается в подвале Варцихского имения, откуда поступает на рынок в Кутаиси и Батуми. В этом имении кроме выделок столового вина, сосредоточено шампанское дело и коньячное производство. Все вино этих имений теоретически находится на учете виноторгового предприятия, которое само входит в подотдел народных имений. Сами имения также подчиняются этому же подотделу, кроме Сакарской винодельческой станции с имением Аргвети и Карталинского имения и новые учреждения находятся в ведении подотделов опытного виноградарства и виноделия. В последнем подотделе находятся Чумлакский, Кондольский и Агаянский питомники американских лоз и Икалтинское имение. Теоретически вино из этих 4-х учреждений также поступает в распоряжение виноторгового предприятия. Для единства работы и в чисто хозяйственных интересах считал бы полезным для дела сосредоточить все эти учреждения в одном подотделе народных имений.

Привожу список имений с указанием плодоносящих десятии виноградинок урожая этого года и среднего урожая на одну десятину:

Название имений	Площадь вино-град.	Урожай 1921 года в пудах	Средний урожай на 1 десятину
Цинандали	103	24656	239
Мукузани	111	2121	130
Напареули	94	1700	Забито градом
Карданахи	33	2362	
Манави	32	7386	
Вачеви	18	1484	
Варцихе	23	5217	186
Карталинское	71	7670	108
Сакарск. с имен. Аргвети	14	2596	185
Чумлакский питомник	2	Ок. 550	275
Кондольский	2,5	Ок. 500	200
Агаянский	2 1/4	Ок. 600	296
Икалто	10	Ок. 1300	130

Нижне привожу урожай за ряд лет. Верхняя цифра показывает урожай в пудах винограда, нижняя — площадь в десятинах виноградников.

Год	Цицкаძე	Мукузани	Напарული	Картალია	Варцხე	Вачე	Карлаиси	Манаи
1908	51432 100	63245 128	45964 116	446343	—	—	841537	—
1909	37007	38899	4 265	426547	—	—	1925	—
1910	53122	60775	27712	434723	—	—	122440	—
1911	44089	48252 126	25651	341057	—	361512	3849	—
1912	30211	48850 122	18640	605231	—	2300	146	—
1913	46089	51500 118	10256	1127838	—	8115	5489	—
1914	23500	4 690	18101	980652	—	3000	4922	—
1915	13300	24521 110	3700	745662	—	253	2063	—
1916	4272	24301	5090	1088085	—	600	1881	—
1917	16775	2 000	67 5 100	494580	—	166015	2292	—
1918	19000	21322 111	12064 82	475761	—	140017	3506	—
1919	13414 103	10011	9454	4056	85828	51220	3412	1559 32
1920	19935	20400	Град	2880	5190	150517	3230	4664
1921	24636	26020	1736	767071	5217	1484	339233	7386

Исследуя эти цифры, замечаем падение урожая с 1914 года. Объясняется это влиянием военного времени и затем революции. Обработка виноградников ухудшалась. Сначала не могли достать рабочие руки, мобилизованные в армию, затем люди вернулись, но не хватало денежных средств. В первые годы войны не было в достаточном количестве лечебных средств и урожай погибал от болезней.

Град начал выбивать виноградники: мортирная сеть отжила свой век, градобойных ракет получить во время в достаточном количестве не могли. В результате виноградники ослабли, кусты развиваются слабо. Удобрения виноградники с 1913 года не получают. Урожай падает. К этому же надо прибавить развитие филлоксеры.

Восстановить плодоносящую силу садов уже нельзя, но все же надо стараться отстоять виноградники от дальнейшего истощения.

Итак резюмирую: С 1914 года обработка сильно упала из-за отсутствия рабочих рук и недостатка лошадей, мобилизованных на войну. В Напарули, Карталинском имении прекратилась и сократилась поливка виноградников из-за той же нехватки рабочих рук. Ухудшилось лечение виноградников из-за той же нехватки работников, а также нехватки и плохого качества лечебных материалов. Недостача денежных знаков мешала правильной жизни имений. Не заготовлялись фураж для скота, лошади обессиливались и к работе не годились. Не было денег для

сезонных самых необходимых работ, но такого денежного кризиса, как сейчас, никогда еще не бывало.

В своем донесении в подотдел Нарим¹ за № 102 от 25 июля я доложил, что положение в имениях катастрофическое. Задолженность, например, Цинандальского нарима равна 661 миллиону, Напареульского — 772 мил., Мукузанского — 475 мил., всего 1908 миллионов. Главная часть этого долга падает на уплату жалования постоянным рабочим и служащим, которые еще недополучили содержания за май и июнь месяцы. Кроме того, не оплачены списки поденных рабочих на сумму чуть ли не на 400 миллионов. Если эти долги не будут оплачены, рабочие разойдутся и собрать урожай не удастся; это серьезное обстоятельство должно быть учтено и должны быть приняты все меры к оплате возможно скорей всех долгов, а также к снабжению имений деньгами к предстоящему виноделению.

Все хозяйство Варцихского имения зиждется на покупке винограда, который перерабатывается на Персадской винодельне в вино. Часть этого вина должна быть перегнана в коньячный спирт.

В 1918—1919 гг. было куплено по 14 тысяч пудов винограда, в 1920 и 1921 гг., из-за отсутствия средств, ничего не покупали. Необходимо в этом году получить средства на покупку 20 тысяч пудов винограда, на что понадобится, считая по 50 тысяч пуд винограда, один миллиард рублей.

Кроме Варцихского имения, покупку винограда желательно было бы наладить и в других нарим вообще и в Кахетии в частности. Наши винодельни могут принимать в 2—3 раза больше винограда, чем дают в настоящее время виноградники имений, и жалко, что эти технические оборудования остаются без применения. В коммерческом отношении такая покупка была бы очень выгодна. Остановка за деньгами. Их едва ли можно ожидать для этой цели.

В Варцихском имении оказалось много вина в бочках, годного под разлив шампанского. К сожалению, нет у нас специалиста, знакомого с тиражом шампанского. На очереди стоит вопрос приглашения такого на службу. Лучше всего иметь француза.

В имении имеется помощник специалиста, знающий все работы, кроме тиража, а потому имение может только выпускать в продажу старой заготовки шампанское, разливать же и пополнять запасы не может.

Запасы коньячного спирта не пополнялись 2 года, так как не было закупки винограда, о чем см. ниже.

В Варцихском и Вачевском имениях большая часть площади виноградников засажена шампанскими сортами, дающими очень малые урожаи. Таким образом, для Вачеви 82 пуда с десятины следует считать несколько ниже среднего урожая, для других же урожай в 186 пудов очень хороший.

Во всех почти имениях посажены преимущественно местные сорта, которые в общем дают хорошие вина, плодоносят больше иностранных.

Карталинское имение в своем виноградном хозяйстве допустило

¹ Нарим — народное имение.

много ошибок, вследствие которых урожаи получаются ничтожные. Много десятин вырублено и еще, по-видимому, предстоит сделать с частью насаждений то же самое.

Напареульское имение выбито было дважды градом в 1920 году и даже в 1921-м году урожая почти там не было. Виноградники так сильно истощены плохой обработкой, а главное тем, что один из бывших виноградарей вздумал было отучать лозу, привыкшую к поливке, от этой последней. Кусты ослабели и уже много куртин из таких погибающих виноградников упразднено.

На очереди всюду стоит закладка новых виноградников, для чего в первую очередь необходимо устроить во всех имениях маточники американцев. Работы в этом направлении уже начаты, в предстоящую осень и зиму будут продолжены и, когда жизнь войдет в нормальную колею, недостатка в денежных средствах не будет ощущаться, можно будет приступить, располагая подвойным материалом, к закладке новых виноградников на американских подвоях. Уже сейчас мы имеем несколько десятин молодых посадок, идущих очень хорошо в Цинандальском и Мукузанском имениях, высаженных в 1917, 1918, 1920, 1921 и 1922 годах.

Для всех винодельческих имений составлены материалы для организационных планов комиссией, в составе коей и агрономы С. П. Тимофеев и А. Х. Роллова. Нет таковых для Кондольского, Агайянского питомников и имения Икалто.

В некоторых имениях может вестись только виноградное хозяйство, как-то: Цинандали, Карданахи, Сакарская станция, Вачеви, питомники. В некоторых же имеются площади для полевых культур, хозяйство на которых должно быть подсобным. Таковы имения Мукузанское, Манави, Варцixe, Карталинское, Напареульское: причем последнее должно обслуживать, кроме себя, и Цинандали.

В настоящее время эти подсобные отрасли хозяйства развиты слабо, так как теперешние условия безденежья мешают развитию их. В будущем же, конечно, они должны поддерживать имения, согласно соглашениям, высказанным в организационных планах. Заведенное в прошлом году в Напареули животноводство ликвидировано, кроме свиноводства, но и это последнее умирает естественной смертью.

Подвальное хозяйство по тем же денежным затруднениям должно было отказаться от прежних погребных методов работы с вином, его очисткой и прочее, но все же уровень ухода за вином стоит настолько высоко, что мы за годы революции имеем исключительное вино в кахетинских нарим урожая 1917 года, отличное белое 1918 года, прекрасное красное 1918 и 1921 гг.

Тифвинсклад накапливал и должен впредь накапливать научно-опытный материал для изучения вина сортов винограда Грузии.

Каждый год в начале его определяется количество всего вина во всех винохранилищах Наркомзема и одна трехполовинная часть этого количества назначается на этот год в продажу. Так в текущем году было назначено 75 тысяч ведер вина в продажу, 40 тысяч бутылок шампанского и 34 тысячи бутылок коньяка. Пока норма эта не перейдена, но уже можно предвидеть, что вина будет выпущено больше, чем было на-

значено и желательно. Вообще должен отметить, что этого количества продуктов хватило бы для жизни всех нарим и других хозяйств винодельческого хозяйства Наркомзема и сверх того значительный процент был бы передан, как чистая прибыль, Наркомзему. К сожалению, товар отпущался и теперь еще отпускается в кредит и наши совхозы гибнут от безденежья. Такой порядок хозяйничанья должен быть изменен. Раньше торговлей вином руководил подотдел народных имений и дело шло неплохо. Теперь передана продажа вновь учрежденному Торговому подотделу Наркомзема и это средостенке ничего хорошего не вносит, а только осложняет простое дело и вызывает накладные расходы. Странно, что во время сокращения штатов учреждается новый многолюдный подотдел, без которого раньше Наркомзем отлично обходился. Опыт Министерства земледелия при меньшевиках, казалось бы, должен был показать нежизненность данного учреждения, нашему винодельческому делу оно пользы не принесло.

До меня дошли разговоры, что предполагается изъять из подвалов нарим Наркомзема 50 000 ведер вина и продать их без обращения доходов от этой операции на народные имения, а также есть предположение продать нашу коллекцию вин из Тифвинсклада. Если это осуществится, будет нанесен непоправимый удар винодельческому хозяйству Наркомзема. Урожай в этом году, ввиду климатических особенностей лета, ожидается малый и уменьшение резерва вина уменьшит и так небольшое количество вина, которое можно будет в 1923 году предназначить к реализации.

Стройная система хозяйства, установленная еще бывшим уделным ведомством, будет нарушена, равновесие утеряно и нашим имениям уже невозможно будет стоять на своих ногах, как до сих пор это было. Продажу же наших коллекционных вин можно приравнять к продаже картинных галлерей, библиотек и проч. Коллекция вин в Тифвинскладе имеет государственное значение и должна охраняться всеми и каждым. Грузия — страна винодельческая, сохранение и образование винных коллекций имеет огромное значение в деле изучения вин и понимания дальнейшего направления работ в этой серьезной отрасли сельского хозяйства страны. Полагаю, что этих двух актов удастся избежать и не будет разрушено винодельческое хозяйство Наркомзема ССР Грузии и его гордость — винная библиотека будет сохранена.

Инспектор виноградарства и виноделия А. Егоров.

ორცხა, ფონ. 288, საქ. 541, ფურ. 155-158. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 4

1922 წლის აგვისტოს 1. — კახელ მევენახეთა გაერთიანების — „კავშირთ-კავშირის“ გამგეობის მოხსენება საქართველოს სსრ მიწსახოკომისადმი, საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის კატასტროფიული მდგომარეობის შესახებ

უეჭვო პეშმარიტებაა, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთავარ ძარღვს სასოფლო მეურნეობა შეადგენს, რომელშიაც უმთავრესი დარგი მელ-

ვინეობა-მევენახეობაა. უკანასკნელ მსოფლიო ომამდე ეს დარგი ფრიად შემოსავლიანი იყო და ერთადერთი საექსპორტო სოფლის ნაწარმოები ღვინო იყო. გარდა შემოსავლიანობისა ეს მაღალ კულტურული და კეთილშობილური დარგი სასოფლო მეურნეობისა. რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში თანდათანობით ვითარდებოდა და უკანასკნელ წლებში ჩვენი მევენახეობა წარმოადგენდა სრულიად ჩამოყალიბებულ დარგს სასოფლო მეურნეობისას ვაზის საუკეთესო ჯიშებით და ევროპულ ვანტაჟულ ღვინოებთან მოქიშვე მაღალი ღირსების ღვინოებით. ჩვენი ვენახების დამუშავება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის უკეთეს ვენახებს და ვენახების სივრცეც იმდენად მატულობდა, რომ ჩვენი ღარიბი მშრომელი ხალხის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებაში ამ დარგს უნდა დაეკავებინა უდიდესი ადგილი. მაგრამ უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში კალაპოტში ჩამდგარი განვითარება ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობისა ძირიანად შეირყა და დღეს იგი განიცდის კატასტროფულ მდგომარეობას, ხოლო თუ ამ დარგის სრულიად განადგურებისაგან გადასარჩენად არ იქმნა მიღებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, სულ ორი სამი წლის განმავლობაში ეს უძვირფასესი და უძველესი დარგი ჩვენი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა გაჰქრება საშუალოდ. და თუ რა ზარალი მოუვა მევენახეობის გაუქმებით ჩვენს ღარიბ რესპუბლიკის მეურნეობას შეგვიძლიან გავითვალისწინოთ თუნდ შემდეგი ციფრებით:

ა) საქართველოში ვენახების სივრცე აღემატება 50 000 ღესეტინას და იგი ჰკვებავს გარდა უცხო დაქირავებულ მუშისა 95 000 მეკომურ მევენახეს ანუ არა ნაკლებ ნახევარ მილიონ მცხოვრებლებისა, რომელთაც ლუკმა გაუწყდებით მისი მოსპობით; ბ) ღესეტინა ვენახის შემოსავალი ნორმალურ დროისა უდრიდა არა ნაკლებ 5-8 ღესეტინა ნახნავი მიწის შემოსავალს და მაშასადამე თუ 50 000 ღესეტინა ვენახი გაუქმდება მის ნაცვლად ვენახის მუშა უნდა დაკმაყოფილდეს 250 000—400 000 ღესეტინა ნახნავით, რაც შეუძლებელია ჩვენში ვარგისი სახნავი მიწების სიმცირის გამო, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტი წილი სავენახე მიწებისა თითქმის სულ უფარგისია სახნავად; გ) ვენახი მოითხოვს მთელი წლის განმავლობაში მრავალ მუშახელს და მაშასადამე მისი გაუქმება შექმნის რამდენიმე ათი ათას უმუშევარს, რაც ისედაც გაღარიბებულ სახალხო მეურნეობას გააჩანავებს; დ) დაგვეკარგება ერთადერთი საექსპორტო (რუსეთისათვის) საქონელი — ღვინო, რადგან ჩვენი პურეულობით საზღვარგარეთის და თუნდ რუსეთის ბაზარზედ გასვლა სრულიად უაზრო იქნებოდა; ე) სახელმწიფოს მოესპობა ყოველწლიური შემოსავალი: 1) ძველად არსებული გადასახადი ვენახზედ 40 მანეთამდე (ოქროს ფულით) საშუალოა, ღესეტინაზედ 2 მილ. მან.. 2) შემოსავლის კვალობაზედ არსებული გადასახადი, 3) აქციზი და ახლოებით 3-4 მილ., ვედრო ღვინოზედ (ვედროზედ 1,60 მან., ანუ 5-6 მილ. მან.), 4) ქალაქის პატენტი და სხვა გადასახადები, 5) ჰაჰიდგან ყოველ წლიურად გა-

მოხდომი 6—7 მილ., გრადუს სპირტზედ (არაყი) შემოსავალა — და ყოველივე ამის ანაზღაურება სახელმწიფოს არც ერთი სხვა სამეურნეო დარგით არ შეუძლია.

ვიდრე აღვნიშნავდეთ დარგის გადასარჩენ შესაფერ ღონისძიებებს, საჭიროა შესწავლილ იქმნას ის მიზეზები, რომელთაც წარმოშვეს არსებული მდგომარეობა მევენახეობისა.

მიზეზები მრავალია როგორც ისტორიული, ბუნებრივი და ამრიგად ჩვენგან დამოუკიდებელი, აგრეთვე ხელოვნური ანუ შედეგი წარმოებულ შეუფერებელ ეკონომიურ პოლიტიკისა.

მელღენეობა-მევენახეობის დაქვეითება ჩვენში პირველად აღინიშნება მსოფლიო ომის დაწყებით 1914 წელს, როდესაც, ერთის მხრით, ღვინის ვაჭრობის აკრძალვამ, სობლევულობის გაძვირებამ, მობილიზაციის გამო მუშახელის შემცირებამ და მეორეს მხრივ, საწაშლებელ¹ მაშალათა სიმცირემ და სიძვირემ მევენახეობის განვითარება სრულიად შეაჩერეს, მოსავალი თანდათან შემცირდა და ვენახების სივრცესაც თანდათან მომატების მაგიერ კლება დაეწყო. სეტყვა-სთან საბრძოლველი საშუალებები ძველად შემოდებული თანდათან უფარვისნი ხდებოდა და ახალიც აღარაფერი შემოდის და სეტყვა ანადგურებს ყოველ წლივ მრავალ ვენახებს. ზომ არ არსებობენ დასეტყვისაგან დამზღვევი ორგანიზაცია, არც საურთიერთო და არც სახელმწიფო.

ღვინის ვაჭრობის შემავიწროებელი ზომები იწვევენ მის ფალსიფიკაციის გავრცელებას ღვინის კანონი ფიქტად რჩება, რადგან აღარ არის დაწესებულება, რომელიც მის შესრულებას ზედამხედველობდა.

ერთადერთი ბაზარი ჩვენი ღვინისა რუსეთი, წლებადღამდე სულ დახშული იყო შეიდი წლის განმავლობაში და ჩვენი ღვინო ჩაკეტილი საკუთარ ვაჭრო საზღვრებში ებრძვის განჯა-ერევნიდან მოწოლილ იაფფასიან ღვინოებს. ყველა ეს გაერმოება რა თქმა უნდა მელღენეობის წარმოებას მეტად უსარფოდ ხდის და მევენახე რჩეობს ვაზი გაჭაფოს და მის ნაცვლად პური და სიმინდი დათესოს. ამ დროებითი ხასიათის მიზეზებს ერთვის ვაზის საშინელი მტერის — ფილოქსერის გავრცელება კახეთში, რომელმაც უკანასკნელ წლებში კახეთის ვენახების არა ნაკლები 15 პროც. (3—4 ათასი დესეტინა) იმსვერპლა და ესლაც ისეთი სისწრაფით ვრცელდება, რომ სულ 4—5 წლის განმავლობაში იგი კახეთის მთელ ვენახებს გაანადგურებს. ვენახების აღდგენა ამეროკულ ვაზის ნამყენზედ კი მეტად ნელა და თითქმის უმნიშვნელოდ სწარმოებს. მთელ კახეთში ამრიგად გაშენებულ ვენახების სივრცე არ აღემატება 50 — 60 დესეტინას და ყოველწლიურად დამზადებულ ნამყენით შეიძლება აღდგენილ იქმნას 5—8 დესეტინა (ორი სახელმწიფო სანერგის — კონდოლის და ჩუმლაყის საშუალებით) მაშინ, როდესაც ყოველწლიურად ფილოქსერა 2—3 ათას დესეტინას აფუჭებს.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მენშევიკური მთავრობის მიწის რეფორმის განხორციელებამაც, რომელიც შეეხო აგრეთვე კულტურულ ნაკვეთებს და მათ

¹ უნდა იყოს შემწამლავი.

შორის ვენახებსაც, ხელი შეუწყო ვენახების სივრცის შემცირებას, რადგან ფაქტობრივად აღმოჩნდა, რომ ვენახების დიდი ნაწილი მთელი ვენახები (ნორმის ზევით რაც აღმოჩნდა) მოუვლელობით განადგურდა და დღეს თითქმის ყველა (700-მდე დესეტინა) სახანავად არის ქცეული.

ყველა ზემოაღნიშნული მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწავს მევენახეობის კრიზისის შექმნას ჩვენში ასე ვსთქვათ ისტორიული აუცილებლობის შედეგია, რომელთა გამოსწორებაც ისევ მეთოდური და ხანგრძლივი საქმიანობით შეიძლება მხოლოდ. მაგრამ ის შემავიწროებელი ეკონომიური პოლიტიკა კი, რომელიც დღეს არის გამეფებული მთელი რუსეთის და, კერძოდ კი ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, და რომელმაც სრულიად ჩააღრმავა მელვინეობა-მევენახეობა, უქადის დიდ უზედურებას ჩვენი ქვეყნის უმთავრეს დარგს მეურნეობისას და აუცილებელია სახელმწიფოს მიერ სწრაფი და რადიკალური ღონისძიებათა მიღება შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად.

მელვინეობა შეიქმნა ფისკის მსხვერპლი და თუ ფისკალური საშუალებები არ იქმნა შეფარდებული ამ დარგის დღევანდელ ვითარებასთან და შესაძლებლობასთან, მევენახეობა მოისპობა. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა შორის ერთადერთი ღვინოა, რომ იბეგრება და იმავე დროს მას, როგორც არა პირველ მოთხოვნილების საგანს ნაკლები ღირებულება და გასავალი აქვს ყველა სხვა ნაწარმთან შედარებით. მასზედ დაწესებულია:

1) სადესეტინო გადასახადი მიუხედავად მოსავლის რაოდენობისა, უმეტეს შემთხვევაში დაახლოებით მოსავლის 10 პროც., 2) აქციზი, 3) პატენტი, 4) სარდაფების საიჯარო მეტად დიდი და აუტანელი ქირა, 5) ღვინით ვაჭრობის უფლებაზედ მეტად დიდი გადასახადი ქალაქის მიერ გასტრონომიულ მაღაზიებზედ და რესტორანებზედ (რესტორანი იძულებულია ამ ღირებულების დასაფარავად ღვინოს დაადოს 200 და 300 პროც. თვით ღირებულებისა), 6) სხვადასხვა მოულოდნელი გადასახადები (სანიტარული და სხვა) და 7) რაც ყველაზედ მძიმე ტვირთია—რკინიგზის ფრახტი და მეტად გაძნელებული ტრანსპორტის ორგანიზაცია: ყველა ზემოაღნიშნული ხარჯები ზოგი სულ ახალია და ზოგი კი (გარდა აქციზისა) ორჯერ-სამჯერ და ოთხჯერ მეტია ვიდრე ომის წინა დროისა, მაშინ როდესაც ღვინოს ფასი და მასზედ მოთხოვნილება ერთიორად და ერთიამად ნაკლებია ვიდრე მშვიდობიან დროს (ვედრო ღვინის ღირებულება უდრიდა ორი ფუთი პურის და ნახევარ ფუთი შაბიამნის ღირებულებას, მაშინ როდესაც ესლა იგი უდრის ნახევარ ფუთი პურის და ხუთი გირვანქა შაბიამნის ღირებულებას).

ამ გარემოებამ აიძულა ღვინის მომხმარებელი სრულიად გვერდი აეხვია ათეული წლობით შექმნილ ღვინის სავაჭრო აპარატისათვის, რომელიც თვითღირებულებას ერთისამათ აძვირებს და მიემართა სრულიად ახალ, კერძო მოვაჭრეებს, რომელთაც ყოველ მატარებელზედ კახეთიდან თბილისში, ხოლო შორაპან-სვირიდან ბათუმში, ჩააქვთ წვრილი ჭურჭლით ათასობით ვედრო ღვინო, ყოველივე ფრახტი, აქციზის, სატრაქტურო გადასახადის, პატენტის და სხვა ხარჯების გადაუხდელოდ, რაც იძლევა 120—150 ათას მანეთს განსხვავებას ვედ-

როზედ. ამრიგად, სახელმწიფო და საქალაქო გადასახადი მთელი თავის სიმძიმით აწევება ღვინით სავაჭრო აპარატს, რომელიც მას ვერ უძლებს და თანდათან ისპობა, ხოლო ღვინო ახალი გზით მიდის მომხმარებელთან, ე. ი. შინაურ ბაზარზედ.

რაც შეეხება გარეულ ბაზარს, იქ კიდევ სრულიად გამოუსავალი მდგომარეობაა შექმნილი: ერთადერთი ბაზარი ღვინისა რუსეთია, მიუხედავად იმისა, რომ იქ ღვინის გაყიდვა ნებადართულია და თვით სახელმწიფო განაგებს ამ საქმეს, მაგრამ საშინელი ფრაზტის (რომელიც ღვინის ღირებულებას ერთით-ჯერ სჭარბობს), უფრო საშინელი აქციზის (ღვინის ღირებულებას ერთიექვსად სჭარბობს), გაძნელებული ტრანსპორტის და სასურსათო კომისარიატის მიერ გასატან ღვინოზედ დაწესებულ ნატურით 15—25 პროც. გადასახადის მეოხებით, ღვინო რუსეთში სულ არ მიდის და კარზედ მომდგარი მოსავალი არ იცის გლეხმა სად ჩაასხას, რადგან ჭურჭელი ძველი მოსავლით აქვს სავსე. ღვინის გატანას კი ვეღარავინ ბედავს.

რუსეთში ასეთი უზომო აქციზის (ვედროზედ 16 მილიონი მან. და მეტი) დაწესება მოასწავებს იქ ღვინის შეტანის სრულიად აკრძალვას...

ამიერკავკასიის ფედერაციულმა საბჭომ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და აღძრას მოსკოვის წინაშე საკითხი აქციზის სრულიად მოხსნისა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ყოველივე ჩვეულებრივ რიგს და საშუალებებს გარეშე სრულიად განსაკუთრებული და სასწრაფო ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული მთავრობის მიერ შექმნილ მდგომარეობის გამოსაბრუნებლად და კატასტროფიდან თავის დასაღწევად, რომელთა გამოწახვა უნდა იყოს მოწოდებული კომისარიატმა — როგორც დაწესებულებამ, რომელიც მოწოდებულია სოფლის მეურნეობის და მწარმოებელთა ინტერესების დასაცავად.

საჭირო ზომები გაიყოფიან ორ ნაწილად. პირველი რომელთა განხორციელება სათანადო უწყებებში უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ მიწათმოქმედების კომისარიატის საშუალებით, ხოლო პარალელურად ამავე კომისარიატთან, მეღვინეობა-მევენახეობის გარეშე მოწოდებულ საჭირობორტო საკითხების გამოსარკვევად და გასაძლოად უნდა დაიწყოს სისტემატური და მეთოდური მუშაობა ამისათვის განსაკუთრებულად შექმნილ ორგანოში.

პირველ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა დაუყოვნებლივ:

1. მიემართოს საქართველოს სახალხო კომისარიატს საბჭოს საშუალებით ფედერაციულ საბჭოს, რათა მან აღძრას მოსკოვის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ღვინოზედ აქციზის სრულიად მოხსნის შესახებ.

2. აღძრას შუამდგომლობა „სოვენარკომის“¹ საშუალებით რკინიგზის წინაშე, რათა გადასინჯულ იქმნას ტარიფები ფრაზტისა და გადასინჯვამდე კი ღვინის ფრაზტი იანგარიშონ მეორე კატეგორიით, ე. ი. იმ ტვირთებთან შეფარდებით, რომელნიც იტვირთებიან ვაგონში 500 ფუთზედ ზევით — ვინაიდან ყოველად

¹ სახკომსაბჭო.

შეუძლებელია ვაგონში ჩაიტვირთოს ღვინო 480 ფუთზედ მეტი რაც ფრახტს თითქმის ერთნახევრად აძვირებს (ეხლანდელი ფრახტი ოქროს ვალიუტით რომ ვიანგარიშით სჭარბობს მშვიდობიან დროისას 3—6-მდე).

3. მიეცეს წინადადება „ნარკომპროდს“¹, რომ მან შესწყვიტოს რუსეთში გასატან ღვინოებზედ 15—25 პროც. გადასდევინება ნატურით — რაზედაც მას ფორმალური უფლებაც არა აქვს.

4. აღიძრას ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე საკითხი რათა შემსუბუქდეს გადასახადები: ა) საიჯარო-სარდაფებზედ — რომელიც უნდა გამოყოფილი იქნეს განსაკუთრებულ კატეგორიაში საერთო საწყობებიდან: ვინაიდან ღვინოს — საწყობების მხოლოდ 20—25 პროც. უჭირავს და ამას გარდა იგი [ღვინო] ინახება სარდაფებში ხშირად რამოდენიმე წელიწადი, — სხვა საქონელი კი ზოგჯერ თვეში რამდენჯერმე გადატრიალდება, ბ) სატრაქტურო და ღვინის ვაჭრობის უფლების მოწყობებზედ — გასტრონომიულ მაღაზიების და რესტორანებისთვის.

5. მიეცეს წინადადება ვისაც ჯერ-ჯერს რომ სასტიკად აეკრძალოთ მომსახურე პირებს და კერძო მოვაჭრეებს ფარულად ტიკებით ღვინის და არყის ზიდვა უფრახტოდ და უაქციზოდ როგორც რკინიგზით, ისე ურმებით.

კოოპერატიულ ორგანიზაციების თავისუფალი ვაჭრობის უფლება ჰქონდეს რუსეთში.

ხოლო რაც შეეხება ყველა სხვა საკითხებს მელვინეობა-მევენახეობისას ამათ გასაძლოად ჩვენის აზრით საჭიროა შეიქმნას მიწათმოქმედების კომისარიატთან ნაცვლად მელვინეობა-მევენახეობის ქვეგანყოფილებისა თუ სექციისა, მელვინეობა-მევენახეობის კომიტეტი, რომლის სტურუქტურის და დებულების პროექტს აქვე ვარდგენთ.

ამ კომიტეტის არსებობა ვფიქრობთ აუცილებელია და ბევრს შემატებს ჩვენს დაქცეულ მევენახეობას, ხოლო თუ მისი არსებობა გამოიწვევს ხარჯს ჩვენ ვფიქრობთ მევენახეებს აქვთ უფლება მოითხოვონ რომ იმ თანხებიდან, რომელნიც სახელმწიფოს სალაროში შედიან ამ დარგიდან (მარტო 2 მილიონი ვედრო ღვინის აქციზი — ვედროზედ 32 ათასი მანეთი — 64 მილიარდ მანეთს უდრის) მცირეოდენი ნაწილი მაინც მოხმარდეს თვით ამ დარგის გაუმჯობესებაზედ ზრუნვას.

კახელ მევენახეთა გაერთიანების „კავშირთ-კავშირის“ თავმჯდომარე².

ორტსა, ფონ. 288, საქ. 541, ფურ. 71—74, პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

¹ სასურსათო კომისარიატი.

² საბუთს ხელრთვა არა აქვს.

№ 5

1922 წლის სექტემბრის 22. — იმერეთის მევენახეთა კოოპერაციული საზოგადოება „იმერეთი“-ს გამგეობის მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ კოოპერაციულ სამმართველოსადმი ანანოვის ყოფილი სარდაფის მათ განკარგულებაში გადაცემის შესახებ

ამა წლის 1 სექტემბრიდან ქალაქ ზესტაფონში შედგა და მოქმედებს იმერეთის მევენახეთა კოოპერაციული საზოგადოება „იმერეთი“, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია კოოპერაციულ სამმართველოს მიერ ამა წლის 3 სექტემბრის თარიღით.

საზოგადოებას უკვე ჰყავს ირგვლივ შემოკრებილი ასი (100) მევენახე-მეღვინე, რომელნიც განსაკუთრებულ ხელშეკრულებით ვალდებულნი არიან „იმერეთის“ წესდებით მათზე დაკისრებული მოვალეობანი აღასრულონ პირნათლად და უცვლელად.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიური აღორძინებისათვის ასეთ საზოგადოების დაარსებას და ამუშავებას, ამაზე ჩვენ გვგონია, ყველას გარკვეული წარმოდგენა აქვს და ამათ ჩამოთვლას აქ აღარ შეუღლებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მევენახეთა საზოგადოების საშუალებით, იმერეთის მევენახეთა ბაზარს ჰპოვეს ევროპის და აზიის მთავარ სავაჭრო ცენტრებში, და ჩვენი გლეხი მევენახე კი აუცილებლივ ხდება როგორც მწარმოებელი, ისე მრეწველი და ვაჭარიც თავის ნაწარმოებისათვის.

ასეთი მიზნითაა სწორედ აღჭურვილი ახალი მევენახეობის საზოგადოება „იმერეთი“, ასეთია მისი მთავარი სამოქმედო ხაზი.

ცხადია, თანამედროვე ეკონომიურ პირობებში ასეთი დიდი საქმის მოგვარება შეუძლებელია თუ მას მხარში არ ამოუდგა საქართველოს სოციალისტური მთავრობა და არ გაუწია კიდეც შესაფერი მფარველობა. დახმარება კი — უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს ამ საზოგადოების ტექნიკურ საქმეების მოგვარებაზე ხელის შეწყობაში.

მთავრობას კარგად მოეხსენება, რომ ქ. ზესტაფონში კაი ხანია რაც არსებობს ყოფილი მემამულის ანანოვის ღვინის დასაყენებელი, ევროპულ გეგმაზე მოწყობილი სარდაფი. აღნიშნული სარდაფი, საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამყარების დროს, გადაეცა კლთვნილებისამებრ შორაანის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებას, მაგრამ იმ პირობით კი, რომ თუ მაზრაში, მევენახეთა საზოგადოება დაარსდებოდა, სარდაფი უნდა გადაბარებოდა აუცილებლივ მევენახეთა საზოგადოებას. ამ დადგენილებას (რომლის ოქმიც ალბათ ინახება მიწათმოქმედების განყოფილებაში) დაესწრო თვით მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი, ცნობილი მეღვინე ბერეკაშვილი, რომელიც აუცილებლივ დაადასტურებს ზემოაღნიშნულ დადგენილების სინამდვილეს.

ზემოაღნიშნული გარემოება ჩვენ საბუთს გვაძლევდა გვეფიქრა, (და ეს უფრო გვაძლევდა კიდეც გამბედაობას ასეთი დიდი საქმისათვის მოგვეკიდა ხელი) რომ საზოგადოების დაარსებისთანავე ანანოვის ყოფილი ქარხანა გადავიდოდა

მევენახეთა საზოგადოების ხელში, და ამით შეგვიწყობდა კიდევ ადგილობრივი მთავრობა ხელს მიგვეღწია დანიშნულებისათვის, მაგრამ შორაპნის მაზრის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ სარდაფის გადმოცემაზე უარი გვიპასუხა იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივი მთავრობა თვით აპირებს ამ სარდაფის ექსპლუატაციას საოჯახო წესით.

ამის საწინააღმდეგო არავის არ შეუძლიან ჰქონდეს რამე, მაგრამ ჩვენ გვაშინებს წარსული წლების მაგალითები, როდესაც ამ ქარხანაში მხოლოდ და მხოლოდ ათასი ფუთი ღვინო გადამუშავდა მიწათმოქმედების განყოფილების (შაბიამანსა და გოგირდში აღებულ ყურძნიდან) და ორი ათას ფუთამდე პროდუქტის¹ ღვინოები გამოხდილ იქმნა კონიაკის სპირტად (პროდუქტის ღვინოთა წილს გვგონია გაუქმებულია). ქარხანაში კი დამუშავება შეიძლება 60 000 ვედრო ღვინის ნაწარმისა.

ასეთია სინამდვილე. ყოველ შემთხვევაში ასეთი მცირე სამუშაოსათვის ამოდენა ქარხნის გაცდენა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, მით უფრო, რომ ახალი მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოებას შეუძლიან თავის თავზე მიიღოს ყველა ამ პროდუქტების უფასოთ გადამუშავება, რომელსაც შეიძენენ შორაპნის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილება და აღმასკომი.

ამიტომ მევენახეთა კოოპერაციული საზოგადოება თავის მხრივ იძლევა შემდეგ პირობებს, თუ სარდაფი იქნება დაუყოვნებლივ გადაცემული მევენახეთა საზოგადოება „იმერეთზე“:

1) იმერეთის მევენახეთა საზოგადოება „იმერეთი“ იკისრებს ყოველგვარ ღვინის პროდუქტების დამუშავებას, რასაც შეიძენს შორაპნის მაზრის აღმასკომი იმ რაოდენობით, რამდენიც აღნიშნულმა დაწესებულებამ გადამუშავა წარსულ წლებში და ამ დამუშავებულ ნაწარმოებს აბარებს იგი აღმასკომს ყოველსავე ხარჯ-გაუღებლივ.

2) ან და წმინდა მოგების 10 პროცენტს (ან და მთელი პაის მეთედს) გადასცემს მთავრობას ადგილობრივ ხელისუფლების სახით და ამ თანხებს ყოველწლიურად შეიტანს „იმერეთი“ აღმასკომის სალაროში.

მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს სსსრ კოოპერაციულ სამმართველოს გთხოვთ რათა დაგვეხმაროთ ამ საქმის დადებით გადაწყვეტაში და აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერ არს რათა ანანოვის ყოფილი სარდაფი გადმოეცეს ახლად დაარსებულ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოებას „იმერეთს“, რომლის დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი ცეკავშირთან ერთად იყო სწორედ კოოპერატივთა სამმართველოს გამგეობაც.

იმერეთის მევენახეთა კოოპერაციული საზოგადოების „იმერეთის“ გამგეობის თავმჯდომარე (ხელის მოწერა).

ორცა, ფონ. 288, საქ. 541, ფურ. 85—86, პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

¹ სასურსათო გადასახადი.

№ 6

1922 წლის ოქტომბრის 2. — კახელ მევენახეთა ყრილობის მომწვევი ბიუროს მიმართვა კახელ მევენახეებისადმი

მოქალაქენო, კახელო მევენახენო! ჩვენი ძალა, ჩვენი მეურნეობის მთავარი ძარღვი, ჩვენი დოვლათი არის ღვინო. მისმა მოსავალმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად კლება იწყო და არ გავა რამდენიმე წელიწადი, რომ ეს უმთავრესი ღარგი ჩვენი მეურნეობისა — მევენახეობა სრულიად მოისპობა. ამის მიზეზი არის ის, რომ რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენს ვენახებს შემოესია საშინელი ვაზის მტერი ფილოქსერა, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს ვენახებს, — ახმობს ვაზს. შუაგულ კახეთში საუკეთესო ვენახები, სახელდობრ გრძელ მინდორში, ახალშენში, კურდღელაურში, წინანდალში, რუისპირში, ნაფარელში, ვეჯინში და სხვა, კიდევ ბევრ ალაგას მოსპობის გზაზე დააყენა.

ეჭვი არ უნდა დაგვებადოს, რომ ასეთივე ბედი მოელის მთელ ჩვენს ვენახებს თუ საჩქარო ზომებს არ მივმართავთ უბედურების თავიდან აპაცილებლად და ვენახების ამერიკულ ვაზზედ ნაყენებით განაზღუბას.

ვენახებისათვის შექმნილ ამ საშინელ გარემოებას ანგარიში გაუწია ჩვენმა მთავრობამ და მევენახეთა კავშირებთან ერთად განიზრახა კახელ მევენახეთა ყრილობის მოწვევა კახეთში, სოფ. გურჯაანში 19 ნოემბერს, სათათბიროდ, თუ რა ზომებია საჭირო ამთავითვე იყოს მიღებული და რა გეგმა უნდა იყოს განხორციელებული.

მოქალაქენო! მოვექცეთ ამ ყრილობას მეტი სიფხიზლით, მეტი ენერგიით, მეტი დაკვირვებით და ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ვენახების ბედი და არსებობა დამოკიდებული იქნება იმაზედ, თუ რამდენად სწორედ აუღებთ ალღოს დღეს შექმნილ მდგომარეობას.

უნდა გახსოვდეთ, რომ ამ საქმის მოგვარება მარტო მთავრობას არ შეუძლიან თუ თვითონ მევენახეები არ შეიგნებენ საფრთხეს და საკუთარი ძაღლით არ ჩაეშვლებიან მთავრობას საერთო მტერთან ბრძოლაში. საჭიროა მევენახენი მჭიდროთ შეკავშირდნენ, გამოიჩინონ დიდი უნარი და მიწათმოქმედებას კომისარიატის დახმარებით და ხელმძღვანელობით დაიხსნან კახეთის ვენახები განადგურებისაგან.

მევენახეებო! დაესწარით ყრილობას, გადაარჩინეთ თქვენი ვენახები განადგურებას. ყრილობის მომწვევი ბიურო.

ორცა, ფონ. 288, საქ. 287, ფურ. 168. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 7

1922 წლის ოქტომბრის 9. — საქართველოს სსრ მიწსახკომის სახალხო მამულების ქვეგანყოფილების მოხსენებითი ბარათი მიწსახკომისადმი სახალხო მამულების მევენახეობა-მეღვინეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

მეღვინე-მევენახეობის სახალხო მამულები განადგურების გზას ადგია. ფილოქსერა თანდათანობით სპობს მათ ვენახებს და როგორც ადგილობრივ

გამორიკვა სულ ამ 7 წელიწადში ეროვნულ საუკეთესო მამულებში აღარ დარჩება არც ერთი ვაზი. მეცნიერებას აქამდისინ ვერ გამოუგონია ფილოქსერასთან უშუალო საბრძოლველი საშუალება. ერთადერთი საშუალება იმაშია, რომ განადგურებულ ვენახების მაგივრად გაშენდეს ახალი ამერიკულ ვაზის ჯიშებზედ ადგილობრივი ვაზით დამყნელი ვენახები. ახალი ვენახების გაშენება მოითხოვს დიდს თანხას და რამდენიმე წელიწადს. მანამდისინ — კი მამულების შემოსავალი აუცილებლად იკლებს — ერთის მხრით მიტომ, რომ მოსავალი წლითიწლობით შემცირდება, რადგან არსებული ვენახების სივრცე იკლებს, მეორე მხრით — კი იმიტომ, რომ ახალი ვენახების გასაშენებლად მამულებს დასჭირდებათ ზედმეტი არაჩვეულებრივი ხარჯი.

ამერიკული ვაზის გაშენების საჭიროებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, უამისოდაც უნდა ვაღიაროთ, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის ომიანობის და რევოლუციის ხანაში სახალხო მამულების შემოსავალი შესამჩნევად შემცირდა. ეს იმიტომ, რომ ვენახები წლითიწლობით დაუმუშავებელნი რჩებოდნენ, სასუქი და მოვლა ნაკლები ჰქონდათ. ამ გარემოებით ვაზი დასუსტებულია და ნაყოფს (მოსავალს) ნაკლებად იძლევა. ის ვენახები, რომელიც ომიანობამდინ იძლეოდნენ საშუალოდ 500 და მეტს ფუთ ყურძენს დესეტიანზედ, ბოლო დროს 200—250 ფუთსაც აღარ იძლევა. ხარჯი კი მამულს იგივე და მეტიც სჭირა და ამიტომ მამულების შემოსავალი თანდათან მცირდება და ზარალიც მოსალოდნელია, თუ ამ გარემოებაზედ ესლავე არ იქნება მიქცეული ყურადღება. გამონახულ უნდა იქნეს საშუალება (თანხა) მამულების (ვენახების) ჯათანადოთ დასამუშავებლად სანამ ფილოქსერით ვაზი მოსპობილი იქნება, ვაზი უნდა გამაგრდეს სასუქის შეტანით, თანდათანობით უნდა გაშენდეს ამერიკული ვაზის ძირებზედ ახალი ვენახები და სხვა.

ყველა ამისათვის სჭირა დიდი საწარმოო თანხა, მამულები კი არსებულ პირობებში არ იძლევიან იმდენ შემოსავალს, რომ თავისი ძალღონით გაუძღვენ ამ მოთხოვნილებას.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის საერთო ეკონომიური მდგომარეობაც არ იძლევა იმდენს, რომ საჭირო თანხის გამოღება შეეძლოს ხაზინას. ამიტომ უნდა იქნეს გამონახული ისეთი საშუალება, რომელიც ასწევს მამულის შემოსავალს, რათა თავისი ძალებით მამულმა თუ სრულიად არა, უმთავრეს ნაწილში მაინც დაჰფაროს მეტი ხარჯები. ამის საშუალებად ქვეგანყოფილებას მიაჩნია, მამულებში ღვინით სავაჭრო აპარატის გაძლიერება შეძლებისდაგვარად. სახალხო მამულები მოწყობილია ფართო სარდაფებით, საღვინე ინვენტარით, საჭირო რაოდენობით მცოდნე და მეღვინეობაში დახელოვნებული სპეციალისტებით და მუშა-მოსამსახურეებით. თუ მამულები არ იძლევიან იმდენს მოსავალს, რომ ამ ძალებით ვისარგებლოთ საფასვით, უმთავრესი ნაწილი დიდი მასშტაბით მოწყობილი შტატი და ინვენტარი რჩება უსარგებლოთ. ამით სარგებლობენ გარეშე უწყებები და მამულების სპეციალისტები და ინვენტარის საშუალებით იწყებენ თავის ვაჭრობას. მაგალითად — მოსკოვის „ვინდელეუპრავენიე“, საქართველოს სასურსათო კომისარიატი და სხვა. ქვეგანყოფილების ზრით, თვით

მამულებში მეურნეობის საორგანიზაციო გეგმაში უნდა იქნეს მიღებული ნაყოფი ღვინით ვაჭრობა, თუ რომ ყოველი კერძო პირი და დაწესებულება ახერხებს ვაჭრობის სათანადო მოწყობას და იღებს საჭმარის სარგებლობას, მით უმეტესად და უფრო ადვილად მოხერხდება ეს სახალხო მამულებში, სადაც გვაქვს ამისათვის ყოველგვარი მოწყობილობა და გვყავს საუკეთესო ვაჭრობა-შიაც გამოცდილი სპეციალისტები.

საჭიროა მხოლოდ აღმოჩენილი იქნეს თანხა, რომლის საშუალებით ასრულდება ეს საქმე. ამ ოპერაციისათვის თანხის შოვნა შესაძლოდ მიგვაჩნია, რადგან თვით ოპერაცია სარგებლიანია, ამიტომ სესხითაც შეიძლება ასრულდეს.

თუ რომ ეხლავე ვიშოვით თანხას 100 ათასი ვედრა ღვინის საყიდლად, აქას დასჭირდება დაახლოებით 30 მილიარდი მან¹. (300 ათასად ვანგარიშობთ ვედრისა). ეს აქი ათასი ვედრო გაზაფხულზედ გაიყიდება ისეთ ფასად, რომელიც გაისტუმრებს თავნის და სარგებელს და ბევრათ ასწევს მამულების შემოსავალს. მოხსენებული თანხის შოვნა კი, ჩვენის აზრით, შეიძლება ერთი მხრით სესხით, მეორეს მხრით, მოსკოვის ღვინით ვაჭრობის მმართველობასთან შეთანხმებით. მოსკოვს სჭირია დიდძალი ღვინო, საუკეთესო ღვინო კი მოიპოვება მხოლოდ საქართველოში და კიდევაც აქ ყიდულობს მოსკოვი ამ ღვინოს. მას სჭირია საქართველოში სავაჭრო აპარატი. რომელიც ჩვენ გვაქვს; ჩვენ კი გვჭირია ბაზარი, რომელიც აქვს მოსკოვს. ამ ორი ძალის შეთანხმება ადვილი და სასარგებლოც უნდა იქნეს ორივე მხარისათვის. მოსკოვს შეუძლია გამოიღოს საჭირო თანხა, ჩვენ მას მივცეთ ჩვენი მოწყობილობა, ადგილობრივი ცოდნა, გამოცდილება, მოგება გავინაწილოთ.

ამავე ნიადაგზედ შესაძლოდ მიგვაჩნია შეთანხმება ვნეშტორგთან² და სასურსათო კომისარიატთან. აგრეთვე ვფიქრობთ, რომ თანხის გამოღება მოკლედ ხნის სესხის სახით შეუძლია სააქციო უწყებასაც, რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია მევენახეობის და მეღვინეობის გაძლიერებაში. მისთვის სახიფათოდ არ მიგვაჩნია საჭირო თანხის გამოღება, რადგან ფულის ხარჯვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ღვინის ვაჭრობის საგანზედ და საერთო წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ. ყველა ზემოაღნიშნული მისაზრებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1) ეხლავე იქნეს შემოღებული სახალხო მამულებში ღვინით ვაჭრობის გეგმა;

2) სათანადო თანხის საშოვნელად მოხდეს მოლაპარაკება-შეთანხმება პირველ ყოვლისა მოსკოვის ღვინით ვაჭრობის მმართველობასთან, საქართველოს სასურსათო კომისარიატთან, „ვენეშტორგთან“, სააქციო და რკინიგზის მმართველობასთან;

3) შემუშავდეს ძირითადი პირობები ამ უწყებებთან შეთანხმებისა. (შეიძლება ამ შეთანხმებამ მიიღოს აქციონერული საზოგადოების ხასიათი);

¹ ბონის კურსით.

² საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

4) დაევალოს სახალხო მამულების ქვეგანყოფილებას, სავაჭრო განყოფილების დახმარებით ამ საქმის სავესებით ცხოვრებაში გატარება. სახალხო მამულების ქვეგანყოფილების გამგე¹.

ორცა, ფონ. 288, საქ. 604, ფურ. 1—2. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 8

1923 წლის აპრილის 13. — ქ. ზესტაფონში ზემო იმერეთის მევენახეთა ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებანი მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ღონისძიებების შესახებ

1. ყრილობას სასურველად მიაჩნია რათა მოგვარებულ იქნეს ამერიკული ვაზის სანერგე ფართო მასშტაბით, რისთვისაც საჭიროა საქარის სანერგე სათანადოდ იქნეს გამოყენებული.

2. საჭიროა საცდელი ვენახები იქნეს მოწყობილი ზემო იმერეთის სხვადასხვა რაიონებში ნიადაგისდამიხედვით. ამ სადგურში უნდა მიეძღვნეს ჯეროვანი ყურადღება ნიადაგის განოყიერებას და დამუშავებას და აგრეთვე ვაზების ჯიშების შერჩევა-გამოყვლევას.

3. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მევენახეობის აღორძინება შესაძლებელი არის მხოლოდ მაშინ, როცა სოფლის მეურნეებს მიეცემა იაფფასიანი ხანგრძლივი სასოფლო-სამეურნეო კრედიტები, რისთვისაც საჭიროა მთავრობის მიერ იქნეს გახსნილი სათანადო დაწესებულებანი.

4. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია სამრეწველო სასოფლო კოოპერატივებისათვის იქნეს შემოღებული შეღავათიანი სარეწაო და სააქციო გადასახადები რისთვისაც მიზანშეწონილად მიაჩნია ყველა სააქციო და სხვა გადასახადების ნორმების შემუშავების დროს მოწვეული იქნეს ხოლმე კოოპერაციის წარმომადგენელი.

5. ყრილობა იღებს რა მხედველობაში, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება მევენახეობის დარგში შესაძლებელია მხოლოდ სათანადო ცოდნის გავრცელებით, საჭიროდ სოფლის მიმართოს მთავრობას თხოვნით, რომ იქნეს გადიდებული აგრონომთა და ინსტრუქტორთა კადრი.

6. ვინაიდან უწყსრიგოდ ტყეების გაჩეხვას ზიანი მოაქვს ყოველმხრივ სოფლის მეურნეობისათვის, ყრილობა მიმართავს მიწათმოქმედების კომისარიატს სათანადო განკარგულებისათვის ტყეების დაცვის საკითხში.

7. სცნობს რა მელვინეობის წარმატებისათვის როგორც გაუმჯობესების, ისე ხელსაყრელად გასაღების მხრივ, აუცილებლად სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელ კოოპერაციულ შეკავშირებას ამხანაგური სარდაფების ირგვლივ, იმერეთის მელვინე-მევენახეთა ყრილობა, თანახმად მოხსენებების, დებულებებისა და ცეკავშირის მიერ წარმოდგენილ სქემისა, ავალებს არსებულ კოოპე-

¹ საბუთს ხელრთვა არა აქვს.

რაციულ ამხანაგობა „იმერეთს“, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამხანაგობების რაიონებად ორგანიზაციას და მთავრობისაგან საქმის მასალებით და სესხის სახით დახმარების გამოძებნას.

8. ყრილობას პრინციპიალურად მიაჩნია საქარის სანერგესთან საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსება ან და უკვე არსებული ჰუმანიტარულ ტექნიკუმის საშუალო-აგრონომიულ სასწავლებლად გადაკეთება, რისთვისაც უკვე არსებულ სასკოლო კომისიას დაემატოს კიდევ სამი პირი, რომლის შემდეგ კომისია განათლების და მიწათმოქმედების კომისარიატთან ერთად გამოარკვევენ თუ რომელი ტიპის სასწავლებელია მოსახერხებელი გაიხსნას მიმდინარე წლიდან ქ. ზესტაფონში, დაბალი თუ საშუალო. კომისიის წევრებად, დამატებით, ყრილობა ირჩევს კ. ბერეკაშვილს, ნ. ჯანაშიას და დონდუას...

ყრილობის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრები¹.

ორცა, ფონ. 288, საქ. 816, ფურ. 116, პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 9

1923 წლის აპრილის 21. — საქართველოს სსრ მიწსახეობის მოქმედების ანგარიში 1923 წლის იანვარ-აპრილის თვეში მევენახეობა-მელვინეობის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ

მევენახეობა-მელვინეობის ქვეგანყოფილება

ქვეგანყოფილების განკარგულებაში იმყოფება 4 სანერგე. ქვეგანყოფილება ხელმძღვანელობს მევენახეობა-მელვინეობას მთელს რესპუბლიკაში. ქვეგანყოფილების მიერ მორიგ სასეზონო მუშაობის გარდა მიღებულია მთელი რიგი ზომებისა ვენახების გადასარჩენად ერთ-ერთ უსაშინელეს გამანადგურებელთაგან—ფილოქსერისაგან, რომელიც საშინლად მოედო ამ უკანასკნელ დროს კახეთში ვენახებს და დიდი ზიანი მიაყენა როგორც მთელი მხარის მევენახეობას, ისე სახალხო მამულებს. ამ მიზნით შექმნილი იყო განსაკუთრებული კომისია კახეთში ფილოქსერისაგან დაღუპულ მამულების აღსადგენად, ხოლო ერთ-ერთი სპეციალისტთაგანი პერიოდულად ათავსებდა პოპულარულ წერილებს სასოფლო-სამეურნეო გაზეთ „მიწის მუშა“-ში. მოეწყო 2 კვირიანი კურსები ამერიკულ ვაზზე მყნობის შესასწავლად. კონდოლის სანერგესთან არსებული კურსები დაამთავრა 32 კაცმა.

ქ. ზესტაფონში — დასავლეთ საქართველოს მელვინეობის უმთავრეს ცენტრში — მოწვეული იქნა ზემო იმერეთის მელვინეთა ყრილობა, რომელსაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მიეწეროს ადგილობრივ მევენახეობა-მელვინეობის გაცხოველების საქმეში.

¹ საბუთს ხელრთვა არა აქვს.

სახალხო მამულების ქვეგანყოფილება

ქვეგანყოფილების გამგებლობაში ირიცხება 18 მამული და თბილისის ღვინის სარდაფი. მამულების მდებარეობის, ბუნებრივი და სხვა რიგი პირობების მიხედვით საერთო წარმოების უმთავრეს დარგს შეადგენს: მევენახეობა-მელვინეობა, ძვირფასი მცენარეების კულტურა, მეხილეობა-მეხაღებლობა და ხვნათესვა.

ქვეგანყოფილება ხელმძღვანელობდა ცენტრიდან ამ მამულებს, უწევდა ზედამხედველობას და კონტროლს საწარმოო-შემამუშავებელი გეგმის შესასრულებლად. ქვეგანყოფილებიდან გაგზავნილმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს და კონტროლი გაუკეთეს შემდეგ მამულებს: ბეთანია-აყურისის, ვარციხის მამულს, კარდანახის, მანავის, მუკუზნის, ნაფარეულის, წინანდლის, ჩაქვის და სალიბაური-კაპრეშუმის მამულებს.

მამულების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ხელს უშლის საწარმოო თანხის უქონლობა. მამულების დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს მათზე წინასწარი ხარჯების გაწევას. კომისარიატს კი უხდება თვით მამულების შემოსავლის უდიდესი ნაწილი სხვა მიზნებს მოახმაროს, რაც უთუოდ ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

საცდელი საქმეთა ქვეგანყოფილება

ქვეგანყოფილებას ექვემდებარება 12 სხვადასხვა ხასიათის კულტურული, საცდელი და სამეცნიერო დაწესებულებანი. ამ დაწესებულებათა უმრავლესობას საერთო სამეცნიერო ხასიათი აქვს და არ იძლევიან თითქმის არავითარ შემოსავალს. ქვეგანყოფილების გამგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორია და საცდელი სადგურები აწარმოებენ სხვადასხვა მეცნიერულ გამოკვლევებს და ცდებს საქართველოს მეურნეობის ყოველ დარგში.

საანგარიშო დროის განმავლობაში დათვალიერებულა ადგილობრივ ამ 12 დაწესებულებათაგან შემდგენი: საქარის საცდელი სადგური, აჯამეთის საცდელი მიწდორი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ქართლის სახალხო მამული, ყარაიზის საცდელი სადგური და შემუშავებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა. კახეთში მევენახეობა-მელვინეობის საცდელი სადგურის დაარსების განსახორციელებლად მოწყობილია ქიმიური ლაბორატორია, სადაც უკვე მუშაობს ცენტრალური ლაბორატორიის ერთ-ერთი სპეციალისტი. ქვეგანყოფილება იღებდა ზომებს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გზმოფენისათვის საჭირო მასალების დასამზადებლად.

№ 10

1924 წლის ივლისის 22. — საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ მიღებული
 კანონპროექტი ამერიკული ვაზის საძირების და ნაშენების გავრცელებაზედ
 კონტროლის დაწესების შესახებ

ალაზნის გაღმა გამოღმა ვენახები, რომლითაც მოქარგული იყო ველები და
 მთების კალთები, დღეს ბეჩაფდება, ნიაფდება და ჰჭრება.

საშინელმა მტერმა — ფილოქსერამ თავისი მუხანათური დალი, ქართლ-
 იმერეთის შემდეგ აქაც დააჩნია და დაღუპვა-განადგურების გზაზედ შეაყენა
 კახეთის სახელგანთქმული მევენახეობა.

ამ თორმეტ-ცამეტიოდე წლის წინად ლაპარაკი იყო კახეთში ფილოქსერის
 გაჩენის და მისგან მოსალოდნელი უბედურების შესახებ, მაგრამ მაინცდამაინც
 მაშინ საამისოთ ყური არავის გაუბერტყია ამ საშიშროების თავიდან ასაცილებ-
 ლად, იმის შესამსუბუქებლად. ფილოქსერის აღმოჩენმა ჯგუფმა შემოიარა
 ზერელედ კახეთის ზოგიერთი ვენახიანი ადგილები და იმ დროს ამით დაკმაყო-
 ფილდა ღაინტერესებული უწყება. რეალური და თვალსაჩინო ამ მხრივ ამ ხა-
 ნებში თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორი
 პატარა ამერიკულ ვაზის სანერგეების, კონდოლის და ჩუმლაყის მორიგ მუშა-
 ობას, რომლებსაც, უნდა გულახდილად ვაღიაროთ, არავითარი გარკვეული სა-
 მუშაო გეგმა ამ საკითხის შესახებ არ ჰქონიათ ომის დაწყების შემდეგ და რე-
 ვოლუციის დროს.

ისეთი დიდი, თითქმის ვეებერთელა, კახეთის მასშტაბით სავენახო მეურნე-
 ობა, როგორიც ყოფილი საუფლისწულო უწყების ვენახები იყო კახეთში, ამ
 გაჭირვების დროს, ფილოქსერის გაჩენის გამო, თითქო უპატრონოდ დარჩნეს
 და არაფერი გაკეთებულა ამ მხრით, თუმცა რამდენიმე წლით ადრე ომამდე
 იყო აღმოჩენილი ფილოქსერა მის საუკეთესო ვენახებში სოფ. წინანდალში.

იმ დროს კახეთს არ აღმოუჩნდა არც ერთი გულშემატკივარი გავლენიანი
 დაწესებულება ან პირი, რომ ხმა აღემაღლებინა კახეთის მევენახეობის მომავ-
 ლის და ბედ-იღბლის სასარგებლოდ, რის გამო კახეთი ათეული წლით მაინც
 ჩამორჩა მევენახეობაში.

არა თუ ამ საშიშროების გაზვიადებას არ ჰქონდა ადვილი, პირიქით აქარ-
 წყლებდნენ მას, აშოშმინებდნენ ხალხს და აი ასეთი დაუდევრობის ნაყოფის
 არასასურველი რთველი დღეს აქვს კახეთს.

თუმცა მოგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ ვამრავლებული ენერგიით შე-
 უდგა მიწათმოქმედების კომისარიატი; თვის სახალხო მამულების სახით რო-
 გორც თვისი ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების, ისე კერძო ვენახე-
 ბის აღდგენას, რისთვისაც თავდაპირველად გააძლიერა სანერგეების მუშაობა,
 რომლებიც დასარგავ ნაყენს და სანერგე ამერიკული ვაზის მასალას აწვდის
 როგორც სახალხო მამულებს: მუკუხანს, წინანდალს და ნაფარეულს, ისე კერძო
 პირებს. ამ მუშაობაში მუყაითად ჩაებნენ და მხარს უჭერენ კომისარიატს ადგი-

ლობრივი კოოპერატივები ჯერ „კავშირთ-კავშირის“, ესლა კი „წარმოკავშირის“ სახით.

კახეთში ვენახების აღდგენის საქმე ესლა საკმაოდ საიმედო გზაზედ არის დაყენებული, — გამომუშავებულია მუშაობის შესაძლებელი სასწრაფო გაქანება და აუცილებლად საჭიროა მხოლოდ, რომ ამჟამად თითქმის საბედისწერო მატერიალურმა მხარემ, ხელი არ შეუშალოს ამ საფუძვლიან მუშაობას, რომლისაგანაც ფრთხილ დამოკიდებულია კახეთის, ამ ჩვენი მევენახეობის სახელოვანი აკვნის მომავალი.

ამ კეთილ საქმესთან, არ შეიძლება მიმაღული და უყურადღებოდ დატოვებული იქნეს ერთი გარემოება, რომელიც შეიძლება საბედისწერო იყოს ჩვენი მომავალი მევენახეობისათვის.

საქმე შემდეგშია — იმ მოგვიანებამ ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხში, რომელზედაც ზევით მოგახსენებთ, გამოიწვია ერთგვარი მავნე დაუდევრობა და საჭირო სიღინჯის დაკარგვა.

ყველა ჩქარობს — დაკარგული დრო მალე აინაზღაუროს და, სწორედ ამ სიჩქარისა და გაფაციცების გამო, ისეთ დაუშვებელს შეცდომებს აკეთებს, რომლის გამოსწორება შემდეგში თუ შეუძლებელი არაა, მეტად ძნელი იქნება.

დასარგველ ნამყენი ვაზის სიავკარგის, საქმის სიახლისა, გამოუცდელიობის და სიჩქარის გამო, საჭირო ანგარიშს ვერ უწყევნ. ოღონდ კი ნამყენი ვაზი დროზედ შეიძინონ დასარგველად, არ დასდევნ — რა ღირსებისაა ამერიკული ვაზის საძირე, რომელზედაც საღვინე ჯიშია დამყნობილი და რამდენად შეეფერება ის იმ ნიადაგს, სადაც უნდა დაიარსოს. ამ გარემოებას კი თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცნობილია, რომ ამერიკული ვაზის სხვადასხვა ჯიშში ყველა ნიადაგს და პირობებს ერთნაირად ვერ შეეგუება — ერთგან რომ ის საღია და ლაღობს, მეორეგან — სუსტია და იჩაგრება, ბეჩავდება, ზოგჯერ კიდევ უდროვოდ ხმება, ერთი სიტყვით ვერ იჩენს საჭირო მეღვრობა-გამძლეობას.

ასევე ითქმის დამყნობილ მომსხმელ სანაყოფო ვაზზედაც. თითოეულ ადგილს თავისი შესაფერი ვაზის ჯიში აქვს, ზოგჯერ საუკუნოებით შერჩეული, სადაც ის ნაყოფიერიც არის, სენსაც უფრო უმკლავდება და პროდუქტსაც კარგს იძლევა.

სულერთი არ არის — რომელ მომსხმელი ვაზის რქას დამყნობს ამერიკულ საძირეზედ. ეს რქა, თვით ნაყოფიერი და ზომიერი, ასეთსავე მუშა ხნის ვაზზედ უნდა იყოს შერჩეული და აჭრილი, რომ მომავალ ახალშენ ვენახებსაც ეს თვისება გადასცეს. მხოლოდ ამგვარი თანდათანობითი სასტიკი და მეღვარი შერჩევით მოახერხეს საფრანგეთში სხვადასხვა ვაზის ჯიშების მოსავლის გადიდება, გაძლიერება და გაუმჯობესება ღირსება-რაოდენობის მხრით. ამ გამოცდილ გზას ჩვენ ვერ გადაუხვევთ ჩვენს მუშაობაში და იგი საფუძვლად უნდა დაუდგათ მას მევენახეობის საქმის თვალსაჩინო წარმატებისათვის.

ესლა კი რას ვხედავთ — ნამყენი ვაზის შეძენის დროს, იმდენად გატაცებულნი არიან დროს მოგებით ვენახის აღდგენის საქმეში, რომ ვერ ამჩნევენ, თუ როგორ თავისუფლებურად უმზადებენ საფლავს როგორც კერძოდ თავის, ისე

კახეთის და საბოლოოდ კი, სახელმწიფოს მევენახეობას, ამ ერთ-ერთ ჩვენი სახალხო მეურნეობის თვალსაჩინო საფუძველს. არ არჩევენ არც იმას, თუ რამდენად საიმედოდ და მთლიანად შენორცხებულია ნამყენი. ამაზედ კი დამოკიდებულია ვენახის ჯანსაღობა და ხანგრძლივობა, არც იმას თუ რომელი ამერიკულ ვაზის საძირეზედ არის დამყენილი მომსხმელი გასაშენებელი ვაზი, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ის სრულიად შეუფერებელი გამოდგეს იმ ადგილისათვის, სადაც იმას დარგვას უპირებენ, არც იმას, თუ ნამდვილად რა მომსხმელი ჯიშია დამყენილი ამერიკულზედ, რამდენად შერჩეული იყო ის ნაყოფიერება-სისაღის მხრით, რამდენად შეეფერება ადგილობრივ პირობებს. ზშირია მაგალითი, რომ ნამყენი ვაზები მოაქვთ იმერეთიდან, მასთან იმერული ჯიშები და ასაღებენ კახურად. ამისთანა შემთხვევებში შედეგიც მოსალოდნელია სრული უარყოფითი.

ის საქმე, რომელსაც ეხლა უნდა ჩაეყაროს მკვიდრი, საშვილიშვილო საძირკველი და ზედ უნდა აშენდეს არა ნაკლებ მკვიდრი საიმედო კედლები ჩვენი ახალი მევენახეობისა, დღეს ტორტმანობს, რყევაშია, ამ ღრის მერყეობა — გაფაციცება დაუშვებელია და შეუწყნარებელი. — ამ გზაზედ მსვლელობისათვის მტკიცე საშუალებანი და ზომები საჭირო.

ერთი ასეთი ზომებთაგანია დადასტურება დებულებისა ვაზის სანამყენო და ნამყენი მასალის სასტიკი, ულმობელი კონტროლის შესახებ, განუთრეველად იმისა, ადგილობრივია იგი, თუ შემოტანილი საიდანმე.

ასეთი კონტროლი უნდა დაეკისროს მიწათმოქმედების კომისარიატს როგორც ამ საგანში ყველაზე უფრო დაინტერესებულ უწყებას.

ამ კონტროლის გარეშე არ უნდა მოშენდეს არც ერთი ამერიკული ვაზის დედა, არც ნამყენი ვაზის სანერგე ან ვენახი.

ასეთი კონტროლის განსახორციელებლად შემოღებული უნდა იქნეს შემდეგი დებულებანი:

1. ყოველი დაწესებულება ან კერძო პირი მოვალეა აცნობოს მიწათმოქმედების კომისარიატის იმ ორგანოს, რომელსაც დავალებული ექნება ამერიკული ვაზის დედის ან გასავრცელებელი ნამყენი ვაზის კონტროლი, თუ სად და რა რაოდენობა აქვს ზემოდასახელებული მასალებისა და აცნობოს მას მოკლე ისტორია თავისი მუშაობისა ამ დარგში, რის შემდეგ ადგილობრივ ეცნობა მათ. სათანადო ორგანო მსჯავრს სდებს — მისაღებია თუ დაუშვებელი იმათი არსებობა, — საჭირო ზომების მისაღებად.

2. გასინჯული ან კონტროლის ქვეშ გატარებული დასამყენელი და დამყენი ვაზის მასალები სრულებით უნდა აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც მათ შესახებ გამომუშავებულია და მიღებული პრაქტიკაში.

შენიშვნა: ა) ნამყენის ჯიშის დასახელება სინამდვილის პასუხისმგებლობით;

ბ) სად არის დამზადებული სანამყენო რქა (ლერწი) და რა პირობებში. — რამდენად მოსავლიანი და სადი იყო ვაზი, რომელზედაც აჭრილია სანამყენო რქები. ვაზის რომელ ნაწილზედ აიჭრა რქა და იყო თუ არა წინასწარ მიღებული

ლი ზომები გიშის სელექციისათვის (შერჩევისათვის) მოსავლის გასაუმჯობესებლად — ღირსება-რაოდენობის მხრით;

გ) საძირე (ამერიკული ვაზის რქა) — რა გიშია, საიდან არის მიღებული, შეეფერება თუ არა თავის სახელს და ვისგან არის შემოწმებული — დადასტურებული დედის დამუშავების წესი, რამდენად სალია რქა და ის დედა, საიდანაც რქები იყო აჭრილი;

დ) ნამყენის შეხორცება უნდა იყოს სრულიად უნაკლულოდ. ირგვლივ შეხორცებულ ნამყენს სალი შეხედულება უნდა ჰქონდეს და შესაფერი ზრდა-განვითარება ეტყობოდეს, როგორც მის ქვევითა ნაწილს საძირეს, ისე ზევითას — გამორტანილ რქას;

ე) ასე გადარჩეული ნამყენი საძირე-სანაყოფოს სიკარგის მხრით უნდა დაირგოს შესაფერის ადგილზე, რაზედაც სათანადო რჩევა-დარიგება უნდა მისცენ სანერგეებმა, საკონტროლო დაწესებულებებმა ან საინსტრუქტორო პერსონალმა.

3. მხოლოდ სათანადო საკონტროლო დაწესებულების მიერ გავრცელების ღირსად ცნობილი ნამყენები ან ამერიკული ვაზის რქები და ნერგები პირველის ნებართვით შეიძლება გაიცეს პირდაპირი დანიშნულებისათვის შესაფერი წერილობითი ნებართვით.

4. საკონტროლო დაწესებულებას უნდა ეცნობოს დანამდვილებით ვინ, ან, როდის, რა გიშის, რამდენი, რომელ საძირეზე და რა პირობებში დარგა.

5. ყოველივე მეტად თვალსაჩინო ცვლილება, ავი თუ კარგი, რომელიც კი დაეტყობა გავრცელებულ მასალას, დამყნილ ან საძირეს, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონტროლო დაწესებულებას, შესაფერი ზომების მისაღებად.

6. შეუსრულებლობა 1—5 ზემოდ მოყვანილ მუხლებისა უნდა დასჯილ იქნეს ფულადი ჯარიმის იძულებითი გადახდევინებით იმ რაოდენობით, რომ ის ერთითად აღემატებოდეს გავრცელებული მასალის ღირებულებას და ამგვარად აღებული თანხა გადაეცეს საკონტროლო დაწესებულებას და მოხმარდეს საკონტროლო საქმის მოწყობა-გაუმჯობესებას.

7. ამ დებულების მუხლებს 1—6 მიეცეთ დროებითი ხასიათი და იმათ მოქმედების ძალა გაგრძელდეს, ჯერ-ჯერობით ათი წლით.

8. ამ დებულების შეცვლა ან გაუქმება, მთლად ან ნაწილობრივ, შეიძლება სათანადო საკანონმდებლო წესით, როდესაც ამისათვის შესაფერი პირობები შეიქმნება.

ორცა, ფონ. 288, საქ. 1338, ფურ. 14—16. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 11

1924 წლის სექტემბრის 29. — საქართველოს სსრ მიწსახყომის მიმართვა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსადმი მევენახეობა-მელვინეობის აღდგენა-განვითარების ღონისძიებების შესახებ საქართველოში

ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძლიერეს დარგს წარმოადგენს მევენახეობა-მელვინეობა. ვენახების სივრცე საქართველოში უდრის 53054 დეს.,

ყოველწლიური საშუალო მოსავალი 12—13 მილიონი ედრო, ე. ი. 12—13 მილ. მან. ღირებულება. ეს უკვე საკმარისად მოწმობს, თუ რა მნიშვნელოვან წარმოებას წარმოადგენს ეს დარგი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებისათვის.

სამწუხაროდ, უკანასკნელ დროში ვაზის ავადმყოფობამ, ნამეტნავად ფილოქტერამ, საშინელ კრიზისამდე მიიყვანა მევენახეობა ზოგიერთ ადგილებში. მაგ. ქართლში, ვენახები თითქმის მთლად ამოვარდა და მათი ადგილი დაიკავა ნაკლებღირებულების კულტურამ. კახეთი — ეს საუკეთესო ნაწილი მევენახეობისა — უკვე გახვეულია ფილოქტერის ავ ცეცხლში. ამიტომ მევენახეობის აღდგენა ეს გადაუდებელი მორიგი საკითხია. მეორე მხრით, ჩვენი მევენახეობის პროდუქტები ღვინო, კონიაკი და სხვ. ტექნიკური უტოლდინარობის გამო, ისეთ ღირსებისანი არიან, რომ ვერ პოულობენ ბაზარზე სათანადო გასავალს და იძულებული ვხდებით შინაგანი მოთხოვნილება ზედმეტად დავაკმაყოფილოთ. ამით მეტად კლებულობს შემოსავლიანობა ამ დარგიდან და ეკონომიურ წარმატებასაც ამ რაიონში ვერ ვამჩნევთ.

საქართველოში არსებულ მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურების მიზანია ზელი შეუწყოს ამ დარგის აღდგენა-განვითარების საქმეს რაციონალურ ნიადაგზე დაყენებით. საქარის საცდელ სადგურს უკვე აქვს თავის 30 წლის სა-მაგალითო წარსული: მან შესძლო სავსებით გადაეყვანა ვენახები დასავლეთ სა-ქართველოში ფილოქსერაგამძლე ჯიშებზე და მოხდინა ნაწილობრივ ნიადაგე-ბის გამოკვლევა, მაგრამ მიუხედავად ასეთი მიღწევებისა მას წინ უდევს კიდევ მრავალი სხვა საკითხების გარკვევა, რომლებიც არსებითად გამოძლიარებენ ამ დარგების რაციონალურ ნიადაგზე დაყენებიდან. ნამეტნავად მეღვინეობაში.

კახეთის საცდელი სადგური ეს ჯერ კიდევ ნორჩი დაწესებულებაა, იგი 2 წელიწადია რაც არსებობს. მას წინ უდევს ხანგრძლივი შრომა მრავალგვარ სა-კითხების გადასაჭრელად, ურომლისოდაც არ შეიძლება ვილაპარაკოთ კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება-განვითარებაზე.

ამჟამად ეს სადგურები იმყოფებიან სამეურნეო ხარჯზე და მიწერილნი არე-ან სახალხო მამულების ტრესტზე; ასეთ მდგომარეობაში მათი ყოფნა თითქმის უმნიშვნელოდა ხდის იმ დიდ მიზნებს, რომლებიც დასახული აქვთ ამ სადგუ-რებს. მათი მიზანია მეცნიერულად გააშუქონ მევენახეობა-მეღვინეობის სა-კითხები და ამ ნიადაგზე დაყენონ ამ დარგების აღდგენა-განვითარების საქმე. ასეთ საქმეს, ცხადია ვერ იკისრებს და ვერც შესძლებს სახალხო მამულების ტრესტი, ვინაიდან საცდელი საქმის წარმოება, არ შეადგენს ამ დაწესებულებე-ბის ძირითად საკითხს; ეს თვით სახელმწიფოებრივი საქმეა და იგი უნდა უდგეს მას სათავეში. მის შედეგებზე უნდა აშენდეს მევენახეობა-მეღვინეობა საქართვე-ლოში, რომლის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ეკონომიურ წარმატებისათვის აშკარა და უდავოა.

ზემოხსენებულისა გამო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი-გთხოვთ საქარის და კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურები-მიღებულ იქნეს სახელმწიფო ხარჯზე, რომ კომისარიატს შესაძლებლობა ჰქონ-

დეს შეუჩერებლად აწარმოოს ის საქმე, რომელიც საწინდარია ხალხის ეკონომიური მოღონიერებისათვის.

აღნიშნულ დაწესებულებათა გასავალი 1924 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წლის 30 სექტემბრამდე ნავარაუდევია 30 391 მან. 92 კაპ., ხოლო თვით ხარჯთაღრიცხვა ამასთან თან ერთვის.

მიწათმოქმედების სახალხო კომისიის მოადგილე — (პ. წულუკიძე), საქმეთა მმართველის მაგ. (გ. მიქაბერიძე), სასოფლო-სამეურნეო განყ. გამგის მაგ. (ვ. ხოფერიძე).

ორცა, ფონ. 288, საქ. 1308, ფურ. 13. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 12

1925 წლის აპრილის 13. — საქართველოს სსრ მიწსახყომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მიმართა „წარმოკვეთების“ აგროკულტურულ განყოფილებისადმი კახეთის საცდელ სადგურისათვის დახმარების გაწევის შესახებ

მოგესხენებათ, თუ რა კატასტროფიულ მდგომარეობის წინაშე დგას კახეთის მევენახეობა-მელენეობა. ზერელე დაკვირვებიდანაც ჩანს, რომ მეურნეობის ეს დარგი ერთი-ორი წლის განმავლობაში სულ მთლად ამოვარდება. ამიტომ მევენახეობა-მელენეობის აღდგენის საკითხი გადაუდებელი და სადღეისო საკითხია. ასეთ აღდგენას ნაწილობრივ კიდევ მოჰკიდეს ხელი კოოპერატივებმა, სახალხო მამულების ტრესტმა, ცალკე მეურნეებმა და სხვ. არის ნიშნები, რომ ახლო მომავალში ეს აღდგენა წავა უფრო სწრაფად და შესაძლებელია სტიქიური ხასიათიც მიიღოს.

რომ საღ და ურყევ ნიადაგზე დადგეს ეს საქმე, საჭიროა, რომ ამ აღდგენას წინ უძღოდეს მეცნიერული გამოკვლევა-შესწავლა აღგილობრივი ბუნებრივი პირობებისა, თვით ვაზისა, ღვინისა და სხვ. საჭიროა ცდების საშუალებით გამოკვლეულ და შესწავლილ იქნეს ეს დარგი ყოველ მხრივ.

ასეთ დაწესებულებას უღეს უკვე მჭიდრო საძირკველი აქვს ჩაყრილი კახეთის მევენახეობა-მელენეობის საცდელ სადგურის სახით ს. ურიათ-უბანში. შედგენილია საორგანიზაციო და სამუშაო გეგმა. უკვე მიმდინარეობს გამოკვლევანი ფიტოპათოლოგიური, ბოტანიკური, ნიადაგების, ღვინის ქაშნიკების, მეტეოროლოგიური დაკვირვებანი და სხვა. მიუხედავად ამისა, რომ სადგურმა მხოლოდ ეს მეორე წელიწადია რაც დაიწყო ასეთი მუშაობა, ისეც მეტისმეტად გაპირებულ პირობებში, მაინც მან მიიღო ზოგიერთი პრაქტიკისათვის გამოსადეგი მიღწევანი. ამჟამად სადგური აძლევს მსურველთ დადებით პასუხს, თუ როგორ ნიადაგში როგორი ჭიმის ვაზი იხარებს და სხვა.

მაგრამ სადგურის საბოლოო მიზნების განსახორციელებლად, რაც წარმოდგენილია საორგანიზაციო გეგმით, საჭიროა უფრო მეტი მუშაობა და სახსარი, ვიდრე უღეს არის. საჭიროა ამ საქმეში ჩაებას თვითთელი პირი, ფართო მასა, კოოპერატივები, ერთი სიტყვით, ვინც კი დაინტერესებულია მევენახეობა-მელენეობის სასწრაფო აღდგენა-განვითარების საქმეში. თავის მუშაობაში სადგურ-

რიც ვერ ასცდება მათთან ურთიერთ დამოკიდებულებას და მათი თვითმოქმედება უნდა იყოს მისი საყუდარი თავის მიზნების განხორციელებაში.

ამისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ „წარმოკავშირი“, როგორც დაინტერესებული მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენის საქმეში, პირველი ჩაებმება და პირველ ადვილსაც დაიკავებს ამ საქმეში თავისი ყოველმხრივი დახმარებით.

სადღური ამჟამად იმყოფება ფრიად გაქირვებულ მდგომარეობაში; ხაზინიდან მის შესანახად კომისარიატს არ ეძლევა არაფერი და არავითარი სხვა სახსარი, გარდა შემთხვევითი ხასიათისა კომისარიატს არ აქვს. დაუმთავრებელია ამჟამად შენობები, წყალსადენი, დაუმთავრებელია ლაბორატორიის მოწყობა და სხვ. გარდა ამისა უკვე დაღუპა სეზონი ცდების გამოცვლევის დაწყებისა.

ამისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გთხოვთ გადასდოთ სადღურის სასწრაფო მიმდინარე მუშაობისათვის სამი ათას ზუთასი მანეთი და ეს თანხა მიეცეს სადღურის გამგე ზ. ჭავჭავაძეს.

ცნობისათვის გატყობინებთ, რომ სადღურის ხარჯთ-აღრიცხვა 1924—25 წლისა უდრის დაახლოებით 26 000 მანეთს, რომლიდანაც მიწათმოქმედების კომისარიატმა ხაზინის დაუხმარებლად უკვე გაიღო 10.000 მანეთამდე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი, სასოფლო მეურნეობის განყოფილების გამგე გამახარაშვილი.

ორკსა, ფონ. 288, საქ. 1311, ფურ. 42. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 13

1925 წლის ნოემბრის 10. — საქართველოს სსრ სახალხო მამულების ტრესტის მოხსენება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ტრესტის მიერ 1925 წ. მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ

მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა

სახალხო მამულთა მეურნეობაში მევენახეობის დარგს ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს როგორც სივრცით, ისე მოსავლის რაოდენობა-ღირსებით. თუ ჩვენი განთქმული ღვინის აკვანი კახეთია, ამ კახეთის დამამშვენებელი იქაური სახალხო მამულების — წინანდალ-ნაფარეულ-მუკუზნის ვენახებია და ამ ვენახებისგან მიღებული მაღალი ხარისხის ღვინოები.

რადგან ფილოქსერამ მაგრად მოიკიდა ფეხი კახეთში, — ანადგურებდა და ანადგურებს ვენახებს, — საჭირო შეიქმნა სასწრაფო ფართე ზომების მიღება ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, რომელიც განიავებას უქადის ადგილობრივ მეურნეობის მთავარ ძარღვს — მევენახეობის დარგს.

ფილოქსერას მარტო ამერიკულ ვაზზედ დამყნელი ვაზი უძლებს.

ამერიკული ვაზის სანერგეები საჭირო საზომით ჩვენ რესპუბლიკას არ მოეპოვებოდა, რაც იყო, ისიც დაბერებული, მცირე მოსავლიანი და გადაშენების

გზაზედ შემდგარი იყო. აუცილებელი გახდა ახალი ამერიკული ვაზის სადედეების გაშენება, უკანასკნელთა ასპარეზის გაფართოვება. ეს საქმე თავს იდებდა სახალხო მამულების ტრესტმა.

სახალხო მამულების ტრესტმა დროზედ აულო ალლო ამ გარემოებას და საძირკველი ჩაუყარა ვრცელ ამერიკულ ვაზის მეურნეობას.

პირველი შედარებით დიდი მუშაობა ამერიკულ ვაზის სადედეების გაშენების მხრივ 1923—1924 სამუშაო წელში ჩატარდა, როდესაც სხვადასხვა ადგილას, უმთავრესად, რასაკვირველია, კახეთში — 31,5 დესეტინა ამერიკული ვაზი ჩაიყარა. აქამდის თითო-ორილა დესეტინა ამერიკული ვაზი თუ შენდებოდა ხოლმე და ისიც სახალხო მამულების ფარგლებში ამავე მამულის საჭიროებისათვის. ამ გარემოებას ნაწილობრივ ხელი შეუწყო არსებული ამერიკული ვაზის სანერგეების სახალხო მამულების ტრესტში გაღმოცემა.

სარეკორდო გაჩანება ამერიკული ვაზის სადედეების გაშენების საქმეში ან საანგარიშო 1924—1925 წლებში მოხდა, როდესაც ტრესტმა შესძლო 98,5 დესეტინის ჩაყრა. აქედან ორი წილი კახეთის სხვადასხვა რაიონებში, ხოლო მესამედი დასავლეთ საქართველოში — გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვარზედ. ამ საქმის მოსავლარებლად გამოთხოვილი იყო სესხი, რადგან ტრესტს ამისთვის საჭირო თავისუფალი თანხები არ მოეპოვებოდა. სესხი აღებული იყო ნაწილ-ნაწილ წლიური სარგებლის 8 პროცენტი ანგარიშით 6 თვის წინასწარ შეტანით და ნაწილობრივ ვალის გადახდით 1—2 და 3 წლის (50 პროცენტი) განმავლობაში.

ამერიკული ვაზის სადედეების გაშენებისათვის ასეთი შედარებით მცირე ვადიანი სესხი მეტად ხელის შემშლელი და შემავიწროვებელია და იმავე დროს შესასრულებლად შეუძლებელი, რადგან მხოლოდ მესამე წლიდან იწყება ახალშენი ამერიკული ვაზის მცირე მოსავლიანობა, რომელიც მიმდინარე ხარჯებსაც ვერ გაუძღვება და თავნი ვალის ერთ კაპიქსაც ვერ დაფარავს. ამის გამო სესხის ვადა ძალუწებურად უნდა გადიდებულ იქნას.

ერთადერთი რაციონალური და მიზანშეწონილი გამოსავალი არის ის, თუ სესხი ვაიცემა ისეთი ვადით, რომელიც უშუალოდ ამ საქმესთან დამოკიდებულ რეალური შესაძლებლობის მიხედვით, უზრუნველყოფს ვალის დროზედ განაღდებას, ამ საქმის განვითარებას არ გადაედობება გზაზედ და მის ნორმალურ ზრდა-განვითარებასაც არ შეაჩერებს. ასეთი ხელისშემწყობი ვადა 10 წლიანია, იმ ვარაუდით, რომ თავნი ვალის გაბათილება იწყება მეხუთე წლიდან და სრულდება ექვსი წლის განმავლობაში თანასწორი ნაწილის შეტანით. საჭიროა აგრეთვე ან სარგებლის 8 პროცენტიდან 6 პროცენტამდის დაწევა ან პირველი ოთხის წლით უსარგებლოთ სესხის გაცემა.

ასეთი მოსაზრების საბუთი შემდეგია: ოთხი წლის განმავლობაში ახალშენი ამერიკული ვაზის სადედე ისეთს მცირე შემოსავალს იძლევა, ისიც მხოლოდ მესამე წლიდან, რომელიც მიმდინარე აუცილებელ მოვლის ხარჯებსაც ძლივს დაფარავს. მეხუთე წლიდან კარგად მოვლილი და სათანადო პირობებში ჩაყენებული ამერიკული ვაზის დედანი საშუალოდ 40000 მეტრს დასამ-

ყნელ ლერწს იძლევა თითო დესეტინაზედ, რომლის ღირებულება დაახლოებით 400 მანეთს ედრება. აქედან 250 მანეთი საღედის მიმდინარე წესიერ და მუშავენას, სესხის პროცენტებისა და სხვა გადასახადების გასტუმრებას დასჭირდება და მხოლოდ დანარჩენი 150 მანეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავნი ვალის ნაწილობრივ გასასტუმრებლად. რადგან ერთი დესეტინა ამერიკული ვაზის გაშენება საშუალოდ 900 მანეთი ჯდება, ყოველწლიურად შემოსავლიდან განთავისუფლებული 150 მანეთი მას 6 წლის განმავლობაში დაფარავს, პირველი რიგიანი მოსავლიდან ან გაშენების მეხუთე წლიდან დაწყებული.

მეორე დიდს საქმეს, გაძლიერებულ ფილოქსერასთან საბრძოლველად, ტრესტის მიერ საზღვარგარეთიდან 1 200 000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწის დაბარება შეადგენს. ეს პირველი მაგალითია საერთაშორისო ომის შემდეგ და მასთან ასეთი შედარებით დიდი მასშტაბით.

დაბარებული ლერწიდან თითქმის ნახევარი მილიონი მეტრი ანუ 40 პროცენტი მშრომელ მევენახეებს, კოოპერატივებს, მევენახეთა არტელებს, სამაზრო აღმასკომებს და საცდელ სადგურებს გადაეცა. დანარჩენი რაოდენობა მოხმარდა ტრესტის მამულებსა და სანერგეებში ვაზის მყნობისა და საღედების გაშენების საქმეს.

იმავე ფილოქსერასთან ბრძოლისათვის, საზღვარგარეთიდან დაბარებული ამერიკული ვაზის ლერწის ნახევარზედ მეტი და თითქმის მთელი საკუთარი ლერწის მოსავალი ვაზის მყნობას მოხმარდა. სულ გაკეთებული იყო 1 500 000 ცალი ვაზის ნაყენი, რომელთაგან თითქმის მილიონი ცალი გატარდა სათბურებში რისტერის წესით, ხოლო ნახევარ მილიონზე მეტი დაიმყნო და ჩაიყარა ჩვეულებრივი წესით.

სათბურებში გამოყვანილი ნაყენი იძლევა ერთი ორად მეტს გახარებულ ვაზის ნერგს და ღირსებითაც უმჯობესს. ხშირად ასეთი ნაყენი დახელოვნებული მუშაკის ხელში და ფაქიზი მოვლით სათბურიდან საკაეში გატარების შემდეგ უშუალოდ სამუდამო ადგილზედ დასარგავათაც გამოდგება, განსაკუთრებით ზოგიერთ საძირებზედ, და ამით ერთ წელიწადს მოაგებინებს გამშენებელს ჩვეულებრივ წესით გახარებულ ნაყენთან შედარებით. ამგვარად კახეთში უკვე 50 დესეტინამდის ახალშენი ევენახეთა გაშენებული.

გაუწია რა ანგარიში ამ გარემოებას, სახალხო მამულების ტრესტმა გადააკეთა და გამოიყენა საანგარიშო წლის საქმიანობისათვის წინანდლის მამულის ჩვეულებრივი სათბური, რამაც, შარშან აშენებულ კონდოლის რისტერისებურ სათბურთან ერთად, წინანდლის მამულს წელს საშუალება მისცა მათში გაეტარებია 700 000 ცალი ნაყენი.

სათბურებიდან, უშუალოდ 236 400 ცალი ვაზის ნაყენი (26,7 პროცენტი) დაეთმო ფასად კოოპერატივებს „კახეთს“ და „წინანდალს“, მშრომელ მევენახეებს და სხვებს. 332 100 ცალი (37,5 პროც.) ნაყენი დაირგა სამუდამო ადგილზედ კახეთის სხვადასხვა სახალხო მამულებში, ხოლო დანარჩენი

1 ასეა საბუთში.

316 800 ცალი გადაირგა სანერგეებში დასაძირიანებლად და საბოლოოდ გასახმარებლად. ამ უკანასკნელი რაოდენობიდან 80 პროც. ამოღება-გადარჩევის შემდეგ დაეთმოზა ფასად მშრომელ მევენახეებს, ხოლო მესხეთელი მოხმარდება მამულებში ახალშენი ვენახების შეკვებას.

544 000 ჩვეულებრივი წესით გაკეთებულ ვაზის ნამყენებიდან ამოღება დახარისხების შედეგად თითქმის მთელი რაოდენობა (200 000 ცალამდის) დაეთმოზა ფასად იმავე მშრომელ მევენახე-გლეხებს.

საანგარიშო წელს გარედ, უმთავრესად გლეხებზედ უკვე გაცემული და გასაცემი ნამყენი ვაზი 100—110 დესეტინა ახალ ვენახს გააშენებს. ამის დამატებით, 40 დესეტინამდის ახალი ნამყენი ვენახი წელს გაცემულ ამერიკული ვაზის ლერწზედ გაშენდება, თუ უკანასკნელი მთლად დასამყენლად გაიხმარეს.

ამავე წელს კახეთის სხვადასხვა მამულებში 35 დესეტინა ნამყენი ვენახი გაშენდა, შარშან კი მხოლოდ 24 დესეტინა, რაც წინა წელთან შედარებით (6 დეს.) თავისთავად დიდი ნაბიჯი იყო.

ვენახების უფრო სწრაფი გაქანებით აღდგენას უსახსრობა უშლის ხელს. ამ შემთხვევაშიც გრძელვადიანი, ათწლიანი შედავითიანი სესხი, ძალიან გამოაცოცხლებდა ვენახების აღდგენის საქმეს და მას მიზანშეწონილად გაფართოვების საჭირო შესაძლებლობას მიანიჭებდა. უამისოდ კი სახალხო მამულებში ვენახების აღდგენის საქმე მეტად გაჭიანურდება და ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება ფილოქსერის გამანადგურებელ მოქმედებას ძველ ვენახებში, ეს კი შეუფერებლობას შეიტანს ტრესტის ღვინოების პრეისკურანტში ზოგიერთი მისი ნომრების უქონლობით ან შეუფერებელი შემცირებით და შეიძლება ბაზარიც დააკარგვინოს.

საზოგადოთ შედავითიანი, გრძელვადიანი, არა ნაკლებ ათწლიანი სესხის გაღების საკითხი, ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების აღდგენის საქმისათვის, სასწრაფოა და მეტად საჭირობოროტო რესპუბლიკანური თვალსაზრისით და ამას გზა არ აეხვევა, დახანებას არ ითმენს, როცა მეტადრე კახეთის მევენახეობის აღდგენას შეეხება იგი. ეს საერთო, გადაუდებელი, მეტად მომწიფებული საკითხია, როგორც ტრესტისათვის, ისე რესპუბლიკის ყველა მშრომელ მევენახეთათვის — გლეხისათვის მევენახეობის აღდგენის წარმატების საქმეში და ის, რაც შეიძლება მალე და დადებითად უნდა იქნეს გადაჭრილი.

სახალხო მამულების ტრესტის მოსავლიანი ძველი მომსხმელი ვენახების საერთო ასპარეზი ამჟამად 246 დესეტინას უდრის, შარშან კი 300 დესეტინას შეადგენდა. განსხვავება — 54 დესეტინა — ეს იმ ძველი ვენახების არეა, რომელიც ფილოქსერამ იმდენად დააძაბუნა, რომ მათი მოსავალი აუცილებლად გასაწევ მოვლის ხარჯებს ვერ ფარავდა და ამიტომ ისინი გაკაფულ იქნენ.

ფინანსურ გაჭირვების მიუხედავად, ძველ ვენახებს წელს საერთოდ წესიერი მოვლა-პატრონობა თითქმის არ დაკლებია და თუმცა ისინი ზოგან ნაწილობრივ სეტყვისაგან დაზარალდნენ, (წინანდალში, მუკუზანში და კარდანახში) დაბერებულია და ფილოქსერისაგან დაძაბუნებული, მაგრამ მაინც

შედარებით დამაკმაყოფილებელი მოსავალი მოიტანეს — 60 000 ფუთზედ მეტი ყურძენი, საშუალოდ თითქმის 250 ფუთი დესეტინაზედ.

აი მოკლე ნუსხა იმისი, თუ რა გააკეთა სახალხო მამულების ტრესტმა ვენახეობის დარგში გასულ 1924—1925 წელს.

1. ფინანსური დაბრკოლებების მიუხედავად, წესიერად მოუარა ძველ შემოსავლიან ვენახებს (250 დესეტინამდის), რის გამო იმათ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცეს — საშუალოდ თითქმის 250 ფუთი ყურძენი თითო დესეტინაზედ.

2. ასევე უვლიდა ახალშენ ნამყენ ვენახებს და ამერიკული ვაზის სადედეებს.

3. დიდი დაბრკოლებებით და დაგვიანებით ისესხა საჭირო თანხა, გადააბრუნა მიწები სხვადასხვა მამულებში — 98,3 დესეტინა (66 დესეტინა კახეთში, დანარჩენი იმერეთში) და გააშენა ამერიკული ვაზის დედნები, რამაც პირობების მისხედვით, დამაკმაყოფილებელი შედეგები მისცა. ასეთი ვრცელი ასპარეზის ერთბაშად დამუშავება-გაშენება არახელსაყრელ გარემოებათა მიხედვით დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

4. ასევე დაიბარა საზღვარგარეთიდან 1 200 000 მეტრი დასამყენელი ამერიკული ვაზის ლერწი (საზოგადოდ პირველი შემთხვევაა ასეთი შედარებით დიდი რაოდენობით გამოწერისა ამერიკაგვასიის ფარგლებში), მესამედზედ მეტი გადასცა, უმთავრესად გლეხებს, ნაწილობრივ კოოპერატივებს და მახრის აღმასკომებს, ხოლო დანარჩენი გაიხმარა თვით თავის სანერგეებ-მამულების საშუალებით დასამყენელად და დედნების გასაშენებლად.

5. საზღვარგარეთიდან დაბარებულ და საკუთარი მოსავლის ამერიკულ ვაზის ლერწებზედ დაამყნო 1 500 000 ცალი ნამყენი, რომელთაგან თითქმის ორი მესამედი სათბურში გაატარა და დანარჩენი კი სკოლებში ჩაყარა გასაზარებლად ჩვეულებრივი წესით.

6. დაარიგა ფასად გლეხებში 50 000 ცალი შარშანდელი ერთწლიანი ნამყენი ვაზი და 235 000 ცალი წლევიანდელი ნამყენი უშუალოდ სათბურებიდან, საკაფეში გატარების შემდეგ.

7. გააშენა სახალხო მამულებში 35 დესეტინა ახალშენი ნამყენი ვენახები, რაც აგრეთვე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისეთ მძიმე პირობებში, როგორშიც ფინანსურად ტრესტი იყო საანგარიშო წელში.

რადგან ტრესტის მამულების ვენახები სწრაფად ისპობა გაძლიერებულ ფილოქტერისაგან, მეტადრე კახეთში, სადაც ყველა ვენახების ოთხი მეხუთედია მოქცეული, საჭირო ხდება შესაფერი სისწრაფით მათი აღდგენა ფილოქტერის გამძლე ამერიკულ ვაზის საძირებზედ დამყნო აღგილობრივი ჯიშებით.

თუ შესაფერი სახსარი გამოიძებნა, სახალხო მამულების ტრესტს მომავალ წელში განზრახული აქვს 105 დესეტინა ნამყენი ვენახი გააშენოს, აქედგან 80 დესეტინა კახეთში, ხოლო დანარჩენი 25 დესეტინა ბორჩალოს მაზრაში და იმერეთში. ამ საქმისათვის საჭიროა განსაკუთრებით 169 000 მანეთი.

თუ ასეთი გაქანებით შესძლო სახალხო მამულების ტრესტმა ყოველწლიური მუშაობა, მისი ვენახები 4—5 წელში იქნება აღდგენილი.

რასაკვირველია გარდა მიმდინარე ვენახების გადასახალისებელ თანხებისა, ყოველწლიურად საჭირო იქნება გარკვეული თანხები ახალშენების წესიერად მოსავლეად და დასამუშავებლად, რომლებიც თანდათან შემცირდებიან ვენახების თანდათანობითვე მოსავლიანობის დაწყებით.

აგრეთვე თანხები იქნება საჭირო ყოველწლიურად ძველი ვენახების მოსავლე-შესანახად იმ დრომდის, ვიდრე ისინი შემოსავლიანები იქნებიან.

ერთი მხრით ვენახები თანდათან ისპობა ფილოქსერისაგან და ამის გამო შემოსავალი კლებულობს და მეორე მხრით, ხარჯები იზრდება განადგურებულ ძველი ვენახების ნაცვლად ნამყენი ახალშენების გაშენებით. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა და არც ისე ჩასაფიქრებელი როგორც პირველ შეხედვით გვეჩვენება. გადახალისებული ვენახები 4—5 წლის შემდეგ დიდს მოსავალს მოგვცემენ და თანდათანობით დაფარავენ მათ გაშენებაზედ გაწეულ კაპიტალურ ხარჯებს და შემოსავალსაც დასტოვებენ.

საქართველოს ზოგიერთ მევენახეობის რაიონებში ტრესტს ან სულ არა აქვს გაშენებული ამერიკული ვაზის დედანი, ან უკანასკნელი მცირეა. განხრახულია მომავალ წელში ასეთ ადგილებში 20 დესტეინამდის ამერიკულ ვაზის დედნების გაშენება, რასაც დაახლოებით 10 000 მანეთი დასჭირდება.

რათა ჯერ კიდევ მცირე დასამყენელი მასალა — ამერიკული ვაზის ლერწი დაიზოგოს და მისგან მეტი და უმჯობესი შედეგი იქნეს მიღებული, განხრახულია გაშენდეს სხვადასხვა რაიონებში სანერგეებსა და მამულებთან კიდევ ხუთი რიხტერისებური სათბური, რომელთა ასაგებად 87 000 მანეთამდეა საჭირო.

ჩვეულებრივად ვაზის ნამყენების აღზრდასთან შედარებით სათბურებში აღმოცენებული ნერგები იმდენად თვალსაჩინო განსხვავებას იძლევიან რაოდენობა-ლირების მხრით გახარება-დაძირიანებაში, რომ ამ განსხვავების საფასური პირველ წელშივე ფარავს ამ კაპიტალურ მარტო ვაზის ნამყენებისთვის მცირე ხნით საჭირო შენობაზედ — სათბურზედ გაწეულ ხარჯებს. ვენახების გადახალისების დროც ერთიორად მოიგება რაც ვაცილებით უფრო საინტერესოა.

თითო სათბურის აგება ჯდება 17 000 მანეთი. ასეთს სათბურში თითოჯერ გატარდება 300 000 ნამყენი. უკვე ადგილობრივ მიღებული გამოცდილების მიხედვით სათბური შეიძლება დაიტვირთოს სამჯერ და მაშასადამე ერთი სეზონის განმავლობაში მასში გატარდება 900 000 ცალი ვაზის ნამყენი. სკოლაში გადარგვა-გახარების შემდეგ, ამოღება-დახარისხების დროს, უვარგისი დგება ხოლმე საშუალოდ მთელი რაოდენობის ორი მეხუთედი, ან შემთხვევისათვის — 360 000 ცალი. დარჩება სალი 540 000 ცალი. ასეთი ნამყენის ჩვეულებრივი ფასი 10 კაპ. — მთელი ეს ნამყენი ეღირება 54 000 მანეთი. აქედან, რომ ორი წილი ნამყენზედ გაწეული ყველა ხარჯების დასაფარავად გადაირიცხოს, რაც საკმარისი იქნება, მაინც რჩება სათბურის ასაშენებლად თანხაზედ მეტი

(18 000 მანეთი). ამგვარად, შემდეგი წლისათვის სათბური უფასოდ გვრჩება, რაც მომავალში ნამყენების დაიღვების საშუალებას მოგვცემს.

ჩვეულებრივი წესით აღზრდილი ნამყენის იგივე რაოდენობა მხოლოდ დაახლოებით მესამედს მოგვცემს, ე. ი. 300 000 ცალ ნამყენს იმავე ფასით 300 000 მანეთის საღირასს და იკარგება ორი წილი მასალა;

სანამ გაშენებული ამერიკული ვაზის ღედნები საკმარისს დასამყენელ ლერწებს მოგვცემდეს საჭირო სისწრაფით ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების აღსადგენათ და გადასახალისებლად, რაც 2—3 წელს გაგრძელდება, საჭიროა ამ ხნის განმავლობაში დავიბაროთ საზღვარგარეთიდან ამერიკული ვაზის ლერწი, ყოველწლიურად 2—4 მილიონი მეტრი.

მომავალი წლისათვის ტრესტს განზრახული აქვს 2 მილიონი მეტრი ლერწის გამოწერა, უმთავრესად ხალხში გასავრცელებლად პირდაპირ და ნამყენების სახით.

სახალხო მამულების ტრესტის მომავალი წლის პერსპექტივები მევენახეობის დარგში ასეთია:

1) წესიერად მოუაროს ძველ, ჯერ კიდევ მოსავლიან ვენახებს.

2) ამგვარადვე უპატრონოს ახალშენ ნამყენ ვენახებსა და ამერიკულ ვაზის ღედნებს და შეავსოს ისინი.

3) გამოიხოს სახსარი და გააშენოს თავის მამულებში 105 დესეტინა ნამყენი ფილოქსერის გამძლე ვენახი.

4) ასევე გააშენოს 20 დესეტინა ამერიკული ვაზის ღედანი იმ რაიონებში, სადაც მცირეა, ან სულ არ არის.

5) ასევე აავსოს ხუთი სათბური რიხტერისებური წესით ნამყენების აღსაზრდელად და ამით სანამყენო მასალის დასაზოგად და ვენახების აღდგენის საქმეში დროს მოსაგებად.

6) ასევე დაიბაროს საზღვარგარეთიდან ორი მილიონი მეტრი შესაფერი ამერიკული ვაზის სანამყენო ლერწი და, თუ საჭირო იქნება მეტიც, — ნამყენების გასამრავლებლად და ვენახების აღდგენის დასაჩქარებლად.

მეღვინეობა

სახალხო მამულების ტრესტის მეურნეობაში სხვა დარგებთან შედარებით პირველი ადგილი მეღვინეობას უჭირავს. ძირითადი მიმართულება ტრესტისა ამ საქმეში გამოიხატება არა მარტო საკუთარი ვენახების პროდუქციის გაუმჯობესებული რაციონალური წესითა და საშუალებით დამზადებაში, არამედ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მის მთავარ მიზანს შეადგენს გლეხური ნედლი მასალის მასიური შესყიდვა, გადამუშავება და უკვე მზა დამთავრებული პროდუქციის სახით ბაზარზე მისი გატანა და რეალიზაცია. ასეთი იყო საანგარიშო წელს და ასეთია ეხლაც მეღვინეობის დარგში მიმართულება და ხასიათი სახალხო მამულების ტრესტის მოქმედებისა.

თანახმად წინასწარ შემუშავებულ საწარმოო გეგმისა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გლეხებისაგან შესყიდულ ყურძნიდან ღვინოების დასამზადებლად ტრესტი პირველად ყოვლისა შეუდგა სასარდაფო ინვენტარის გადახალისებას და საჭირო მასალების მომარაგებას. მთავარი ყურადღება ამ შემთხვევაში მიექცა საღვინე ჭურჭლის დამზადებას. უკანასკნელ წლებში სახალხო მამულების სარდაფებიდან ღვინოსთან ერთად დიდძალი ჭურჭელი იქნა გატანილი უმთავრესად რუსეთში. მეტი წილი ამ ჭურჭლისა დღესაც არ დაუბრუნებიათ ზოგიერთ ორგანიზაციებს, როგორც მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო საბაიო ამხანაგობას („გარუზგოსტორგი“), რომელზედაც 1000 კასრამდე დღესაც ირიცხება. ამ გარემოებამ იმდენად დააცარიელა სარდაფები, რომ საანგარიშო წლის რთველისათვის საკუთარი მოსავლის მისაღებათაც აღარ გვექონდა საკმაო რაოდენობა კასრებისა.

საანგარიშო წლის გეგმით განზრახული 150 000 ვედრო ღვინის მოსათავსებლად რთველისათვის საჭირო იყო შეგვეყვებინა და დაგვესუფთავებინა დიდი ხნის უხმარი და დაზიანებული ბუტები და გაგვეყვებინა 1800 ახალი კასრი. ამ მიზნით განვაახლეთ მუშაობა წინანდლის და თბილისის საკასრე სახელოსნოში, ავიყვანეთ აღნიშნულ სახელოსნოებში 25-მდე მეკასრე, შევიძინეთ სამი ვაგონი სასალტე რკინა და საჭირო რაოდენობა სხვა და სხვა მასალებისა. საანგარიშო წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებისათვის თბილისის და წინანდლის სახელოსნოებში მზადდებოდა ყოველდღიურად არანაკლებ 20 კასრისა და რთველისათვის ამგვარად მზად იყო უკვე 2 500 ცალი ახალი და ძველი შეეცემებული კასრი.

მაგრამ ეს რაოდენობა კასრებისა, როგორც ზევითაც მოვახსენეთ, არ იყო საკმარისი და ეს იყო ერთი მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზთაგანი, რომ ტრესტის მიერ დასახული საწარმოო გეგმა მელვინეობის დარგში განხორციელებულ იქნა მხოლოდ 80 პროცენტით. როგორც ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან დაინახავთ, იმერეთის მამულებში — ვარციხეში, საქარაში და ვაჭევში, გლეხებისაგან შესყიდულ ყურძნიდან დამზადდა 106 000 ვედრო ღვინო და კახეთის მამულებში 30 000 ვედრო. ამ რაოდენობიდან 86 000 ვედრო დაყენებული იქნა სუფრის ღვინით, 40 000 ვედრომდე შემავარებულ იქნა 20^ე-მდე პორტვინისა და მადერის ტიპის ღვინოების მისაღებად და 10 000 ვედრა გამოხდილი იყო ვარციხის ქარხნებში სპირტად და კონიაკად.

ტრესტის მმართველი — (კანდელაკი), მმართველის მოადგილე — (გ. გედევანიშვილი), მევენახეობის ინსპექტორი — (მეგრელიშვილი), მელვინეობის ინსპექტორი — (ვ. კანდელაკი).

№ 14

1926 წლის თებერვლის 16. — სრულიად საქართველოს მევენახე-მელვინეთა კოოპერაციული კავშირის („საქართველოს ღვინო“) საბჭოს მეორე სესიის დადგენილება „საქართველოს ღვინოს“ გამგეობის მოქმედების შესახებ 1925 წლის 15 აგვისტოდან

საქმის წინმსვლელობისათვის და მისი უკეთესად მოსაგვარებლად მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. სსსრ რესპუბლიკა უმთავრესად გლეხკაცობის მეურნეობის ქვეყანაა. არსებულ დარგთა შორის მევენახეობა-მელვინეობას ჩვენში ერთი საბატიო ადგილთაგანი უჭირავს. მის მდგომარეობაზედ არის დამოკიდებული ჩვენი გლეხის ბიუჯეტის დიდი ნაწილის ბედ-იღბალი. სახელმწიფოს მიზანს უნდა შეადგენდეს: შეუწყოთ ხელი ამ საქმეს, განვავითაროთ იგი, მეტი სარგებლიანი გავხადოთ მისი წარმოება და მით ფართო მასა გლეხკაცობისა, დაინტერესებული მეურნეობის სარგებლიანობით, ჩავაბათ ამ ბარაქიან მუშაობაში, რომლითაც იგი შესძლებს თავის და სახელმწიფო მოთხოვნილებათა იოლად გაძლოას.

2. მიწის ნაციონალიზაცია, ახალი და უმჯობესი ტექნიკით საქმის წარმოება, რაც კოლექტიური მუშაობით უფრო იოლი და შესაძლებელი ხდება, ქალაქისა და სოფლის წარმოების და მუშისა და გლეხის დაკავშირება, გარეშე თუ შინა ბაზარზედ მწყობრივ გამოსვლა და სხვა, გვცაარნახებენ მაქსიმუმი ენერგიით მოვკიდოთ ხელი გლეხობის კოოპერაციაში ჩასაბმელად.

3. ვინაიდან საქართველოს გლეხკაცობა ეწევა მრავალფეროვან მეურნეობას და დიდ ძალას კარგავს, რომ მოიწიოს პური არსებობისა მაშინ, როდესაც უფრო ადვილად შეუძლიან მას ამას მიაღწიოს თუ რაციონალურად გამოიყენებს იმ ბუნებრივ პირობებს, რომელნიც აქ არსებობენ და რაც ასე უხვად აჯილდოვებენ მევენახეობას. საჭიროა დაკვირვებით შესწავლილ იქნეს ვახისათვის ვარგისი ალაგები და ხელი შეუწყოთ მის მოშენებას იქ, რომ გაფართოვებული მეურნეობის გზით გადავიდეთ ღვინის რიცხობრივ და თვისებით დამუშავებაზედ და აქედგან მინაღები პროდუქციის ინდუსტრიალიზაციაზედ.

4. ჩვენ მოკავშირე — მევენახე-მელვინეთა ორგანიზაციებში ითვლება დაახლოებით 1/4 იმ მცხოვრებთა, რომელნიც მისდევენ მევენახეობას. ჩვენ მიზანს შეადგენს წელს მათ შორის მუშაობა განვამტკიცოთ და გავზარდოთ წევრთა რიცხვი 1—2 (ერთი-ორად) ამისათვის საჭიროა იქნას მიღებული შემდეგი ზომები:

ა) ბანკების დახმარება ხდებოდეს კრედიტების დროზედ მიცემის და საქონლის ტრილის თუ მეურნეობის წარმოების საჭიროებასთან შედარებით;

ბ) არსებობის უნარის მქონე დავალინებულ ორგანიზაციებს ეწეოდეთ დახმარება ვალის ნაწილობრივ გადახდის სახით;

გ) ბანკების მუშაობა შეუხამდეს ჩვენს საქმიანობას;

დ) მიწათმოქმედების კომისარიატის მუშაობის დიდი ყურადღება ევენახეობის აშენების, მოვლის თუ ნაწარმოების დამუშავება-პატრონობის მხრივ იქნეს მიქცეული ჩვენსკენ და ჩვენი მეშვეობით, თავისი არსებობის როლი დაუკავშიროს ფართო მასის სურვილებს, რომ უკანასკნელმა იგრძნოს კოოპერაციის საჭიროება და მისი მეშვეობით უკეთესი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა;

ე) საჭირო ღვინის, არყის და სხვა მინაგვარი პროდუქტების შეძენა, თუ ჩვენი ძირითადი ორგანიზაცია მოქმედობს რაიონებში, სადაც ხდება მომარაგება და მასის მიწოდებული თვისებით არ ჩამოუვარდება კერძოსას და ფასიც ბაზრის ფასის საშუალოს არ აჭარბებს სახელმწიფო დაწესებულებათა და კოოპერატიულ გაერთიანებათაგან ხდებოდეს ჩვენი ცენტრის მეშვეობით;

ვ) გამოძენილ იქნეს საშუალებანი, რომ აიგოს კოოპერაციული ყურძნის დასაწერი და ღვინის დასაყენებელი შენობები იმ რაიონებში, სადაც ამის საჭიროებაა და ასეთები კი არ მოიპოვებიან, ან და, არსებულ კანონების ფარგლებში გამოყენებულ იქნეს, სადაც ასეთები არსებობენ, ჩვენ მათში ვსაჭიროებთ და სხვა კი მათ ზმარობს არაპირდაპირი დანიშნულებით;

ზ) ვაზის სანერგეები (გარდა კერძო პირთა და სახელმწიფო დაწესებულებათა), არყის, კონიაკის თუ სარექტიფიკაციო ქარხნები, რომელთაც კავშირი აქვთ „საქართველოს ღვინო“-ში შემაჯალ ორგანიზაციებთან გადმოვიდეს მევენახე-მელღინეთა კოოპერაციების ხელში;

თ) იმ კოოპერაციებს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ მევენახეობა-მელღინეობასთან, აეკრძალოთ აწარმოონ საგანგებო ოპერაციები ღვინის და არყის საქმეებში, თუ ჩვენ მისი გაძლოა შეგვიძლიან, და თავისი უფლებით არ ასარგებლონ არა კოოპერაციული ჯგუფები და პირნი;

ი) ჩვენ ნაწარმოების ტრანსპორტს, რკინიგზის მმართველობის მხრივ, მიექცეს მეტი ყურადღება და სასტიკად დაისაჯონ ისინი, ვინც ამას დაარღვევს და თავისი მოქმედებით კერძო პირთ მისცემს უპირატესობას.

6. რომ საქმეს დაეტყოს მეტი სიცოცხლე და მასა შეგნებულად ჩაებას კოოპერაციულ მშენებლობაში, საჭიროა გაცხოველდეს ადგილებზედ მუშაობა და ხშირად კეთდებოდეს მოხსენებები არსებულ მდგომარეობასა და საჭირო საკითხების შესახებ. ამიტომ გამგეობები ვალდებული არიან იტრიალონ წევრებს შორის, გააცხოველონ მათში მუშაობა, მიიზიდონ ახლები, ცოცხალი კავშირი გააბან მათთან და სხვა.

7. რომ ცენტრს შეეძლოს დავკვირვებით ადევნოს თვალყური მოკავშირე ორგანიზაციათა მუშაობას, უკანასკნელთა გამგეობები ვალდებული არიან დროით ატყობინებდნენ პირველს თავიანთ საჭიროებებს, აწვდიდნენ ცნობებს შეკითხვებზედ, ღებულობდნენ რჩევა დარიგებას და უცვლელად ასრულებდნენ მათ, უკე თუ ეს გამომდინარეობს საჭიროებიდან და საქმეს არ ავნებს.

8. აღიკვეთოს სეპარატული მოქმედება მოკავშირე ორგანიზაციათა, გამო-მუშავებულ გეგმას გაუწიოს სრული ანგარიში და ყოველი ნაბიჯი, რომელიც

სამოქმედო რაიონის და პირდაპირ მოვალეობათა იქით იდგმება, არ იქნეს დაშვებული ხელმძღვანელ ცენტრთა შეთანხმების გარეშე.

9. ვინაიდან შემოდგომის ოპერაცია ხელს უშლიდა რაციონალიზაციის ჩატარებას და ღლეს უკეთესი დროა ამის მოსახდენათ, დაევალოს ცენტრალურ გამგეობას დაჩქარებით მოახდინოს არსებული ორგანიზაციების რაიონების გამოყოფა და აუქრძალოთ ყველას მათ გარეშე მუშაობა.

შენიშვნა: თუ საჭიროება მოითხოვს რაიონის გარეშე საქმის დაჭერას, იგი უნდა ხდებოდეს ცენტრის ნებართვით.

10. რადგან ორგანიზაცია გულისხმობს წესდების შიგნით მუშაობას და ერთგვარ წესრიგს, რასაც მოკავშირე ორგანიზაციათა მხრივ ღღემდის არ, ან სუსტად, ეწეოდა ანგარიში, ცენტრალურ გამგეობას ევალება მიიღოს ზომები, რომ ჩვენში შემომავალმა ორგანიზაციებმა სასტიკად დაიცვან იგი და დამრღვევთა წინააღმდეგ მიიღოს შესაფერი ზომები.

11. გადათვლიერებული იქნეს ორგანიზაციებში შემავალი წევრები, უვარების და მავნე ელემენტები გაიდევნონ და შეივსონ ახალი ძალებით, რომელნიც მუშაობაში შემოიტანენ მეტ სიცოცხლეს.

12. გადათვლიერებული იქნეს ხელმძღვანელი აპარატების შემადგენლობანი, შეხამებული იქნეს აპარატის შენახვა შეძლებისა და საჭიროებასთან და ყველგან ძალზედ შემოკლდეს ზედმეტი ან უსარგებლო ზარჯები.

13. მიღებული იქნეს ზომები დებიტორების ანგარიშების ამოსაწერად. აღმოჩენილ ბოროტებათა და ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ მიღებული იქნეს ყველა კანონიერი ზომები და მთელი ანგარიშიანობა მოწესრიგდეს ისე, რომ ყველა წევრთათვის ნათელი იქნეს თავისი ორგანიზაციის ქონება, ავლადიდება და საქმის სარგებლიანობა.

14. ორგანიზაციათა საბჭოებს და სარევიზიო კომისიებს ეთხოვოთ გაატარონ მზრუნველობა, თვალყურის დევნება და კონტროლი გამგეობათა მუშაობის ირგვლივ.

15. ეთხოვოს ადგილობრივი ხელისუფლების და ხელმძღვანელი პარტიის ორგანოთ ხელი შეგვიწყონ სათანადო დახმარებით იმ დაბრკოლებათა დასაძლევათ, რომელთაც ალაგი აქვთ ხოლმე ადგილებზედ.

თაემჯდომარე: ა. კაკაბაძე, მდივანი: მ. მონასელიძე.

ორცა, ფონ. 1147, საქ. 1, ფურ. 1—3. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 15

1926 წლის თებერვლის 22. — საქართველოს მიწსახკომის მიმართვა სრულიად საქართველოს მეღვინეობა კოოპერაციულ კავშირს „საქართველოს ღვინოსადმი“ ყალბი ვაზის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

თქვენს შეკითხვაზედ, რომ არიან ისეთი ბოროტი პირნი, რომელნიც სარგებლობენ რა ვაზის ნამყენის დიდი მოთხოვნილებით ნამყენი ვაზის სახელით ასაღებენ დაუმყნობელს ვაზს ხალხში და ამით ზარალს აძლევენ ხალხს და ამის

წინააღმდეგ რა კანონი არსებობს მათ ასალაგმავათ, გაცნობებთ, რომ ეს დანაშაული უნდა შეფარდებულ იქნას სსსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193 მუხლს, რომელიც ამბობს „თაღლითობა, ე. ი. ქონების ან ქონებაზე უფლების ანგარებით ხელში ჩაგდება ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით, გამოაწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე“. როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, ისე დაზარალებულს შეუძლია სასამართლოს წესით პასუხისგებაში მისცეს ასეთი პირი; გარდა ამისა დაზარალებულებს შეუძლია მოსთხოვოს ბოროტმოქმედთა მთელი ზარალის ანაზღაურება.

გაცნობებთ რა ხსენებულს, გთხოვთ მიიღოთ ზომები ამ განმარტების გამოქვეყნებაში.

საქმეთა მმართველი მ. ზირაქიშვილი, სას. სამ. განყ. გამგე სამადაშვილი მევენახეობა-მელენეობის ინსპექტორი ბიბილაშვილი.

ორცა, ფონ. 288, საქ. 1338, ფურ. 136, დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 16

1928 წლის მარტის 13. — თელავის აღმასკომის წარმომადგენლის შ. პატაშვილის მოხსენება თელავის მაზრის აღმასკომისადმი ნამყენი ვაზის ნერგების განაწილების შესახებ

თანახმად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში (ა.წ. 26 იანვარს შემდგარი კომისიის დადგენილებისა, რომელიც დადასტურებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მიერ, ნამყენი ვაზის განაწილება დაევალორ კომისიას (ქალ. თელავის და სიღნაღის მაზრებისას ცალ-ცალკე).

23 თებერვალს წინანდლის სახალხო მამულში შედგა თელავის მაზრის განმანაწილებელ კომისიის სხდომა. წინა დღეს, მე მივმართე იმ დროს წინანდალში მყოფ ტრესტის მევენახეობის ინსპექტორ ამხ. თ. მეგრელიშვილს და მამულის გამგეს თუშმალიშვილს კითხვით, თუ რა რაოდენობაა გასანაწილებელი ნამყენისა თელავის მაზრაში. მათი ცნობით განაწილებული იყო 900 000 ცალი სათბურში გამოყვანილ ვაზის ნამყენი და 80 000 ცალი (ფაქტიურად 70—75 000) ერთწლიანი დამზადებული ნამყენი. კომისიამ აღნიშნული რაოდენობა ნამყენისა გაანაწილა. აღსანიშნავია, რომ მაზრის მოთხოვნილება მთლიანად არ იყო დაკმაყოფილებული; ამის გამო, წელს იმისდა მიუხედავად, რომ გლეხობას მიწა გადაბრუნებული აქვს, მათი საგრძნობი ნაწილი ვერ მიიღებს ნამყენს. ამას ადასტურებს შემდეგი: ერთწლიანი ნამყენის მოთხოვნილება 233 740 ცალი, მიეცა 75 000 ცალი; სათბურის ნამყენის მოთხოვნილება — 1 280 000 ცალი — მიეცა 900 000 ცალი.

კომისიის წევრებმა შედეგი განაწილების მეორე დღესვე გამოაქვეყნეს, რადგანაც გლეხობა ძალიან იყო დაინტერესებული თუ რომ ვის შეხვდა ნამყენი და თუ შეხვდა მისი რაოდენობა.

10 მარტს წინანდალში მოვიდა მოწერილობა მევენახეობის ინსპექტორის მეგრელიშვილის. აღნიშნული იყო, რომ სიღნაღის მაზრის კომისია არ არის

კმაყოფილი იმ ნამყენის რაოდენობით, რომელიც მათ უნდა გაენაწილებინათ სიღნაღის მაზრაში, და მოითხოვდა ორივე მაზრის კომისიების შეერთებულ სხდომას ნამყენის განაწილების საკითხის მოსაგვარებლად. შეერთებული სხდომა მოხდა მეტუხანში 12 მარტს, სადაც კომისიები ვერ შეთანხმდნენ შემდეგი მიზეზით:

სიღნაღის მაზრა მოითხოვდა, რომ მიეცეთ მათ საერთო რაოდენობიდან 60 პროც. ერთ წლიანი ნამყენის და 40 პროც. სათბურის ნამყენი, ღარჩენილი თელავის მაზრას.

თელავის მაზრა მოითხოვდა, რომ 35 პროც. როგორც ერთწლიანი ნამყენი, ისე სათბური მიეცეს სიღნაღის მაზრას, დანარჩენი 65 პროც. თელავის მაზრას. თელავის მაზრის კომისია, როდესაც აღგენდა ნამყენის განაწილების რაოდენობას მაზრებში, გამოდიოდა შემდეგი მოსაზრებით:

1. სიღნაღის მაზრაში არის განაწილებული 30 000 ცალი ძირეული, 370 000 ცალი სათბურის ნამყენი (მეტუხნის 300 000 ცალი, ჩუმლაყის 70 000 ცალი) გარდა ამისა „წარმოკავშირის“ აქვს გასანაწილებელი 110 000 ცალი ძირეული ნამყენი.

2. თუ გინდ მხედველობაში არ მივიღოთ, რომ საერთოდ სიღნაღის მაზრა ეკონომიურად გაცილებით ძლიერია, ვიდრე თელავის მაზრა (ცნობილია, რომ სიღნაღის მაზრის მეურნეობაში, გარდა მევენახეობისა, განვითარებულია თამბაქოს მოყვანა, მესაქონლეობა და პურის მოყვანა, თელავის მაზრაში კი უმთავრესი დარგი მეურნეობაში არის მევენახეობა), მევენახეობის დარგში სიღნაღის მაზრა გაცილებით ძლიერია, ვიდრე თელავის. თელავის მაზრაში, სადაც ფილოქსერამ გაცილებით ადრე იჩინა თავი, ვიდრე სიღნაღის, განადგურებულია ფილოქსერისაგან მთელი ვენახების რაოდენობის 75 პროც; სიღნაღის მაზრაში ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების რაოდენობა არ აღემატება 30 პროც-ს. „წარმოკავშირის“ 110 000 ცალი ძირეული რომ არ ჩავთვალოთ სათვალავში, სიღნაღის მაზრა მიიღებს 400 000 ნამყენს, თელავის 980 000 ცალ ნამყენს. ცხადია, რომ ასეთი განაწილება სავსებით შეეფერება, რომ თელავის მაზრას სადაც 3/4 ვენახების რაოდენობისა განადგურებულია — გაცილებით მეტი უნდა შეზღვეს, ვიდრე სიღნაღის მაზრას. მართალია სიღნაღის მაზრის კომისიამ წამოაყენა ის მოსაზრებაც, რომ მათ მაზრაში ბევრს უკვე გადაბრუნებული აქვთ მიწა და ნამყენის დიდი მოთხოვნილება არის, მაგრამ ეს არის საერთო მოვლენა. თელავის მაზრაშიაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ბევრი რჩება დაუკმაყოფილებელი და ბევრიც იმისდა მოუხედავად, რომ მიწა გადაბრუნებული აქვთ ვერ მიიღებს ნამყენს.

რადგანაც კომისიებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება და საქმე მოითხოვს, რომ ეს საკითხი რაც შეიძლება მალე იყოს გადაჭრილი, თელავის მაზრის აღმასკომმა აღნიშნული საკითხი უნდა გადაიტანოს ცენტრში — მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში.

აღმასკომის წარმომადგენელი განმანაწილებელ კომისიაში შ. პატაშვილი.

№ 17

1926 წლის მარტი. — საქართველოში ღვინის კოოპერაციული და სახელმწიფო სარდაფების სია ღვინის ტევადობის აღნიშვნით

№ რიგ.	სახელწოდება	ტევადობა ჰექტო- ბით	საკუთარი ან დაკავშირებული	სარდაფი	მარანი	აღმოსაქმედებარება
კოოპერაციული სარდაფები აღმოსავლეთ საქართველოში						
1	„საქართველოს ღვინო“	80000	საკუთარი	სარდაფი	—	თბილისი
2	„წარმოკავშირი“	150000	„	„	—	„
3	„საქ. საზ. ვაჭრობა“	30000	„	„	—	„
4	კოპ. საზ. „კახეთი“	5000	„	„	მარანი	ს. კარდანახი
5	კოპ. საზ. „კავშირთ-კავშირი“	3000	„	—	„	თელავში
6	კოპ. საზ. „წინანდალი“	5000	„	—	„	ახ. ლენინი
7	კოპ. საზ. „წინანდალი“	4000	„	—	„	ჩუშთაში
8	კოპ. საზ. „ს. გიორგი“	4000	4	—	„	წინ. ნდალში
9	კოპ. საზ. „ს. გიორგი“	4000	„	—	„	„
10	კოპ. საზ. „კონცხი“	5000	„	—	„	შილდაში
11	კოპ. საზ. „ვახის-მეგობარი“	5000	„	—	„	სოფ. ზემო
12	კოპ. საზ. „უნიონი“	100000	„	სარდაფი	„	ხოდაშენი
						კოლ. ლუქსემ- ბურგი
კოოპერაციული სარდაფები დასავლეთ საქართველოში						
13	კოპ. საზ. „იმერეთი“	60000	საკუთარი	სარდაფი	—	ხესტაფონში
14	„საქ. საზ. ვაჭრობა“	50000	„	„	—	კუთაისში
	ს უ ლ	110000	—	—	—	—
სახალხო მამულთა ტრესტის სარდაფები აღმოსავლეთ საქართველოში						
15	„წინანდალი“	450000	საკუთარი	სარდაფი	—	წინანდალში
16	„ნაფარეული“	150000	„	„	—	ნაფარეულში
17	„მუკუხ-ნი“	200 000	„	„	—	მუკუხ-ნი
18	„კარდანახი“	10000	„	„	—	კარდანახში
19	„მანავი“	2000	„	„	—	მანავაში
	ს უ ლ	812000	—	—	—	—
20	თბილისის ცენტ. სარდაფი	100000	„	„	—	თბილისში
21	„მუხრანი“	30000	„	„	—	მუხრანში
	ს უ ლ	130 000	—	—	—	—

სახალხო მამულთა ტრესტის სარდაფები დახვედით საქართველოში

22	„ვაჭერი“	3000	საკუთარი	სარდაფი	—	ვაჭერში
23	„ვარციხე“	50000	„	„	—	ვარციხეში
24	დროებითი ლენინის შესანახი ვარ- ციხეში	80000	„	„	—	ვარციხეში
25	„საქ-რა“	5000	„	„	—	საქარაში
	ს უ ლ	88000	—	—	—	—

სულ სარდაფების ტევადობა მთელ საქართველოში და სახალხო მამულების სარდაფებში განისაზღვრება 1543500 ვედრო.

ორცსა, ფონ. 288, საქ. 1338, ფურ. 221. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 18

1926 წლის მაისის 24. — საქართველოს მიწსახოების წერილი საქართველოს სსრ სახკომსახელოსადმი საქართველოში საკუთარი შაბიამნის დაშადების შესახებ

მოგესხენებათ, რომ საქართველოს თვალსაჩინო დარგი მევენახეობა-მეღვინეობა არის. საერთოდ ჩვენი მეურნეობის გაჯანსაღება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობის გზით, რადგან ამ დარგის პროდუქციას ფართე ბაზარი აქვს მოპოვებული საბჭოთა რესპუბლიკებში და მომავალშიაც ექნება კიდევ.

ორი მთავარი საშუალება მევენახეობის განვითარებისათვის ფრიალ საქირო: დასარგავი ნამყენი ამერიკულ ვაზზე და ვენახის სარჩენი მასალა შაბიამანი და გოგირდი.

მიწათმოქმედების კომისარიატს ჯეროვანი ზომები აქვს მიღებული რომ ჩვენი მევენახეთათვის საქირო ფილოქსერისაგან უზრუნველყოფილი ამერიკული ვაზის რქა და ნამყენი იყვეს საქართველოშივე დაშადებული მათთვის, რისთვისაც გაშენებულია 240 დესტინამდე ამერიკული ვაზის სადგედ და ჩვენი მეურნეობა შესძლებს დაახლოებულ წლებში სრულიად დააკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება.

დაუქმყოფილებელი რჩება მხოლოდ მეორე მოთხოვნილება — შაბიამან-გოგირდისა, რომელიც მოგვიღოდა საზღვარგარეთიდან და მიმდინარე 1926 წლისთვისაც გვაქვს ინგლისიდან მიღებული 100 000 ფუთამდე, რაც დიდის გაჭირვებით და თქვენი უშამდგომლობის აღძვრით დაგვეთმო უბაყოთ.

მომავალი წლისათვის არამც თუ უბაყოდ, არამედ მთლად შემოტანაც საზღვარგარეთიდან, როგორც გვატყობინებს სსრკ საგარეო ვაჭრობის კომისარიატი დაშვებული არ იქნება.

ეს ამბავი დიდ საკონებელში გვაგდებს და ჩვენი აზრით საქირო იქნება საქართველოში შედგეს ამხანაგობა, ან კონცესიური წესით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის შემწეობით საპაიო დაწესებულება „საქართველოს შაბიამანი“, რომელიც თავად საქართველოშივე დაშადებს ამ საქირო ვენახე-

ბისტვის სარჩენ წამალს — შაბიამანს. ჩვენის აზრით ამისათვის ტენიკური ძალებიც მოიპოვება და საჭირო თანხაც შესაძლო იქნება საშოვრით.

მოგახსენებთ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ სათანადო განკარგულების მოხდენას.

სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი: გ. გედევანიშვილი, მევენახეობა-მელვინეობის ინსპექტორი: ვ. ბიბილაშვილი.

ორცა, ფონ. 288, საქ. 1338, ფურ. 241. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 19

1926 წლის მაისის 24. — სახალხო მამულების ტრესტის მევენახეობა-მელვინეობის ინსტრუქტორ ი. შოშიაშვილის მოხსენებითი ბარათი სასოფლო მეურნეობის განყოფილების გამგისადმი ნამყენი ვაზის გლეხებზე დარიგების შესახებ

1926 წლის 14 აპრილს თანახმად თქვენი განკარგულებისა გავემგზავრეთელავის მაზრაში ნამყენის დარგვა-მოვლის დარიგების მისაცემით გლეხებისათვის. ჩემს მიერ დათვალიერებულ იყო ყველა სოფლის ნარგავი ნამყენები ურბათუბნიდან ახმეტამდე, ალაზნის გამოღმა მხარე. საზოგადოთ კახეთის გლეხობა გატაცებით ეკიდება ვენახის აღდგენის საქმეს, განსაკუთრებით წინანდლის და შაშიანის რაიონი. სხვა რაიონები კი როგორც არის იყალთო და ახმეტა, ნაკლებ არის ამ წელში ნამყენი დარგული, რადგან თუმცა სათბური იყალთოში უკვე მოქმედებს, მაგრამ გლეხებმა ვერ მოასწრეს მიწის გადამბრუნება. გარდა იყალთოს სანერგისა სოფ. ზემო ხოდაშენში აგებულია არტელი „ვაზის მეგობრის“ მიერ სათბური, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას, და ახმეტაში დაარსებულია ვენახების აღმდგენი მყნობელთა არტელი „ბითიანი“, რომელმაც წლეულს დაამყნო 12 000 ნამყენი ხელით და 1927 წლისთვის ფიქრობენ სათბურის აგებას, თუ შესაფერისი ხელმძღვანელობა და კრედიტი მიიღეს. უმრავლესობა გლეხების ნამყენი ჩაყრილია ძლიერ დაბლა და მიწა გროვით ნაკლებ აქვს დაყრილი, რაიც როგორც მოგეხსენებათ ძლიერ არა სასურველია. ვისაც სწორეთ აქვს დარგული ნამყენი, მათ ეს დარიგება მიუღიათ სახალხო მამულებიდან. არის ასეთი შემთხვევები, რომ ერთი და იგივე გლეხი ორნაირად რგავს ვაზს, იქნება ერთი მათგანი მაინც სწორეთ იყოს და ასე ძიებაშია. უბნის აგრონომი არა ჰყავს, არც წინანდალს — შაშიანის რაიონს და არც ახმეტისას, და მაშაადამე სრულიად მოწყვეტილნი არიან გლეხები საშუალებას მიიღონ მათგან დარიგება. ზაფხულის განმავლობაში მოვლის შესახებ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა ნამყენის პატრონმა არ იცის, რომ ზაფხულში ფესვების შეჭრა საჭირო ნამყენი აღვილიდან და სხვა. თვით გლეხს ნაკლები წარმოდგენა აქვს ნამყენის სიდიდეზე და ნიადაგის ანალიზის მნიშვნელობაზე. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი გლეხი იმის მაგიერ, რომ წაიღოს თავის მიწა საანალიზოთ, სთხოვს ხოლმე თავის მეზობლებს ანალიზის ბარათს და ამ ბარათით გამოაქვთ თავისი მიწისათვის ნამყენი. არის კიდევ ასეთი შემთხვევები, მეურნემ წაიღო მიწა საანალიზოთ და აღმოჩნდა ძლიერ კირნარი, რის გა-

მოც სათბურმა გამოუწერა ბერლანდიერი. სახალხო მამულმა ბერლანდიერი სათბურიდან არ მისცა, წლიურს კი თითონ ძვირობენ; მაშინ გლეხი ადგა, გადავიდა სხვისა ადგილში, სადაც იცოდა, რომ კირი ნაკლები იქნებოდა და წაუღო საცდელ სადგურს ანალიზისთვის: საცდელმა სადგურმა გამოუწერა სამი ათას სამას ცხრა (3309) და ეს ვაზი გლეხმა დარგო ძლიერ კირიან მიწაში. გარდა ამისა გლეხები მიწის ნიმუშს სწორეთ ვერ იღებენ სადგურში წასაღებათ, არასაც ყველა ადგილობრივი მუშაკები ადასტურებენ. თვით გლეხობაც გრძნობს ამას და დიდი სიამოვნებით მოდიოდნენ მიწის გასაჭრელათ და ნიმუშების აღების სასწავლებლათ და ძლიერ მაღლიერი რჩებოდნენ. ასეთივე ნაკლები ცოდნა აქვთ გლეხებს ნამყენის სიგრძის შესახებ და რგავენ ყველა ვაზს, რომელსაც კი სათბური მისცემს, რადგან სათბურებს განსაკუთრებული ნდობით ეპყრობიან და რგავენ ბევრ შემთხვევაში 5—6 ვერშოკიან ნამყენებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოოპერაციული საზოგადოება „კახეთის“ სათბურის მიერ გამოშვებული ნამყენი. დიდი უმრავლესობა მათ მიერ გამოშვებული ნამყენების 5—6 ვერშოკიანია და ვინაიდან გლეხებმა არ იცოდნენ, რგავდნენ ამ ნამყენს. იყო შემთხვევები, რომ გლეხებმა მიუტანეს ასეთი ნამყენი დასაბრუნებლად მაგრამ უკან არ მიიღეს. ასეთივე შემთხვევებს შედარებით პატარა მასშტაბით ადგილი ჰქონდა კერძო არტელებში. გარდა ამისა შევხვდი ჩემ რაიონში შემთხვევებს, რომ გლეხს გამოწერილი ჰქონდა სადგურიდან თანახმად მიწის ანალიზისა 3309; მუკუშნის „წარმოკავშირის“ სანერგეს კი მიუცია 3309 გარდა კიდევ დიულო, რაიც მის ნიადაგს არ შეეფერება. თუმცა გლეხებმა ამაზე პროტესტი გააჩაყადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი გლეხი ინიციატივას იჩენენ ნამყენის გამოყვანაში თავის ოთახში. ასეთი პირები გვხვდება სოფელ წინანდალში, სადაც ერთმა გლეხმა გამოიყვანა 8 ყუთი ნამყენი და თავისი ვენახი გააშენა. მეორემ მხოლოდ 1 ყუთი დადგა გამოსაყვანად. ასევე უბრალო ოთახში გამოაყვანდა წინანდალში კერძო არტელს, რომელმაც გამოუშვა 140 000 ნამყენი და კისისხევის არტელმა, რომელმაც დაამზადა 280 000 ნამყენი. უნდა აღინიშნოს, რომ თელავის მაზრაში არავინ უშვებდა ბერლანდიელს სათბურიდან. გარდა კისისხევის არტელისა, რომელმაც გამოუშვა 20 000-მდე ბერლანდიელის ნამყენი. თითქმის მთელ რაიონში მოდებულია მართლის ჭია, რომელიც ანადგურებს სულ ნაკლები 10%-ტს დარგული ნამყენისა. გახშირებულია რაიონში აგრეთვე მარმარილოს ხოჭო და ხშირად გლეხებმა არ იციან როგორ მოექცნენ ამ მავნებლებს და გული უცრუვდებათ ნამყენის გაშენებაზე.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად ჩემის აზრით საჭირო არის:

1) აეგრძალოს ყველა ნამყენის მწარმოებელ ორგანიზაციებს 8 ვერშოკზე ნაკლები სიგრძის ნამყენის გამოშვება.

2) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზოგადოება „კახეთ“-ს მასიურათ 5—6 ვერშოკიანი ნამყენის გამოშვების გამო.

3) მიექცეს წინადადება „წარმოკავშირის“ მუკუშნის სანერგეს აღარ გაუშვას დიულო დამატებით იქ, სადაც საჭიროა სადგურის რჩევით სხვა ჯიშები.

4) გაძლიერებულ უნდა იყოს თელავის მაზრაში აგროდახმარება და გაიგზავნოს სპეციალური ინსტრუქტორები გლეხებისათვის მიწის ნიმუშის ამოღების, ზაფხულის განმავლობაში მოვლის, დარგვის, გასხვლის, მავნებლებთან ბრძოლის და საზოგადოთ ვენახების სწორად გაშენების სასწავლებლათ, რომ თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რომლებზედაც ზევით მოგახსენეთ.

5) აუკრძალოს ნამყენის მწარმოებლებს მიწის ანალიზის წარმოუდგენელად, გლეხებზე ნამყენის გაცემა.

6) ვინაიდან გამორკვეულია, რომ უბრალო ოთახებში ნამყენის გამოყვანა შესაძლებელია და გლეხებმა უკვე დაიწყეს ამის წარმოება, უნდა გაიგზავნოს ინსტრუქტორები უბრალო ოთახებში გლეხების პირადი საჭიროებისათვის ნამყენის გამოყვანის სასწავლებლათ, ვინაიდან სათბურებ მოშორებულ სოფლებში გლეხები ამ საქმეში არ არიან დახელოვნებულნი და ამას კი ჩვენი გლეხის მეურნეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

7) არსებულ ვაზის მყნობელთა არტელების გასაღონიერებლად და განსაკუთრებით ახმეტის არტელის გასაჯანსაღებლად, რომელსაც ამ რაიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, უნდა მიეძღვნოს შესაფერისი ყურადღება არტელებისა და კომუნების განყოფილების მიერ. ამასთანავე დამატებით წარმოვიდგენთ სიას იმ გლეხების, რომელთაც მიიღეს ჩემგან დარიგება სოფლებურად.

მევენახეობა-მელენეობის ინსტრუქტორი ი. შოშიაშვილი.
ორცა, ფონ. 288, საქ. 1626, ფურ. 68. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 20

1926 წლის ნოემბრის 27. — სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ამერიკული ვაზის სადედეების, ნამყენი ვაზის ხანერგებისა და ახალი ვენახების გაშენებისათვის კონტროლის დაწესების შესახებ

ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად და მის გამო, რომ ამ ბრძოლის მთავარი და ჭეղჩერობით ერთადერთი საშუალება ამერიკული ვაზების ძირზე ადგილობრივი ჯიშის ვაზის დამყნობაა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მიწაღმოქმედების სახალხო კომისარიატს, ცენტრალური და ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციების მეშვეობით, გაუწიოს ხელმძღვანელობა და კონტროლი ამერიკული ვაზის სადედეებს, ნამყენი ვაზის ხანერგებს და ახალი ვენახების გაშენებას.

2. აკრძალულ იქნეს ვაზის რქისა და ნამყენი ვაზის გაგზავნა რკინიგზით ან ფოსტით, უკეთეს წარდგენილ არ იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა ან მისი ადგილობრივი ორგანოს (მაზრის აგრონომობისა ან სახალხო მამულის გამგის) სათანადო მოწმობა.

შენიშვნა. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესი ვაზის რქისა და ნამყენი ვაზის რკინიგზით და ფოსტით გაგზავნისა სამოქმედოდ შეიმოიღება

დაინტერესებულ უწყებასთან სათანადო ურთიერთობის დაპყრის შემდეგ და საამისოდ არსებული საერთო წესების შესრულებით.

3. სახელმწიფო და კოოპერაციული დაწესებულება, აგრეთვე კერძო პირი, მოვალეა პერიოდულად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემოღებული ფორმით, გაუგზავნოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ან მის ადგილობრივ ორგანოს ცნობა თავისი ამერიკული ვაზის სადედეებისა და ნამყენი ვაზის რაოდენობისა და ჯიშის შესახებ.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანო დასარგავ და სანამყენო მასალის დათვალიერების შემდეგ მისცემს სანერგეს პატრონს მოწმობას, ურომლისოდაც სანერგიდან ამ მასალის სადმე გატანა და დარგვა აკრძალულია.

5. სანერგეების დათვალიერება-შემოწმება უნდა მოხდეს ყოველწლივ ორი კვირით ადრე, სანამ ვაზის დარგვა დაიწყებოდეს, ხოლო ამერიკული ვაზის სადედეები დათვალიერებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს სექტემბრის 15-სა.

შენიშვნა. ყოველი სანერგე მოვალეა იქონიოს მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მიცემული განსაკუთრებული ჟურნალი.

6. მცნობისათვის საჭირო ამერიკული ვაზის რქის მაგიერ მოტყუებით სხვა ჯიშისა (იზაბელა, ფრანგულა და სხვა.), ან ისეთი ნამყენის გაყიდვა-გაცემა, რაც ამერიკულ ვაზზე არ არის დამყნობილი. დაისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193 მუხლის მიხედვით.

7. ამა დადგენილების დარღვევა, წინა მუხლში აღნიშნული შემთხვევების გარდა, გამოიწვევს იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ფულად ჯარიმას 300 მანეთამდე, რაც გადაწყვეტით იქნება აღმინისტრაციული წესით სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა ან მისი პრეზიდენტის დადგენილებით. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის მაისის 4-ს დეკრეტის თანახმად (კან. კრ. 1923 წ. № 1, მუხ. 17).

სრულიად საქართველოს საბჭოთა რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.¹

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭ. რესპ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

ორცა, ფონ. 288, საქ. 1626, ფურ. 12. პირი, საწერ მანქანზე დაბეჭდილი.

№ 21

1927 წლის მაისის 18. — საქართველოს სსრ მიწსახკომის მევენახეობა-

მეღვინეობის ინსპექტორ-ბიბილაშვილის მოკლე აღწერილობანი

მევენახეობის მდგომარეობის შესახებ საქართველოში

А) Краткое описание состояния культуры винограда в республике ССР Грузии

Культура винограда в республике Грузии занимает преобладающее значение среди других сельскохозяйственных культур и существует в следующих винодельческих районах:

¹ საბჭოს ხელრთვა არა აქვს

1. В Восточной Грузии — 1) Кахетинский с Гарекахетинским под-районом: 2) Борчалинский и 3) Карталинский.

2. В Западной Грузии — 1) Верхне-Имеретинский, 2) Центрально-Имеретинский, 3) Рача-Лечхумский с подрайоном Хванчкарским и 4) Мингрело-Гурийско-Абхазский.

Преобладающими сортами винограда, главным образом винными являются: в Восточной Грузии — «Саперави» (красный), Рка-Цители (белый) и Мцване (белый); в Западной Грузии — Цоликаური (белый); Цицка (белый); Трахуна (белый); Сапере (красный), а в Мингрело-Гурийско-Абхазском — преимущественно «Изабелла» (красный), частично Оджалеси и Чхавери (белый).

Площадь виноградников к 1 января 1927 года определялась в 37 700 гектаров, тогда как в годы 1909—1913 исчислялась в 49 400 гект. с урожаем в 1909 — 1913 г. — 23,5 гектолитра на гектаре, а в 1926 г. — 16,5 гект. с валовым сбором урожая в 1926 г. 622 050 гектолитра.

Новых насаждений сделано устойчивых в филлоксерном отношении в 1924 году 131 гект., в 1925 г. 710, а в 1926 г. — 926 гект., а всего за последние три года — 1 701 гект. Подвоями для местных лоз являются, главным образом, американские гибриды 3 306 кбг 3.309 его же и 101 — 14 и 420 в. другие подвой лишь в незначительном количестве.

Сильное снижение площади виноградников объясняется вследствие повсеместным распространением филлоксеры.

Б) Сведения о реальной площади, отведенной при землеустройстве

Точные сведения о площади виноградников зафиксировываются при землеустройстве в размерах, уже существующих. При землеустройстве специальной площади под виноградники не отводится, а только фиксируется реально существующее за именованием свободных земель вследствие того, что землепользование в Грузии исключительно участково-окружное.

Предполагаемая площадь к восстановлению определяется в размерах доведения ныне существующей площади 37700 гект. до 49400 гект. довоенной, причем, на ближайшее пятилетие по перспективному плану Наркомзема предполагается восстановление 9822 гект., которые по годам распределяются следующим образом: в 1926—27 г. — 1224 гект, в 1927—28 г. — 1508 гект., в 1929 г. — 1923 гект., в 1929—30 г. — 2349 в 1930—31 г. — 2819 гект.

В) Площадь маточника, могущего обслуживать запросы населения по восстановлению виноградника

В настоящее время существует площадь маточников виноградных лоз (американских) в следующих пунктах (по данным 1 января 1927 года):

1) Агаянский	12,0
2) Кондольский	27,8
3) Икалтинский	19,7
4) Чумлакский	43,5
5) Гурджаанский	14,2
6) Дамарчинский	18,6

7)	Булачаурский	4,4	
8)	Вазисубанский	42,0	
9)	Гордский	1,6	
10)	Багдадско-Озургетский	2,2	
11)	Чребальский	4,4	
12)	Лечхумский	2,2	
13)	Носирский	3,3	
14)	Салхинский	3,3	
15)	Зугдидский	2,7	
16)	Лехаиндревский	10,9	(организуется)
17)	Цнорисцхальский	14,2	
18)	Напареульский	6,0	
19)	Кварельский	9,8	
20)	Цинандальский	2,2	
21)	Вачевский	1,1	
22)	Варцихский	1,6	
23)	Гудаутский	2,2	
24)	Кедский	1,1	(организуется)
25)	Меретский (для Юго-Осетии и северной части Карталинии)	2,2	
		<hr/>	
		253,2 гект.	

По плану Наркомзема на 1926--1931 г.г. площадь маточников предполагается довести до 546,2 гект. для нормального хода восстановления виноградников...

Г) По вопросу о создании особого фонда на восстановление виноградников

Стоимость плодоносящего виноградника определяется в Грузии в среднем около 3200 рубл. Свободных виноградников от филлоксеры нет, если таковые имеются поблизости уже зараженных, почему локализация последних с предохранительной полосой представляется непроизводительной, а потому все стремление Наркомзема сводится в этом направлении к скорейшей замене филлоксероустойчивыми виноградниками, привитыми на американских подвоях. Из всей площади, существующей в Грузии, 37700 гектаров виноградников частью восстановленных, частью погибающих от филлоксеры—старых восстановленных преимущественно в Западной Грузии, нужно принять лишь около 30%, а новых—10%, всего 40%, т. е. из общей площади около 15 080 гект., а новейших по всей Грузии около 3000 гект., а всего 18080 гект. филлоксероустойчивых.

Следовательно, чтобы довести площадь виноградников до существующей довоенной нормы, надобно иметь филлоксероустойчивого материала на 31820 гектаров на ближайшее 10-летие, что в большей части может выполнить существующая площадь правительственных и общественных питомников американских лоз, если считать вместе с существующими и 253,2 гект., а с частными 279,85 гект. с расширением этой площади до 546 гект., для чего необходима правительственная помощь в форме перевода на госснабжение. Восстановление виноградников дол-

жно идти как в совхозах по Тресту наримений, так и в народных крестьянских виноградниках, для чего необходимы специальные фондовые суммы в следующих размерах:

1)	Для восстановления виноградников в совхозах на ближайшее пятилетие (закладка их)	966 480
2)	постановка их на проволоке	351 300
3)	разведение новых маточников	48 522
4)	постройки и сооружения теплиц и прививочных мастерских	123 637
6)	уход за виноградниками	472 525
7)	по виноделию — железная и деревянная тара и винодельческий инвентарь	1 678 500
8)	постройки и сооружения	482 000

А всего по линии Треста наримений Грузии 3 722 964

На восстановление крестьянских виноградников всей республики 6 439 000 (по перспективному плану Наркомата на оборудование общественных подвалов 1 000 000, а всего 7 439 000 руб., а с наримениями вместе 3 649 439.

Итого 11 088 439 рублей. Причем, эти средства должны быть разделены:

1)	средства самого населения —	3 000 000 руб.
2)	долгосрочный кредит	6 000 000 руб.
3)	краткосрочный кредит	2 088 439 руб.

Итого 11 088 439 руб.

Инспектор виноградарства и виноделия
Наркомзема ССР Грузии Бибилашвили¹

ორცა, ფონ. 288, საქ. 1975, ფურ. 303—306. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 22

1928 წლის აპრილის 18. — „მუშეოობისა“ და „საქართველოს ღვინის“ გამგეობის მიმართვა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის გამწესრიგებელ სექციისადმი თბილისში ღვინით ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ

თბილისში 250-დე ღვინის კერძო სარდაფი არსებობს და მთელი ღვინის ბაზარი თითქმის კერძო მოვაჭრეთა ხელშია.

მათი მოქნილი აპარატი მყიდველისადმი სხვაგვარი მიდგომა და დარტყმისგანა კმენის ისეთ პირობებს, რომ სამწუხაროდ მომხმარებელი ჯერ-ჯერობით კიდევ მათ გაუღენის ქვეშ არის და ღვინის შეძენისას უპირატესობას კერძო საწყობის ღვინოებს აკლენებს.

¹ საბუთს ხელრთვა არა აქვს.

კერძო ვაჭრები კარგად სარგებლობენ ამ გარემოებით, ბევრი მათგანი იღებს გვიან ვაჭრობის ნებართვას და აწარმოებს ვაჭრობას საღამომოთ და კვირა-უქმე დღეებშიც კი.

ეს გარემოება საგრძნობლად უშლის ხელს თბილისის კოოპერატივების (მუშკოპის) მუშაობას, ამცირებს ვაჭრობას და მით სავაჭრო წერტილებში¹ კოოპერატიული ღვინოს გასაღებას.

რომ შესაძლებელი შეიქმნეს კერძო მოვაჭრეთა ალაგმვა, მათთან კონკურენცია და მომხმარებლისათვის ნამდვილი კოოპერაციული ნაწარმოების მიწოდება, მუშკოპის და „საქართველოს ღვინოს“ გამგეობა ფთხოვთ სრულებით აკრძალთ ღვინის კერძო სარდაფებზე გვიან და კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის ნებართვის გაცემა, რომ საშუალება მოუსპოთ კერძოებს კოოპერაციული ორგანიზაციებთან ბრძოლისა.

საგადასახადო პრესი² ღვინის კერძო სარდაფებზე არ არის მძიმე და ამ მხრივ ისინი ბევრად უკეთეს პირობებში არიან ჩაყენებული, ვიდრე სხვა საქონლით მოვაჭრე კერძო პირები, ამიტომ ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ მუშკოპის და „საქართველოს ღვინო“-ს შუამდგომლობა დამატყუარადილებული იქნება და აღმასკომი სრულიად აუკრძალავს ღვინის კერძო მოვაჭრეთ გვიან და კვირა-უქმეებში ვაჭრობას და ხელს შეუწყობს მუშკოპის მაღაზიებში ვაჭრობის გაფართოვებას და „საქართველოს ღვინო“-ს ნაწარმოების გასაღებას.

„მუშკოპის“ გამგეობა, „საქართველოს ღვინოს“ გამგეობა³.

ორცა, ფონ. 1147, საქ. 29, ფურ. 33. პირი, საწერ მანქანზე დაბეჭდილი.

№ 23

1928 წელი. — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ

შედგენილი პირველი ხუთწლიანი გეგმა (წინასწარი ვარიანტი)

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დარგში

План восстановления виноградников

В ближайшее пятилетие по количеству прививок, проектируемых к заготовлению с учетом, что пропускаемые через теплицы прививки будут давать 50% с удачным сращением, а не пропускаемые через них всего лишь 26%, восстановлено будет виноградников 10 758 гектаров.

¹ უნდა იყოს წერტილებში.

² ტექსტში ასეა მოცემული, ლაპარაკია შეზღუდვა-დაწოლაზე.

³ საბჭოს ხელრთვა არა აქვს.

Годы	Общее колич. прививок (в т. шт.)	Будет про- пущено чере- з тепл.		Будет вы- сажено непоср. в грунт		Получено с удачным сращением тыс. шт.			Треб. на 1 гект.	Будет восстан. гектаров
		%	тыс. шт.	%	тыс. шт.	Из тепл. 50%	Без тепл. 25%	Всего		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1928/29	18486,0	75	13,864,0	25	4,622,0	6932,0	1156,0	8088,0	5500	1471
1929/30	23730,0	75	17,797,0	25	5,933,0	8898,0	1484,0	10382,0	"	1888
1930/31	27158,0	75	20,368,0	25	6,790,0	10184,0	1698,0	11882,0	"	2160
1931/32	31321,0	75	23,490,0	25	7,831,0	11745,0	1958,0	13703,0	"	2491
1932/33	34552,0	75	25,914,0	25	8,638,0	12957,5	2160,0	15117,0	"	2748
За 5 лет	135247	75	101433	25	33814	50716	8456	59172	5500	10758

По расчетам НКЗ Грузии стоимость закладки одного гектара виноградника на филлоксероустойчивых лозах и уход за ним до плодоношения, т. е. за 4 года — составляет 2800 руб.

В эту сумму входит 660 руб. стоимость посадочного материала (5500 шт. по 12 коп. штука) расход наиболее чувствительный для виноградника, так как он требует обязательно денежного расхода. Считая, что все трудовые затраты (плантаж, уход за виноградником) и приобретение лечебного материала будут производиться крестьянами своими силами и средствами без помощи государства, на приобретение посадочного материала необходимо выдавать кредит по крайней мере 50%¹ хозяйств закладываемых виноградников, в числе коих главным образом будут единоличные хозяйства беднейших крестьян, а также их объединения — коллективные хозяйства.

Общая сумма кредита, требуемого на это пятилетие, составляет 3 550 140 руб. и потребуется по годам в зависимости от площади восстанавливаемых виноградников в следующем размере:

Годы	Площ. восстан. виногр. в гект.	Кредиту- емая площ. в гект. 50 %	Сумма кред. на гект. в руб.	Общая сум- ма кредит. в руб.
1928/29	1471	735,5	660	485 430
1929/30	1888	944	"	623 040
1930/31	2160	1080	"	712 800
1931/32	2491	1245,5	"	822 090
1932/33	2748	1374,0	"	906 840
За пятилетие	10758	5379,0	"	3 550 140

Настоящее положение виноградарства таково, что несмотря на вышеуказанные значительные затраты и закладку 10758 гектаров за пяти-

летие, общая площадь существующих виноградников к концу пятилетия расширяется всего лишь на 322 гект., так как наряду с восстановлением виноградников идет также гибель от филлоксеры старых виноградников, каковая за 5 лет будет равна 10 435 гект. Таким образом, как указывалось выше, мы будем иметь возможность восстанавливать ежегодно лишь погибающую площадь и к основной площади прибавлять в среднем всего лишь по 60—65 гектаров.

В конечном итоге, в результате проведения в жизнь намечаемых мероприятий, изменения площадей по районам выразится в следующем:

1	1927/28 г.			1932/33 г.			1927/28 г.		
	Вся площ. гект.	В т. ч.		Вся площ. гект.	В т. ч.		Вся площ. гект в % -ах	В т. ч.	
		Непривит.	Привит		Непривит.	Привит.		Непривит.	Привитые
Кахетия	11 331	9201	2130	13 110	3450	9660	100	81,2	18,8
Карталин.	5244	5035	209	3884	267	747	100	96,0	4,0
Имеретия	12 896	2205	10 691	13 610	1306	12 304	100	17,1	82,9
Рача-Лечх.	2160	1343	817	2151	796	1355	100	62,2	37,8
Пр. районы	3352	3027	325	3050	2186	863	100	90,3	9,7
По республике	34 983	20 811	14 172	35 305	10 376	24 929	100	59,5	40,5

Приведенная таблица составлена по расчетам, принятым экспертной комиссией специалистов виноградарства и виноделия Грузии. В основу расчетов было положено:

	Привит до рев. пл. в % к сущ. площ. 27/28 г	Распр. по районам восстан. после ре- водки площади в % -ах	Продолж. службы старых непривит. виногр. в годах	Ежегодн. гибель старых виногр. в % к сущ. пл.	Восстанов. ежего- дно площадь бу- дет распр. по районам в % -ах
Кахетия	0,5	70	10	10	70
Карталиния	1,0	5	12	5	5
Имеретия	80,0	15	15	7	15
Рача-Лечхуми	30,0	5	15	7	5
Пр. районы	5,0	5	20	5	5

Наибольшее значение уделяется Кахетинскому району, в котором предположено закладывать 70% всех новых виноградников, так как он является самым важным винодельческим районом, причем привитых виноградников в настоящее время значительно меньше других районов, вместе с тем гибель старых виноградников от филлоксеры здесь происходит самым быстрым темпом.

После Кахетии на первое место поставлен Имеретинский район, где хотя положение лучше, чем в Кахетии, но ввиду важности этого района необходимо срочно перевести оставшуюся старую непривитую площадь виноградников на американские подвой и приступить к перевосстановлению ранее переведенных на привитые лозы виноградников, ввиду допущенных тогда ошибок в подборе подвойного материала. В этом районе предполагается восстанавливать ежегодно 15% всей восстанавливаемой площади.

На долю всех остальных районов приходится 15%¹ новой площади. К концу пятилетия в общем площадь виноградников по сравнению с настоящей площадью расширяется всего лишь на 0,9%¹, по отдельным же районам она изменяется различно, а именно в Кахетии увеличивается на 15,9%, в Имеретии увеличивается на 5,5%, в Рача-Лечхумском районе площадь остается стабильной (99,6%¹ существующей площади).

Значительное сокращение дают Карталина — на 35,5%¹ и все прочие районы — 9,0%¹ существующей площади, так как ввиду переживаемого виноградарством Грузии кризиса требуются большие средства на восстановление погибающих виноградников и, поддерживая более важные районы, остаются без надлежащего внимания второстепенные виноградно-винодельческие районы, тем более что в них с большим успехом произрастают иные ценные культуры — сады в Карталии, чай, мандарины, табак и др. в морской полосе Зап. Грузии.

Борьба с вредителями и потребность в лечебном материале

Помимо филлоксеры, являющейся наиболее опасным вредителем виноградарства, виноградники Грузии страдают от «оидиума» и «милдиума» и др., сильно распространенных почти во всех районах Грузии.

Средства борьбы с ними (медный купорос и сера) хорошо известны населению, и получили уже в Грузии широкое применение. Важно поэтому лишь принятие мер, могущих обеспечить своевременное снабжение ими виноградарей. Необходимо во что бы то ни стало устранить случаи недостачи материалов кои имели место и в ближайшем прошлом, а именно в 1926/27 году и частично (в некоторых районах), и в текущем году.

Медного купороса требуется на 1 гектар в среднем до 4-х пудов, серы же немного менее до 3-х пудов.*

На все виноградники требуется медного купороса 2300—2500 тонн, а серы 1700—1800 тонн; считая стоимость тонны медного купороса 550 руб. всего потребуется на купорос 1 375 000 руб. из расчета 2500 тонн, а стоимость серы, принимая 245 руб. за тонну, на нее потребуется 440 000 руб. (из расчета 1800 тонн) в год.

Лечебные средства должны распределяться между крестьянами через кредитные товарищества, причем беднейшей части населения они должны выдаваться в кредит до реализации урожая. Финансирование этих расходов будет освещено во втором варианте.

* Здесь средняя величина потребления серы несколько снижена против нормы, так как некоторые районы потребляют ее в более ограниченном количестве.

Винодельни и подвалы

Одним из главнейших факторов рационального ведения винодельческого хозяйства является наличие хорошо оборудованных подвалов.

Потребление вина самими производителями примерно можно принять в 25% всего количества, а 75% составляет товарная часть (потребление непродовольственных вино районов, потребление городского населения и вывоз за пределы республики). Товарная часть продукции примерно составляет до 5 мил. ведер вина.

В настоящее время по всей Грузии 14 подвалов с общей емкостью 1 030 000 ведер вина, в большинстве из этих подвалов имеются и винодельни.

Существующие подвалы по владельцам распределяются так: 10 подвалов емкостью в 670 000 вед. вина, принадлежат Тресту народных имений, 3 подвала, емкостью 230 000 вед. с. х. кооперации, 1 подвал в 30 000 ведер госорган. Кроме указанных подвалов в Тифлисе и других городах имеется довольно много других подвалов для временного хранения сбываемого вина.

Существующие подвалы вмещают лишь одну пятую—шестую часть всей товарной продукции. Большая же часть продукции остается без надлежащего помещения, в результате чего большое количество вина выпускается на рынок не выдержанным должным образом, что вызывает часто порчу его. Ввиду этого, неотложной задачей является устройство хорошо оборудованных подвалов с соответствующими винодельнями, где будет перерабатываться виноград и выдерживаться вино как государственных и кооперативных организаций, так и индивидуальных крестьянских хозяйств.

В результате этого будем иметь хорошего качества выдержанные вина, однообразные и переработанные по вкусу потребителя.

В ближайшее пятилетие необходимо хотя частично обеспечить подвалами по крайней мере главные винодельческие районы Грузии и наиболее нуждающиеся в них.

В текущем году уже строятся 5 подвалов, из них 2 в Кахетии, емкостью 155000 вед. 2 в Имеретии емкостью 85000 ведер и один в Рача—емкостью 25000 ведер. Всего 265000.

На всю Грузию в пятилетие предположено построить виноделен и бродилен еще на 420000 вед., а подвалов на 390000 ведер.

Винодельни при подвалах будут строиться с таким расчетом, что часть полученного вина после непродолжительного хранения будет поступать в продажу, другая же часть будет подвергаться более продолжительной выдержке в подвалах при них.

Расходы на постройку виноделен и подвалов и их оборудование по годам и районам распределяется так:

Годы	Место постройки	Винодельческий район	Строю-щаяся организация	Пропускн. спо-собн. емкости в ведр.		Стоим. построе-ки по рас-чет. на ведр.		Вся стоимость в рублях		Стоимость с боу-лов, виноград. и ороа. в рублях	Стоим. ведр. тары для подв. руб.	Вся стоимость тары	Всего расхода на винод. брод. и под-валы в руб.
				Винод. бродня.	Подвала	Винод. бродня.	Подвала	Винод.	Подвала				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1928/29	им. Карданахи	Кахетия	Тр. Н. Им.	100 000	100 000	1	2	100 000	200 000	20 000	1,15	115 000	485 000
	сел. Квирели	"	"	50 000	50 000	1	2	50 000	100 000	15 000	1,15	57 500	222 500
1929/30	им. Аргвети	Имеретия	"	60 000		1	2	60 000	—	15 000	—	—	75 000
	с. Багдали	"	"	30 000	30 000	1	2	30 000	60 000	10 000	1,15	34 500	134 500
1930/31	с. Икакто	Кахетия	"	25 000	25 000	1	2	25 000	50 000	15 000	1,15	28 750	118 750
	с. Шашмани	"	"	80 000	30 000	1	2	80 000	60 000	15 000	1,15	34 500	139 500
1931/32	им. Кулар	Карт.	"	30 000	60 000	1	2	30 000	120 000	15 000	1,15	69 000	234 000
	с. Велисцхе	Кахетия	"	50 000	50 000	1	2	50 000	100 000	15 000	1,15	57 500	222 500
1932/33	с. Элисеи	"	"	30 000	30 000	1	2	30 000	60 000	15 000	1,15	34 500	139 500
	с. Хинтстави	Карталинск	"	15 000	15 000	1	2	15 000	30 000	10 000	1,15	17 250	72 250
				420 000	390 000	10	20	420 000	780 000	145 000	1,15	448 500	1 798 500

(145 стр.) 1921—1933 гг.

Таким образом весь расход на постройку виноделебродилен, подвалов и их оборудование за пятилетие составит 1 793 500 руб., по годам этот расход распределится так:

1928 29	1929 30	1930 31	1931 32	1932 33	Всего
657 500	209 500	258 250	456 500	211 750	1 793 500

Помимо снабжения необходимой тарой вновь выстраиваемых подвалов, неотложной задачей является ремонт и исполнение бочками старых подвалов.

Не считая тех пяти подвалов, которые строятся в текущем году и оборудование которых предусмотрено их сметой, старые подвалы емкостью 1 030 000 вед. требуют пополнения посудой примерно на 50%, так как более 10—15 лет амортизированные бочки не заменялись новыми.

Принимая стоимость 1 ведра тары в среднем в 1 руб. 15 к. на 500 000 ведер потребуется 575 000 руб.

Специальный персонал

Виноградарство и виноделие Грузии никогда так не нуждалось в специалистах как теперь.

При таком остром кризисе, который переживает в настоящее время виноградарство в Грузии, и при насущной необходимости радикальной борьбы с бичом виноградарства — филлоксерой, необходимо хорошее руководство восстановлением виноградарства и дальнейшим развитием его, во избежание ошибок, при проведении столь дорогостоящей операции, как перевод виноградников на американские подвой.

В настоящее время специалистов, работающих исключительно в области виноградарства по линии агропомощи — два: один инспектор по виноградарству и виноделию в центре, а другой инструктор в районе — именно в Кахетии. Два специалиста, конечно, не могут руководить восстановлением виноградарства по всей Грузии. Поэтому необходимо увеличить штат специалистов.

Прежде всего необходимо в ближайшее же пятилетие увеличить штат специалистов в центре. На одного инспектора виноделия и двух старших инструкторов (по одному для Восточной и Зап. Грузии). Эти четыре специалиста (инспектор виноградарства, инспектор виноделия и два старших инструктора) будут вести общее руководство всеми работами.

Инспектор виноделия должен быть назначен в первый же год пятилетки (28/29) год), старшие инструктора же в следующие годы 29/30 и 30/31 гг.

Кроме указанных специалистов центра, необходимы специалисты-инструктора также для непосредственной работы в районах.

Сеть инструкторов должна расширяться по районам и годам так:

табл. см. на след. стр.

Районы	Число специалистов													
	Имеется 27/28 г.	28/29		29/30		30/31		31/32		32/33		За 5-ти лет	К концу пят.	В т. ч. инструктор винод.
		Прибавит	Будет	Прибавит	Будет	Прибавит	Будет	Прибавит	Будет	Прибавит	Будет			
Кахетия	1	1	2	1	3	—	3	—	3	—	3	2	3	1
Карталиния	—	1	1	1	1	1	2	—	2	—	2	2	2	—
Имеретия	—	1	1	1	2	—	2	—	2	—	2	2	2	1
Рача-Лечх.	—	1	1	—	1	—	1	—	1	1	2	2	2	—
Пр. районы	—	1	1	—	1	—	1	1	2	—	2	2	2	—
По республике	1	5	6	2	8	1	9	1	10	1	11	10	11	2

Как районные инструктора, так и инструктора центра, кроме непосредственного руководства работой на местах, будут устраивать ежегодно курсы для крестьян, где будут обучать их улучшенным приемам как виноградарства, так и виноделия. Курсы будут устраиваться 2—3-х пунктах каждого района.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის არქივი, საქ. 29, ფურ. 34-43.
პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 24

1930 წლის აგვისტოს 7. — თელავის მაზრაში აღმასკომის მიმართვა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსადმი (ახალი მიწსახეობის და ფინსახეობის) თელავის მაზრაში მევენახეობის მდგომარეობის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ თელავის მაზრა წარმოადგენს მევენახეობის რაიონს და ეს დარგი შეადგენს მოსახლეობის მთავარი არსებობის წყაროს. დღეს კახეთის მევენახეობა ფილოქსერის წყალობით, განადგურებულია საგრძნობლად და მოითხოვს აღდგენას. 10 447 დესეტინიდან, რომელიც ითვლებოდა ომის წინ, დარჩენილია მხოლოდ 3600 დესეტინა და აქედან თითქმის 3000 დესეტინა ძველი ვაზია, საკუთარ ფესვებზე, დაავადებული და განწირული.

ვენახეობის აღდგენა დაიწყო, მაგრამ კიდევ ვერ მიმდინარეობს სასურველი სიჩქარით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვენახებს დღეს ადგენენ უმთავრესად შეძლებული გლეხები, — ღარიბ და საშუალო მოსახლეობას ძალიან ცოტა აქვს ამ დარგში გაკეთებული.

წლიური, დაფესვიანებული ნამყენი, რომელიც უფრო საიმედოა საგვებით, შეძლებულ გლეხებს უვარდებობა ხელში, რადგან ის 100—200%-ით ძვირია სათბურის ნამყენზე.

შარშან ასეთი მაგალითი იყო: მთელი წლიური ნამყენი, ნახევარ მილიონ ცალზე მეტი, — მთლიანად გაიყიდა შეძლებულ სოფელ ველისციხეში, სიღნაღის მაზრისა.

ეს მოხდა იმიტომ, რომ ადგილობრივ ღარიბმა მოსახლეობამ ვერ შესძლო ხსენებული ნაშენის შექმნა.

მართლაც, რომ ძნელია ღარიბ, ხშირ შემთხვევაში წვრილშეილი და მართლაც მჭიდრო გლეხისათვის ვენახის გაშენება, დაგინახავთ შემდეგი ანგარიშებიდან, რომელიც გვიჩვენებს, რა დაჯდება ერთი დღიური ვენახის გაშენება, რომელიც 3—4 წლის განმავლობაში ხარჯების მეტს არაფერს იძლევა.

1) მიწის გადაბრუნება ჯდება 30 კ. \times 1200 = 360 მან.,

2) სათბურის ნაშენი 7 კ. \times 3600 252 „

(დღიურს სჭირდება 2700 ნაშენი, მაგრამ 20% გაფუჭდება და ჩასამატი გახდება. თუ გლეხმა მოისურვა წლიური ნაშენი, მაშინ 535,5 მან., დაჯდება. რაღვან ცალი 17 კაპ., იყიდება).

3) მავთულის გაბმა სამ რიგათ — 7 მ. \times 30 კ. = 210 მან.,

(სარები, ბოძები და სკობები არ შედის).

4) წამლობა შაბიამანი და გოგირდით 3 წლის განმავლობაში (10 ფ., — 5 ფ.) 85 მან.

ამ გვარად, სანამ გლეხი თავის ვენახიდან მოსავალს მიიღებდეს, გარდა ყოველდღიური, თითქმის მარადი, პირადი შრომისა, უკეთეს ხელშემწყობ პირობებში ხარჯავს ფულად 900-1000 მანეთს ერთ დღიურ ვაზის ნაშენის გადაშენებაში, ე. ი. დესექტინაზე 1800—2000 მან.

ვენახების უფრო ჩქარი ტემპით აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა ღარიბ და საშუალო გლეხების მოქმედებას. რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოს დახმარება მათთვის გრძელვადიანი (5 წლით) სესხის მიწოდებით.

თელავის მაზრაში ღარიბ მოსახლეობათა რიცხვი, რომელნიც მთლად განთავისუფლებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 10 000 კომლს უდრის (9610), და მათში ნახევარზე მეტი მისდევს მევენახეობას.

აქედან 1000 მეკომურს, რომ მიეცეთ დახმარება, თუნდაც თითო ჩარეჭი ვენახის აღსადგენათ, საჭირო იქნება სესხი ნახევარი მილიონ მანეთი, (500 მანეთი ჩარეჭზე), რომელსაც თელავის სამაზრო აღმასკომი თხოულობს თავის მაზრის ღარიბ და საშუალო გლეხებისათვის, რათა მათაც შესძლონ თავიანთი ვენახების აღდგენა.

სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ქურციკაშვილი, მიწ. მოქ. განუ. გამგე როსტომაშვილი, სამაზრო აღმასკომის მდივანი ბაკურაძე.

ორცა, ფონ. 288, საქ. 1975, ფურ. 410. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 25

1930 წელი. — „საქართველოს ღვინის“ გამგეობის მიმართვა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსადმი ღვინის დამზადების საკონტროლო ციფრების შემცირების შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ მიმდინარე წელს ღვინის დამზადების საკონტროლო ციფრად მიღებული იქნა 5 750 000 ვედრო ღვინო.

აღნიშნული რაოდენობა მიღებულ იქნა, როდესაც მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანდა და მიწსახეობის ვარაუდით მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 50 ცენტნერს აღემატებოდა.

საკონტროლო ციფრების შედგენისას არ იყო მიღებული მხედველობაში მთელი რიგი პირობებისა, რომლის გამო შემდეგში მოსავლიანობა შემცირდა და ამასთან დაკავშირებით სასაქონლო გამოსავლის მიხედვით შემცირდა დამზადების შესაძლებლობაც.

ვენახის ფართობი

საქართველოს ვენახის ფართობები ოფიციალურ აღრიცხვით 1926 წლისათვის უდრიდა 37400 ჰექტარს, საიდანაც მოსავლიან ფართობად ითვლება 35400 ჰექტარი. ფართობის რაოდენობა 26 წლიდან მიღებულია როგორც სტაბილური და 5 წლიანი გეგმით ნავარაუდევია მხოლოდ 400 ჰექტარის მომატება. აიხსნება ეს შემდეგით:

დაუმყვნელი ვენახი, რომლის ფართობი უდრის 16 325 ჰექტ., ე. ი. 46,1% ყოველწლიურად ჰკარგავს ნაწილს, რომელიც იღუპება ფილოქსერის, სხვადასხვა ავადმყოფობისა და სიბერისაგან. ყოველწლიური დაღუპვა ვენახების უდრის 10%, ე. ი. 1633 ჰექტარს, ხოლო თუ ამას დაუმატებთ დამყვნილი ვენახების ნორმალურ წლიურ დაღუპვასაც, რომლის რაოდენობა დაახლოებით 5% იქნება, მივიღებთ წლიურ დანაკლისს 1633+1183 ანუ 2826 ჰექტარს, ყოველწლიური ახალი ვენახების გაშენებაც და ნორმალური რემონტიც უდრის ამავე რიცხვს და ამრიგად სტაბილობა არ ირღვევა.

ზემომოყვანილის მიხედვით აშკარაა, რომ მოსავლიანი ვენახების ფართობი იქნება 35 400 ჰექტარი, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, არამედ ბევრად ნაკლები.

საქმე ის არის, რომ ახალშენი ვენახი მოსავლიანად შეიძლება ჩაითვალოს მარტო მეხუთე წელს და მასასადამე 4 წლის განმავლობაში გაშენებული რაოდენობა უნდა გამოაკლდეს საერთო რიცხვს, რათა მივიღოთ ის ფართობი, რომელიც სინამდვილით შეიძლება მოსავლიანად ჩაითვალოს.

4 წლის ახალშენი, როგორც ზემოთ დავინახეთ, უდრის (2826×4) 11516 ჰექტარს, ხოლო მოსავლიანი ვენახი 1930 წლისათვის უდრის 27516 ჰექტარს და არა 35400 ჰექტარს როგორც ეს მიღებულია ოფიციალური სავარაუდო აღრიცხვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუმყვნელი ვენახი უმთავრესად არის კახეთში (50%), ქართლში (ყოფ. გორის ოლქი) 99%, ყოფ. თბილისის ოლქში (96%) და აფხაზეთში (95%), იმერეთის სამრეწველო რაიონისათვის კი ეს % უდრის —7%.

ზემომოყვანილის თანახმად მოსავლიანი ვენახები რაიონების მიხედვით უდრის:

რაოდენობის დასახელება	ვენახის ფართობი			ილუბება		ამალი მოსავლის ფართობი
	ს ჯ	მ. ნაბე- რ. მ.	დაცემლი	კვ. მეტ.	4 მუღი	
კახეთი	10 900	5 450	5 450	817	3 268	7 632
ქართლი	2 800	1 400	2 600	336	1 344	1 456
იმერეთი	15 700	14 600	1 100	840	360	13 340
ყოფ. ტფილ. ოლქ.	4 600	230	4 370	44	1 792	2 808
აფხაზეთი	2 600	130	2 470	312	1 248	1 372
დანარჩენი	1 200	925	275	73	292	908
ჯ ა მ ი	37 800	21 475	16 325	2 826	11 504	27 516

მოსავალი და პროდუქცია

საქართველოს მევენახეობის საშუალო მოსავლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიღებულია მრავალწლიანი საშუალო მოსავალი, რადგანაც, მიმდინარე წლის სავარაუდო მოსავალი, რომელიც დასახული იყო გაზაფხულზე შეიცვალა სხვადასხვა (სეტყვა, გვალვა, წვიმები, ავადმყოფობანი და სხვა). მიზეზების გამო და ფაქტიური მოსავლის შესახებ კი ცნობა არა გვაქვს. პროდუქციის გასაგებად უნდა ავიღოთ აღნიშნული საშუალო მოსავალი.

საშუალო მრავალწლიანი მოსავალი უდრის 35.7 ცენტნერს;¹ აქედან მთელი პროდუქცია მევენახეობის შეადგენს 982 321 ცენტნერს. აღნიშნულ რაოდენობას ღვინის გამოსავლის გამოსარკვევად უნდა გამოვაკლოთ ყურძნად დაბანების რაოდენობა და სუფრის ყურძნად გასაღება, რომლის რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 15% ანუ 14348 ცენტნერს და ამრიგად ტენიკური ყურძნის რაოდენობა იქნება 834973 ცენტნერი, რომლის საერთო გამოსავალი ღვინოდ უდრის 4 175000 ვედროს. მთელი ეს ღვინო რაიონების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად.

რაიონების დასახელება	მთელი პროდუქცია ღვინო ვედრ.	სასაქონლო გამოს.	
		%	ათას ვედროში
სამრეწველო	3551	58.5	2078
ნახევრად სამრეწველო	317	36.8	117
არა სამრეწველო	307	—	—
ჯ ა მ ი	4175.0	—	2195

¹ლაბარაცია ყურძნის საშუალო საპექტარო მოსავალზე.

დამზადების გეგმა და მისი რეალობა

როგორც ვხედავთ მთელი სასაქონლო გამოსავალი მრავალწლიანი საშუალო მოსავლის მიხედვით თუღრის 2 195 000 ვედროს და ვაცილებით უფრო მცირეა ვიდრე ვათვალისწინებულა დამზადების საკონტროლო ციფრებით. ცხადია, რომ არა თუ აღნიშნული საკონტროლო ციფრის შესრულება არ შეიძლება, არ შეიძლება მთელი სასაქონლო გამოსავლის დამზადებაც.

ყველამ კარგათ იცის, რომ მიმდინარე წელს სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაციები და პირები აძლევენ გლეხობას ვაცილებით მეტ საფასურს ღვინოში და გლეხები, — მწარმოებელის სახელით ეზიდებიან მას რონოდებით. — გარდა ამისა სისტემატური და ფართე ხასიათი მიიღო გლეხობის მიერ ტიკებით ღვინის ტფილისის და სხვა ქალაქების ბაზარზე გამოტანამ.

რეაონებიდან მიღებული წინასწარი ცნობებით დაწყებული 15/X-დან ყოველ დღე კახეთიდან გამოდის 7—8 რონოდა ანუ 4 000-მდე ვედრო ღვინო. გარდა ამისა გლეხობა აწარმოებს ღვინის საკვებ-სასურსათო მასალებზე გადაცვლას. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ დამზადებისათვის შესაძლებელ ციფრად არ აღემატოს 2 000 000 ვედრო ღვინისა და ამ რაოდენობამდე დაყვანილი უნდა იქნას რეალური გეგმა.

ორცსა, ფონ. 1147, საქ. 383, ფურ. 3—5. პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 26

1931 წლის მაისის 7. — საქართველოს სსრ მიწსახეობის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი საქარის მამულის ნაწილის ვ. სტაროსელსკაიასათვის გადაცემაზე უარის თქმის შესახებ

თქვენს ა. წ. 25/I (№ 342 1117 მოქ. ვ. სტაროსელსკაიას განცხადების შესახებ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნული მამული, რომლის დაბრუნებას თხოულობს მოქ. ვ. სტაროსელსკაია მდებარეობს შორაპნის მაზრაში, ს. არგვეთის აგარაკში, რკინიგზის ბაქნიდან 1 კერსის დაშორებით.

ტერიტორია ამ მამულისა არის დაახლოებით 17 დესეტინა, რომლიდანაც 9,41 დესეტინა არის ვენახი, დანარჩენი 7,59 დესეტინა კი წარმოადგენს სახნავ-სათესს, კარმიდამოს, გზებს და სხვ.

წინათ ეს მამული შედიოდა საქარისად მოზრდილ მამულის ფარგლებში, რომელიც შესყიდული ჰქონდათ ვ. ა. სტაროსელსკისთან ერთად მის ძმა ი. სტაროსელსკის, გორაეცს, ვიტმერს, გოგოლ-იანოვსკის, დოლგუშინს და სხვ.

მამული შეძენილი იყო 1900 წელში ბანაკიდან მელიორატიულ კრედიტებიდან აღებულ თანხებით, რომელთა დროზე გადაუხდელობის გამო მამული გაიყიდა და დარჩა ვალში თვით ბანაკს.

1917 წელში მამულის ნაწილი დაურიგდა გლეხებს, ხოლო ზემოაღნიშნუ-

ლი ნაკვეთი კი გადაეცა საქარის ამერიკულ ვაზების სანერგეს და გახდა მის შემადგენელ ნაწილად.

1919 წელში საქარის სანერგე გადაკეთდა მევენახეობა-მელვინეობის საცდელ სადგურად, რომელსაც მიზნათ დაესახა დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის საკითხების მეცნიერულ-გამოყენებითი კვლევა-გაშუქება და არგვეთის მამულში უკვე ჩაეყარა ფუძე ასეთი ხასიათის მუშაობას.

ამჟამად არგვეთის ნაკვეთში რომლის ნიადაგი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს დამახასიათებელ ეწერებს, ხდება სხვადასხვა სახის ცდები და უმთავრესად ეწერ ნიადაგის გამოყენების საკითხი მევენახეობისათვის.

ამას გარდა, ამ მამულში არის სარდაფი 10000 ვედრო ღვინის ტევადობით. რომელიც სახალხო მამულების ტრესტს გადაქცეული აქვს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ბაზად, სადაც ხდება გლეხებისგან ღვინოების შეზიდვა-დამზადება.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის ამჟამად გაუგებარი ხდება, რომელ ნაკვეთს თხოულობს მოქ. ვ. სტაროსელსკაია.

თუ მისი თხოვნა შეეხება საქარის საცდელ სადგურისთვის შეერთებულ ზემოაღნიშნულ ნაკვეთს, მისი დაბრუნება სტაროსელსკაიასათვის, თუ გინდაც ნაწილისა, ხელს შეუშლის სადგურის დასახულ მიზნების განხორციელებას და ამის გამო შეუძლოდ მიაჩნიათ ამ მამულის დაბრუნება.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგუკორი საქმეთა მმართველი მ. ზირაქაშვილი.

ორცა, ფონ. 1147, საქ. 288, საქ. 1275, ფურ. 30. დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 27

1933 წლის ნოემბრის 4. — საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება საქართველოში მევენახეობის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზოგიერთ მიღწევისა მევენახეობის განვითარების სფეროში სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. ოქტომბრის 31-ს დადგენილების საფუძველზე მაინც სასოფლო მეურნეობის ამ დარგის განვითარების საქმეში თავი იჩინა ჩამორჩენილობამ და დიდმა ნაკლოვანებამ, როგორიც არის:

ა) როგორც ძველ ისე ახალ ვენახთა და ამერიკული ვაზის სადგედთა ნარგავების უხეირო მოვლის გამო არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობა;

ბ) ახლად ჩაყრილ ვენახთა და ამერიკული ვაზის სადგედთა ფართობების თვალსაჩინო ნაწილის ამოვარდნა;

გ) ვენახებისა და ამერიკული ვაზის სადგედების მცირემოსავლიანობა. აგრეთვე სანერგეებიდან ნაყენის გამოსავლის მცირე პროცენტი.

ყველაფერი ეს იმისა შედეგია, რომ როგორც ცენტრალური სამიწათმო-

ქმედო ორგანოები ისე სარაიონო საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები ამ დარგს საკმარის ყურადღებას არ აქცევენ.

ამ საქმეში გარდატეხის მიღწევისა და მევენახეობის რიცხოვნობრივი და თვისებითი მაჩვენებლების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. 1933 წლის შემოდგომაზე ჩასაყრელ ვენახების გეგმა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

რ ა ი ო ნ ე ბ ი			
	ფართობი ჰექტარ- ებით ვენახები საბჭ- მეურნეობებში	ფართობი ჰექტარ- ებით ამოიკ- ვის სადედეები საბჭ- კოთა მეურნეობებში	ვენახებისა და ამე- რეული ვახის სა- დედეების ჩაყრის ვალები
1. გორის რაიონი	28	—	—
2. სიღნაღი	115	—	—
3. თელავის	8	—	—
4. ბორჯალოს	49	233	—
5. გარე-კახეთის	—	10	—
ს უ ლ	200	233	1 XI—15 XII

2. ჩატარებულ იქნეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე 1932 წელს და 1933 წლის გაზაფხულზე ჩაყრილ ახალ ნარგავთა აუცილებელი რემონტი დაფესვიანებული ნერგის ჩამატებით, ხოლო ოთხი წლისაზე უხნავ ნარგავთა რემონტი — მთელ ბუჩქის გადაწვევით (კატავლაკით); ამასთანავე, თითო დამყნოი ვახიდან ერთზე მეტი გადაწვევა არ შეიძლება. ახალ ნარგავთა რემონტი უნდა მოხდეს ფოთლების გაცვენის შემდეგ — ნოემბრის 15-დან დეკემბრის 15-დე, ხოლო გადაწვევა 1933 წ. ნოემბრის 15-დან 1934 წლის აპრილის 1-მდე.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოარკვიონ დასარემონტებელი ვენახების ფართობები და მისცენ მევენახეობის მეურნეობებს სათანადო კონკრეტული დავალებანი.

3. ამოთხრილ იქნეს სანერგეებიდან (სკოლა) და დახარისხდეს დასაფესვიანებლად ჩაყრილი ნაყნობი ვახები ნოემბრის 10-დან დეკემბრის 10-დე.

წინადადება მიეცეთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — მისცენ სანერგეების მქონე საბჭოთა მეურნეობებს და კოლექტიურ მეურნეობებს კონკრეტული დავალებანი ამ სამუშაოს ჩასატარებლად. ნაყნის ამოთხრის გეგმა წარედგინოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს ნოემბრის 1-სა.

4. ჩატარებულ იქნეს 1933 წლის შემოდგომაზე ნიადაგის მთლიანად დამუშავება (მოხვნა, გადაბარვა ან ღრმა გაუხვიერება თოხით) ვენახებისა და ამერიკული ვახის სადედეების მთელს ფართობზე. აღმოსავლეთ საქართველოში

ნოემბრის 10-დან დეკემბრის 1-დე, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ნოემბრის 10-დან მარტის 15-დე, ვენახების ნიადაგის პირობებისა და ადგილმდებარეობის რელიეფის მიხედვით.

იმ ვენახებში, რომლებსაც მოსდებია მარმარილოს ხოჭო ნიადაგის დამუშავება წელს დაწყებულ იქნეს ოქტომბრის 20-დან და დამთავრდება ნოემბრის 10-თვის. ამასთანავე, ხოჭოს მატლი უეჭველად ხელით უნდა იქნეს ამოკრეფილი.

5. განისაზღვროს ნიადაგის მომზადების გეგმა 1934 წლის გაზაფხულზე ვენახების ჩაყრისათვის 100 ჰექტარით ფართობზე ხირსის საბჭოთა მეურნეობაში (სიღნაღის რაიონი). 50 ჰექტარ ფართობზე კონდოლის საბჭოთა მეურნეობაში (მევენახეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის საწარმოო ბაზა) და 30 ჰექტარ ფართობზე სამტრედიის სხვა საბჭოთა მეურნეობებში. მიწა მოხსნულ უნდა იქნეს 50—55 სანტ., სიღრმეზე. ეს ზენა უნდა დამთავრდეს 1934 წ. იანვრის 1-თვის.

6. აიკრძალოს ვენახების გაშენება დაუფესვიანებელი (სათბურისა და სხვ.) ნამყენით.

7. აიკრძალოს 1933 წლის შემოდგომიდან ვენახების ნამყნობი ვაზით გაშენება უიმისოდ, თუ წინასწარ არ მოხდა ნიადაგის ანალიზი კირის შემცველობის ხაზით: ნიადაგის ანალიზის მოწყობა დაეკისროს აღმოსავლეთ საქართველოში — მევენახეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტს, ხოლო დასავლეთ საქართველოში — საქარის ზონალურ საცდელ სადგურს.

ვენახებისა და ამერიკული ვაზის სადღედეგების დიდ მასივებად გაშენების დროს (საბჭოთა მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა) სავალდებულოდ იქნება მიჩნეული ნიადაგის დაწვრილებითი გამოკვლევა.

8. საძირე მასალისათვის წაისხლას სამ და მეტ წლიანი ამერიკული ვაზის სადღედეგები: თანაც რქა უნდა გაიწმინდოს, დაიჭრას და შეიკრას კონებად. ეს სამუშაო ჩატარებულ უნდა იქნეს ნოემბრის 15-დან დეკემბრის 20-დე შემდეგ ფართობზე: (იხ. ცხრილი № 1).

9. ნაყოფმომცემი ვენახების გასხვლა უნდა წარმოებდეს ფოთლის გაცვენისას მთელი ზამთრის განმავლობაში, სუსხიანი დღეების გარდა; გაზაფხულზე გასხვლა დამთავრებულ უნდა იქნეს კვირტის გავსებამდე. ახალი ვენახები უნდა გაისხლას მხოლოდ გაზაფხულზე მარტის 1-დან აპრილის 1-მდე.

გასხვლის დროს სანაყოფო რქაზე დატოვებულ უნდა იქნას 6-დან 12-დე კვირტი ყურძნის ჭიშისა და ბუჩქის ზრდის ძალოვანების მიხედვით. ყველა ვაზი რა ხნისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა გაისხლას დიადრამაზე.

10. 1934 წლის დამყნობის კომპანიისათვის საჭირო სანამყენო მასალის დამზადების გეგმა განისაზღვროს 4 მილიონი ცალის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით: (იხ. ცხრ. № 2).

კარგი თვისების სანამყენო მასალის მიღების მიზნით დაევალოს ყველა იმ მეურნეობას რომელსაც მიცემული აქვს ნამყენის წარმოების დავალებანი,

ცხრილი 1

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ფართობი ჰექტარობით				
	საბჭ. მეურნეობებში		დაწი- საწი. და საწი. და საწი.	კოლმეურნეობებში	შ ს
	სამტრედიის	აფხაზეთ- ტუშეთი და სარ. აღმ. კ-მისა			
1. კასპის რაიონში	265	—	—	—	26.5
2. გურჯაანის	88.9	—	1.9	—	90.8
3. სიღლასის	13.4	—	—	—	13.4
4. თელავის	30.8	—	—	11.5	42.3
5. ყვარლის	27.2	—	0.5	—	27.7
6. ლაგოდეხის	—	—	—	1.5	1.5
7. ბორჩალოს	—	1.9	—	1.3	3.2
8. ლუქაშეხის	—	8.5	—	—	8.5
9. გარეკახეთის	—	2.0	—	—	2.0
10. მცხეთის	—	—	10.0	—	10.0
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	186.8	12.4	12.4	14.3	225.9
11. სამტრედიის რაიონი	47.0	—	—	0.7	47.7
12. ვახის	10.0	—	—	—	10.0
13. ბაღდადის	8.8	—	—	—	8.8
14. ზესტაფონის	—	—	2.1	3.3	5.4
15. კიათურის	—	0.5	—	—	0.5
16. ხარაგაულის	—	—	—	0.6	0.6
17. ამბროლაურის	2.5	—	0.3	—	2.8
18. მარტვილის	5.3	11.2	—	—	16.5
19. ჩხოროწყუს	—	8.0	—	—	8.0
20. აფხაზეთის ასსრ	—	21.7	—	—	21.7
სულ დასავლეთ საქართველოში	73.6	41.4	2.4	4.6	122.0
სულ რესპუბლიკაში	260.4	53.8	14.8	18.9	347.0

მოახდინოს მოსავლის აღებამდე ვენახების აპრობაცია; ხოლო სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა ამ მუშაობის ჩატარებას კონტროლი და ინსტრუქტირება უნდა გაუწიონ.

11. მოწყობილ იქნეს ამერიკული და ადგილობრივი ვახის ლერწმის სათანადოდ შენახვა, რისთვისაც საჭიროა სარდაფების და მიწური სარაიების მოგვარება, ორმოების ამოთხრა აგრეთვე ქვიშის დამზადება ლერწმის შესანახად; უკვე ნახმარი ქვიშის გამოყენება არ შეიძლება.

12. განისაზღვროს 1934 წლის გაზაფხულზე დამყნობის გეგმა 10400 ათასი ცალით და შემდეგი განაწილებით რაიონებზე; (იხ. ცხრ. № 3).



რ ა ი ო ნ ე ბ ი	სანამყარო მასალა დამზადებულ უნ- და იქნეს (ლერწი) ათასი ცალბით			
	საბჭოთა მეურნეო- ბეჭდო	კოლმეტ. მეურნეო- ბა და კოოპერა- ტიზმი	სამცენიერო და სას- წარმოო დაწესებუ- ლება	ს უ ლ
1. გორის რაიონი	150	—	—	150
2. ქაპისი	50	—	—	50
3. გურჯაანის	800	—	50	850
4. თელავის	480	550	70	1100
5. სიღნაღის	200	—	—	200
6. ყვარლის	150	—	20	170
7. ლუქსემბურგის	—	200	—	200
8. მცხეთის	—	—	50	50
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	1830	750	190	2770
9. ბაღდადის რაიონი	150	—	—	150
10. ზესტაფონის რაიონი	300	—	50	350
11. ჭხარის	70	—	—	70
12. ამბროლაურის	70	—	—	70
13. მარტვილის	120	—	—	120
14. ჩხოროწყუს	150	—	—	150
15. ჭიხაძურის	70	—	—	70
16. აფხაზეთის ასსრ	250	—	—	250
სულ დასავლეთ საქართველოში	1180	—	50	1230
სულ რესპუბლიკაში	3010	750	240	4000

13. სასანერგე მეურნეობის გაფართოებისა და სანერგეთა ფართობების პერიოდული ცვლის (ბრუნვის) უზრუნველსაყოფად დავალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოჰყონ შესაფერი მიწის ნაკვეთები სასანერგე მეურნეობის მქონე საბჭოთა მეურნეობებისათვის შემდეგი ოდენობით:

გურჯაანის რაიონმა საბჭოთა მეურნეობებისათვის	
„გურჯაანი“	20 ჰექ.
საბჭ. მეურნ. „ქარდანახი“	20 ჰექ.
„მუკუზანი“	20 ჰექ.
თელავის რაიონმა — საბჭოთა მეურნეობებისათვის	
„წინანდალი“ (კონდოლის სანერგისათვის)	20 ჰექ.
საბჭ. მეურნ. „იყალთო“	20 ჰექ.
ზესტაფონის რაიონს — საბჭოთა მეურნეობისათვის	
„ვაჟევი“ (არგვეთი)	20 ჰექ.

რ ა ი თ ნ ე ბ ი

	უნდა დაიმყნას (ათასი ცალი- ბით)			
	მეურნე- საბჭოთა ბებში	მეურნე- კოლმე- ბა და კოლმე- ორგანიზ.	სას- სამეცნიერო და სას- წავლო ორგანიზ.	ს უ მ
1. გორის რაიონი	400	—	—	400
2. კასპის	150	—	—	150
3. გურჯაანის	2000	—	150	2150
4. სიღაღის	500	—	—	500
5. თელავის	1200	1400	200	2800
6. ყვარლის	400	—	50	450
7. ლუჩხმბურგის	—	500	—	500
8. მცხეთის	—	—	150	150
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	4650	1900	550	7100
9. ბაღდადის რაიონი	400	—	—	400
10. ზესტაფონის	800	—	150	950
11. ჩხარის	200	—	—	200
12. აიბროლაურის	200	—	—	200
13. მარტვილის	300	—	—	300
14. ჩხოროწყუს	400	—	—	400
15. ჩოხატაურის	200	—	—	200
16. აფხაზეთის ასსრ	650	—	—	650
სულ დასავლეთ საქართველოში	3150	1900	150	3900
სულ რესპუბლიკაში	7800	1900	700	10400

ბაღდადის რაიონმა საბჭოთა მეურნეობისათვის „ვარციხე“ 20 ჰექტ.

მარტვილის რაიონმა საბჭოთა მეურნეობისათვის „სალხინო“ 10 ჰექტ.

14. წინადადება მიეცეს სსრკ-ს მიძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-სთან მოაწყოს „კუნდეს“ ტიპის სამყნობი დანების წარმოება იმ ვარაუდით, რომ ეს დანები აუცილებლად 1934 წ. მარტის 1-თვის გამოშვებულ იქნეს არანაკლებ 7000 ცალისა.

15. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ძირითადი მევენახეობის რაიონებში ქონებული ნაკელი ნაყნობი ვაზის სანერგეებში. ამერიკული ვაზის სადედეებსა და ვენახებში შესატანი ნაკელი შეტანილ უნდა იქნეს ნოემბრიდან ნო-
ადვანის შემოდგომა-ზამთარში დამუშავების წინ.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს (სარაიონო სა-
მიწათმოქმედო განყოფილებებს) შეადგინონ ნაკელის შეტანის კონკრეტული გეგმა და წარუდგინონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ოქტომბრის 1-თვის.

აიკრძალოს ნაკელის ბუჩქებ ქვეშ დაყრის პრაქტიკა; ნაკელი შეტანილი უნდა იქნეს გაფანტვის მეთოდით და თანაც აუცილებლად ჩახენით.

16. დაევალოს „სამტრესტა“ შეიტანოს საბჭოთა მეურნეობებში 1933 წლის შემოდგომაზე მინერალური სასუქი ვენახებში 80 ჰექტარ ფართობზე და ამერიკული ვაზის სადედეებში 42 ჰექტარ ფართობზე. დაევალოს მევენახეობის ინსტიტუტს და საქარის საცდელ ზონალურ სადგურს გაუწიონ ინსტრუქტირება სასუქის შეტანის საქმეს და აწარმოონ მისი ეფექტურობის აღწუსება.

17. ჩატარებულ იქნეს სამეურნეო ცდა არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში (ხესტაფონის რაიონი) სიდერაციის ხაზით — 10 ჰექტარ ფართობზე და მოკირვის ხაზით — 10 ჰექტარ ფართობზე. ამ საქმისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქარის საცდელ ზონალურ სადგურს.

18. შემოღებულ იქნეს 1933 წლის შემოდგომიდან ვენახების მოსავლიანობის ყოველწლიური აღრიცხვა — მიღებული პროდუქციის აუცილებელი აწონვით ნარგავთა ჯიშისა და ხნის კვალობაზე — მთლად საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ფართობებზე, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში მოსავლიანობის აღრიცხვა უნდა მოხდეს შერჩევით შემდეგი რაიონების ტიპურ სოფლებსა და მეურნეობებში და შემდეგი რაოდენობით: (იხ. ცხრ. № 4).

19. შემოღებულ იქნეს 1933 წლის შემოდგომიდან სასელექციო სამუშაოები — უნაყოფო, მცირემოსავლიანი, დაბალხარისხოვანი და დაავადებული ვაზების გამოსარკვევად და შესაცვლელად. ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლექტიურ მეურნეობაში მთლად სავენახე ფართობზე, მუშაობა დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრებულ იქნეს მოსავლის აღების დაწყებამდე.

20. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ გამოკყონ სპეციალური მომუშავენი (აგრონომები) მოსავლიანობის აღრიცხვის ჩასატარებლად და, მე-17 და მე-18 მუხლის თანახმად, სელექციის ჩატარებისათვის პრაქტიკული ხელმძღვანელობის გასაწევად.

21. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს — დაეაღონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს უზრუნველყოფნა ვენახებისა, ამერიკული ვაზის სადედეებისა და სანამყნო ვაზის სანერგეების მთელი ფართობის ზღუდე-ლობის შემოვლება საქონლის მიშვებით წახდენისაგან ნარგავთა დასაცავად.

22. აიკრძალოს ყოველგვარი საქონლის ძოვება ვენახებში, ამერიკული ვაზის სადედეებისა და სანამყნო ვაზის სანერგეებში.

23. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს — დაეაღონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს კვირტის ჰიის (ბუკნა ჰიის) გავრცელების რაიონებში (ხესტაფონის, ხარაგოლის, ბაღდადის, ჩხატარის, ჭიათურის, ვანის და ქუთაისის რაიონები), ჩაატარონ შემოდგომაზე ვაზებისათვის გამხმარი ქერქის შემოცლა და სარებისა და ჰიგოს ქერქებისაგან გაწმენდა. ქერქი უნდა დაიწვას.

რ ა ი ო ნ ე ბ ი		სოფლების რაოდენი	მევენახეობის რაოდენი
1. გორის რაიონი		2	10
2. კასპის		2	10
3. გურჯაანის		5	25
4. სიღნაღის		5	15
5. თელავის		5	25
6. ყვარელის		4	20
7. ლაგოდეხის		1	5
8. თბილისის		1	5
9. ბორჩალოს		1	5
10. ლუქსეზურგის		2	10
11. აღბუღაბ-მანგლისის		1	5
12. გარე-კახეთის		2	10
13. მცხეთის რაიონი		2	10
14. სამხ. ოსეთის, ავტ. ოლქი		1	5
15. ქუთაისის რაიონი		2	10
16. სამტრედიის		1	5
17. ხონის		1	5
18. ვანის		2	10
19. ბ. ლდაღის		4	20
20. ზესტაფონის		5	25
21. ჩხარის		3	15
22. კიათურის		4	20
23. ხარაგაულის		3	15
24. ოკრიზის		1	5
25. ონის		1	5
26. ამბროლაურის		3	15
27. ცაგერის		2	10
28. სენ-კის		1	5
29. მარტვილის		1	5
30. ზუგდიდის		1	5
31. ჩხოროწყუს		1	5
32. ჩოხატაურის		2	10
33. აფხაზეთის ასსრ		2	10
სულ დასავლეთ საქართველოში		40	200
სულ რესპუბლიკაში		72	360

24. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (მაგნებ-ლებთან ბრძოლის შენაერთის ორგანოების ხაზით) შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაში და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ვა-ზის მაგნებლებთან ბრძოლის საადრიცხვო სამსახურის ქსელის გაფართოების გეგმა.

25. წინადადება მიეცეს მევენახეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—მიმდინარე წლის შემოდგომიდანვე მოაწიონ ვენახებისათვის სარებისა და ჭიგოს დამზადება იმ ვარაუდით, რომ ეს დამზადება დამთავრებულ იქნეს არაუგვიანეს 1934 წ. თებერვლის 1-სა.

26. შემდგომში საჭიგო მასალით ვენახების უზრუნველსაყოფად გაშენებულ იქნეს მიმდინარე წლის შემოდგომასვე აკაციის პლანტაციები 400 ჰექტარ ფართობზე შემდეგი რაოდენობითი დანაწილებით:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	გასაშენებელი ფართობი		
	საბუთა- მეურნეო- გვ.	კოლქ- მეურნ.	სულ
1. გორის რაიონი	5	5	10
2. კასპის	5	5	10
3. გუოჯაღის	10	20	30
4. სიღნაღის	15	15	30
5. თელავის	10	20	30
6. ყვარელის	10	10	20
7. ბორჯაღის	10	5	15
8. ლუქსემბურგის	—	5	5
9. გარე-კახეთის	5	10	15
10. მცხეთის	5	5	10
11. საბ. ოსეთის ავტ. ოლქი	—	5	5
12. ქუთაისის	—	5	5
13. ვანის	—	10	10
14. ბაღდადის	10	25	35
15. ზესტაფონის	15	35	60
16. ჩხაიის	5	20	25
17. ქიზიურის	—	25	25
18. ხარგოულის	—	20	20
19. ამბროლაურის	—	10	10
20. ცაგერის	—	5	5
21. მარტვილის	5	—	5
22. ჩოხატაურის	—	10	10
23. ჩხორაწყუს	—	10	10
სულ დასავლეთ საქართველოში	45	175	220

27. წინადადება მიეცეს მევენახეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტს:

ა) შეიმუშაოს საკითხი მიუღერის მრუდის მიხედვით მილდიუსთან ბრძოლის მოწყობის შესახებ იმ ვარაუდით, რომ 1934 წელს მოგვარებულ იქნეს სათანადო მუშაობა სამრეწველო ცდის მასშტაბით;

ბ) გააფართოოს ცდა „ფუზარიოზის“ შესწავლისათვის.

გ) შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამერიკულ ვაზის სადედეებში ფოთლოვანი ფორმის ფილოქსერასთან ბრძოლისათვის;

დ) შეიმუშაოს და გამოსცეს პრაქტიკული სახელმძღვანელო საქართველოში გავრცელებულ ვაზის მავნებლებთან ბრძოლისათვის.

28. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აწარმოოს დასახულ ღონისძიებათა აღსრულების ყოველდღეადური აღრიცხვა.

29. წინადადება მიეცეს ცენტრალური და რაიონული პრესის რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ მევენახეობის საკითხები და ამ დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა აღსრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს მევენახეობის რაიონების ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სამიწათმოქმედო განყოფილებას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მოაწყოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება ამ დადგენილების დასამუშავებლად საბჭოთა მეურნეობების მუშებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების მასებში და მიღწიოს ამ დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მოაგონებს ძირითადი მევენახეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების გამგეებს, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და სამან.-სატრ. სადგურების დირექტორებს, რომ მათთვის მევენახეობის შემდგომი განვითარების ამოცანა ისეთივე ძირითადი ამოცანაა, როგორც ძირითადი მარცვლეულისა, მეცხოველეობისა და მეგამბეობის რაიონების საბჭოთა ორგანოებისათვის სამარცვლეულო მეურნეობისა, მეცხოველეობისა და საბამე მეურნეობის განვითარების ამოცანა.

გაზ. „კომუნისტი“, 1933 წ., 16 ნოემბერი, № 263.

№ 28

1933 წლის დეკემბრის 23. — საქართველოს სსრ მიწსახეობის მიმართვა საქართველოში დამუშავების რწმუნებულ ფანცხავასადმი ყურძნისა და ღვინის დამუშავების წესის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ აქამდე, როგორც წესი, ყურძნისა და ღვინის დამუშავება სწარმოებს სამტრედიისა და მევენახე-მეურნეობათა შორის წინასწარ დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

აღნიშნულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების მიხედვით მევენახე-მეურნე მოვალეა ჩაატაროს მთელი რიგი აგროღონისძიებებისა და ჩააბაროს სამტრედიის თავისი მოსავლიდან განსაზღვრული რაოდენობა. მეორე მხრივ სამტრედიის მოვალეა მოამარაგოს მეურნეობა საწამლი მასალით (შაბიამანი და გოგირდი) მიწსახეობის მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით.

ვინაიდან არსებული წესი დიდ დაბრკოლებებს ქვეყნის მუშაობაში კერძოდ:

- ბევრ ხარჯებს იწვევს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება;
- აღილი აქვს გაჭიანურებას კონტრაქტაციის გეგმის შესრულებაში, რაც იწვევს საწამლ-მასალის (შაბიამანის, გოგირდის) დავიანებით გაცემას და აყენებს საგრძნობ ზარალს მეურნეობას;
- დაბოლოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების საქმეში, როგორც თითქმის იძულებითი ხელშეკრულებების დადება მცირე ფართობიან მევენახე-მეურნეობებთან, არასრულ მოსავლიან ვენახებზე და აგრეთვე არასწორი მიდგომა მეურნეობის მიერ ჩასაბარებელ პროდუქციის რაოდენობით განსაზღვრის დროს.

ყურძნისა და ღვინის დამზადების არსებული წესის მოყვანილ ნაკლოვანებათა გამო, მიწსახკომს მიზანშეწონილად მიაჩნია შემოღებულ იქნას ყურძნისა და ღვინის დამზადებაზე იგივე წესი, რაც მაგალითად პურეულზედ. კერძოდ, განისაზღვროს სახელმწიფოსათვის ჩაბარების მტკიცე ნორმები ცალკე რაიონების მიხედვით. განისაზღვროს ვენახის ფართობი, რომელიც მთლიანად განთავისუფლებული უნდა იქნეს სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარებისაგან (ვენახის მცირე ნაკვეთები და სხვა). საკითხის ამ სახით გადაწყვეტა უსათუოდ გამოიტანს დადებით შედეგს, ვინაიდან აგროლონისძიებანი სავალდებულო წესით უნდა ტარდებოდეს ყველა რაიონებში. მოისპობა დაბრკოლება შაბიამანისა და გოგირდის გაცემის საქმეში, და გაიზრდება სტიმული მევენახე მეურნეობებში მოსავლიანობის გაზრდისათვის საბრძოლველად.

მიწსახკომი გთხოვთ დასვათ სადაც ჯერ არს აღნიშნული საკითხი დასამტკიცებლად. საკითხის პრინციპიალურად გადაწყვეტის შემდეგ დამუშავებულ იქნება დეტალურად წესები და ნორმები სახელმწიფოსათვის მევენახეობის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა.

საქ. მიწსახკომი (შ. მათიკაშვილი)¹

ორცა, ფონ. 288, საქ. 3319, ფურ. 69—70, პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 29

1933 წლის დეკემბრის 29. — საქართველოს სსრ მიწსახკომის ღონისძიებები მევენახეობაში 1931-33 წწ. არსებულ მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

Отношение до 1933 года к виноградарскому хозяйству характеризуется недооценкой и игнорированием.

Примерами этому служат:

1. Загрузка Кварельского района в 1931 году планом по кенафу в размере 1000 га, в ущерб виноградарству;
2. Загрузка Сигнахского района в 1931 году по хлопку и кенафу в размере 8200 га, в ущерб виноградарству;
3. Загрузка Зестафонского района в 1931 году планом по чистому посеву сои, в размере 1500 га, в ущерб виноградарству;
4. Низшие заготовительные цены (7 руб. за ведро);
5. Отсутствие планового отоваривания хлебом заготовок винограда и вина;
6. Недостаточный темп закладок маточников.

В результате всего этого — резкое ухудшение обработки и ухода за насаждениями.

Мероприятия, направленные на поднятие виноградарского хозяйства, проводимые в 1932 и 1933 г.

1. Снятие из основных виноградарских районов конструирующих с виноградарством по труду трудоемких технических культур (кенаф), сплошные посевы сои и др.

¹ საბუთს ხელრთვა არა აქვს.

2. Уменьшение в Кахетии посевов хлопка и снятие вовсе на 1934 г.
3. Увеличение заготовительных цен на вино до 12 рублей, в среднем за ведро с дифференциацией по сортам и качеству продукции.
4. Введение отоваривания заготовок вина и винограда хлебом и мануфактурой.

Рост виноградарства и борьба с филлоксерой

1. Рост виноградарства лимитируется до сего времени наличием подвойного материала — американской лозы.
2. К 1932 году имели маточников американских лоз 338 га.
- 3) Заложено в 1932 и 1933 годах маточников американских лоз—340 га.
- 4) В 1934 году площадь под маточниками американских лоз будет доведена до 800 га, что будет обеспечивать подвойным материалом ежегодную закладку до 7.000 га виноградников.
- 5) В 1932 и 1933 г. заложено виноградников 2.496 га
- 6) Должна быть проведена прививка виноградников в 1934 г. в размерах, обеспечивающих закладку виноградников до 1.500 га.
- 7) Только с 1936 г. наличие посадочного материала позволит нам вести закладки виноградников в больших, чем до сих пор размерах.

ორცსა, ფონ. 288, საქ. 3319, ფურ. 6-7. პირო. საწერ მანქანზე დაბეჭდილი.

ქართულ სამოციანელთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიისათვის

XIX საუკუნის 50-60-იანი წლები რუსეთისა და საქართველოსათვისაც წარმოადგენდა ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გზაჯვარედინს, რომელშიც თავისი მკვეთრი გამოძახილი ჰპოვა არა მარტო შეუპოვებელ კლასობრივ ბრძოლებში მემამულეთა კლასსა და გლეხობას შორის, არამედ შეუპოვარ იდეურ ბრძოლებშიც ბატონყმური ურთიერთობის აპოლოგეტებსა და რევოლუციური გლეხობის იდეოლოგებს შორის. ამ პერიოდში ფეოდალური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან მის ბორკილებად გადაიქცნენ, დაამუხრუტეს საწარმოო ძალების განვითარება, რამაც მწვავედ დააყენა დღის წესრიგში ფეოდალური ურთიერთობის კაპიტალისტური ურთიერთობით შეცვლის საკითხი.

ეს ის დრო იყო, როცა მეფის რუსეთის შერყეული ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ იდეურ-რევოლუციურ მოძრაობას ალაფრთოვანებდნენ გამარჯვოლუციონერებელი მგზნებარე იდეებით ლონდონიდან „კოლოკოლი“ ა. ი. გერცენის მეთაურობით და პეტერბურგიდან „სოფრემენიკი“ ნ. გ. ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით. ცარიზმისა და ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ იდეურ-რევოლუციურ ბრძოლებში რუს მოწინავე მოაზროვნეებს ეხმაურებოდნენ პოლონეთის, უკრაინის, საქართველოსა და სხვა ხალხთა პროგრესული წარმომადგენლები. პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველი პროგრესული ახალგაზრდობა, რომელიც თავის ქვეყნის მერმისით იყო დაინტერესებული, ანგარიშს უწყევდა ცხოვრების მოთხოვნილებას, არ კმაყოფილდებოდა ე. წ. „ოფიციალური ცოდნით“, თავს იყრიდა ი. ჰავაგაძის გარშემო, სწავლობდა ქართულ, რუსულ და დასავლეთ ევროპის პროგრესულ ლიტერატურას და ემზადებოდა რუსი და რუსეთში შემავალ ხალხთა მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად ცარიზმისა და ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი ცარიზმის წინააღმდეგ მმართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიაში. ამ პერიოდში დაედო სათავე რუს და ქართველ ხალხთა პროგრესულ წარმომადგენლებს შორის იდეურ-რევოლუციურ ურთიერთობას. ამიტომ ეს პერიოდი რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში ახალი და მაღალი საფეხურია.

1861 წლის 19 თებერვლის მეფის მთავრობის მანიფესტის საფუძველზე გა-

ტარებულმა შეკვეცილმა საგლებო რეფორმამ მოძრაობაში მოიყვანა არა მარტო რეფორმით მოტყუებული, გაძარცული გლეხობა, არამედ ყველა პროგრესული მოაზროვნე. გლეხთა მოძრაობას აქტიურად ეხმარებოდა პროგრესული ინტელიგენცია და მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობა. რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია ცდილობდა სათავეში ჩადგომოდა გლეხთა მოძრაობას და გამარჯვებამდე მიეყვანა იგი.

მეფის მთავრობა გლეხთა მოძრაობის მიზნებს ეძებდა არა იმაში, რომ მან ოინბაზური რეფორმით გაძარცვა გლეხობა, არამედ პროგრესულ ინტელიგენციაში და მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობაში, რადგან ისინი განუმარტავდნენ გლეხობას რეფორმის ანტიხალხურ ხასიათს. მეფის მთავრობა ცდილობდა ამოეშანთა პროგრესული აზრები ადამიანთა თავებიდან, „რკინის კალაპოტში“ ჩაემწყვდია მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი სოციალური რევოლუცია.

მეფის მთავრობამ დაიწყო უმაღლესი სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში პოლიციურ-დესპოტური წესების შემოღება. შემოღებულ იქნა 1861 წლის შემოდგომიდან „ახალი საუნივერსიტეტო წესდება“, რომლის საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-პედაგოგიური, კულტურულ-აღმზრდელობითი კერების ნაცვლად უნდა გადაქცეულიყო სამხედრო ყაზარმებად, ხოლო სტუდენტები — „საჯარიმო ათასეულების“ ჯარისკაცებად.

„ახალი საუნივერსიტეტო წესდება“ გახდა საბაზი 1861 წლის შემოდგომაზე პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობის მძლავრი რევოლუციური მოძრაობის დაწყებისა, რომელსაც ვამოეხმარა რუსეთის სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა. პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა წარმოადგენდა პირველ, ინტერნაციონალურ გამოსვლას ცარიზმისა და მემამულეთა კლასის წინააღმდეგ გმირული ბრძოლების ისტორიაში, რომელშიც, რუს და რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხების მოწინავე ახალგაზრდობასთან მხარდამხარ, ქართველი პროგრესული ახალგაზრდობაც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა ერთ-ერთ წამყვან, ხელმძღვანელ როლს ასრულებდა XIX საუკუნის 60-იანი წლების პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში.

1861 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობას შორის გამოჩნდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო სახელდაწოდებულ შედგენილი ხელნაწერი პროკლამაციები და მოწოდებები: „ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ“, „უნივერსიტეტი ყაზარმას არ უნდა ჰკავდეს“, „როგორ მოვიქცეთ“, „ბატონ სტუდენტებს!“, „ბატონო სტუდენტებო!“, „ცხელ-ცხელი ამბები!“ და სხვ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ექვსი სახელწოდების პროკლამაციიდან და მოწოდებიდან, როგორც ჩვენს მიერ გამოვლენილი საარქივო დოკუმენტებიდან გაირკვა, სამი მოწოდება: „ბატონ სტუდენტებს!“, „ბატონო სტუდენტებო!“ და „ცხელ-ცხელი ამბები!“ ქართველ მოწინავე ახალგაზ-

რდას, პეტერბურგის უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტს ვასილ სავანელს ეკუთვნის.

ვ. სავანელის პირველ მოწოდებაში „ბატონ სტუდენტებს!“ ნათქვამია: „ჩვენ ერთი სურვილი და სიყვარული გვამოქმედებს; თავისუფალი აზრის განვითარება და მისი ბედნიერი მომავალი... სახალხო განათლების მინისტრს სურს... ჩაგვიქროს თავისუფალი აზრი... მას უნდა დაგვაშინოს... მაგრამ ჩვენ არ შეუშინდებით და დაუმტკიცებთ განათლების მინისტრს, რომ ჩვენი პროტესტი თამაში არ არის, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებას, რომლის გარეშე უნივერსიტეტი გადაიქცევა უშინაარსო და უმიზნო სკოლად... რისი გეშინიათ ბატონებო, ზომ საჭიროა ოდესმე ვიცხოვროთ! მაგრამ ცხოვრება მარტო ჭამა-სმას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ვაზროვნებდეთ თავისუფლად, როგორც ადამიანები“¹.

ვ. სავანელი თავის მეორე მოწოდებაში „ბატონო სტუდენტებო!“ კიდევ უფრო გადაჭრით მოითხოვს „ახალ საუნივერსიტეტო წესდების“ გაუქმებას, სიტყვის, კრებების, მიტინგების თავისუფლებას, ადამიანთა ღირსების დაცვას, აზრის თავისუფლებას. „ისე არაფერი არ მიტაცებდა და მახარებდა, — წერს ვ. სავანელი მეორე მოწოდებაში, — როგორც ჩვენი შეკრებები, რომლებზედაც ვიხილავდით სტუდენტობის ცხოვრების სასიცოცხლო საკითხებს... სტუდენტებისათვის შეკრებებისა და თავისუფალ აზრთა გაცვლა-გამოცვლის აკრძალვა ნიშნავს დაკარგვით სასიცოცხლო ელემენტი, რომლის გარეშე უნივერსიტეტი დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ამიტომ მთელი ჩვენი ძალებით უნდა ვეცადოთ, რათა გაუქმებულ იქნას მოსწავლე ახალგაზრდობის შემავიწროებელი ახალი წესები“².

ვ. სავანელი მესამე მოწოდებაში — „ცხელ-ცხელი ამბები“ — მკაცრი სარკაზმით დასცინის სტუდენტთა მოძრაობის შიშით შეპყრობილ მეფის მთავრობას, რომელმაც უღმრთო ომი გამოუცხადა მოსწავლე ახალგაზრდობას, არ დააკმაყოფილა სტუდენტების სამართლიანი მოთხოვნილება, დააპატიმრა, აწამა მოძრაობის ზელმძღვანელი მოწინავე სტუდენტობა და უსინდისოთ შეურაცხყო ახალგაზრდობის წმინდა გრძნობები. „ომი წარმოშობს გმირებს, — წერდა ვ. სავანელი, — ზოლო სტუდენტთა მოძრაობამ... დაბადა აზრის გმირები... სახალხო განათლების მინისტრმა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობამ სტუდენტების წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯარის ნაწილები... მინისტრ პუტიატინის აზრით, ცაპარი თავის ფულს, როგორც სურს, ისე გამოიყენებს... ამიტომ რატომ მინისტრს არ შეუძლია გამოიყენოს თავისი მღვდმარეობა, როგორც მას სურს... განა ეს უნდა მოჰყოლოდა გლეხთა განთავისუფლებას? ბატონყმური უღლიდან განთავისუფლებული ადამიანი, პუტიატინის ლოგიკის თანახმად, უნდა გადაიქცეს უბრალო მოსახმარ ნევთად“³.

¹ ცსსა (მოსკოვი), ფონ. 109, აღწ. 214, საქ. 150, ფურ. 1.

² იქვე, ფურ. 2—3, დოკ. 2.

³ იქვე, ფურ. 4—5, დოკ. 2.

ვ. სავანელის მოწოდებიდან მოტანილ ციტატაში მოცემულია არა მარტო მეფის მთავრობის მომავლენივადი კრიტიკა, არამედ ყველა ექსპლოატატორული კლასების მკაცრი კრიტიკაც, რადგან კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ექსპლოატატორული კლასების მმართველი წრეები და მათი მთავრობები ყოველთვის ცდილობდნენ (და ცდილობენ ახლაც კაპიტალის სამყაროში) გადაეკეცათ მშრომელი და ექსპლოატირებული მასები მჩაგვრელთა ყურმოჭრილ მონებად, უნო მოსახმარ ნივთებად, რომლებიც ზმის ამოუღებლად იმსახურებდნენ. გაბატონებული კლასებისათვის.

1861 წლის სექტემბერში უნივერსიტეტში მასობრივად შედიოდა სტუდენტების განცხადებები პროტესტის ნიშნად სასწავლებლის დემონსტრაციულად დატოვების შესახებ. „ახალი საუნივერსიტეტო წესდების“ ძალით „უნივერსიტეტი სამეცნიერო კერის“ ნაცვლად „ჩაშუშების სკოლად ხდებოდა“, ამბობდნენ მიტინგებზე თავიანთ სიტყვებში მოწინავე სტუდენტი ორატორები. „მიყვარს უნივერსიტეტი, — წერდა ვ. სავანელი, — მაგრამ იძულებული ვარ მივატოვო იგი, რადგან ამიერიდან ის ჯდება ისეთ სკოლად, საიდანაც გამოვლენ პროფესიონალური ჯაშუშები, რომლებსაც შეეძლება მოთმინებით აიტანონ ყოველგვარი დამცირება და შეუზღუდავად, მორჩილად შეასრულონ დესპოტის სულელური განკარგულებანი“¹.

პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ქართველი მოწინავე სტუდენტებიდან 1861 წლის 12 ოქტომბერს დაპატიმრებულ იქნა 16 ახალგაზრდა: ვ. სავანელი, ბ. ლოლობერიძე, დ. ლოდო-ბერიძე, ნ. ნიკოლაძე, დ. აბულშელიშვილი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ა. შანშიაშვილი, ნ. შანშიაშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, პ. ალხაზიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ი. ისარლიშვილი, ვ. თუმანიშვილი, ნ. ალექსიშვილი-მესხიშვილი, ა. შავერდაშვილი. ორ თვეზე მეტი დაჰყო ახალგაზრდობამ პეტრე-პავლესა და კრონ-შტადტის ციხეებში. პატიმრობიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ პეტერბურგი და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. მაგრამ ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა და კერძოდ ვ. სავანელმა მოახერხა პეტერბურგში დარჩენა და კვლავ რევოლუციური მუშაობის გაჩაღება. ვ. სავანელმა ნ. ნიკოლაძის კვალდაკვალ შეცდომამში შეიყვანა პოლიცია, ამოეწერა საბინაო დავთრიდან, ვითომ „სამშობლოში წამოვიდა“, ფაქტიურად კი დარჩა პეტერბურგში და არაღეგალურად განაგრძო ცხოვრება. ქართველმა მოწინავე ახალგაზრდობამ მტკიცედ გადაწყვიტა დარჩენილიყო პეტერბურგში, მიეღო მონაწილეობა რუსი ხალხის პროგრესულ წარმომადგენლებთან მხარდამხარ მოსალოდნელ ბრძოლებში, რომელსაც მისი აზრით უნდა მოჰყოლოდა მეფის რუსეთში შემავალ ყველა ხალხების და მათ შორის ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღლიდან განთავისუფლება.

მაგრამ ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების დაპატიმრების შემდეგ რეპრესიებმა, ჩხრეკამ და დაპატიმრებამ მასობრივი ხასიათი მი-

¹ ცსსა, ფონ. 109, აღწ. 214, საქ. 150, ფურ. 6, დოკ. 2.

ილო. ვ. სავანელი, რომელიც 1861 წლის შემოდგომაზე სასჯელს შემთხვევით გადარჩა და ორი თვის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს, 1862 წლის 23 სექტემბერს კვლავ იქნა დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული ცარიზმის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისათვის. დაიწყო ნ. გ. ჩერნიშევსკისთან და მის ჯგუფთან დაახლოებული ახალგაზრდობის გაძლიერებული აგენტურული დამუშავება, მაგრამ არავითარ რეპრესიებს არ შეეძლო ჩაეკლა პროგრესულ ახალგაზრდობაში თავისუფლებისაყენ დაუცხრომელი მისწრაფება. ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ თეთრი ტერორისა და უსასტიკესი რეპრესიების პირობებში 1862 წლის შემოდგომაზე გაფორმდა მებრძოლი არალეგალური ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლია“.

„ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქართველი მოწინავე ახალგაზრდებიდან აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ბ. ლოღობერიძე, დ. ლოღობერიძე, დ. აბდუშელიშვილი და სხვები. 1863 წლის გაზაფხულზე დ. ლოღობერიძემ, ი. ოტტოსთან, ნ. ლიჩკოვთან და მ. სიოროტკინთან ერთად „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალური ჯგუფიდან მიიღეს სპეციალური დავალება შეექმნათ პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტობისაგან საიდუმლო სალარო და ბიბლიოთეკა. დ. ლოღობერიძე ამ დროს სახელმწიფო გამოცდებისათვის ემზადებოდა, მაგრამ საიდუმლო ორგანიზაციების დაარსებისათვის დავალების მიღების შემდეგ მას გამოცდების მომზადებისათვის არ ეცალა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას რომ ეშვი არ აელო, დ. ლოღობერიძემ 1863 წლის 30 აპრილს რექტორატში განცხადება შეიტანა და „ავადმყოფობის“ საბაბით მოითხოვა სახელმწიფო გამოცდების ერთი წლით გადადება¹.

1863 წლის შემოდგომაზე პოლიციის III განყოფილებისათვის ცნობილი ვახდა დ. ლოღობერიძის, ი. ოტტოს და ლიჩკოვის მიერ სტუდენტთა საიდუმლო სალაროსათვის შემუშავებული წესდება. ეს სალაროს კი არა, საიდუმლო ორგანიზაციის წესდებაა, ნათქვამია პოლიციის ერთ-ერთ დოკუმენტში, — რადგან „სალაროს წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, რომელსაც იცნობს ორგანიზაციის არანაკლებ ხუთი წევრი და ამას გარდა აუცილებლად მას უნდა იცნობდეს ერთ-ერთი მთავარი მოღარე... კავკასიელი სტუდენტების ერთ-ერთ დამფუძნებელ სალაროს სათავეში უდგას დ. ლოღობერიძე, რომელიც ამავე დროს ხელმძღვანელობს საიდუმლო ბიბლიოთეკას... ყველა ეს დაწესებულებანი გასაიდუმლებულია... საწევრო გადასახადებიც კი იკრიფება ფრიალ კონსპირატიულად“².

ჩვენს მიერ გამოვლინებულ საარქივო მასალებიდან გამოირკვა, რომ დ. ლოღობერიძისა და მისი თანამოაზრეების მეთაურობით საიდუმლო ბიბლიოთეკები დაარსებული იყო პეტერბურგის სხვადასხვა რაიონებში მკითხველთა მოხერხებულად მიზიდვისა და ჩაბმისათვის. დ. ლოღობერიძის ხელმძღვანელობით ხშირად იმართებოდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო ფარული კრებები. 1863

¹ ცსსა, (ლენინგრადის ოლქი), ფონ. 14, აღწ. 5, საქ. 1468, ფურ. 15, დოკ. 3.

² ცსსა, (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 1, საქ. 121, ფურ. 3, დოკ. 3.

წლის შემოდგომაზე ერთ-ერთ კრებაზე დ. ლოღობერიძემ განაცხადა: თუ მთავრობა არ მისცემდათ ნებართვას მათ მიერ შედგენილ წესდების მიხედვით სალაროებისა და ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ, მაშინ პროტესტის ნიშნად მოგვიჩვენებთ მასობრივად დავტოვოთ უნივერსიტეტი¹. ამ კრების შემდეგ ზოგმა სტუდენტმა პროტესტის ნიშნად მართლაც მიატოვა უნივერსიტეტი. „ვინაიდან არ მსურს დავემორჩილო უნივერსიტეტში არსებულ დესპოტურ წესებს, ამიტომ გთხოვთ... ამოშრიცხოთ სტუდენტთა სიიდან და დამიბრუნოთ ჩემი საბუთები“, ნათქვამია 1863 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტში შეტანილ ბ. ს. ხომასტურიძის განცხადებაში².

ნ. ლოღობერიძის, ი. ოტროს, ნ. ლიჩოვისა და სხვების რევოლუციური მოღვაწეობის საქმეზე მეფის მთავრობამ შექმნა უზენაესი სახელმწიფო-საგამომძიებლო კომისია გენერალ ბ. ნ. მურავიოვის თავმჯდომარეობით. დ. ლოღობერიძის, ი. ოტროს, ნ. ლიჩოვისა და სხვების საქმე დამთავრდა იმით, რომ მათ ხელწერილი ჩამოერთვათ და გამოეცხადათ, რომ ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან გადასახლებული რუსეთის შორეულ რაიონებში „თუნდაც სულ პატარა უწყსრიგობის განმეორების შემთხვევაში“³. ამავე დროს დაწესდა ყველა მათზე პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობა. ამ დროიდან დ. ლოღობერიძე პოლიციის ორგვარ ზედამხედველობაში იმყოფებოდა: პოლიციის აშკარა ზედამხედველობაში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1861 წლის დეკემბრიდან და ფარულ ზედამხედველობაში 1863 წლის 13 ნოემბრიდან საიდუმლო სალაროსა და ბიბლიოთეკის დაარსების გამო.

1864 წლის 15 სექტემბერს დ. ლოღობერიძე გარიცხულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის IV კურსიდან „სწავლის ფულის გადაუხდელობის“ საბაბით, მაგრამ გარიცხვის ნამდვილი მიზეზი მისი რევოლუციური მოღვაწეობა იყო. უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ დ. ლოღობერიძე ჩაეფლო რევოლუციურ მუშაობაში და მას ღიზნანს აღარ უფიქრია უნივერსიტეტში აღდგენაზე და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებაზე. მაგრამ 1866 წელს, კარაკოზოვის გასროლის შემდეგ გაძლიერებულმა რეპრესიებმა დ. ლოღობერიძე აიძულა დაეტოვებინა პეტერბურგი, წასულიყო კიევში და იქ ეცადა უნივერსიტეტში აღდგენა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება.

1867 წლის 16 მარტს დ. ლოღობერიძემ გამოითხოვა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან საბუთები, მაგრამ უარი ეთქვა 1864 წლის 1 სემესტრის სწავლის ფულის (50 მანეთის) გადაუხდელობის გამო. დაპატიმრებისათვის რომ თავი აერიდებია, დ. ლოღობერიძე საბუთების გარეშე წავიდა კიევში 1867 წლის 2 აპრილს და კიევიდან გამოითხოვა საბუთები. 13 აპრილს გადაიგზავნა დ. ლოღობერიძის საბუთები პეტერბურგიდან კიევის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე

¹ ცსსა, ფონ. 95, აღწ. 1, საქ. 121, ფურ. 4, დოკ. 3.

² იქვე. ფურ. 4, დოკ. 4.

³ ცსსა, (ლენინგრადის ოლქი), ფონ. 14, აღწ. 5, საქ. 2643 ფურ. 2, დოკ. 4.

შენიშვნით, რომ „ლოღობერიძისათვის გადაეხდებინებინათ სწავლის ფული 50 მანეთი“¹.

მაგრამ დ. ლოღობერიძის კიევის უნივერსიტეტში აღდგენა არ მოხდა. ამ საკითხზე კიევის უნივერსიტეტის რექტორი 1868 წლის 18 აპრილს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს წერდა: „...ერთი წლის წინათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა დავით ლოღობერიძემ შემოიტანა თხოვნა... ვლადიმერის უნივერსიტეტში... სახელმწიფო გამოცდებზე მისი დაშვების შესახებ, მაგრამ ამავე დროს მე მივიღე საიდუმლო მიმართვა კიევის გუბერნატორიდან... რომ დ. ლოღობერიძე იმყოფება პოლიციის ფარულ ზედამხედველობაში... რომ იგი კიევის პოლიცემისტერის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედოა... ამიტომ მე არ დაუშვი დ. ლოღობერიძე სახელმწიფო გამოცდებზე და მისი საბუთები გაუგზავნე კიევის გუბერნატორს“².

კიევის გუბერნატორმა 1868 წლის 20 ოქტომბერს დ. ლოღობერიძის საბუთები გადაგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რის გამოც დ. ლოღობერიძე იძულებული გახდა კიევიდან პეტერბურგში დაბრუნებულიყო და იქ ეცადა უნივერსიტეტში აღდგენა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება. პეტერბურგის უნივერსიტეტში აღდგენისა და სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ დ. ლოღობერიძემ რამოდენიმე განცხადება შეიტანა უნივერსიტეტის რექტორის, სასწავლო ოლქის მზრუნველისა და სახალხო განათლების მინისტრის სახელზე, მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია. მხოლოდ 1869 წლის 17 სექტემბერს გამოეცხადა დ. ლოღობერიძეს უნივერსიტეტის საქმეთა მმართველის მიერ, რომ მას „უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო“³.

მაგრამ დ. ლოღობერიძის უნივერსიტეტში აღდგენილობის წამდელი მიზეზი იყო არა „ხანდაზმულობა“, არამედ მისი რევოლუციონერობა. ამ მხრივ საინტერესოა განათლების მინისტრის ამხანაგის სპეციალური მიმართვა 1869 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი დ. ლოღობერიძის შესახებ: „... მიზანშეუწონლად მიმაჩნია დ. ლოღობერიძის სტუდენტის უფლებებში აღდგენა... განსაკუთრებით ახლანდელ ვითარებაში, როცა უაღრესად საჭიროა... დავიცვათ უნივერსიტეტის ახალგაზრდობა გარედან მავნე აზრების შემოჭრისაგან... ასეთ ვითარებაში (ლაპარაკია 1869 წლის სტუდენტთა მოძრაობაზე — ვ. ს.) დ. ლოღობერიძის დაშვება არა თუ უნივერსიტეტში, არამედ მის მიდამოებში მიზანშეუწონელია... სახალხო განათლების მინისტრის... ამხანაგა... დელიანოვი“⁴.

1869 წლის გაზაფხულიდან სტუდენტთა მოძრაობის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა რეპრესიები ახალგაზრდობის წინააღმდეგ. დ. ლოღობერიძე იძულებული გახდა კვლავ დაეტოვებინა პეტერბურგი. ამიტომ 1869

¹ ცსსა (ლენინგრადის ოლქი), ფონ. 14, აღწ. 5, საქ. 1468, ფურ. 22, დოკ. 19.

² იქვე, ფურ. 24.

³ იქვე, ფურ. 25.

⁴ იქვე, ფურ. 35.

წლის ოქტომბერში იგი წავიდა ოდესაში, სადაც მან უკანასკნელად სცადა უნივერსიტეტში აღდგენა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება. მაგრამ დ. ლოლობერიძის მიმართ იგივე ისტორია განმეორდა და მას უარი ეთქვა ოდესის უნივერსიტეტში აღდგენაზე და სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებაზე.

1870 წლის იანვრიდან დ. ლოლობერიძემ საბოლოოდ დაივიწყა უნივერსიტეტის დიპლომის მიღებაზე ფიქრი და იმავე წლის თებერვალში დაბრუნდა პეტერბურგში რევოლუციური მუშაობის გაგრძელებისათვის. 1870 წლის შემოდგომაზე პოლიციის მიერ აღმოჩენილ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის, სამედიცინო-ქირურგიული აკადემიისა და მიწათმოქმედების ინსტიტუტის სტუდენტთა არალეგალური წრეები, დააბათიმრეს ხუთ ათეულამდე ახალგაზრდა, ქართული ახალგაზრდობიდან ამჟამად პატიმრობაში მოჰყვა დ. ლოლობერიძე და ა. ბაქრაძე. მაგრამ დ. ლოლობერიძემ მოხერხებით მეორე დაკითხვის შემდეგ პატიმრობას დააღწია თავი. ამჟამად დ. ლოლობერიძე სასტიკ პასუხისგებას ვერ ასცდებოდა, რომ პოლიციას და საგამომძიებლო ორგანოებს გაეგოთ მისი ბინიდან წაღებული ქართულ ენაზე დაწერილი 181 წერილის შინაარსი¹.

დ. ლოლობერიძე განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა პეტერბურგის არალეგალური წრეებისა და ორგანიზაციების აკრძალული ლიტერატურით მომარაგების საქმეში. ნ. დ. ყიფიანის ხელმძღვანელობით 1867—1868 წლებში მომქმედი კავკასიელი ახალგაზრდობის ფარული ორგანიზაცია ძირითადად დ. ლოლობერიძის მეშვეობით მარაგდებოდა აკრძალული ლიტერატურით.

1867 წლის შემოდგომაზე ნ. ყიფიანმა კ. ლორთქიფანიძესთან, ა. ცაგარელთან, დ. აბღუშელიშვილთან, ვ. ჯაფარიძესთან და სხვებთან ერთად შექმნა პეტერბურგში კავკასიელი ახალგაზრდობის ფარული ორგანიზაცია, რომელშიაც გაერთიანდნენ 70-ზე მეტი ახალგაზრდა.

როგორც ნ. ყიფიანის მამისადმი (დ. ყიფიანისადმი) წერილიდან ირკვევა, კავკასიელი მოსწავლე ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენელთა პირველ სხდომებზე განუხილავთ საორგანიზაციო საკითხები, ხელმძღვანელი ჯგუფის არჩევნები, სალაროსა და ბიბლიოთეკის დაარსების, წესდების შემუშავების შესახებ კომისიის გამოყოფისა და სხვ. ხელმძღვანელი ჯგუფის შემდეგ სხდომებზე განუხილავთ და მიუღიათ კომისიის მიერ წარმოდგენილი სალაროს წესდებზე განუხილავთ პირველ პარაგრაფში ნათქვამი „მსურველებს, ვისაც გადაწყვეტილი აქვს გახდეს სალაროს წევრი, შემოაქვს წერილობითი განცხადება გამგებობის სახელზე, იგი განიხილება დამფუძნებელთა და ნამდვილი წევრების დახურულ კრებაზე, ფარული კენჭის ყრით მოხდება განმცხადებლის მიღება ან არ მიღება. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ექნება სალაროს ნამდვილი წევრების არანაკლები ორი რეკომენდაცია... ახლად მიღებულს აქვს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება... ახლად მიღებულის გადაწყვეტი ხმის

¹ დ. ლოლობერიძის დასახელებული წერილები დაცულია ცსა (მოსკოვი) ფონ. 109, აღწ. 214, საქ. 492. მე განზრახული მაქვს დ. ლოლობერიძის აღნიშნული წერილების ცალკე წიგნად გამოცემა.

უფლებების საკითხი დადგება ოთხი თვის სტაჟის გავლის შემდეგ, სალაროს წევრთა კრებაზე კვლავ ფარული კენჭის ყრით გადაწყდება მისი საკითხი¹.

ეს იყო არალეგალური პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა კავკასიელ მოსწავლე ახალგაზრდობის სალაროს სახელით შეეხამებია თავისი რევოლუციური მუშაობა. ორგანიზაციის წევრები კონსპირაციის მიზნით დანაწილებული იყო პატარა ჯგუფებად, რომლებიც თავის რიგებში აერთიანებდა 5—7 კაცს. ეს ჯგუფები, როგორც პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოქმედებდნენ კავკასიელი ახალგაზრდობის კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით. თვითველ ჯგუფს უშუალოდ ხელმძღვანელობდა დეპუტატი, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაში იყო კომიტეტთან, ან შედიოდა კომიტეტის შემადგენლობაში. თვითველ ჯგუფის ხელმძღვანელი კომიტეტში სარგებლობდა იმდენი ხმით, რამდენი კაციც იყო მის ხელმძღვანელობაში. როგორც ჯგუფში, აგრეთვე კომიტეტში საკითხები მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდა გადაწყვეტილად, თუ კრებაზე დამსწრეთა ორი მესამედი მაინც მისცემდა ხმას.

ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო ბიბლიოთეკები, თვითველი ან ორი ჯგუფისათვის ტერიტორიულად არსებობდა ბიბლიოთეკა. ჯერ კიდევ კავკასიელი ახალგაზრდობის კომიტეტის შექმნამდე დ. დოლობერიძემ, ნ. ყიფიანმა და მათმა თანამოაზრეებმა 1866 წლიდან მოაწყეს საიდუმლო ბიბლიოთეკები, რომლებსაც მეთაურობდნენ სხვადასხვა დროს ვ. ონანოვი, ა. ტკაიოვა, ნ. კუტუზოვი, ს. წერეთელი, ა. პოლტარაკი, ნ. ყიფიანი და სხვები. მაგრამ 1866 წლის ზაფხულში ს. წერეთლის ბიბლიოთეკის დარბევისა და 1867 წლის გაზაფხულზე დ. დოლობერიძის პეტერბურგიდან კიევში გადასვლის შემდეგ, კავკასიელი რევოლუციური ახალგაზრდობის არალეგალური ლიტერატურით დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი გახდა ახალი ღონისძიებანი.

1867—1868 წლებში ნ. ყიფიანმა, კ. ლორთქიფანიძის, დ. აბღუშელიშვილის, ა. ცაგარელის, ა. პოლტარაკისა და სხვების დახმარებით, შეაგროვა 1857—1862 წლებში გამოცემული „სოვრემენიკის“ თითქმის ყველა ის ნომრები, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო ნ. ჩერნიშევსკისა და ა. დობროლუბოვის სტატიები, ამავე დროს მოხერხდა ფრანგულ გამოცემათა აკრძალული ლიტერატურის შეძენა და მისი თარგმნა რუსულ და ქართულ ენებზე და შექმნა მოძრავი პატარა ბიბლიოთეკებისა.

1867—1868 წლებში პირადათ ნ. ყიფიანმა გადათარგმნა კავკასიელი ახალგაზრდობის ფარული წრეებისათვის ფრანგულიდან რუსულ ენაზე შემდეგი ლიტერატურა: 1. 1864 წლის 1 სექტემბერს „კოლოკოლის“ № 50-ში გამოქვეყნებული სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი“; 2. 1867 წელს „კოლოკოლის“ № 233-ში გამოქვეყნებული ა. გერცენის სტატია „წესრიგი იმარჯვებს“; 3. 1867 წელს გამოქვეყნებული სერნო-სოლოვიევიჩის ბროშურა „ჩვენი შინაური საქმეები“; 4. სენ-სიმონის „პარიზის მუშებისადმი“ წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტი; 5. 1859—1863 წლებში „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული ა.

გერცენისა და ნ. ოგარიოვის ზოგიერთი სტატიის ცალკეული ადგილები; 6. „მარსელიოზა“ ქართულ და რუსულ ენებზე და სხვ.¹

ნ. ყიფიანი გადათარგმნილი აკრძალული ლიტერატურის გადაწერასა და გავრცელებას აწარმოებდა კავკასიელი ახალგაზრდობის წრეებში ამხანაგების ლახმარებით. „გიგზავნი საშა სერნო-სოლოვიოვიჩის წერილს გერცენისადმი, — წერდა ნ. ყიფიანი ა. პოლტორაკის, — რომელიც უნდა გადაწერო... და გადაწერილი ასლი მიუტანო გაგარინოვის ქუჩაზე... (№ 24-ში, ბინა 10-ში) სერგიკოვს (მედიცინის სტუდენტს). ის ორი დღის შემდეგ უკან დაგიბრუნებს ამ წერილს. ნიკ. ყიფიანი“.²

მაგრამ კავკასიელი ახალგაზრდობის ორგანიზაციას განმტკიცება არ დასცალდა, რადგან 1868 წლის 30 სექტემბერს მოულოდნელად დაპატიმრებული იქნა ნ. ყიფიანი. ნ. ყიფიანის დაპატიმრების ისტორია გარკვეული აქვს ისტ. მეც. დოქტორს პ. რატიანს თავის წიგნში „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე აღარ მოგვიხდება შეჩერება. პოლიციამ საკმაოდ ბევრი მამხილებელი მასალები წაიღო ნ. ყიფიანის ბინის გაჩხრეკის დროს, რომლიდანაც შემდეგ შექმნილ იქნა ოთხი საქმე „ნ. ყიფიანის ქაღალდების“ სახელწოდებით. „ნ. ყიფიანის ქაღალდები“ დაცულია მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში.

პირველ საქმეში (№ 355) იხსენიება ა. პოლტორაკისა და მამისადმი ნ. ყიფიანის წერილები და ფრანგულიდან მის მიერ გადასხვაფერებული სენ-სიმონის „პარიზის მუშებისადმი“ წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტი. ნ. ყიფიანის მიერ მამისადმი გაგზავნილი წერილი დაწერილია 1868 წლის 26 იანვარს. აღნიშნული წერილის დიმიტრი ყიფიანისადმი გადაცემა ნ. ყიფიანს განუზრახავს ს. მესხას მეშვეობით, რომელმაც 1867 წლის დამლევს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და 1868 წლის იანვარში აპირებდა თბილისში წამოსვლას, მაგრამ, როგორც ჩანს, დასახელებული წერილის დიმიტრი ყიფიანზე გადაცემა არ მომხდარა (აღბათ, ს. მესხმა არ წამოიღო იგი რაიმე მოსაზრებით), რის გამოც წერილი პოლიციას ჩაუვარდა ხელში.

„ჩემო ძვირფასო მამა, — ნათქვამია აღნიშნულ დოკუმენტში, — დიდი ხანია მინდოდა მომეწერა შენთვის ჩვენს მიერ მოწყობილი სალაროს შესახებ და მხოლოდ ახლა გამოვნახე საუკეთესო საშუალება გამოგიგზავნო წერილი... ჩვენი ახალგაზრდა ადამიანის მესხის ხელით... მე მინდა გავიზიარო შენ... ჩემი აზრი. ამჟამად პეტერბურგში უნივერსიტეტში, სამედიცინო აკადემიაში, ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში... კავკასიელი ახალგაზრდობა. ქართველები, სომხები, რუსები და სხვ... 60 კაცზე მეტი იქნება... მათ შორის 50-ზე მეტს ვიცნობ პირადად... ჩვენ ყველა ერთი მიზანსაა მიუძღვნული ვართ, უველა ჩვენთაგანს მოუხდება... ერთ სარბიელზე მოქმედება... მაგრამ ჩვენს შორის ერთობა არ არის, ჩვენ მოწყვეტილი ვართ ერთმანეთისაგან... რაც სამწუხარო და მოუთმენელია... ეს ხელს გვიშლის ვიმოქმედოთ მიზნისათვის...“

¹ ცსსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 1, საქ. 427.

² ცსსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. საქ. 355, ფურ. 1, დოკ. 7.

ეს მდგომარეობა აბრკოლებს ჩვენს განვითარებას... ამიტომ გასულ წელს იმ დასკვნამდე მივედით, რომ შეგვექმნა კავკასიელი სტუდენტების რაიმე საზოგადოება...“¹

განსაკუთრებით საინტერესოა საზოგადოების შექმნის ისტორია: „ოქტომბრის დასაწყისში თუ სექტემბრის ბოლოს (1867 წ.—გ. ს.) ერთ-ერთმა ჩამოსულმა ახალგაზრდამ... წინადადება მოგვცა... მოგვეწყო რაიმე სახით ახალგაზრდობის ურთიერთ შეხვედრები კვირაში ერთხელ მაინც,—წერდა ნ. ყიფიანი მამას, — რომელიც ამ საკითხზე გვესაუბრა ჩამოღწეულ ჩვენთაგანს... ჩვენ სამოწინააღმდეგო მივიღეთ მისი წინადადება... შევიკრიბეთ... ამ კრებაზე ორი აზრი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთნი მოითხოვდნენ, რომ ჯერ შეგვექმნა სალარო და შემდეგ თანდათან დამყარდებოდა ახალგაზრდობაში ურთიერთობა. მეორენი და მათ შორის მე, იმ აზრისა ვიყავით, რომ საქმე დაგვეწყო ახალგაზრდობის ორგანიზაციით, შეგვექმნა წრეები და პერიოდულად შევეკრებოდათ იქვე და ამ შეკრებებზე გადაგვეწყვიტა, რაც იქნებოდა კიდევ საჭირო; სალარო, ბიბლიოთეკა... მთარგმნელთა ჯგუფები თუ კიდევ სხვა რამ“².

მოტიანილ ციტატიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ჩამოსული ახალგაზრდის“ პიროვნება, რომლის გვარს ნ. ყიფიანი საიდუმლოდ ინახავდა არა მარტო საგამომძიებლო ორგანოებისადმი მიცემულ ჩვენებაში, არამედ მამისადმი წერილშიაც კი. დასახელებული ახალგაზრდის ვინაობა ჯერჯერობით არ არის დადგენილი.

ნ. ყიფიანის სახელზე შექმნილ მეორე საქმეში (№ 356) ინახება მის მიერ ფრანგულიდან გადათარგმნილი სტატია „ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ჩერნიშევსკი“. ამ სტატიაში ერთი მხრით მკაცრადაა გაკრიტიკებული ცარიზმის დესპოტური პოლიტიკა და მეორე მხრივ ხაზგეხებულია ნ. გ. ჩერნიშევსკის მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის მნიშვნელობა რუსეთის აზროვნების განვითარების ისტორიაში. ხაზგასმით მითითებულია ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ „სოვრემენიკში“ განვითარებულ ახალ იდეებზე, რომლებიც გამარეოლუციონერებელ გავლენას ახდენდნენ მოწინავე ახალგაზრდობაზე. „პროგრესიული ახალგაზრდობა... სიყვარულით და განსაკუთრებული მონდომებით სწავლობს თავის საყვარელი ჰუმბოლტის (ნ. ჩერნიშევსკის — ვ. ს.) ბრწყინვალე სტატიებს, — ნათქვამია დასახელებულ სტატიაში.—რომლებშიც... გასაგები ენით გადმოცემულია ახალი ლიტერატურისა და მეტაფიზიკური მატერიალიზმის მარგანიზებელი და გარდამქმნელი იდეები“³.

ნ. ყიფიანის სახელზე შექმნილ მესამე საქმეში (№ 357)—ინახება მის მიერ ფრანგულიდან რუსულ ენაზე გადათარგმნილი ა. სერნო-სოლოვიოვიჩის ბროშურა „ჩვენი შინაური საქმეები“. იგი ხელნაწერის უფლებებით გამოვიდა ენევაში 1867 წელს, რომელშიც გაკრიტიკებულია იმავე წელს „კოლოკოლში“ გა-

¹ ცსსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 2, საქ. 355, ფურ. 1—2, დოკ. 15.

² იქვე, დოკ. 15.

³ ცსსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 2, საქ. 356, ეურ. 10, დოკ. 9.

მოქვეყნებული ა. გერცენის სტატია „წესრიგი იმარჯვებს“. ა. სერნო-სოლოვიოვი უპირისპირებს ერთმანეთს ნ. ჩერნიშევსკისა და ა. გერცენს და მკაცრად აკრიტიკებს უკანასკნელს ლიბერალიზმისაკენ გადახვევისათვის. „თქვენ მერყეობთ და ხშირად იცვლით მუდღის, — წერდა გერცენის მისამართით ა. სერნო-სოლოვიოვიჩი, — ჩერნიშევსკი კი იბრძოდა ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდისათვის, მან აღზარდა ახალგაზრდობის რევოლუციონერთა მთელი ფალანგა... თქვენ და „კოლოკოლის“ ახლანდელი სტატიები ხელს უშლით ახალგაზრდობას თვითმპყრობელობას წინააღმდეგ ბრძოლაში... მაშ რა „წესრიგი იმარჯვებს?“¹.

და ბოლოს, ნ. ყიფიანის სახელზე შექმნილ მეოთხე საქმეში (№ 358) ინახება: სალაროს წესდების სხვადასხვა ვარიანტები, ორგანიზაციის სხდომებისა და კრებების ოქმები, მუშაობის ანგარიშები და კავკასიელი ახალგაზრდობის წრეებისა და კომიტეტის შემადგენლობის სიები. საგამომცემლო კომისიას გულდასმით შეუწავლია ნ. ყიფიანის ბინიდან წაღებული მამულიშვილი მასალები. შეუგროვებია მის შესახებ დამატებითი ცნობები და 1868 წლის 8 ოქტომბერს დაუწყო მისი დაკითხვა წინასწარ შედგენილი სპეციალური კითხვარის მიხედვით. ნ. ყიფიანმა თითქმის ყველაფერი უარყო, რის უარყოფაც მოხერხდა, მაგრამ კავკასიელი ახალგაზრდობის გაერთიანების, მამისა და სხვებისადმი წერილებისა და ფრანგულიდან აკრძალული ლიტერატურის თარგმანის უარყოფა კი გაუქირდა.

ძნელი არ არის იმის მიხედვრა, რომ მგზნებარე რევოლუციონერი ნ. ყიფიანი ოცნებობდა არა მარტო პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის გაერთიანებაზე, არამედ მეფის რუსეთში შემავალ ყველა ჩაგრული ხალხის გაერთიანებაზე, სოციალური და ეროვნული მოძრაობის შეერთებაზე, ოცნებობდა ისეთი დიდი მასშტაბის ხელმძღვანელ ადამიანზე, რომლის მეშვეობით მშრომელი ხალხი უშიშრად და თავგანწირულად გადაეშვებოდა მეფის თვითმპყრობელობის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლის ხანძარში.

მაგრამ რადგან ხანძარი ჯერ კიდევ არსად ჩანდა, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის იდეური ბელადი ნ. ჩერნიშევსკი გადასახლებაში იყო, პეტერბურგში რევოლუციური ხანძრის მომზადების ერთ-ერთი ორგანიზატორი ნ. ყიფიანი საბრალდებლო სკამზე იჯდა, სხვა გზა არ იყო, თუ არა პატიმრობიდან თავის დაღწევისათვის ტაქტიკური ხერხის მომარჯვებისა. ამიტომ ნ. ყიფიანი საგამომცემლო ორგანოებისადმი ჩვენებაში ასაბუთებდა, რომ მას კავკასიელი ახალგაზრდობის გაერთიანება ესმოდა, როგორც უპაღლეს სასწავლებლების აღმინისტრაციასთან ურთიერთობის საშუალება, რომ მისი წერილები გაერთიანებისა და ბრძოლის შესახებ გაგებული უნდა იქნას, როგორც სტუდენტთა პერიოდული შეკრებები და მსჯელობები ლიტერატურულ და ეკონომიურ საკითხებზე, რომ იგი ფრანგულიდან რუსულად თარგმნას აწარმოებდა ფრანგული ენის შესწავლის მიზნით და სხვ.²

¹ ცსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 2, საქ. 357, ფურ. 20—21.

² იქვე, აღწ. 1, საქ. 427.

მაგრამ რანაირი ტაქტიკური ზერხისათვისაც არ უნდა მიემართა ნ. ყიფიანს, ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რომ კავკასიელი ახალგაზრდობის ფარული ორგანიზაცია მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ ნ. ყიფიანს სასტიკი სასჯელი და გაცემბირება ემუქრებოდა. მაგრამ იგი 1868 წლის 14 დეკემბერს მოულოდნელად ხელწერილის ქვეშ განთავისუფლებულ იქნა.

მკვლევარ კოზმინის აზრით, ნ. ყიფიანი მძიმე სასჯელს გადაარჩა „იმის გამო, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა მიიღეს მხედველობაში მისი სიყმაწვილე (იგი ამ დროს 21 წლისა იყო)“¹. ჩვენი აზრით, აქ სიყმაწვილე არავითარ შუაშია და ნ. ყიფიანის მძიმე სასჯელიდან გადაარჩენა აიხსნება ძირითადად ორი მიზეზით. პირველი მიზეზი ის იყო, რომ 1868 წელს საკმაოდ შეიმჩნეოდა სტუდენტთა მოძრაობის მოსალოდნელი ქარიშხალი, რომელსაც პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური წრეები ამზადებდა. ნ. ყიფიანის განთავისუფლებით პოლიცია მიზნად ისახავდა დაედგინა კავკასიელი ახალგაზრდობის ფარული საზოგადოების ხელმძღვანელი ჯგუფის ურთიერთობა პეტერბურგის სტუდენტთა მრავალრიცხოვან არაღებულ წრეებთან, რათა საშუალება მისცემოდა იმ რევოლუციური ცენტრის გახსნისა, რომელიც მთელი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას წარმართავდა. მეორეც, ნ. ყიფიანის პატიმრობიდან განთავისუფლებაში გარკვეული როლი ითამაშა მისი მამის დიმიტრი ყიფიანის თანამდებობრივმა მდგომარეობამ (იგი ამ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი იყო), მისმა სამსახურმა თავადაზნაურთა ინტერესების დაცვისათვის საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში. „უნდა ითქვას,—წერს მკვლევარი პროფ. შ. ჩხეტია,—რომ... დ. ყიფიანი თავის მიმართულებით და მსოფლმხედველობით იმ დროს (რეფორმის პერიოდში) მთლიანად თავადაზნაურთა ინტერესების დამცველის როლში უეჭველად შესაფერი იყო... დ. ყიფიანმა... საესეებით გაამართლა თავადაზნაურობის იმედები“².

მეფის მთავრობა ფიქრობდა, ნ. ყიფიანი ამიერიდან არასოდეს გაბედავდო არსებულ წყობილების წინააღმდეგ მოქმედებას, მაგრამ იგი ანგარიშში სასტიკად მოტყუვდა, რადგან ნ. ყიფიანმა დაახლოებით სამი თვის შემდეგ დაარღვია საგამომძიებლო ორგანოებისათვის მიცემული პირობა და 1869 წლის მარტში აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნ. ყიფიანის ხელმძღვანელობით არსებული კავკასიელი ახალგაზრდობის საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში 1869 წლის გაზაფხულზე. პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობას 150-ზე მეტი ახალგაზრდის დაპატიმრება მოჰყვა. დაპატიმრებას ვერ გადაარჩა ნ. ყიფიანი და მისი თანამებრძოლი 15-დე ქართველი მოწინავე ახალგაზრდა.

პატიმრობიდან განთავისუფლებული და საქართველოში გადმოსახლებული ნ. ყიფიანი გულისტკივილით ნაწოზდა არა იმას, რომ ორჯერ პატიმრობა განიცადა და უნივერსიტეტიდან სამუდამოთ გარიცხული იქნა, არამედ იმას, რომ პოლი-

¹ Б. П. Козьмин. Революционное подполье в эпоху белого террора. М., 1929 г., стр. 201.

² პროფ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950 წ. გვ. 9.

ციის სასტიკი ზედამხედველობის პირობებში მან ვერ შეძლო პეტერბურგიდან რუს რევოლუციონერ-დემოკრატებისა და სხვათა აკრძალული ლიტერატურის წამოღება. „მანდ სხვა და სხვა ადგილზე დამრჩა, — წერდა ნ. ყიფიანი ქვეშევითიდან პეტერბურგში გ. ნაცვლიშვილს 1869 წლის 11 სექტემბერს, — ჩემთვის საინტერესო წიგნები და ჟურნალები... ზოგი კუთუზოვთან და მის დასთან, ზოგიც სხვა ამხანაგებთან და ნაცნობებთან... პირველყოვლისა „სოვრემენიკის“ ნომრები... განსაკუთრებით ჩემთვის საჭიროა „სოვრემენიკის“ ის ნომრები, სადაც მოთავსებულია ჩერნ... (ჩერნიშევსკის—ვ. ს.) სტატიები და ბოლოს, ჩემი ზეგანაწერები. ყველა ამას ამხანაგების საერთო ძალით თუ შეაგროვებთ (და ჩემგან ფულს როცა მიიღებთ) გამომიგზავნით... გამაბედნიერებთ არა მარტო მე...“¹ ეს სიტყვები იმაზე ლაპარაკობს, რომ ნ. ყიფიანს ორჯერ პატიმრობის შემდეგაც არ შეუწყვეტია რევოლუციური მუშაობა, რომ იგი კვლავ ცდილობდა საქართველოში შეექმნა ახალგაზრდობის წრე, რომელთა შორის პროგრესული განმათვისუფლებელი იდეების პროპაგანდით არა მარტო თვითონ იგარძნობდა თავს ბედნიერად, არამედ მისი წრის წევრებიც.

პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნ. ყიფიანი მხარში ამოუდგა თერგდალეულებს და შეუპოვრად ესწმოდა იგი თავს ყველა იმათ, ვინც შეუფასებლობას იჩენდა ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობისადმი. როცა „მნათობის“ ჯგუფი შევიდა დაღეძკირებინა თერგდალეულთა თეორიული ორგანოს „კრებულის“ როლი საზოგადოებრივ მკითხველის თვალში, ნ. ყიფიანი მაშინვე გამოვიდა ვრცელი სტატიით თერგდალეულთა დასაცავად. ნ. ყიფიანმა 1871 წლის მარტში „დროების“ (№ 8 და № 14) ნომრებში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „კრებულის პირველი და მეორე წიგნი“. „ეს ორი წიგნი ისეთი ღირსშესანიშნავი არის, — წერდა ნ. ყიფიანი, — რომ ჩვენს... ლიტერატურაში გამაცხოველებელ საგანს შეადგენენ“. მან განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა „კრებულში“ გამოქვეყნებულ ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ და გ. წერეთლის „ჯიბრს“. „ეს თხზულებანი, — წერდა იგი, — დაიჭერენ პირველ ადგილს ჩვენს ლიტერატურაში“².

გ. სავანელის, დ. ლოლობერიძის, ნ. ყიფიანისა და სხვების რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ქვემოთ მოტანილი ახალი საარქივო დოკუმენტები გამოვლინებულია ჩვენს მიერ მოსკოვისა და ლენინგრადის ცენტრალურ და საოლქო სახელმწიფო ისტორიულ არქივებში. ისინი წარმოადგენენ ფრიალ მნიშვნელოვან დამახასიათებელ დოკუმენტებს XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსი და ქართველი ხალხის პროგრესული წარმომადგენლების იდეურ-რევოლუციური ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის. ეს საარქივო დოკუმენტები დაეხმარება არა მარტო ფართო საზოგადოებრივ მკითხველს, არამედ XIX საუკუნის

¹ ცსა (მოსკოვი), ფონ. 109, საქ. 492, ფურ. 310—311.

² „დროება“, № 8—14, 1871 წ.

60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემის მკვლევარებსაც. დოკუმენტები არქეოგრაფიულად დამუშავებულია „საისტორიო მოამბე-ში“ მიღებულ წესების თანახმად.

№ 1

1861 წლის სექტემბერი. — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ვასილ სავანელის მოწოდება სტუდენტებისადმი რევოლუციური მოძრაობის გაგრძელების შესახებ

Г. Студенты! Мы одно любим, одного желаем: любим свободу мысли и желаем счастливых результатов ее.

Цель нашего университета должна быть такая: образовывать людей с убеждениями, приучить молодых людей мыслить свободно, а не так, как прикажут. Стремление Министерства народного просвещения к подавлению всякой мысли и было причиной нашего протеста и всей той грозной и вместе с тем смешной истории, которой наше высшее начальство хотело нас напугать. Но мы не побоимся, — докажем просвещенному министру, что наш протест был не игрушка, а выражение требований и необходимейших, без осуществления которых университет превращается в бессмысленную школу. Мы уже объявили г. Филиппсону¹, что новых правил репрессий против сходов и свободы мысли мы не будем терпеть. Вероятно министру дано было знать об этом, но Путятин не умный, дикий человек, он объявление сочел минутной вспышкой и стоит крепко на своем. Будем мы действовать еще больше, энергичнее и, несмотря на опасности, которые нам будут предстоять от этих людей, желающих быть спекунами и руководителями наших мыслей и дел, приведем в исполнение те мысли, которые произнес на сходе после закрытия университета г. Михаелис², но прежде нежели это сделало попытки их склонить высшее начальство на нашу сторону, подадим адрес государю, в котором попросим об отменении правил, попросим о допущении сходов студенческих и суда студенческого по делам студенческим, руководимым двумя профессорами юридического факультета. Если государь не удовлетворит наше требование, подождем неделю, обдумаем, еще раз подадим адрес, если и это не примут, тогда торжественно сожжем роковые матрикулы и распростимся, положим руку на сердце, с университетом навсегда, но в душе хранить будем. Чего же бояться, господа, нужно же жить когда-нибудь, но жить не значит пить и есть, а мыслить и чувствовать в подобные тем минутам, в каких мы находимся, чувствуешь

¹ გენერალ-ლეიტენანტ გ. ფილიპსონს სტუდენტთა მოძრაობის პერიოდში პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის პოსტი ეკავა (ვ. ს.).

² ე. მიხაილისი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი, რომელიც 1861 წლის 18 სექტემბერს არჩეულ იქნა სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის კომიტეტის თავმჯდომარედ (ვ. ს.).

себя сильно чувствующим и мыслящим и потому мы должны дорожить весьма этими дорогими минутами и радоваться, что мы живем в эти минуты.

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 109, აღწ. 214, საქ. 150, ფურ. 4. დედანი. ვ. სავანელის ხელით ნაწერი.

1861 წლის სექტემბერი. — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ვახილ სავანელის რევოლუციური შინაარსის მოწოდებები სტუდენტებისადმი და განცხადება უნივერსიტეტის დროებითი რექტორისადმი თავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელების შესახებ

Господам студентам! Позвольте мне, как студенту, сказать первое, а может быть и последнее слово по случаю «беспорядков», по выражению начальства, происшедших в университете. Откровенно говорю вам, господа, с того времени, как вступил на порог университетских дверей, в продолжении годичного моего пребывания в университете, ничто меня не трогало, не оживляло, как наши сходки, на которых мы обсуждали дела, касающиеся студентов. Лишиться сходок — значит лишиться жизненного элемента, без которого университет уже не есть университет. Потому господа, всеми силами должны мы стараться, чтобы высшее начальство, так хлопотливо заботящееся о народном просвещении, отменило новые правила, стесняющие студента и уничтожающие сходки. Если же оно не уважит нашей просьбы, нам ничего не остается делать, как уничтожить публично эти роковые матрикулы и оставить петербургский университет, где пусть читают лекции для министра Путятина и его сотрудников в деле народного просвещения. Чтобы руководить просвещением, нужно самому не таковым быть, как наш Путятин — богомол, невежа и деспот. Жаль, что одно благословение Филарета не помогло ему. Итак, господа, оставим университет — не оглядываясь назад, а позади останутся люди недалекого ума — Путятин и люди с его образом мыслей, и уступим все мы свои места им, чтобы было им просторнее. Пусть просветится невежественный ум этого чудака министра и пожелаем ему всякого успеха, если только суждено ему что-нибудь сделать в деле народного образования.

Свежая новость! (28) сентябрь

Война рождает героев войны, беспорядки же университета (какие беспорядки?) родили героев мысли. Министр народного просвещения и главнокомандующий войсками (Быстров¹) доказали это невинным образом. Как смешно будет потомству вспоминать этих несчастных. Воин

¹ მთავარსარდალი ბისტროვი ვ. სავანელის მიერ გამოკონილი გვარი უნდა იყოს, რადგან 1861 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ ოპერაციებს სარდლობდნენ პეტერბურგის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი ივანტოვი და ობერ-პოლიცმეისტერი გენერალ-ადიუტანტი პატკული ვ. ს.

ведет солдата смирять студента, чтобы последний был хорошим чиновником, если же не усмирит его, то будет плохим чиновником. Министр Путятин пошел еще дальше в сфере мыслительной способности: этот пилигрим, московский гений, уже после таких славных событий, как освобождение крестьян и многих других, взявших всякого русского за живое, делается столь гуманным, что невинным образом произносит весьма простую, неголовомомную, невинную мысль по случаю пребывания студентов в освобождении братьев по университету, арестованных за немного заметное стремление к свободе мысли. По словам министра, купец распоряжается своими деньгами, как хочет, отчего и ему, благонамеренному министру, не распоряжаться наподобие купца. Браво, сеньор Путятин, Domine Putiatin, нависсимо. Счастливый результат счастливого явления. Этого и следовало ожидать после освобождения крестьян. Человек из крепостного станет вещью, по твоей логике, Путятин! Ха, ха, ха! Браво!

Живи, министр народного просвещения, живи и не умирай для нашей же жизни.

Временному ректору университета Северной деспотической Пальмиры -- Срезневскому¹.

Прощение
от студента Путятина²

Господин ректор! (Милый мой славянин), люблю университет, но, к сожалению, должен его оставить. Он превращается, помилуйте, в школу, откуда будут выходить искусные, наглые шпионы, терпеливо переносящие распоряжения глупого деспота, бесправные солдаты, умеющие пить и есть, но не мыслить. Думаю, что, Срезнев (лень писать вашу фамилию), вы сами это знаете и предугадываете, если не головой (если нет у вас головы, так по крайней мере по инстинкту. Что же вам писать больше. Прошу у вас одного: пекитесь о своем здравии, того же самого прошу и у министра Путятина. Жизнь ваша дорога для русского мира. Ваша жизнь, как знатока славянских наречий (корень слова), буквоеда Путятина, как разум дошедшего до великого разума (разумеется, великим своим умом), до чего дошли великие народы Запада после вековых усилий (не правда ли?) именно превращения человека в вещь (заметь, славянин, в вещь). После освобождения крестьянина из под когтей помещика — он станет вещью, по логике министра Пут[ятина] (лень писать фамилию и моего однофамильца). Пф., пф., черт побери его. Он, т. е. мой однофамилец, сам сказал известную пословицу своими златыми устами: Купец распоряжается в своем доме над своими деньгами, как хочет, точно также правительство должно (заметьте — должно, то есть оно хочет) господствовать над людьми, как над вещами. Несча-

¹ სრეზნევესკის მაგივრად უნდა იყოს ნიკიტენკო, რომელიც რექტორის პროფ. პლეტნიოვის მოვალეობას ასრულებდა 1861 წლის სექტემბერში და აწვდიდა ინფორმაციებს სტუდენტთა მოძრაობის შესახებ არა მარტო სახალხო განათლების სამინისტროს, არამედ პოლიციის III განყოფილებას (ვ. ს.).

² სტუდენტი პეტიტინი, იგულისხმება განცხადების ავტორი სტუდენტი ვ. სავანელი (ვ. ს.).

Все они сознались, что в университете существуют намерения к учреждению вновь студенческих касс, но отказались от того, чтобы сказать, кто стоит во главе этого; Сывороткин сказал, что имел намерение просить князя Суворова¹ принять на себя звание председателя и покровителя этих учреждений, сам подал прошение об увольнении из университета. Уезжает в Смоленскую губернию в деревню к генеральше Чебышевой, пригласившей его быть наставником ее сына.

Всем им объявлено, что будут высланы при малейшем проявлении каких-либо беспорядков.

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 1, საქ. 121, ფურ. 3-4. პირი.

№ 4

1863 წლის ნოემბრის 8. — ამონაწერი პეტერბურგის უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის უურნალიდან ღოღობერიძისა და ლიჩკოვის რევოლუციური მუშაობის შესახებ

Секретно

Комиссия обратила внимание на напечатанную в № 243 «С. Петербургских ведомостей», от 1 ноября, статью неизвестного автора, по поводу правил, составленных для студентов советом здешнего университета и утвержденных попечителем. Автор статьи, разбирая эти правила, находит их не вполне удовлетворительными и не соответствующими своей цели. Он заявляет о несостоятельности правил, воспрещающих студенческие библиотеки, читальни, вспомогательные или ссудные кассы, сходки и т. п. Он признает все это нужным для студентов и при этом намекает на могущие произойти от новых правил беспорядки, указывая на бывшие, по словам автора, «прошедшее слишком памятно для всех, не должно быть упускаемо из виду, но ошибочно было бы думать что одна и та же обстановка непременно должна иметь одни и те же последствия, что причина зла заключалась единственно в отсутствии той или другой формы, в недостатке тех или других внешних условий. Реакция объясняется, но не оправдывается увлечением, ей предшествовавшим, а следов ее нельзя не заметить, в правилах, составленных советом С. Петербургского университета.» Комиссия находит означенную статью не только предосудительной, по своим последствиям, ибо она, ослабляя обязательную силу изданных университетским начальством правил, может поселить и самое неуважение к распоряжениям правительства, а также служить поводом к отступлениям от законного порядка. По имеющимся в 3 отделении собственности его императорского величества канцелярии сведениям, проявляются уже самовольные действия со стороны некоторых студентов, которые затевают устроить кассу и библиотеку, а у двоих из них: Гогоберидзе и Лычкова бывают сходки, на коих происходят совещания относительно предполагаемой подачи прошений об увольнении из университета. Ввиду сих сведений и для предупреждения беспорядков комиссия положила: об упомянутой предосудительной статье сообщ-

¹ გენერალ-ადიუტანტი ა. ვ. სუვოროვი იყო 1861 წლის ნოემბრიდან პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი (ვ. ს.).

шить министру внутренних дел, обратив вместе с тем его внимание на направление «С. Петербургских ведомостей», издаваемых под редакцией г. Корша. Относительно же означенных студентов сообщить министру народного просвещения и С. Петербургскому военному генерал-губернатору. Обо всем вышеизложенном представить через председателя на высочайшее его императорского величества благоусмотрение.

Верно: Делопроизводитель Переяславцев

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 1, საქ. 121, ფურ. 5-6. პირი.

№ 5

1864 წლის თებერვლის 10.—ა. არვიციშვილის¹ წერილი დ. ღოღობერიძისადმი პოლიტიკურ-მეცნიერული ლიტერატურის შეძენის, „სოვრემენიკის“ როლისა და ქართველი სამოციანელების რევოლუციური საქმიანობის შესახებ

Давид! Сейчас получил я твое письмо, в котором ты сообщаем, что билеты можно нести 1 апреля. Желательно знать, что сделал с деньгами, которые были высланы до твоего письма. Если только не внес 12 февраля, можешь или оставить у себя или выслать обратно. Одна моя просьба будет та, если ты их истратишь: непременно достань деньги и внеси в срок, потому что на 3 000 руб. вещи будут потеряны. Если же ты в самом деле не внес, купи из этих сочинение Дарвина «Место человека в роду срганических существ». Сочинение Моле... действительно у меня, но мне помнится, я тебе заплатил за него 1 руб. Сочинение Бюхнера оставил я у Якова, вероятно, оно затерялось, между огромным количеством книг его. Недавно мы получили от него письмо, где сообщает о восстании крестьян в Месхетин; а между тем ты сообщаем, что там все спокойно. Неужели Яков для пополнения страниц своих писем врет? Очень жаль, что такие способные люди, как Хамашуридзе и Вережени, так скоро уехали. Одна слабость, которую мы все имеем, та, что прочитав несколько №№ «Современника», желаем перевернуть всю Грузию. Не буду уверять, что никакой пользы не принесут, но все то, что они сделают, будет ничтожно. Прочитал роман «Что делать?»², начало говорит, что надо обращать внимание на главное. У большинства наших господ главное «Современник»; не подумай, что я отрицаю пользу «Современника»; я хочу сказать только то, что прочитавши «Современник» от начала издания до сегодняшнего дня, едва ли можно сделать на Кавказе существенное. Подтверждением моей мысли служат все уехавшие. Некоторые из них, как Иван и Василий Тумановы и другие едва ли чем-нибудь отличаются от не бывших университетских. Лучшие из них, начав издавать журнал, не могут продолжать его, хотя кроме незнаний есть и другие причины. Не знаем, что сделают уехавшие в прошлом году,

¹ არვიციშვილი ალბად წერილის ავტორის ფსევდონიმი. წერილის ავტორის ნამდვილი გვარის დადგენა ჭერჭერობით არ მოხერხდა (ვ. ს.).

² რომანი „რა ვაკეთოთ?“ ნ. გ. ჩერნიშევსკიმ დაწერა პეტრე-პავლეს ციხის საკანში, იგი გამოაქვეყნა 1863 წელს ნ. ნეკრასოვმა, მაგრამ მალე კონფისკაცია ექნა, როცა მეფის მთავრობამ გაიგო, რომ დასახლებული რომანი ნ. ჩერნიშევსკის ეკუთვნოდა (ვ. ს.).

начиная от Биссариона и Вережени до кандидата Меликова. Что касается до теперешних наших товарищей, то многие из них, кажется, тоже уезжают, одни желают издавать газеты, другие—открыть общественные мастерские. Все это хорошо, но для этого гораздо больше надо делать, чем прочитывать «Современник». Нечего... каждый из нас хорошо понимает. Отъезд Церетели, Хамашуридзе и других подобных им, которые могли многое сделать при большом знании, возбуждает во мне грустные мысли.

Вот что я хотел сказать и совершенно напрасно... все страницы. Прощай... всем от нас, жду письма твоего. Жму дружески твою руку. Твой А. Арвинишвили.

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 109, აღწ. 214, საქ. 492, ფურ. 307-308. დედანი, ხელით ნაწერი.

№ 6

1865 წლის სექტემბრის 29. — აგენტურული ცნობები ღოდობერიძის, ლიჩკოვის, ოტროსა და სერნო-სოლოვიოვიჩის რევოლუციური მუშაობის შესახებ

О предложении студентов С. Петербургского университета открыть вне стен его студенческую кассу и библиотеку были сведения еще в исходе 1863 года. В то время учреждением кассы деятельно занимались студенты Лычков и Отто, а открытием библиотеки известный студент Гогоберидзе. Но то и другое предприятие встретили тогда много антагонистов, и дело как-то не улаживалось. Между тем, впоследствии, оно осуществилось не других основаниях, более рациональных. В настоящее время касса есть; но кто именно ею заведывает — положительно неизвестно. Есть некоторые предположения, но они требуют подтверждения. Библиотека уже устроена таким образом, что она находится в руках 5—6 человек, т. е. в разных помещениях, для большего удобства читателей. Что в кассу поступают пожертвования разных посторонних лиц, как, между прочим, из книжного магазина Серно-Соловьевича (Рихтера), в этом нет никакого сомнения; при том же большую часть денег, поступавших в кассу, черпали из выручек за билеты на литературные вечера, устраиваемые с разрешения местной полиции, на какой предмет от студентов назначаются депутаты, или, лучше сказать, распорядители.

С открытия в 1863 году университета до сих пор не поступало сведений, чтобы учреждения студенческих касс и библиотек вызвали какие-либо беспорядки.

Что же касается до кухмистерской, открытой университетскими студентами, то она существовала здесь еще в прошлом, 1864 году и была закрыта в апреле с. г. самими учреждениями; в числе 6-ти студентов,

1 ლაბარაკია ალექსანდრე სერნო-სოლოვიოვიჩის სახელზე პეტერბურგში არსებულ ბიბლიოთეკაზე, რადგან ნიკოლოზ სერნო-სოლოვიოვიჩი 1862 წლის 7 ივლისს ნიკოლოზ ჩერნიშევსკისთან ერთად დაპატიმრებულ იქნა და მისი წიგნების მალბიად კონფისკაციაქმნილი. ამ დროს ნ. სერნო-სოლოვიოვიჩი გადასახლებაში იმყოფებოდა (გ. ს.).

между которыми были Шафранов и Штукенберг. Ныне, т. е. только 20 сего сентября, эта кухмистерская вновь открыта в Загибейнином переулке, в доме Воронина, где нанята квартира в 700 руб. в год, по контракту на имя студента Вильямовича. В этой кухмистерской обедают ежедневно до 60-ти человек университетских студентов, с платой по 25 коп. обед или же по билетам общества бедных студентов, и несколько человек воспитанников горного корпуса. Подобная же кухмистерская устроена на обширнейшей ноге и медицинскими студентами на Выборгской, в доме Тутолминной, где на 4 года нанято помещение, состоящее из 22-х комнат.

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 109, აღწ. 1, საქ. 1498, ფურ. 1-2. პირი.

№ 7

1867 წელი. — ნიკოლოზ ყიფიანის წერილი პოლტარაძისადმი ა. სერნო-სოლოვიოვის გერცენისადმი გაგზავნილი წერილის გადაწერისა და სტუდენტ სერეოვსკე გადაცემის შესახებ

Посылаю тебе, дружище С. Полтарацкий, письмо Серно-Соловьевича к Герцену. Перепиши его, пожалуйста, т. е. переписывай понемногу, так, чтобы к началу июня переписать совсем.

15 числа, вероятно, ты будешь иметь время доставить это письмо на Гагаринскую улицу (близь Пантелеймоновской улицы), дом. 24, кв. 10, Серикову (медиц. студенту). Дня через два он тебе возвратит это письмо. Ник. Кипиани

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 2, საქ. 355, ფურ. 1, დედანი. ნ. ყიფიანის ხელითაა ნაწერი.

№ 8

1867 წელი. — ნიკოლოზ ყიფიანის მიერ სენ-სიმონის სიტყვიდან „პარიზის მუშებისადმი“ — ფრანგულიდან გადაკეთებული რევოლუციური ხასიათის მოწოდება „მეგობრებო“

Друзья! В Англии много ученых. Благовоспитанные англичане питают больше почтения к ученым, нежели к королям; все умеют читать, писать и считать в Англии; и вот, друзья мои, в этой стране рабочее в городах и даже рабочие в деревнях едят мясо каждый день, пьют пиво и одеваются, как следует.

В России, если ученому, который почему-либо не понравился императору, отрезают нос и уши и высылают в Сибирь. В России крестьяне также чужеземны, как и их лошади; и вот русские крестьяне терпят недостатки в пище, плохо одеваются и получают щедро палочные удары.

По сих пор богатые только и делали, что распоряжались вами; **заставьте их просветиться и научить вас; они заставляют ваши руки работать на них, заставьте же и вы их головы работать на вас; окажите им услугу избавлением их от гнетущей скуки; они платят вам деньгами,**

заплатите и вы им почтением; это очень драгоценная монета: слава богу, что бедняк обладает немного ею; расходуйте ту монету, которая находится в вашем распоряжении, и ваша участь немедленно улучшится.

Чтоб дать вам ощутить важность обсуждения предлагаемого мною совета, чтоб показать вам выгоды, какие могут произойти от осуществления проекта, который я предлагаю человечеству, необходимо войти мне в некоторые подробности: я ограничусь такими, какие найду необходимыми.

ცხსა (მოსკოვი), ფონ. 95, აღწ. 2, საჭ. 355, ფურ. 3. დედანი. ნ. ყიფიანის ხელით ნაწერი.

№ 9

1867 წელი. — ნ. დ. ყიფიანის მიერ „კოლოკოლის“ 1864 წლის ხექტემბრის 50 ნომრიდან, ფრანგულიდან თარგმნილი რევოლუციური შინაარსის სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი“

Этот злополучный мученик дикого деспотизма представляет собой тип столь редкий не только в нашей литературе, но и вообще в нашем обществе, что мы считаем не бесполезным представить вашим читателям все сведения, какие мы могли собрать о его жизни, сведения, быть может, слишком не многочисленные. Ныне имя Чернышевского запрещено произносить в России и едва допускается говорить в журналах и в книгах не только о нем, но даже о его литературном таланте. Можно надеяться, что не сегодня, так завтра будет воспрещено цитировать какое бы то ни было место из его сочинений или делать намеки на них чем бы то ни было. Советуем русскому правительству арестовать у подписчиков «Современника» книжки, содержащие статьи Чернышевского, подобно тому, как оно недавно распорядилось захватить во всех эстампных магазинах фотографические карточки Гарибальди, желая этим наказать его за произнесение в Лондоне речи, которую цензура не одобрила бы! Один торговец нас чеством уверял, что некий полицейский комиссар простер свою ревность до того, что захватил у него несколько кусков мыла и прочих косметических принадлежностей, ярлычки которых были украшены портретом Гарибальди.

Николай Гаврилович Чернышевский родился в Саратове в 1829 году¹. Отец его был протоиерей главной церкви города, человек выдающегося ума и редкой доброты: честность его, прямота характера были известны во всем приходе, при котором он состоял с лишком десять лет до того дня, когда он был назначен протоиереем при соборе. Он пользовался полным доверием прихожан своих, которые в случае нужды обращались к нему за советом или за помощью. Когда бедняки достигли того, что посредством работы скопляли сто или двести рублей, они несли их к Гаврилу Ивановичу, который берег их; по смерти этого почтенного старца у него оказалась довольно почтительная сумма денег,

¹ ნ. გ. ჩერნიშევსკი დაბადებულია 1828 წელს, ტექსტში 1829 წელი შეცდომაა ავტორის მიერ დაშვებული (ვ. ს.).

порученных ему. Он совсем не походил на русского попа, а если и был им, то вовсе не напоминал его. Сын его — Николай был помещен, как и надо было ожидать, в Саратовскую семинарию с тем, чтоб он пробыл там до той поры, когда можно будет надеть ему на себя ризу. В семинарии заставляли его писать образцы проповедей. Молодой семинарист, одаренный чрезвычайными способностями, деятельно принялся за изучение библии и древних языков, знания которых в скором времени он достиг в значительной степени. Так как он был в таком возрасте, когда идеи принимаются без критики, то он предался религиозным верованиям греческой православной церкви и слепо принял все ее догмы; он не чувствовал еще потребности серьезно размыслить о них, будучи погружен сверх того в занятия древними языками. Только по окончании курса обучения в семинарии, Николай Гаврилович начал чувствовать, что он вертится в душной атмосфере; отец не захотел противиться его стремлениям к новой атмосфере и, воспользовавшись пребыванием в С. Петербурге одного из своих родственников, послал сына в тамошний университет. Молодой человек выбрал филологический факультет и вслед за тем более прежнего углубился в изучение древних и славянских языков, следил с горячим усердием и с необыкновенной жадностью за всеми лекциями, рылся в хрониках, составлял для Средневекового (профессор славянских наречий в Петербургском университете) словарь древнерусского наречия, читал усидчиво Нибура, Домбровского, Востокова — по совету своих профессоров. Философии и критике он посвятил себя позже. На втором, кажется, курсе он завязал сношения с покойным И. Введенским и его друзьями. После семейного кружка, это был первый, в который он вступил, оживленные беседы, в которых он принимал участие каждую среду у Введенского, продолжительные прения за чайным столом и вследствие доктринерского их духа, приводившие иногда к оригинальным заключениям, все это заставило Чернышевского почувать новые сферы.

Тут-то он приобрел трудом своим и чрезвычайными способностями то, чего еще не доставало ему. По прошествии нескольких месяцев такой обшительной жизни, лицо этого человека обнаруживало часто внутреннюю борьбу и нравственное перерождение всего существа, его нельзя уж было узнать. Он читал и перечитывал все, что возможно было найти относящегося более или менее к социальной науке на русском, французском или немецком языке. Безустанной работой над собою, прирожденной гибкости своего ума, невероятной памяти, замечательным диалектическим¹ способностям, развитым занятиями в семинарии, он был обязан тем, что мог в короткое время успешно выдвинуться из своей среды и занять с первого же разу первое место, оставив далеко позади себя даже учителей своих. Между тем, все это не помешало ему написать в то же время сочинение на медаль, получить ее и готовить важные филологические изыскания об Ипатьевском временнике. Считаю не лишним привести здесь один известный нам факт, который показывает, до какой степени Чернышевский успел уже освободиться от всяких узких побуждений честолюбия: заметив в одном из своих близких това-

¹ ლაბარაკია ახალ ფილოსოფიურ სისტემაზე, დიალექტიკურ მატერიალიზმზე (ვ. ს.).

ришей, работающем студенте сильное желание получить медаль, он уступил ему от чистого сердца, без всякой аффектации и с трогательною простотой свое право на нее, отказавшись продолжать работу по предмету соискания премии, именно, если нам не изменяет память, о Лаврентьевском временнике. По окончании курса в 1850 году Чернышевский был назначен, благодаря содействию Введенского, преподавателем словесности во втором кадетском корпусе; но не позже, как по прошествии года, он уступил просьбе матери, которая обожала его и которую он сам любил до безумия, и уехал в Саратов, где он принял место преподавателя в гимназии. Это с его стороны была большая жертва, так как в Петербурге он оставлял довольно большой круг друзей и приятелей, с которыми он более или менее сходилась в убеждениях и чем лишил себя сверх того возможности продолжать свои научные понятия.

Гимназию в Саратове он застал в самом жалком положении, с допотопными учителями и директором-незультом, называвшимся Мейером. В обществе он едва нашел двух-трех лиц, расположенных принять доброжелательно молодого преподавателя, наконец даже дома он чувствовал себя чужим, несмотря на добродушие, любовь и благородство его отца, несмотря на нежную привязанность свою к матери, которую он иногда осыпал сыновними ласками, сажая ее к себе на колени и лаская ее, как ребенка. В доме его отца, где жила вся семья, ему отвели особую комнату на антресолях и с великолепным видом на Волгу. Тут он принимал своих друзей, очень немногочисленных, и воспитанников гимназии, которые не могли надивиться радушию и искренности своего учителя, беседовавшего с ними так простодушно и так умно. Нравственное влияние Чернышевского на учеников Саратовской гимназии и услуга, которую он им оказал, были значительны; в самом деле, он никогда не упускал случая обескрыть молодых людей, поднять их в собственном сознании, когда они по русской привычке (?) отчаивались и падали духом перед первыми неудачами; Чернышевский успевал почти всегда вызывать в них энергию. Сколько раз ему приходилось помогать им и своим кошельком, беднякам, которых было так много в гимназии*.

великому государю к нашему царскому величеству видети наши государские очи, и бити челом о своих делах и мы великий государь наше царское величество пожаловали велели тебе видети наши государские очи, и пожаловав тебя нашим государским жалованьем указали отпустить в твою грузинскую землю, и царством твоим пожаловали велели тебе владеть попрежнему и тебе царю Теймуразу Давыдовичу видя к себе нашу государскую милость и жалованье, нам великому государю и сыну нашего царского величества благоверному царевичу и великому князю Алексею Алексеевичу, и нашим государским наследником служить по своему обещанию, на чом дал нам веру пред святым евангелием, и иных государств и земель приводити тебе под нашу царского величества (л. 332 об.) высокую руку в подданстве, и обнадёживати их нашим государским жалованьем и милостью и призрением, и заступлением, а мы великий государь наше царское величество учнем тебя жаловать и держать в нашем государском милостивом жалованье, и в призрении, и вперед от недругов твоих в защищенье и во оборони.

И царь Теймураз на государеве жалованье челом бил.

Тогож года сентября 22 посланы были к царю Теймуразу для разговоров боярин князь Алексей Никитич Трубецкой, окольничей и оружейничей Богдан Матвеевич Хитрово и думной дьяк Ларион Лопухин, а каковы были между ими разговоры в следующей записке явствует.

Боярин князь Алексей Никитич говорил царю: царь Теймураз Давыдович, великий государь царь и великий князь Алексей Михайлович всеа Великия и Малыя и Белья России самодержец велел тебе говорить бил ты челом великому государю, чтоб тебе (л. 333) великому государю пожаловать землю твою от неприятелей и изменников твоих очистить и послати с тобою своих государевых ратных людей, и у великого государя у его царского величества розвратье учинилось с польским и с швейцким короли, и ево государевы ратные люди многие ныне от неприятелей и его царского величества на границах, и ныне б он царь Теймураз Давыдович хотя какую и нужду и утеснение от неприятелей своих принял, а ехал бы в свою грузинскую землю, и царством своим владел по прежнему, а как царское величество с неприятели своими управитца, и великий государь в утеснении и в разорении от неприятелей твоих видети тебя не похочет, и своих государевых ратных людей к тебе царю Теймуразу Давыдовичу пришлет, и в том бы тебе царю во всем на государскую милость быть надежду безовсякого сумнения, а ныне великий государь жалует тебя царя Теймураза Давыдовича, велел тебе дати из своей государевы казны денег 6000 рублей да соболей на 3000 рублей.

И царь говорит: ево де великого государя воля чаял де он к себе ево государские милости, и обороны себе от неприятелей своих, для де того он (л. 333 об.) к его царской милости и приехал, а ныне де его царское величество отпускает ево подданного своего в свою землю нищем, а приехал де он к его царской милости по указу его царского величества, и в те де поры к нему того, что все государевы ратные люди на ево великого государя службе, не написано; а как бы де он чаял, что царское величество ему ратных людей на оборону не пожалует, и он бы де из своей земли не ехал.

22-й
сентября
1695 г.

И боярин князь Алексей Никитич с товарищи Теймуразу царю говорили: по указу царского величества приехал он царь Теймураз Давыдович к нему великому государю, а того к нему, что государевы ратные люди все не ево великого государя службе, не писано потому, что в те поры ссоры у великого государя с польским и с немецким короли не было, а ныне де моч(но) ему царю и самому то бидеть не токмо что слышать, что ратные ево государевы люди высланы на пограничные места, а которые на Москве ратные люди, и тем сказано быть готовым на государеву службу. А что он царь Теймураз Давыдович говорит, будто его царское величество в свою землю отпускает нищем, и на подмогу ему государева (л. 334) жалованья сверх того, что при великом государе ему объявлено денег 6000 рублей, да соболей на 3000 рублей и тем государевым жалованьем ему мочно до своей земли проехать и он бы тем великого государя не гневил.

И царь Теймураз говорил: дорог де ему великого государя и один соболь, а блаженные де памяти при отце его государеве и заочно присылаvano к нему ефимков по 20000-чы, да соболей безчетно, а ныне де приняв ему то государево жалованье, да роздать священнического чина по своей души, нежели ему в свою землю ехать, да в бусурманские руки впасть, а как де он царь Теймураз ехал к нему великому государю от изгнания бусурманского и от неприятелей своих изменников с своими ратными людьми, и услыша де про то турской и кизылбашской и горские черкасы, и услыша все убоялися, что великий де государь московский стал за едину православную христианскую веру, и ево царя Теймураза от бусурман хочет держать в обороне и в защищенье, и горские де черкасы те дороги, которыми было ехать ему к великому государю залегли, и пропустить ево не хотели, и в горах неприятельские ратные люди многие на него наступали, и ратных людей ево царевых побили и он де от них едва ушел, а как бы де (л. 334 об.) он ехал к царскому величеству без своих ратных людей, и ево бы де до царского величества неприятели ево не допустили, и ехал де он к царскому величеству, потеряв своих ратных людей украткою днем и ночью, и приехал к великому государю, и голову свою принес в подножие его царского величества, и челом ударил ему великому государю внуком своим; и как увидел его великого государя пресветлые очи, и чаял де он что из мертвых воскрес, и чево желал, то себе и получил. А ныне де приезд сво и челобитье стало ни во что, и до столь де изменники его и горские черкасы насмеютца, и до основанья разорят, и чем де ему отдану быть и душа своя христианская погубить в неверных бусурманских руках, лутче де ему здесь в православной христианской вере умереть, а в свою де землю ему непочто ехать на ком де то бог възыщет, что бусурманы и неприятели ево недопустя до ево земли ево православного христианские веры царя, погубят, и царство ево разорят, и ему великому государю какая будет честь, что ево царя погубят, и род ево и православную христианскую веру искоренять только бы надобно правда, и за православную христианскую веру не боясь бусурман постоять, а он де царь Теймураз за православную (л. 335) христианскую веру и с невеликою своею грузинскою землею против турского и кизылбашского стоял, и бился не боясь многие бусурманские рати, уж де то ево государева воля, что ему царское величество на оборону своих

государевых ратных людей от неприятелей ево не пожаловал, затем что ратные люди ему великому государю ныне надобны, и чтоб де до царского величества они ближние люди донесли, чтоб великий государь пожаловал ево подданного своего велел проводить своим государевым ратным людям.

И боярин князь Алексей Никитич с товарищи царю Теймуразу говорил: царское де величество велит ево проводить своими государевыми ратными людьми, и к шаху Аббасу царское величество о том пишет, чтоб он для его государева прошения своими ратными людьми не наступал, и грузинские земли не разорял, и как бы де нибудь он царь Теймураз прожил ныне в своей грузинской земли, а впредь де царское величество ратных людей на оборону к нему пришет, и в том бы де он на государскую милость был надежен безовсякого сумнения.

И царь Теймураз говорил: коли де он сам ныне приехал к царскому величеству милости о том не упросил, и никакие себе помочи не учинил, и впредь де ему заочно... делу ненадежно чаять, и прежде сего царское величество об нем Теймуразе царю к шаху писал, чтоб он для ево государева прошения на грузинскую землю не наступал, и земли ево не разорял, однако де шах Аббас землю ево разорял, и з земли ево царя Теймураза выгонял, и как бы де он царь Теймураз против шаха не стоял и земли своей не оборонял, и он бы де и давно землю ево разорял и сказал: чтобы де они государевы ближние люди на него не покручинились идет де он к боярам своим подумать, и встав пошел в другую полату к боярам своим.

И тогож часу пришел царь Теймураз и сел на прежнем месте, а бояре ево пришли в то же переднюю полату, и боярину князю Алексею Никитичю с товарищи царь говорил: многим ли де царское величество ратным людям велит ево проводить и до коих мест:

И боярин князь Алексей Никитич с товарищи говорили царю: проведят де ево царя (л. 336) государевы ратные люди стругами водяным путем до Астрахани, а от Астрахани до Терека, а от Терека ему в провожатые даны будут, до коих мест пригоже.

И царь говорил: ево де государева воля, чтоб де великий государь пожаловал ево велел проводить своими государевыми ратными рускими людьми до тушинской земли, а надобно де ему в провожатые тысяч с семь конных людей, да пожаловал бы де великий государь тысячу ратных людей пеших в ево грузинскую землю, чтоб ево те государевы ратные люди от неприятелей ево оберегали, пока он великий государь пожалует, а будет де царское величество в провожатых ему до тушинской земли конных и пеших для оберегання тысячи человек не пожалует и ему де в горских местах с мурзы и с татары проехать немочно, и в своей грузинской земли прожить от неприятелей своих и изменников нельзя.

И боярин князь Алексей Никитич с товарищи царю говорили: бьет челом он царь Теймураз великому государю об таких многих ратных людех, где ему запасы и конские кормы иметь (л. 336 об.) И царь Теймураз говорил: запас де иметь с Терка до гор на лошадях, а конские де кормы в дороге готовы. А у великого де государя и опричь тех ратных людей, которым сказано на ево государеву службу, много на Москве и по городам, которые сидят и в тюрьмах и таких де людей у

его царского величества много обретца. И последнее де челобитье ево к великому государю, чтоб ево царское величество пожаловал ему ратных людей до тушинской земли тысячь с семь, да с нимиж де пожаловал великий государь невеликих пушек с пять или с шесть, чтоб де в горах проехать было ему не страшно, и государевыб ратные люди были целы, и боярин князь Алексей Никитичь с товарищи царю Теймуразу сказав, что они челобитье ево до царского величества донесут, и встав поклонясь царю Теймуразу и с полаты пошли. А царь Теймураз проводил до дверей полатных.

Царь Теймураз Давыдович выехал из Москвы тогож года в октябре месяце.

რუს-ქართველთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, XIX საუკუნეში, ეს ურთიერთობა განსაკუთრებით განვითარდა და, მიუხედავად იმ სასტრუქო კოლონიური რეჟიმისა, რომელიც ჩვენში მეფის რუსეთმა დაამყარა, ამ ორ მოძმე ხალხს შორის მტკიცე თანამშრომლობასა და მეგობრობაში გადაიზარდა.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოთავსებული დოკუმენტები ეხება რუს — ქართველთა ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს — კულტურულ ურთიერთობას. აქ მოტანილი თითოეული საბუთი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რაოდენ დიდი პატივისცემითა და მეგობრული გრძნობებით იყვნენ გამსჭვალული ერთმანეთისადმი ქართველი და რუსი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები.

* * *

კარგად არის ცნობილი, თუ რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან გენიალური რუსი პოეტისა და დიდი პუშკინისტის ა. ს. პუშკინის (1799—1837) შემოქმედება.

პოეტს ადრე სურვილი გაცნობოდა კავკასიას, და, კერძოდ, საქართველოს, რომელიც იზიდავდა მას თავისი დიდი, მომხიბლავი ბუნებათა და ამაყი, თავისუფლებისმოყვარე ხალხით.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 1819 წელს შეეცადა იგი განეხორციელებინა თავისი ოცნება¹, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული გამხდარა უარი ეთქვა ამ ჩანაფიქრზე და სამხრეთში მოგზაურობა სხვა დროისათვის გადაედო. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გადასახლებაში ყოფნის დროს, პუშკინი ახლოს იყო დასახულ მიზანთან, მაგრამ ამჯერადაც არ მიეცა მას შესაძლებლობა ეხილა „ეს შესანიშნავი მხარე“ — საქართველო. შემდგომში პოეტმა კიდევ რამდენჯერმე სცადა თავი დაეღწია ზელისუფალთა მეთვალყურეობისაგან და სწვევოდა, ბოლოსდაბოლოს, საქართველოს, მაგრამ ყოველი მისი ცდა წარუმატებლად დამთავრებულა. მხოლოდ 1829 წელს, როდესაც მან სავსებით დაკარგა იმედი მიეღო ოფიციალური ნებართვა, პოეტი „თვითნებურად“ მიემგზავრება სამხრეთისაკენ.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა საქართველომ დიდ პოეტზე. თავის ნაწარმოებში „არზრუმში გამგზავრება“ იგი აღტაცებას გამოსთქვამს „ტურტა

¹ იხ. „Летопись дружбы грузинского и русского народов“, თბილისი, 1961, გვ. 212. შემდგენელი ვ. შალური, გ. ბებუთოვი.

საქართველოს“ არაჩვეულებრივად მდიდარი და წარმატებული ბუნებით, დიდი სიმ-
 პათიით მოგვითხრობს ქართველებზე, როგორც „მეომარ“ და „მხიარული
 ზნის“ ხალხზე¹.

ა. ს. პუშკინმა, რომელიც საქართველოში ყოფნის პირველ დღიდანვე დიდ
 ყურადღებასა და ინტერესს იჩენდა მისთვის უცნობი ხალხისადმი, დავითგა
 ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებისა და ყოფის ამსახველი სურათები. იგი
 მოხიბლული დარჩა ქართული სიმღერებით და თავის ზემოხსენებულ ნაწარ-
 მოებში ღირსეულად შეაფასა მათი სიმშვენიერე.

მსოფლიო პოეზიის ამ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, რომ-
 ლის შემოქმედებასაც კარგად იცნობდა მაშინდელი ქართველი მკითხველი სა-
 ზოგადოება, უაღრესად გულთბილი შეხედრა მოუწყეს თბილისში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, წერს თავის მოგონებებში კ. ი. სავოსტიანოვი²,
 თუ რა აღფრთოვანებით ესალმებოდნენ დიდ პოეტს. ყველა, ვისაც კი ჰქონდა
 შესაძლებლობა, უმართავდა მას დარბაზობას, სადილს, საღამოს ან საუზმეს
 და, რა თქმა უნდა, ყველას სურდა მასთან საუბარი.

საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მიერ ქალაქგარეთა ერთ-
 ერთ თვალწარმატად ადგილას მოწყობილ სადღესასწაულო საღამოზე გრძნობა-
 მორეულმა პოეტმა, რომელიც სიხარულის ცრემლებს ვეღარ მალავდა, შემდე-
 გი სიტყვებით მიმართა მოზეიმე მეგობრებს: „მე არ მახსოვს, რომ ოდესმე
 უფრო მხიარული ვყოფილიყავ, ვიდრე დღეს; მე ვხედავ, როგორ გიყვარვართ,
 მიგებთ და მათვსებთ, და როგორ მხდის ეს ბედნიერს“³.

დიდი პოეტის სამშობლოში გამგზავრების შემდეგ მოგონებები მის შესა-
 ჩებ დავიწყებას არ მიეცა მისი ნიჭისა და პოეზიის თავყვანისმცემელთა შორის.
 პირიქით, ქართველი საზოგადოებრიობა იჩენს უფრო მეტად გაზრდილ ინტე-
 რესს პუშკინის შემოქმედებისადმი. ამის შესახებ, სხვათა შორის, მოწმობს ის
 ფაქტიც, რომ 1893 წელს თბილისის მთავარ მოედანზე (ერევნის — ახლან-
 დელი ლენინის მოედანი) დაიდგა დიდი პოეტის ძეგლი და მის გარშემო გაშე-
 ნებულ ბაღს პოეტის სახელი ეწოდა.

ახალი ძალით იჩინა თავი სიყვარულმა და პატივისცემამ დიდი მგონისად-
 მი 1899 წლის საზეიმო დღეებში, როდესაც მთელი პროგრესული რუსეთი
 დღესასწაულობდა პოეტის დაბადებიდან ასი წლისთავს.

საქართველოში ამ მნიშვნელოვანი თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის
 მზადება ადრე დაუწყიათ. თბილისში შეიქმნა სპეციალური კომისია პუშკინის
 ხსოვნისადმი მიძღვნილი იუბილეს ჩასატარებლად.

1899 წლის 21 მაისს ვაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა კომისიის ცნობა
 იმის შესახებ, რომ თბილისში პოეტის იუბილე განზრახულია ჩატარდეს 26
 მაისს⁴. „ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულში და გვირგვინით

¹ იხ. ა. ს. პუშკინი, რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, თბილისი, 1951, ტ. IV, გვ. 257, 261.

² იხ. Летопись дружбы грузинского и русского народов, I, გვ. 231.

³ იქვე, გვ. 232.

⁴ იხ. საბ. №-6.

შეამკოს ძეგლი, — ნათქვამია განცხადებაში, — უნდა წერილით ან სიტყვიერად აცნობოს ეს კომისიის თავმჯდომარეს ან წევრთ¹.

დანიშნულ დღეს, ე. ი. 26 მაისს, გამოვიდა გაზეთ „ივერიის“ სპეციალური ნომერი, მიძღვნილი ა. ს. პუშკინისადმი „კერძოდ ქართველთათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრად დიდია: ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რამე ესწავლოს და პუშკინის მუხას არ დასწაფებოდეს“², — ვკითხულობთ გაზეთის მოწინავე სტატიაში. „...მხოლოდ ამისთანა მწერლებს შეუძლიანთ იმ წმინდა და შეურყვენელ კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ქართველისათვის. მამ დიდება და უკვლავება პუშკინის დიდებულ სახელს!“³ — წერს ცნობილი ქართველი მწერალი ნიკო ლომოური გაზეთ „ივერიის“ იმავე ნომერში მოთაჭებულ სტატიაში.

შუადღით სამხედრო ტაძრის მოედანზე გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) შეიკრიბნენ თბილისის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელნი.

პანაშვიდის შემდეგ პროცესია გაემართა პუშკინის ბაღისაკენ. მოზეიმე ხალხმა მრავალრიცხოვანი გვირგვინებით შეამკო პოეტის ძეგლი. კითხულობდნენ მის ლექსებს, მღეროდა გუნდი, უკრავდა მუსიკა. „პუშკინის ბაღი შემკული იყო ბაიარლებითა და ხეულის ყვავილებით. იმ ქუჩებში, რომელზედაც პროცესიამ გაიარა, აუარებელი ხალხი იდგა“⁴.

არა ნაკლებ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა დიდი პოეტის იუბილე თელავის საზოგადოებრიობამაც⁵. გაზეთ „ივერიის“ 116-ე ნომერში, რომელიც დათარიღებულია 1899 წლის 4 ივნისით, გვხვდება ცნობა ქალაქის თვითმართელობის 17 მაისს საგანგებოდ მოწვეული კრების დადგენილების შესახებ — „დააარსოს სამოქალაქო სასწავლებელში ერთი სტიპენდია პუშკინის სახელობაზედ, დაარქვას თელავას საქალაქო ბაღს პუშკინის ბაღი და გარდაიხადოს პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად“⁶.

გარდა ამისა, როგორც გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1899 წლის ერთ-ერთი ნომერი იტყობინება, ა. პუშკინის დაბადების ასი წლისთავი აღუნიშნავთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც⁷.

ჩვენში ცხოველ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებისადმი, ფართოდ ეხმაურებოდნენ ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის იმპერიაში. ქართველი მოწინავე საზოგადოება, მთელ პროგრესულ რუსეთთან ერთად, პატივს სცემდა რუ-

¹ იბ. საბ. № 6.

² გაზ. „ივერია“, 1899, №109.

³ იქვე.

⁴ იბ. გაზ. „ივერია“, 1899, № 110.

⁵ იბ. საბ. № 7.

⁶ საბ. № 8.

⁷ იბ. Летопись дружбы грузинского и русского народов, I, გვ. 244.

სი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს და იზიარებდა მის მწუხარებას, როდესაც იგი ჰკარგავდა თავის სასიკაღდლო შვილებს, იმყოფებოდა მასთან ერთად ჭირსა და ლხინში.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოთავსებულ ერთ დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ 1881 წელს, როდესაც გადაწყვეტილი იყო პიატიგორსკში აღენიშნათ დიდი პუშკინის ღირსეული მემკვიდრის მ. ი. ლერმონტოვის (1814—1841) გარდაცვალებიდან ორმოცი წლისთავი, თბილისის საზოგადოებრიობას ერთგვარი მატერიალური დახმარება აღმოუჩენია ამ ღონისძიების ჩასატარებლად შექმნილ განმკარგულებელ კომიტეტისათვის¹.

1897 წლის 19 იანვარს შესრულდა ათი წელი ცნობილი რუსი პოეტის ს. ი. ნადსონის (1862—1887) გარდაცვალებიდან.

კიევში მოწყობილ საღამოს შესახებ, რომელიც მიეძღვნა „რუსების „მწუხარების და სევდის“ უმცროსი მგოსნის“ ხსოვნას, აცნობებს თბილისელ მკითხველს უცნობი ავტორი კიევიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში, რომელიც აკრძალულ იქნა ცენზურის მიერ და ამიტომ აღარ დაბეჭდილა იმდროინდელ ჩვენს პრესაში. საღამოზე, უკრაინულ, პოლონურ და ფრანგულს გარდა, ნადსონის ლექსები წაკითხულ იქნა ქართულ ენაზეც. ლექსებმა დამსწრე ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია და მისი თხოვნით გამეორებული იქნა. „ეს პირველი შემთხვევაა, — დასძენს კორესპონდენტი, — რომ კიეველ საზოგადოებას ქართული ენა ესმის ესტრადიდგან და, რა თქმა უნდა, როგორც მათთვის უცხო ენამ, ცნობისმოყვარეობა გამოიწვია...“²

1910 წელს გარდაიცვალა ლ. ნ. ტოლსტოი (1828—1910).

სამწუხარო ცნობა უდიდესი რუსი მწერლის გარდაცვალების შესახებ ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს. ქვეყნის ყოველი მხრიდან იწყეს დინება იასნაია პოლიანაში ამ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისით გამოწვეული ხალხის გულისტკივილის გამომხატველმა წერილებმა.

ქართული საზოგადოებრიობა, რომელთანაც ლევ ტოლსტოი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ძალზე შეაწუხა ამ ცნობამ, და იგი თანაგრძნობას უცხადებდა მოწინავე რუსეთს. ტოლსტოიმ „მოიზიდა... ყველა დაჩაგრულთა გული და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც, როგორც მოციქულმა და მახარობელმა მომავლისამ. მაშ რა საკვირველია, თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელათ იგლოვებენ...“³, — წერდა აკაკი წერეთელი. ვაჟა ფშაველა ამ სამწუხარო ამბავს გამოეხმაურა თავისი ლექსით „ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზე“, რომელშიც მალალ შეფასებას აძლევს დიდ მწერალს:

¹ იხ. საბ. № 1.

² საბ. № 5.

³ აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბილისი, 1961, გვ. 377.

“მარტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ
დაჰკარგა მამა, თვისი აღმზრდელი,
ვინაც მოჰფინა ჩვენს გულ-გონებას
და ჩვენს ვნებათა უხედა ნათელი...”¹

ქვემოთ მოტანილი ერთი დოკუმენტი გვაცნობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა კრების 1910 წლას 12 ნოემბრის დადგენილებას — გამოცეხადოს განავენებული მწერლის ოჯახს უღრმესი მწუხარების გრძნობები იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც განიცადა მან და მასთან ერთად „რუსეთმა და მთელმა კაცობრიობამ“². ბარათი გაგზავნილ იქნა ორი დღის შემდეგ, 14 ნოემბერს, განსვენებული მწერლის მეუღლის სოფიო ანდრეას ასულ ტოლსტოის სახელზე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებლის თუმანიშვილის მიერ³.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებასა და პატივისცემას იჩენდა ქართველი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა მიმართ რუსული საზოგადოება პროგრესულად განწყობილი ნაწილი.

ამ მხრივ, ჩვენის აზრით, მეტად საინტერესო არის საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ქ. თბილისში აღმოჩენილი ერთი ადრე უცნობი დოკუმენტი, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება. ეს არის ცნობა პეტერბურგიდან იქ დიმიტრი ყიფიანის (1814 — 1887) ხსოვნასადმი მიძღვნილი პანაშვიდის გადახდის შესახებ.

ამ პანაშვიდს, სხვებთან ერთად, ესწრებოდა ცნობილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი ი. პ. პოლონსკი⁴, რომელსაც საკმაოდ კარგად იცნობდა იმდროინდელი ჩვენი მკითხველი. პოლონსკი (1819—1898) ადრე ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა და მას მიუძღვნა კიდევ მთელი რიგი თავის ნაწარმოებებისა.

როგორც ცნობილია, 1887 წელს მოკლულ იქნა თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, — იგი გაჭდა მსხვერპლი იმ ბილწი კოლონიური პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებდა საქართველოში მეფის თვითმპყრობელობა. ცარაზმის სატრაპების ამ გვერაგულმა ბოროტმოქმედებამ აღმფთვება და მრისხანე პროტესტი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში, რომელმაც დაგმო ღვაწლმოსილი მოხუცის — დიმიტრი ყიფიანის — მკვლელები.

დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ 1887 წლის ოქტომბერში პეტერბურგში მყოფ ქართველებს ყაზანის ტაძარში გაუპართავთ პანაშვიდი მოკლული დიმიტრი ყიფიანის პატივსაცემად. პანაშვიდს ესწრებოდა პეტერბურგის მთელი ქართული საზოგადოება, მათ შორის პროფესორები დ. ჩუბინაშვილი და ა.

¹ ვაჟა ფშაველა. ლექსები, ტომი მეორე, თბილისი, 1950, გვ. 191.

² საბ. № 16.

³ იხ. საბ. № 17.

⁴ იხ. საბ. № 3.

ცავარელი, აგრეთვე ქართველი და სომეხი სტუდენტები და სხვა პირები. „მაგრამ უფრო საყურადღებო არა, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — რომ ამ დამსწრეთა შორის იყო დიდად ცნობილი საქართველოში, სიმპატიური მგოსანი (პოეტი) ი. პ. პოლონსკი, ყოფილი ოდესში რედაქტორად „იმერ-კავკასიის მოამბისა“¹.

პოლონსკიმ, რომელიც ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ხანშიშესული და მძიმედ დაავადებული იყო, „ორიგ-მხრით ჯოხებზედ დაყრდნობილი“, ფეხზე დამდგარმა მოისმინა მთელი პანაშვიდი. შემდეგ იგი მივიდა განსვენებულის ძმისწულის შვილთან — სტუდენტ ლ. ყიფიანთან, მიუსამძიმრა მას და გულთბილად მოიხსენია დიმიტრი ყიფიანი, როგორც „პატიოსანი, პირუთენელი, პირდაპირი ხასიათის კაცი“².

ყოველივე ზემონათქვამი არის დიმიტრი ყიფიანისადმი ღრმა პატივისცემისა და ამ მხცოვანი საზოგადო მოღვაწის დიდ დამსახურებათა აღიარების დამდასტურებელი.

1908 წლის იანვარში მოსკოვის საზოგადოებრიობამ მადლიერების გრძნობით აღნიშნა რუსული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის ა. ი. სუმბათაშვილისა — სუმბათოვ-იუჟინის (1857 — 1927) სასცენო მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი.

მჩქეფარე და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის ორმოცი წელი შესწირა თეატრს ხელოვნების ამ უანგარო მსახურმა, „რუსული თეატრალური სამყაროს ერთ-ერთმა უდიდესმა ადამიანმა“³. ა. სუმბათაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე მონადრომა ბრძოლას რუსი და ქართველი ხალხების სულიერი დაახლოებისათვის. მას მკიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთ მოწინავე მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ ა. პ. ჩეხოვი, ი. ე. რეპინი, ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვები. სუმბათაშვილს „ფართო ნაცნობობა ჰქონდა „მთელ მოსკოვთან“; იგი იყო ყველა დიდი კლუბის წევრი. მოსკოველთა საყვარელი ლიტერატურულ-მხატვრული წრის დამაარსებელი და სიკვდილამდე მისი უცვლელი თავმჯდომარე... იგი იყო მოსკოვში ყველასათვის ქეშმარიტად საყვარელი ადამიანი...“⁴.

1908 წლის 23 იანვარს შესდგა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა კრების სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება გაეგზავნა იუბილარისათვის მისასალმებელი დეპეშა⁵. „თქვენ, როგორც მძლავრი რგოლი, აკავშირებთ თქვენს პატარა ერს მთელ კულტურულ სამყაროსთან“⁶, — ვკითხულობთ კრების სხდომაზე მიღებული დეპეშის ტექსტში.

იმვე წლის 26 იანვარს თბილისში მიღებულ იქნა საპასუხო დეპეშა ა. სუ-

¹ იხ. საბ. № 3.

² იქვე.

³ В. И. Немирович-Данченко. Из прошлого. 1936. გვ. 51.

⁴ იქვე.

⁵ იხ. საბ. № 13.

⁶ იქვე.

მბათაშვილისაგან, რომელშიც იგი გულითად მადლობას უხდის თავის თანამე-
მამულეთ გულწრფელი მილოცვისათვის¹.

. . .

წინამდებარე პუბლიკაცია მოიცავს 1881 — 1912 წწ. მასალებს. აღნიშნუ-
ლი მასალები გამოვლინებულია საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო
არქივის ქ. თბილისში ფონდებიდან.

დოკუმენტები ქვეყნდება თანამედროვე ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის
მოთხოვნილებათა დაცვით, სტილს შეუცვლელად. პუბლიკაციაში საბუთები
განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.²

№ 1

1881 წლის ივლისის 15. — პეტრე ანდრიას ძე შუროვსკისადმი გაგზავნილი
წერილი მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღნიშვნის
გამო 30 მანეთის გაგზავნის შესახებ

Милостивый государь Петр Андреевич³

Вследствие сообщения председателя распорядительного комитета
по устройству чествования памяти поэта Лермонтова за № 26 имею
честь препроводить при сем поступившие ко мне тридцать руб., — о по-
лучении которых прошу извещения.

Не оставите принять уверение в совершенном моем к вам почтении
и преданности.

ესა, ფონ. 214, საქ. 2073, ფურ. 2. შევებული, ხელით ნაწერი.

№ 2

1884 წლის მაისის 1 — გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ცნობა

Мы получили, с просьбою напечатать, следующее обращение к на-
шей публике, идея которого не можем вполне не сочувствовать.

Тифлис, бесспорно, может быть назван одним из самых интелли-
гентных городов в России. Прием, недавно сделанный здесь А. Н. Ост-
ровскому, доказывает, как горячо относится здешнее интеллигентное
общество к русской литературе и к ее лучшим деятелям. При таком
отношении к литературе нельзя хладнокровно относиться к судьбе нуж-
дающихся писателей, а таковых в нашей литературе, при современном
положении дел, должно быть особенно много. Поэтому мне кажется.

¹ იხ. საბ. № 14.

² ამ პუბლიკაციის შესავალი ეკუთვნის ზ. ევანიას.

³ იგულისხმება კომისიის ერთ-ერთი განმკარგულებელი შუროვსკი, რომლის მისამართზეც
გაიგზავნა საბუთში მოხსენებული 30 მანეთი.

если бы кто-либо взял на себя почин устройства вечера в пользу «общества для пособия нуждающимся литераторам и ученым», то такой вечер имел бы несомненный успех. Если в таком городке, как Нуха, собрали с литературно-музыкального вечера в пользу этого общества — сто рублей, то, мне думается в Тифлисе должно собраться гораздо больше. Дело, стало быть, лишь за почином. Надо надеяться, этот почин не заставит долго ждать себя.

ცსა, ფონ. 480, აღწ. 1, საქ. 601, ფურ. 6.

№ 3

1887 წლის ნოემბრის 19 — ცნობა პეტერბურგიდან დიმიტრი ყიფიანის
 გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართველი სტუდენტობის მიერ
 პანაშვიდის გადახდისა და ამ პანაშვილზე პოეტ ი. პ. პოლონსკის
 სამძიმრის შესახებ

პეტერბურგიდან: ოქტომბერს პეტერბურგის მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობის შეკვეთით ყაზანისა ღვთისმშობლის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნა პანაშვიდი განსვენებული დიმიტრი ყიფიანის სახსენებლად.

ამ პანაშვილზე დაესწრნენ ყველა ქართველ მოსწავლეებისა გამოუკლებლად, აგრეთვე ბევრი მოსწავლე სომხები და თითქმის მთელი იქაური ქართველი საზოგადოება: ორივე ქართველი პროფესორი, ბ-ნი ჩუბინაშვილი და ბ-ნი ცაგარელი; თავადი ნაკაშიძე და სხვანი, თავადთაგანი და არა თავადთაგანნი, ქალნი და კაცნი, ჯარისკაცნი თუ სხვანი, ჰაბუკნი და მოხუცნი, საზოგადოთ სომხობაც ბევრი იყო. დაესწრო პანაშვილზე აგრეთვე პატივცემული ბ-ნი მაღაფევი, ქუთაისის გუბერნატორად ყოფილი.

მაგრამ უფრო საყურადღებო არაა, რომ ამ დამსწრეთა შორის იყო დიდად ცნობილი საქართველოში, სიმპატიური მგოსანი (პოეტი) ი. პ. პოლონსკი, ყოფილი ოდესში რედაქტორად „იმერ-კავკასიის მოამბისა“. დაუძლურებული, გაქალაქებული.

ორიგ-მხრით ჯოხებზედ დაყრდნობილი, იგი მივიდა ხატებთან, დაანთო სანთლები, სასიკეთოდ დაიწერა პირვეარი, დადგა და მოისმინა მთელი პანაშვიდი. შემდეგ მივიდა განსვენებულის ძმისწულის შვილთან, სტუდენტ ლ. ყიფიანთან, მიუსამძიმრა წრფელს გულმტკიცუნეულობით და უთხრა: „ჩემის რედაქტორობის დროს „იმერ-კავკასიის მოამბესა“ მე ბევრჯერ მქონია ცხონებულითან ცხარე შებაასება და მოკამათებაც; არა ერთხელ შემომწყრომია ის ჩემი წერილების გამო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც იყო პატიოსანი, პირუთენელი, პირდაპირი ხასიათის კაცი“.

ცსა, ფონ. 480, აღწ. 1, საქ. 796, ფურ. 129. სტამბური ამონაბეჭდი.

№ 4

1897 წლის იანვრის 8. — გაზეთ „კავკაზის“ შენიშვნა ქართული საიუბილეო წარმოდგენის შესახებ

„სულითა და გულით მივეგებებით ამ დღესასწაულს, გამართულს მოსაგონებლად ქართული თეატრის ნიჭიერის დამაარსებლისა. ჩვენის მხრივ, ვუსურვებთ ქართულ დრამატიულ ხელოვნებას ზრდას და აყვავებას; ამასვე ვუსურვებთ ყოველ ნამდვილ ქართულ საქმეს, როდესაც ამ საქმეს ქვეშ არ უძევს სარჩული ტენდენციურობისა“.

ამ სამართლიან სიტყვებს მოვალეობათ მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ ქართველთ არავითარი სხვა მისწრაფება არა აქვს და საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ „მომავალში ჰქონდეს...“¹ — და ამის საბუთით თვით ბოლომდე მე-19-ე საუკუნე, — ძმურად შეკავშირება დიდს ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიასთან; შესვლა იმ დიდებულ ოჯახში, რომელსაც საერთოდ რუსეთი ჰქვია; ხოლო შესვლა შევიდა და არა გერადა. ქართველს შეურაცხყოფს, ვინც დასწამებს ორგულობას დიდის რუსეთის იმპერიისადმი; ქართველს შეურაცხყოფს ისიც, ვინც ეტყვის, რომ იგი ქართველი აღარ არის ან აღარ უნდა იყოს?²...

ცსა, ფონ. 480, აღწ. 1, საქ. 1425, ფურ. 3. სტამბური ამონაბეჭდი.

№ 5

1897 წლის იანვრის 29. — ცენზურის მიერ აკრძალული სტატია პოეტ ნადსონის სახსოვრად კიევში საღამოს გამართვის შესახებ

19 იანვარს შესრულდა 10 წელიწადი, რაც რუსების „მწუხარების და სევდის“ უმცროსი მგოსანი, ნადსონი, ისე უდროოდ გარდაიცვალა.

განსვენებული პოეტის ხსენება განსაკუთრებით ცოცხალია აქ, კიევში, სადაც აღიზარდა და უმეტესი ხანი თავის ყმაწვილობისა გაატარა მშჰუნვარე პოეტმა.

ამისათვის გუშინ, 21 ამ თვეს, ადგილობრივს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში (შეიკრიბნენ) პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლები განსვენებულის ხსენების პატივსაცემად.

საღამოს პროგრამა საკმაოდ ვრცლად და მრავალფეროვნად იყო შედგენილი. პროგრამის პირველ ნომერში დასახელებული იყო ქ-ნი კოსანი (უკრაინელთა მწერალი ქალი, და ცნობილ ემიგრანტის პ. დრაგომანოვისა), რომელმაც წაიკითხა განსვენებული პოეტის ბიოგრაფია.

შემდეგ წაიკითხულ იქნა კრიტიკული განხილვა ნადსონის პოეზიისა. აქ

1 ოთხი სიტყვა არ იკითხება.

2 მრავალწერტილი ჩვენია.

რეფერენტი შეეხო და აღნიშნა ამ პოეზიის ძირითადი კილო — პესიმიზმი და თავმდაბალი ჭმუნვა-ჩივილი...

მალოროსთა ცნობილმა დრამატურგმა არტისტმა სტარიცკიმ დიდის გრძნობით წაიკითხა მალოროსიულ ენაზე ნადსონის ლექსების რამოდენიმე თარგმანი. გარდა რუსული და უკრაინულ ენათა, პოეტის ლექსთა თარგმანი წა-კითხულ იქმნა პოლონურ, ფრანგულ და ქართულ ენებზე (ქართველი საზოგადოების თხოვნით გამეორებულ იქმნა).

ეს პირველი შემთხვევაა, რომ კიეველ საზოგადოებას ქართული ენა ესმის ესტრადიდან და, რა თქმა უნდა, როგორც მათთვის უცხო ენამ, ცნობისმოყვარეობა გამოიწვია...

ცსა, ფონ. 480, აღწ. 1, საქ. 1425, ფურ. 28. სტამბური ამონაბეჭდი.

№ 6

1899 წლის მაისის 21. — განცხადება პუშკინის დაბადებიდან ასი წლის შესრულების დღესასწაულთან დაკავშირებით

პუშკინის დაბადებიდან ასის წლის შესრულების დღესასწაულის გამგე კომისია ამით აცხადებს, რომ თფილისში პუშკინის იუბილეი გარდახდილი იქნება 26 მაისს ამრიგად: ნაშუადღევს პირველ საათზედ, სამხედრო ტაძრის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტზედ, შეიკრიბებიან საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსწავლე ვაჟნი და ქალნი თავიანთის უფროსებით და სხვადასხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლნი, აგრეთვე ის კერძო კაცნიც, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში.

აქედან, პანაშვიდის შემდეგ, რომელსაც ტაძარში გარდაიხდიან, მოდღესასწაულენი გაემართებიან წინაღვე დადგენილის წესით გოლოვინის პროსპექტითა და სასახლის ქუჩით პუშკინის ბალისაყენ, სადაც პუშკინის ძეგლს გვირგვინებით შეამკობენ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულში და გვირგვინით შეამკოს ძეგლი, უნდა წერილით ან სიტყვიერად აცნობოს ეს კომისიის თავმჯდომარეს ან წევრთ.

გაზ. „ივერია“ 1899 წ., № 105.

№ 7

1899 წლის ივნისის 1. — ცნობა პუშკინის იუბილეს შესახებ თელავში

თელავმა თავი ისახელა პუშკინის საიუბილეო დღესასწაულობით.

უპირველეს ყოვლისა, წირვის შემდეგ გარდაიხადა ამ დიდებულის მწერლის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი საკრებულო ტაძრის მოედანზედ, სადაც

¹ მრავალწერტილი საბუთისაა.

დაესწრნენ თელავის ყველა სასწავლებლის მოსწავლენი და მასწავლებელნი, თელავის ყველა დაწესებულების მოხელენი და მცხოვრებელთა ყველა წოდების წარმომადგენელნი.

ამავე დღეს თელავის საზოგადოება იყო მიწვეული ორს სალიტერატურო და სამუსიკო დილაზედ: სამოქალაქო სასწავლებელში 11 საათზედ და სასულიერო სასწავლებელში პირველს საათზე.

სამოქალაქო სასწავლებელში უკრავდა მოსწავლეთა სამუსიკო გუნდი. მღეროდა მოსწავლეთა მგალობელი გუნდი, კითხულობდნენ ლექსებს მოსწავლენი. მასწავლებელმა ტურილინიკმა გააცნო საზოგადოება პუშკინის ცხოვრებას, მასწავლებელმა ცისკარაშვილმა გააცნო პუშკინის მოღვაწეობას, და სასწავლებლის უფროსმა ბ-ნმა ჟნიკოვმა წაიკითხა წლიური ანგარიში სასწავლებლისა.

სამოქალაქო სასწავლებლიდან საზოგადოება გაემართა სასულიერო სასწავლებლისაკენ, სადაც მშვენიერად იყო მორთული სასწავლებლის ერდო.

მთელი თელავი აქ იყო და უადგილოდ არავინ დარჩენილა. დილა დაიწყო გალობით „დღეს სამლომან მადლმან შეგვეკრიფნა ჩვენ“ და ამის შემდეგ მასწავლებელმა ბ-ნმა კუზმენკომ გააცნო საზოგადოება პუშკინის ცხოვრებას და მოღვაწეობასა. შემდეგ მოსწავლენი ჯერ-ჯერით კითხულობდნენ პუშკინის ლექსებს რუსულად და ქართულად, ამით სცვლიდა მომღერალთა გუნდი, რომელიც, ბ-ნ სულხანიშვილის ლოტბარობით, მწყობრად, შეწყობით და მეტად სასიამოვნოდ ასრულებდა ძნელსა და რთულს სიმღერებს, როგორც, მაგ.: „მომღერალი ფუნდი და მოთამაშე გლეხნი“, ოპერიდამ „რუსლანა“, „მშვენიერო ქალიშვილებო“, ოპერიდამ „ევგენი ონეგინი“ და სხვა. აგრეთვე სხვა ქართულს სიმღერებთან ერთად მშვენიერად იმღერა მოსწავლემ მთვარელიშვილმა, რომელსაც მწყობრად ბანს აძლევდა მთელი გუნდი, „გადმიშვი მთაო, გადმიშვი, რა ნისლი მოგიხვევია“. მშვენიერად და გრძნობით წარმოსთქვა მოსწავლე ზაუტაშვილმა პუშკინის ლექსი „წინასწარმეტყველი“, თარგმანი თ. ი. ჭავჭავაძისა. ქართული ენის მასწავლებელმა ქართულად აღნიშნა პუშკინის ღირსებანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თელავის სასულიერო სასწავლებელში პირველად გაიმართა სალიტერატურო დილა და მშვენიერად ჩაიარა, საზოგადოება დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები წავიდა, მოსწავლენი დიდად გაახარა. საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას და განსაკუთრებით სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნს სოგინს.

დასასრულს ყველა მოსწავლეებს დაურიგდათ საჩუქრად და სახსოვრად პუშკინის თხზულებათა წიგნაკები.

№ 8

**1899 წლის ივნისის 4. — წერილი თელავის წმიდა ნინოს დედათა
 სასწავლებლის მიერ პუშკინის იუბილეს გადახდის შესახებ**

27 მაის თელავის წმიდა ნინოს დედათა სასწავლებელმა იდღესასწაულა პუშკინის ასის წლის იუბილე და ამ დღესასწაულს შეუერთდა აქტიცა.

დღის 11 საათზე მოწვეულნი: მოსწავლეთა მშობელნი, ყველა სასწავლებლის მასწავლებელნი და ყველა დაწესებულების წარმომადგენელნი ერთად შეიკრიბნენ სასწავლებლის დარბაზში, რომელი შეკრებილთ ძლივს იტევდა, თუმცა სამეფო დარბაზი ძალიან დიდია... აქტი სამადლობელ პარაკლისით დაიწყო... ამის შემდეგ მასწავლებელმა ქალმა ე. მ. შიუკაშვილისამ გააცნო მოსწავლენი და საზოგადოება პუშკინის ცხოვრებას, რის შემდეგაც მოსწავლენი ხან მოხდენილად პუშკინის ლექსებს გვიკითხავდნენ, ხან მწყობრად პუშკინის ლექსებს, სხვადასხვა კომპოზიტორებისაგან მუსიკაზედ გადაღებულს, გვიმღერებდნენ და შიგადაშიგ ორკესტრიც უკრავდა...

პირველს საათზედ დანიშნული იყო პანაშვიდი თელავის თვითმმართველობისაგან მისივე სადგომში. თვითმმართველობის დარბაზი მორთული იყო პუშკინის სურათით!... პანაშვიდი შეასრულა დეკანოზმა მ. ხელაშვილმა. პანაშვილის შემდეგ ბატონმა თათუხოვმა მიმართა დამსწრეთ სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ 17 მაისს საგანგებო კრებაზედ თვითმმართველობას დაუდგენია დააარსოს სამოქალაქო სასწავლებელში ერთი სტიპენდია პუშკინის სახელობაზედ, დაარქვას თელავის საქალაქო ბაღს პუშკინის ბაღი და გარდაიხადოს პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად.

დამსწრე საზოგადოება დიდის სიამოვნებით მიეგება სტიპენდიის დაარსებას!...

(ნადიკვრელი)

გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 116.

№ 9

1899 წლის დეკემბრის 3. — ცნობა ქართული საღამოს შესახებ მოსკოვში

21 ნოემბერს მოსკოვის საკრებულოს დარბაზში გაუმართავთ ჩვეულებრივი ქართული საღამო მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

საღამოს გამართვა სტუდენტების თხოვნით უკისრია საიმპერატორო თეატრის არტისტს თავ. ა. ი. სუმბათაშვილს!...

საღამოს ძალიან ბევრი ხალხი დასწრებია. საღამო მუსიკალურ განყოფილებით დაწყობილა, რომელშიაც მონაწილეობა ზიუღია საიმპერატორო თეატ-

¹ მრავალწერტილი ჩვენია.

რის ღირიერად ნამყოფის თ. თ. ბოგუსლავის ხოროს. ხოროს რამდენიმე კავ-
კასიური სიმღერა შეუსრულებია. შემდეგ რამდენიმე რომანსი უმღერია ქ-ნ
ა. ი. კნიპერს. მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე კონსერვატორიის პროფესორს
იგუმნოვს, პროფესორს შტადლერს და არტისტს რ. თ. ფედოროვს. კონცერტის
შემდეგ ლეკური ყოფილა, ბოლოს ევროპიული ცეკვა. საღამო დილის სამ საათ-
ზე დასრულებულა. შემოსავალი დიდი ჰქონია საღამოს.

გაზ. „ოვერია“, 1899 წ., № 261.

№ 10

1900 წლის მარტის 12. — საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის
აღსანიშნავად შექმნილი კომისიის მოსაზრებათა პროექტიდან

...12 сентября наступающего 1901 года исполнится сто лет со дня
присоединения бывшего царства Грузинского к могущественной едино-
верной империи Российской.

Нет сомнения, что все население Грузии и в особенности дворян-
ство его... желало бы священный день годовщины столетия отпраздно-
вать с подобающею торжественностью и щедростью пожертвований...
Если настоящее положение высшего в губернии сословия не дает воз-
можности в широком благотворении излить радостные чувства, его
преисполняющие, то оно может празднованию знаменательного в исто-
рии дня придать тот задушевный характер, который лучше всего дока-
жет, что живы доблести предков, от которых дворянство унаследовало
глубокое, никакими обстоятельствами непоколебимое сознание в брат-
ском единении с народом русским и в неразрывной связи с обширным
отечеством... искать все счастье и благо родины своей...

Председатель комиссии кн. Иван Гивич Амилахвари.
Тифлисский уездный предводитель дворянства ген.-майор Сагинов.
Борчалинский уездный предводитель дворянства К. Абхази¹.

ცსა, ფონ. 214, საქ. 3441, ფურ. 25. ღედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 11

1900 წლის ივლისის 4. — გაზ. „პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ დაბეჭდილი
წერილი ქართველთა ერთგულების შესახებ რუსეთის მიმართ

გაზ. „პეტერბურგ. ვედომოსტის“ მე-174 ნომერში დაბეჭდილია საყურად-
ღებო წერილი „ქართველთა გადასახლების კითხვის შესახებ“.

ავტორი, აღნიშნავს ქართველთა შეურყეველ ერთგულებას და სიყვარულს
რუსეთის გვირგვინოსანთა მიმართ; ეხება იმ სამწუხარო მოვლენას რომ უაღ-
გილობისა გამო შევიწროვებულნი ქართველნი იძულებულნი შეიქმნენ მიატო-

¹ ამის შემდეგ ოთხი ზელისმოწერაა.

ვინ მათ წინაპართა მიერ სისხლით მორწყული მამული და გადასახლდნენ უცხო ქვეყანაში მაშინ, როდესაც თვით ამიერკავკასიაში არის თავისუფალი ადგილები, სადაც მათი დასახლება შეიძლებოდა. ამიტომაც ამბობს ავტორი, — რუსეთთან შეერთების ასი წლის შესრულების დღესასწაულს ღირსეულად პატივისცემისათვის კარგი იქნებოდა შემწეობა აღმოეჩინათ უმიწაწყო და პატარა მიწა-წყლიანი ქართველებისათვის თვით ამიერკავკასიაში არჩეულ თავისუფალ ადგილების მიზომვით აღსასრულებლად კუროთხეულ ალექსანდრე პირველის ღირსშესანიშნავი სიტყვებისა: „სიმდიდრე და კეთილმდგომარეობა თქვენი (ქართველების) იქმნება ჩემთვის ერთად-ერთი და უუსიამოვნესი ჯილდო“.

ცსა, ფონ. 480, აღწ. 1, საქ. 1597, ფურ. 7. სტამბური ამონაბეჭდი.

№ 12

1901 წლის მარტის 1¹. — დებულებიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებისას წლის გამო ოთხი სტიპენდიის დაარსების შესახებ

1. Дворянство Тифлисской губернии, согласно постановлению своему от 21 ноября 1900 года, желая увековечить чувства высокой благодарности к братскому народу русскому, основывает четыре стипендии — три в Тифлисском кадетском корпусе и одну в Новочеркасском — для детей офицеров четырех частей войск...² которые находились в момент присоединения в пределах Грузии и на полях битвы вместе с дворянством и населением бывшего царства Грузинского кровью запечатлели братское единение за веру...²

ცსა, ფონ. 214, საქ. 3441, ფურ. 20. პირი. საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№ 13

1908 წლის იანვრის 23. — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა კრების დადგენილებიდან ალექსანდრე ივანეს-ძე სუმბათაშვილის (იუჟინის) ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ

Выслушав сообщение губернского предводителя, что 24 сего января в г. Москве должно происходить юбилейное чествование...³ Тифлисской губернии кн. Александра Ивановича Сумбатова (Южина) за двадцатипятилетнюю деятельность его на поприще литературы и театра в качестве артиста Московского императорского Малого театра, и признавая заслуги князя Сумбатова в этой области имеющими значение не только для русской литературы и сцены, но и для его родины —

1 თარიღი აღებულია თანდართული ბარათიდან.

2 მრავალწერტილი ჩვენია.

3 საბუთში ერთი სიტყვა არ იკითხება.

Грузии, — т. к. своим талантом ясно доказал, что грузинская нация способна давать людей, которые могут обогащать любую литературу и способствовать развитию искусства как такового, безотносительно, служат ли они своему народу или чужому, — постановило: приветствовать кн. Сумбатова телеграммой. Представленный проект приветственной телеграммы — следующего содержания:

«Москва. Большая Дмитровка, дом Вострякова, Пальмину, для Южина. Глубокоуважаемый князь Александр Иванович. Собрание сынов своих вносит в общую сокровищницу творчества и мысли свою посильную лепту, и что Вы, как могучее звено, связываете свой маленький народ со всем культурным миром.

Прекрасная, далекая родина Ваша гордится Вами, видя в Вашей деятельности яркий признак, что в ней еще жива способность трудами сынов своих вносить в общую сокровищницу творчества и мысли свою посильную лепту, и что Вы, как могучее звено, связываете свой маленький народ со всем культурным миром.

Князь Багратион-Давидов
23 января 1908 г.

ცხა, ფონ. 214, საქ. 3562, ფურ. 1-2. დედანი, ზელითნაწერი.

№ 14

1908 წლის იანვრის 26. — ა. ი. სუმბათაშვილის (იუტინის) საპასუხო დეპეშა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ ბაგრატიონ — დავიდოვისადმი

Низко кланясь, шлю сердечную благодарность родному грузинскому дворянству и вам, дорогой князь, — его избраннику и представителю, за высокую честь, оказанную мне вашим приветом. Да живет! Да славится! Да цветет дорогая родина.

Князь Александр Сумбатов

ცხა, ფონ. 214, საქ. 3562, ფურ. 4. დედანი, დეპეშის ტრაფარეტულ ბლანკზე.

№ 15

1909 წლის ნოემბრის 2. — გორის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის პატაკი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი პოეტ კოლცოვის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული ლიტერატურულ-ვოკალური დღის შესახებ

Честь имею довести до сведения вашего превосходительства о том, что 25 сего октября педагогическим советом Анастасиинской женской

гимназии было устроено литературно-вокальное утро в память столетия со дня рождения поэта А. В. Кольцова.

Утро происходило в помещении мужской прогимназии при участии учеников ее и в присутствии представителей горийского общества, учащихся и учащихся в других учебных заведениях г. Гори. Программа утра при сем прилагается¹.

Председатель педагогического совета (подпись)

ცხა, ფონ. 422, აღწ. 1, საქ. 10341, ფურ. 167. დედანი, ხელით ნაწერი.

№ 16

1910 წლის ნოემბრის 12. — თბილისის გუბერნიის თავდაწნაურობის
წინამძღოლთა და დეპუტატთა კრების ოქმი ლ. ნ. ტოლსტოის
გარდაცვალების გამო

Выслушав сообщение и. д. губернского предводителя дворянства о кончине великого писателя и мыслителя земли русской графа Льва Николаевича Толстого и преисполненное глубочайшего почитания к светлой памяти усопшего, постановляет: 1. Почтить память графа Льва Николаевича вставанием и 2. Поручить и. д. губернского предводителя дворянства выразить супруге и семье его чувства глубочайшей скорби, переживаемые грузинским дворянством по великой утрате, понесенной семьей усопшего, Россией и всем человечеством.

ცხა, ფონ. 214, საქ. 3643, ფურ. 1. პირი, ხელით ნაწერი.

№ 17

1910 წლის ნოემბრის 14. — ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალებასთან
დაკავშირებით იასნოე-პოლიანაში მისი მეუღლისადმი გაგზავნილი
სამძიმრის ბარათი

Графине Софье Андреевне Толстой.

Собрание предводителей и депутатов грузинского дворянства Тифлисской губернии в заседании своем двенадцатого ноября, почтив вставанием память усопшего графа Льва Николаевича, уполномочило меня выразить Вам и семье Вашей чувства глубочайшей скорби, переживаемой грузинским дворянством по великой утрате, понесенной Вами, Россией и всем человечеством.

И. д. тифлисского губернского предводителя дворянства князь Туманов.

ცხა, ფონ. 214, საქ. 3643, ფურ. 2. პირი, ხელით ნაწერი.

¹ აღნიშნული პროგრამა საქმეში დაცულია, მაგრამ აქ არ იბეჭდება.

№ 18

1912 წლის ოქტომბრის 12. — შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა
ყრილობის საბჭოს შეტყობინება კავკასიის სამთო ოლქის ინჟინრის
ცეიტილონისადმი სამამულო ომის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით
პეტრე ბაგრატიონის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ
ჭიათურის სასწავლებლებში

На отношении от 6 октября за № 1781, Совет съезда имеет честь сообщить вам, что Совет съезда имел в свое время суждение об ознаменовании столетия Отечественной войны и, кроме принятия участия в устроенном в Кутаисе молебствии, постановил: в ознаменование столетнего юбилея Отечественной войны учредить четыре стипендии имени героя означенной войны князя Багратиона — две при Чиатурском городском училище по сто двадцати рублей и две — при горнотехническом при Чиатурском городском училище отделении по 180 рублей каждая.

Председатель Совета съезда

ცსა, ფონ. 417, აღწ. 1, საქ. 121, ფურ. 7. შევბული, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

22/202

